კვირის პალიტრა
გზა
№13(198) 25/III.-31/III.2004.
ფასი 60 თ.



დედაჩემი პატიმარია...

ცხოვრება: შვილი და მეგობარი

მარიამი — ქართველების უკანასკნელი დედოფალი



საპატარძლო — ეგოისტი, ჭირვეული და ძალზე ეჭვიანი



უნდა გაიკეთოს თუ არა მსახიობმა როლისთვის მორფი...

# განსხვავებული ჟურნალი




# ყოველ ორშაბათს!

№13 (198)
25 - 31 მარტი 2004
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
ქალბატონო ქუქუნა,
გაიარეთ რეგისტრაცია!.. 3
**ერთი კითხვა** 4
**პოლიტიკა**
ენდობა თუ არა
პრეზიდენტი თანაგუნდელებს? 5
**არჩევანი**
„ვარდების რევოლუციის“
„სკამების რევოლუციად“
გადაქცევა ბუნებრივი მოვლენაა 7
**გადასახადები**
ვინ გვაკარგვინებს
კრიზისიდან გამოსვლის შანსს 8
**მარჩიელი**
„დამიჯერეთ, კიდევ ერთი
მაჟორიტარი დეპუტატი აღმოჩნდება
საბრალდებო სკამზე...“ 10
**აიწონა-დაიწონა**
„80% ჩვენი მხარდამჭერია, 15%-ს
ნეიტრალური პოზიცია უჭირავს...“ 12
**კრიმინალი**
● როგორ იპარავდნენ
„ქუთაისის ავტოქარხნის“
დირექტორები ფულს 13
● „თბილღვინოს“ მეპატრონის
დაყაჩაღებისთვის სამი შვილის
მამას ასამართლებენ 14
**სასიძო**
„ჩემი გულის კოკორი და
ჩემი გულის ყნოსვა ხარ“ 18
**საპატარძლო**
ქეთა თოფურია მომავალი
ქმრის ოჯახში წასაღებად
უცნაურ აგურს ინახავს 19
**თემა**
დედაჩემი პატიმარია! 21
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი
კოლაჟი გოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან 22
**ნამდვილი ამბავი**
„გაუნათლებლობის“ მსხვერპლი 25
**ტრაგედია**
„ახლაც თვალწინ მიდგას
მისი მავედრებელი თვალები...“ 26
**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**
ტესტი ერუდიციაზე 27
**ეკრანი**
უმაღლესი ფრანგული
კინოჯილდო ფილმს ქართველი
მსახიობის მონაწილეობით 28
**გზავნილები**
„საკუთარი მანქანით
საკუთარი ქალიშვილი მოვტაცე“ 29
**სახე**
უნდა გაიკეთოს თუ არა
მსახიობმა როლისთვის მორფი 32

## ვინ გვაკარგვინებს კრიზისიდან გამოსვლის შანსს



ეკონომიკის თითქმის ყველა ექსპერტი და საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრიც მიიჩნევენ, რომ გადასახადები მაღალია და მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს. თუმცა, როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნები არც ეკონომიკის ექსპერტებს, არ ეთანხმებიან...

8

## ქეთა თოფურია მომავალი ქმრის ოჯახში წასაღებად უცნაურ აგურს ინახავს

რუბრიკის არსებობის მანძილზე ყველაზე ნორჩი „საპატარძლო“ უნდა წარმოგიდგინოთ. მასთან სტუმრად მისულს, შინ მხოლოდ ქეთა დამხვდა. შემოთავაზებულ ყავაზე უარი არ მითქვამს, მაგრამ შემდეგ ვინანე, რადგან სამზარეულოში გასული რესპონდენტი კარგა ხნით დამეკარგა...

19



## „არ გამაღვიძოთ, სიზმარში დედაჩემს ვხედავ“...



„დედაჩემი პატიმარია, — ასე იწყება 10 წლის ანას წერილი. — მე მისი სახე აღარ მახსოვს. ვიცი, რომ მან მამაჩემი მოკლა. ბებია მეუბნება: დედაშენი ციხიდან რომ გამოვა, შენს სანახავად მოვა; მეზობლებს შევყური, ქვებით ჩავქოლავთ ქმრის მკვლელსო... გააგებინეთ დედაჩემს — არ მოვიდეს...“

21

## ასტროლოგი – რა გველის უახლოესი ერთი თვის განმავლობაში?

მზე ვერძის ზოდიაქოში 20 მარტიდან 20 აპრილამდე იმყოფება. ვერძის ნიშნის მფარველი პლანეტებია მარსი და პლუტონი. ვერძის ზოდიაქოში მზეც ძლიერია... მღელვარე და ნაყოფიერი მოქმედებების, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტების დასაწყებად ხელსაყრელი დრო დგება... ხელსაყრელი პერიოდია სიყვარულისთვის....

52



**ტაძარი**

რვა მომაკვდინებელი
ცოდვის შესახებ 34

**ქართველები**

მარიამ ციციშვილი – უკანასკნელი
დედოფალი, 9 შვილის დედინაცვალი
და კაცის მკვლელის იარლიყით
დაღდასმული ემიგრანტი 35

**ფავორიტები**

საფეხბურთო გენიოსიც,
რომის პრინციც, გონებაჩლუნგიც... 38

**სპორტული მოზაიკა** 41

**რომანი**

რუსუდან ბერიძე.
თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

**ბომონდი** 46

**ავტო** 48

**შეუცნობელი**

ტერნუვის ციხე-დარბაზის აჩრდილი 49

**შერეკილები**

მხატვარმა საკუთარ
თავზე იქორწინა 51

**ასტროლოგი**

„განშორების შემდეგ
ორივეს გამუდმებით ექნება
ერთურთისადმი ლტოლვა...“ 52

**ტესტი**

ერთგული მკითხველი 53

**ვარსკვლავი**

კეტრინ ზეტა-ჯონსის
თერთმეტი საიდუმლო 54

**საკითხავი ქალებისათვის** 55

**ჯანმრთელობა**

- კითხვა-პასუხი 57
- სამკურნალო მცენარეები 57
- მედიცინის სიახლეები 58

**იუმორი** 59

**ჰოროსკოპი**

კვირის (29 მარტი – 4 აპრილი)
ასტროლოგიური პროგნოზი 60

**სკანვორდი** 61

**შოუბიზნესი** 62

**ტესტი**

- რამდენად მომხიბლავი
ადამიანი ბრძანდებით? 63
- რამდენად კმაყოფილი
ხართ საკუთარი თავით? 63

**კალეიდოსკოპი**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64


გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“


## მარიამ ციციშვილი – უკანასკნელი დედოფალი...



დედოფლის საწოლ ოთახში შესული გენერალი ივან ლაზარევი უკან მკვდარი გამოიტანეს... ამ ამბავმა იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თანამედროვეთა ერთმა ნაწილმა მარიამ ციციშვილი კაცის მკვლელად და ფსიქიკაშერყეულ ადამიანად შერაცხა, მეორე ნაწილმა კი – გმირად გამოაცხადა...

35

## შნდა გაიკეთოს თუ არა მსახიობმა როლისთვის მორფი...

...სოსო დევივით კაცია, თან ხმალს ისე ენერგიულად იქნევს, მხოლოდ ჩემთვის კი არა, ყველასთვის სახიფათო იქნებოდა. ძალა ერჩის და რა ქნას?! ბოლოს და ბოლოს, სვანია, თან – მსოფლიო ჩემპიონია მკლავჭიდში! მსგავსი სახიფათო როლები იცი, რამდენჯერ შემისრულებია?



32

## კეტრინ ზეტა-ჯონსის თერთმეტი საიდუმლო



მას ჟურნალისტები „ეკრანის დედოფლის“ სახელით მოიხსენიებენ. პრესის მუშაკები ხშირად მას ლეგენდარულ გრეის კელისა და ავა გარდნერსაც ადარებენ. თანამედროვე კინოვარსკვლავებს შორის ის ერთადერთია, ვინც 2002 წლის მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების ათეულში მოხვდა.

54

## თავისუფალი თემა

მაგიდის ქვეშ ჯერ ფხაკაფხუკი ატყდა, შემდეგ კი იქიდან დამფრთხალი ლუკაც გამოძვრა, მაშინვე დედასთან მიირბინა და თავი მის კალთაში ჩარგო.

– ეს არის თქვენი დევგმირი? – მკაცრად იკითხა ლაშამ.



42

# ქალბატონო ჟუჟუნა, გაიარეთ რეგისტრაცია!..



ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს აქვს საზღვარი! რა ამბავია ამდენი არჩევნები?! გეკითხებით, ვის ვირჩევთ და რას ვირჩევთ ასე გაუთავებლად?! ჯერ მარტო ეს ცერა თითი დალპა ყოველ მეორე კვირაში მარკირებით, კაი პრანჭია ქალი არ ისვამს მანიკიურს ასე ხშირად!..

ვერც ამ პოლიტიკოსების გავიგე ვერაფერი: ხომ დარწმუნდი წლების მანძილზე, რომ ვერ ხვდები ამ პარლამენტში და არაა პოლიტიკა შენი საქმე? ვერ დაანებებ თავს?!

ზოგს ოპოზიციაში ყოფნა უკვე ჰობად ექცა და ახლა პრეზიდენტადაც რომ დასვა, დილით რომ მთავრობის სხდომას ჩაატარებს კანცელარიაში, საღამოს მიტინგს გამართავს ქუჩაში და ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებს ხალხს...

ისე, საარჩევნო ლოზუნგებს მართლაც რომ ორიგინალურებს ირჩევენ, 220 ვოლტივით რომ დაგივლის ტანში და სიამაყეს მოგგვრის. მაგალითად: „თითოეული მოქალაქის ტკივილი ჩვენი ტკივილია!..“ ასეთი თავდადებაც არ შეიძლება, თქვენ ნუ მომიკვდებით. ჩემი ტკივილი ნეტავ, მეც არ მტკიოდეს, თქვენ არ შეგაწუხოთ კიდევ! ანდა, მე რომ „პახმელიაზე“ თავი მისკდება, დავიჯერო, თქვენი ნაჭამი ხაში მიშველის?! მეტი არაა ჩემი მტერი!..



თუმცა არჩევნებშიც შეიძლება სარგებელი იპოვო ჭკვიანმა კაცმა: ეს პროცესი რომ არ იყოს მოგონილი, რა ეშველებოდა ჩვენს ქალაქს? ზაფხულში კიდევ ჰო, სიმწვანე ფარავს დაბზარულ კედლებსა და ჩამოფხავებულ ფასადებს, მაგრამ დადგა თუ არა შემოდგომა, ხეებს ფოთლები დასცვივდა და აბანოდან გამოსულს რომ პირსახოცი შემოეხსნება და საცოდავმა აღარ იცის, სად აიფაროს ხელები, ისე დარჩა ქალაქი. სამაგიეროდ, ჭრელაჭრულა პლაკატებმა გვიხსნა უხერხული სიშიშვლისაგან. გალამაზდა ქალაქი მოღიმარი სახეებითა და ტკბილ-ტკბილი დაპირებებით.

სწორედ ამ სარგებელზე მოგახსენეთ წეღან და მინდა, მკითხველს კეთილი რჩევა მივცე: თუ თქვენი ბინა გარედან ან შიგნიდან ისეთსავე „მომხიბვლელ“ მდგომარეობაშია, როგორშიც ჩემი, სწორედ ახლაა ამ პრობლემის უფასოდ მოგვარების საუკეთესო დრო. მიდით პარტიების ოფისებში და განუცხადეთ, რომ მათი მხარდამჭერი ხართ და პლაკატების გაკვრაში დაეხმარებით. წებოსაც საუკეთესოს მოგცემენ და ტაქსის ფულსაც. წაიღეთ ეს პლაკატები შინ და შპალერის ნაცვლად გააკარით.

მე მოვრჩი უკვე „რემონტს“ და თითოეულ პარტიას თავისი ოთახი მივუჩინე: „მრეწველებისა“ და „ახლების“ პლაკატები სასადილოსა და სამზარეულოში გავაკარი, ღვინოსთან და ლუდთან ასოცირდება და თემატურადაც გამართლებულია. მათი ლოზუნგი გადასახადების შემცირების თაობაზე, გაზის მრიცხველს მივაწებე. ინკასატორი რომ მოვიდა, ჩვენებაც ჩამომიყარა, 20 ლარიც დამიტოვა და მითხრა — ცოტა ხანი იქმარე და მომავალ კვირაში კიდევ შემოგივლიო...

„შრომის პარტიის“ პლაკატებით სასტუმრო ოთახი დავამშვენე. ლამაზიცაა და ეკონომიურიც: სტუმარს ჭამის მადა ეკარგება და ისე გარბის სახლიდან, რომ ლუკმასაც არ იკარებს პირში...

სახელისუფლებო ბლოკის პლაკატებით ბავშვის ოთახი გავალამაზე, მაგრამ ერთი ცალი „აღორძინების“ პლაკატიც შემიყოლებია შემთხვევით და სანამ არ გამოვცვალე, გასკდა ბავშვი ტირილით, კოშმარები მესიზმრებაო...

ერთი ქალბატონი მომწონს კიდევ ძალიან და მის პლაკატს, რა თქმა უნდა, საძინებელი დავუთმე, მაგრამ რომ გავამხილო, შეიძლება საკანში მომიწიოს მალე ამ პლაკატის გაკვრა და ჯობია, თავი შევიკავო...

და ყველაზე მთავარი: თუ დილით სამსახურში წასულს იმის დარდი გაქვთ, საღამოს ბინა გაძარცული არ დაგხვდეთ, ზედ კარზევე ააკარით ჩვენი გენპროკურორის სურათი და თუ გინდათ, კარს საერთოდ ნუ ჩაკეტავთ...

ასე რომ, კაცმა ტვინი გაანძრიოს და ისეთ საშინელებაშიც კი იპოვის სახეიროს, როგორიც არჩევნებია... ამიტომ, ყველამ გავიაროთ რეგისტრაცია, თქვენც, ქალბატონო ჟუჟუნა!..

*P.S. პედიატრი ბავშვის მშობელს:*

*— აი, ეს ვიტამინები და კალცი მოუხსნის თქვენს შვილს უმადობას. ერთ კვირაში ყველაფერი კარგად იქნება.*

*— რომ არ უშველოს?*

*— მაშინ, აი, ეს საარჩევნო პლაკატი გაუკარით სუფრასთან და უთხარით, რომ თუ არ შეჭამს, „ბუა“ შეუჭამს ყველაფერს...*

***პროვოკატორი***

# „ხელისუფლება შეთანხმებას არღვევს“

**— ბატონო ელიზბარ, პრეზიდენტთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ასლან აბაშიძე ახალ ულტიმატუმებს აყენებს. იგი ფოთისა და ვალეს საბაჟოზე საკუთარი წარმომადგენლების დანიშვნას მოითხოვს, რაც, იურისტების აზრით, სცილდება მის უფლებამოსილებას. რისი მიღწევა სურს ამით აჭარის ლიდერს?**



***ელიზბარ ჯაველიძე,*** *„დემოკრატიული აღორძინების კავშირი“:*

— არავითარი შეთანხმების დარღვევას აჭარის ლიდერის მხრიდან ადგილი არა აქვს. მოლაპარაკება ამით დასრულდა: თუ აჭარაში დაინიშნებოდა პრეზიდენტის წარმომადგენელი, მაშინ ფოთისა და ვალეს საბაჟოზე აბაშიძის წარმომადგენლები იქნებოდნენ. ეს არის ურთიერთკონტროლის უმტკივნეულო საშუალება. მაგრამ ხელისუფლებას ამის გაკეთება არ სურს. მიზეზი მარტივია — ბათუმის საბაჟო, ბიუჯეტში ათჯერ მეტს იხდის, ვიდრე ფოთის პორტი. ეს ფული დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯიბეებში ილექება. საქმე გვაქვს „კეთილ“ ტრადიციასთან, რომელიც წინა მთავრობის დროიდან, ინერციით გრძელდება. თუ ჩვენ გვინდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხა შევიდეს, მაშინ ორივე მხარე უნდა გაკონტროლდეს. ამის შესახებ ასლან აბაშიძემ, სააკაშვილის ვიზიტის დროსაც განაცხადა. რაც შეეხება პრეზიდენტის წარმომადგენლებს — სააკაშვილს მათი კანდიდატურები რაიონის გამგებლის ან გუბერნატორისთვის უნდა წარედგინა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ვასილ სანოძე და დავით ახალაია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩავიდნენ აჭარაში და განაცხადეს, რომ ვანო მერაბიშვილმა დანიშნა ისინი პრეზიდენტის წარმომადგენლებად. ასეთ არასერიოზულ ნაბიჯებს თავისი ლოგიკური შედეგი მოჰყვება ხოლმე, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება შეთანხმებული პირობების სხვა პუნქტებსაც არღვევს. პრეზიდენტის დაპირების მიუხედავად, აჭარაში მოქმედი ბანკისთვის ყადაღა არ მოუხსნიათ. როგორც ჩანს, ამით ხელისუფლებას სიტუაციის ხელახალი გამწვავება უნდა. ასეთ პირობებში, აჭარა და სრულიად საქართველოს მოსახლეობა მზადაა, მიიღოს მათი გამოწვევა და „ვარდების“ მთავრობას პასუხი მოსთხოვოს მის დანაშაულებრივ ქმედებებზე. ■

# „თუ ჩემი დაპატიმრება მოინდომეს, იმუნიტეტი ვერ დამიცავს“

**— ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა „უშბას“ ოფისსა და ქარხანაში შესვლის შემდეგ ამოიღეს საბუღალტრო დოკუმენტები. როგორც ვარაუდობენ, თქვენ დიდი ოდენობით თანხის დამალვაში იქნებით მხილებული. ფიქრობთ თუ არა, რომ საქმე დაპატიმრებამდე მივა?**

***გოჩა ფიფია,*** *„უშბას“ პრეზიდენტი, დეპუტატი, ზუგდიდის რაიონიდან მაჟორიტარი:*

— მთელი ამ წლების განმავლობაში სუფთა ბიზნესს ვაწარმოებდი და არაფრის შიში არა მაქვს. ფინანსური პოლიციის მიერ „უშბას“ დათვალიერებაში კანონსაწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავ. თუ მათ აქვთ სურვილი, შეუძლიათ, შეამოწმონ ოფისიც და ქარხნის ტერიტორიაც. თუმცა, ასეთი ხმაურიანი შემოსვლა რა საჭირო იყო — ჩემთვის გაუგებარია. კბილებამდე შეიარაღებული, ნიღბიანი ხალხი რისთვის მოიყვანეს, არ ვიცი. როგორც ჩანს, მხოლოდ დაშინებისა და მორალური ზემოქმედების მიზნით. ჩვენს ქვეყანაში უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც იურიდიული ცნება, აღარ არსებობს, ამიტომ ფეხქვეშ ითელება, როგორც ბიზნესმენის, ასევე მთელი კომპანიის იმიჯი და ავტორიტეტი. არ გამოვრიცხავ, რომ



ნოღაიდელისა და ჟვანიას მისამართით გაკეთებულმა ჩემმა კრიტიკულმა განცხადებებმა გააღიზიანა ხელისუფლება. მე პრემიერ-მინისტრის საკადრო პოლიტიკას ვიწუნებდი, ფიზიკოსი ნოღაიდელი კი, მინისტრისათვის შეუფერებელ პერსონად მიმაჩნია. ხელისუფლებას კრიტიკა არ უყვარს და მათაც ანგარიშსწორების ეს ფორმა აირჩიეს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩხრეკის ობიექტურად ჩატარების შემთხვევაში, იქ ბომბდამშენებს ვერ იპოვიან და ვერც თანხების გადაუხდელობას დამაბრალებენ, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, სხვისი ფული არ მიმითვისებია... ამ ეტაპზე, იმუნიტეტი მიცავს, მაგრამ თუ მოინდომეს, ჩემი დაპატიმრება მაინც არ გაუჭირდებათ. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ მალე, ყველა იმ პატიოსანი ბიზნესმენის წინააღმდეგ გაილაშქრებენ, ვინც ზურაბ ჟვანიას ფრთის ქვეშ არ მოიაზრება. მათ ან დაიჭერენ, ან გააკოტრებენ. ■

## „პარტიების დაფინანსების საკითხი გამჭვირვალე უნდა გახდეს“

**— სტრასბურგის მონიტორინგის ჯგუფმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს მუდმივად მოუწევთ საკუთარი ფინანსების დეკლარირება. იმუშავებს თუ არა საქართველოში ეს კანონი და რამდენს ხარჯავს სახელისუფლებო ბლოკი წინასაარჩევნოდ?**

***მიხეილ მაჭავარიანი,*** *„ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატები“:*

— ამ თემაზე ძალზე ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ კონკრეტულ ქმედებებს ყველა ერიდებოდა. სტრასბურგის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი ამ ფონზე, ნამდვილად მისასალმებელია. ეს პაკეტი გააკეთილშობილებს იმ გარემოს, რომელშიც პარტიებს უწევთ მუშაობა. ოპოზიციაში ყოფნის დროსაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ — თუ პოლიტიკურ პარტიას ან მის საარჩევნო კამპანიას გაურკვეველი ფინანსური წყაროები აფინანსებენ, კონკრეტული სარგებლის მისაღებად, ამას ძალზე ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, რაც პრობლემას უქმნის თავად პარტიას და მის ლიდერსაც. აქედან გამომდინარე, დაფინანსების საკითხი გამჭვირვალე უნდა იყოს, არა მარტო არჩევნების პროცესში, არამედ მუდმივად. გარდა ამისა, კანონპროექტში საუბარია ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვაზე, ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფის ზეგავლენასა და ოფიციალური პირების მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენების კონტროლზე, რაც არჩევნების პროცესში უმნიშვნელოვანესი საკითხებია და აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს. რაც შეეხება სახელისუფლებო ბლოკს — ჩვენ არჩევნებისთვის მინიმალურ თანხას ვხარჯავთ. ეს ძირითადად, გაზეთების დაბეჭდვის ხარჯია, აგრეთვე — პლაკატები, ბილბორდები და სატელევიზიო რეკლამა, ოღონდ — მინიმალური ოდენობით. ჩვენს საარჩევნო კამპანიას, იმ რეიტინგის გათვალისწინებით, რომელიც მოსახლეობაში არსებობს, დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. ■

*მოამზადა ხათუნა მაღრაძემ*





# ენდობა თუ არა პრეზიდენტი თანაგუნდელებს?

## კიდევ ერთხელ სადეპუტატო იმუნიტეტის შეზღუდვის შესახებ

***საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელისუფლებო ბლოკის წევრებს სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნაზე დაადებინა „ფიცი“. პრეზიდენტის ინიციატივით მმართველი პარტიის ის წარმომადგენლები, რომლებიც 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობენ, საჯაროდ აცხადებენ, რომ ხმას მისცემენ პარლამენტის წევრისთვის იმუნიტეტის შეზღუდვის დადგენილებას და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, დეპუტატი, ისევე, როგორც რიგითი მოქალაქე, პასუხისგებაში მიეცემა. აღნიშნულ კანონპროექტს 1999 წელს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. მის მოწინააღმდეგეებს შორის ამჟამინდელი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებიც იყვნენ, თუმცა, პრეზიდენტის მოწოდებისთანავე, ისინი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამოცხადდნენ და ხელი მოაწერეს აღნიშნულ განცხადებას... რატომ დასჭირდა მიხეილ სააკაშვილს ასეთი ორიგინალური ხერხის გამოყენება? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ პრეზიდენტი თავის თანაგუნდელებს არ ენდობა? და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — იმუნიტეტის მოხსნით დაემუქრება თუ არა საფრთხე ოპოზიციაში მყოფ დეპუტატებს?***

*ხათუნა მაღრაძე*

***ნინო ბურჯანაძე,*** *პარლამენტის თავმჯდომარე:*

— დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი არ უნდა იყოს ის ორგანო, სადაც სისხლის სამართლის დამნაშავეები, პასუხისმგებლობისგან ხელშეუხებლობის გარანტიით დაიცავენ თავს კანონის წინაშე. აღნიშნულ კანონპროექტში საუბარია დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნაზე იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ამგვარი ფორმულირება მე სავსებით გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ეს არ ზღუდავს დეპუტატის პოლიტიკურ საქმიანობას. 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა ვერ მოახერხა კონსტიტუციაში ამ ცვლილების შეტანა. ჩემი აზრით, ეს გაუგებრობამაც განაპირობა: დეპუტატების უმეტესობამ უბრალოდ ვერ გაიგო, თუ რა კანონპროექტზე იყო საუბარი. მათ მიიჩნიეს, რომ ამით განხორციელდებოდა



ოპონენტებთან პოლიტიკური ანგარიშსწორება. არადა, კანონპროექტში სრულიად განსხვავებული ფორმულირებაა მოცემული. მე იმედი მაქვს, რომ ახალარჩეული პარლამენტი სწორად გააანალიზებს ამ საკითხს და კენჭისყრის დროს, მისი ჩავარდნა აღარ მოხდება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც გამიზნულია საიმისოდ, რომ დეპუტატებს კრიმინალური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ხელშეუხებლობის გარანტიად არ ჰქონდეთ იმუნიტეტი. მოსახლეობა იმუნიტეტის მოხსნას დიდი ხანია, ითხოვს და ჩვენ ეს უნდა შევასრულოთ.

**— მაგრამ რამდენად გამართლებული იყო პრეზიდენტის ეს ინიციატივა ეთიკური თვალსაზრისით? ხომ არ შეიცავს მისი მოქმედების ამგვარი ფორმა (ვგულისხმობ წინასწარ ხელმოწერას) ძალდატანებას თანაპარტიელების მიმართ?**

— რა ძალდატანებაზეა საუბარი, ჩემთვის სრულიად გაუგებარია. მათ ამ განცხადებას საკ-

უთარი სურვილის შესაბამისად მოაწერეს ხელი. ეს არის ერთიანი გუნდი, ერთიანი პასუხისმგებლობით. თითოეულ მათგანს სწორად აქვს გააზრებული, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს და რომ პარლამენტი კრიმინალთა თავშესაფარი არ არის. სახელისუფლებო ბლოკის წევრებმა სწორედ ეს პოზიცია დააფიქსირეს ხმამაღლა.

— **მაგრამ ახლანდელ სახელისუფლებო პარტიაშიც იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც წინათ, აღნიშნულ კანონპროექტს მხარს არ უჭერდნენ. ყველამ ერთიანად რატომ შეიცვალა პოზიცია?**

— ბუნებრივია, წინასწარ შევხვდით იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი რეკომენდაციით არიან სიაში მოხვედრილნი. მათ თავიანთი განსხვავებული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ. პირადად მე, თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე არ გავსაუბრებივარ, მაგრამ დღეს ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ამ გადაწყვეტილებას.

*იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელ* **დავით გამყრელიძეს.** *მისი განცხადებით, ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ოპოზიციის წარმომადგენლები მუდმივი საფრთხის წინაშე იქნებიან, რადგან შესაძლებელია, მათ მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება განხორციელდეს, რაც ქვეყანაში დემოკრატიას დაასამარებს.*

— **ბატონო დავით, მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს იმუნიტეტი არ იცავს. რატომ არის აუცილებელი ხელშეუხებლობის გარანტია ქართველი დეპუტატებისთვის?**

— თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო შორს დგას იმ სახელმწიფოებისაგან, სადაც მიღწეულია კანონის უზენაესობა. საქართველოში პარლამენტარს ისე დასწამებენ ცილს და მიაყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, რომ სამართალდამცავები თვალს არ დაახამხამებენ. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ეს თვალნათლივ დაგვანახვა. სწორედ ამიტომ სჭირდება პარლამენტის წევრს იმუნიტეტი, განსაკუთრებით — ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატებს. უნდა არსებობდეს გარანტია, რომ მათ მიერ გაჟღერებული განსხვავებული აზრის გამო მუდმივად საფრთხის ქვეშ არ იქნებიან. იმუნიტეტის მოხსნის შემთხვევაში, სისხლის სამართლის დამნაშავეებად მათი გამოცხადება და დაპატიმრება საკმაოდ იოლი საქმე გახდება. არავინ იტყვის, რომ პოლიტიკური ნიშნით იდევნებიან. უბრალოდ, ნარკოტიკს ან ყუმბარმტყორცნს „უპოვიან“ სახლში და მორჩა... ამიტომ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმუნიტეტის მოხსნისა.



— **კანონპროექტში არის მუხლი, რომლის შესაბამისად, პარლამენტს 48 საათი ეძლევა დეპუტატის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გასაუქმებლად...**

— ეს არაფერს ცვლის, რადგან უმრავლესობაში მოსასვლელად სახელისუფლო ბლოკი ემზადება, რაც ნიშნავს იმას, რომ მის წარმომადგენლებს ყოველთვის ექნებათ საშუალება, ნებისმიერი დეპუტატის შესახებ მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლების დირექტივებს დაექვემდებარება.

— **მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პარლამენტში ყოველთვის იყვნენ კრიმინალები, რომლებიც დეპუტატის იმუნიტეტს აფარებდნენ თავს...**

— თუ ოპოზიციაში აღმოჩნდა კრიმინალი, რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, გენერალური პროკურორი პარლამენტში შევა ინიციატივით, მისთვის იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით. ეს გახდება ფართო მსჯელობის საგანი და პარლამენტიც, განხილვის შემდეგ, მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ მანამდე დეპუტატის სახლში ჩატარდა ჩხრეკა და იქ „იპოვეს“ ნარკოტიკი და ტყვიაწამალი, სწორი გადაწყვეტილების მიღება უკვე შეუძლებელი იქნება.

*როგორც იურისტები აცხადებენ, პარლამენტის წევრებისთვის იმუნიტეტის მოხსნა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ცოტა ნაჩქარევი, მაგრამ მაინც პოზიტიური ნაბიჯი იქნება იმ კრიმინალური დანაშაულებების აღსაკვეთად, რომელთა მიჩქმალვასაც ზოგიერთი დეპუტატი ლობირებს, მაგრამ რამდენად დაცული იქნება თითოეული მათგანი უკანონო სისხლის სამართლებრივი დევნისაგან?*

**ზაზა რუხაძე,** *„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე:*

— **ბატონო ზაზა, რა იურიდიული შეფასება შეიძლება მიეცეს იმ განცხადებას, რომელსაც სახელისუფლებო პარტიის წევრებმა მოაწერეს ხელი?**

— იმდენად, რამდენადაც ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს იურიდიულ აქტს, ამ ხელმოწერებს არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. ამ განცხადებაზე ხელმოწერით დეპუტატებმა დააფიქსირეს საკუთარი მზადყოფნა, უარი თქვან იმუნიტეტზე.

— **თქვენი აზრით, ხომ არ უნდა შევაფასოთ პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება, როგორც თანაპარტიელებზე ზეწოლა?**

— ვერ გეტყვით, იყო თუ არა ამის ნიშნები, მაგრამ თუ პარტიის წევრები მათი ხელმძღვანელის მოსაზრებას არ ეთანხმებოდნენ, მაშინ ამის შესახებ ხმამაღლა უნდა ეთქვათ, პარტიის წევრობა უსიტყვო მორჩილებას არ ნიშნავს.

— **თქვენი აზრით, იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც საქართველოში არსებობს, სჭირდება თუ არა პარლამენტის წევრს იმუნიტეტი?**

— ერთი მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია, როცა საკანონმდებლო ორგანოს წევრი დაცულია სისხლის სამართლებრივი დევნისაგან საკანონმდებლო მუშაობის პროცესში, მეორე მხრივ კი, გამართლებულია ამ სტატუსის შეზღუდვა, რადგან ჩვენს ქვეყანაში არ არის ის სამართლებრივი კულტურა, რომელიც ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს უნდა ახასიათებდეთ: წლების განმავლობაში ცალკეული დეპუტატები კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდნენ და იმუნიტეტის წყალობით ხელშეუხებლები იყვნენ. დღეს კი, იმის გათვალისწინებით, თუ ვინ აპირებს პარლამენტში მოსვლას, კვლავ იქმნება საშიშროება, რომ საკანონმდებლო ორგანო კრიმინალთა თავშესაფრად გადაიქცევა.

— **პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლას სახელისუფლებო ბლოკი აპირებს. რა გამოდის — პრეზიდენტი საკუთარ თანაგუნდელებს არ ენდობა?**

— პასუხისმგებლობის ხარისხი პარტიული ნიშნით არ უნდა იზომებოდეს. კანონი ტენდენციურობას არ ითვალისწინებს. დასასჯელი უნდა დაისაჯოს — განურჩევლად იმისა, თუ რომელი გაერთიანების წევრია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის აღსრულებასთან კი არა, პოლიტიკურ დევნასთან გვექნება საქმე.

— **ასეთ პირობებში ვინ დაიცავს ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატებს?**

— საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნა მხოლოდ აჭარაშია დაფიქსირებული — სხვა შემთხვევები არ არსებობს, აქედან გამომდინარე, ოპოზიციური აზრის წინააღმდეგ გალაშქრების საშიშროებას ნაკლებად ვხედავ. თუ ასეთი რამ მოხდა, მაშინ უნდა ამოქმედდეს ყველა ინსტიტუციონალური მექანიზმი, უფლებადამცველი ორგანიზაციების სახით. არა აქვს მნიშვნელობა, ვის მიმართ განხორციელდება უკანონო დევნა. სამართლებრივ სახელმწიფოში ამის პრეცედენტი არ უნდა შეიქმნას. ■

# „ვარდების რევოლუციის" „სკამების რევოლუციად" გადაქცევა ბუნებრივი მოვლენაა



***„ნაციონალური მოძრაობის" პარტიულ სიაში არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებთან — დავით ზურაბიშვილთან და გივი თარგამაძესთან ერთად, ამ ორგანიზაციის ყველაზე გამოკვეთილი და გამორჩეული სახე — გიგა ბოკერიაც შევიდა. რამ განაპირობა მისი ეს ნაბიჯი და ხომ არ გამართლდა მისი ოპონენტების აზრი იმის შესახებ, რომ იგი ასე აქტიურად სწორედ იმიტომ ებრძოდა წინა ხელისუფლებას, რომ ახალ ხელისუფლებაში რაღაც თანამდებობა დაეკავებინა. ამ და სხვა კითხვებზე გიგა ბოკერია თავად გვიპასუხებს.***

*ნათია თენიეშვილი*

— მიმაჩნია, რომ იმ ამოცანების მიღწევა, რაც ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა, დღეს უფრო პოლიტიკაში საქმიანობითაა შესაძლებელი. პირადად მე და კიდევ რამდენიმე ადამიანი რევოლუციური მოვლენების დროს „ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად ერთ გუნდად ჩამოვყალიბდით და ამიტომ ჩვენი ყოფნა პოლიტიკაში უფრო ეფექტური იქნება. გარდა ამისა, ჩვენ საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ საკუთარ თავზე ამ მოვლენებში მონაწილეობით და მიმაჩნია, რომ უფრო შესაფერისი როლი ახლა ამ პასუხისმგებლობის და ამოცანების გადაჭრაში, პირდაპირი მონაწილეობაა. მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ამით არ მცირდება იმ ადამიანების როლი, ვინც არ მოვიდა პოლიტიკაში და დარჩა საზოგადოებრივ სექტორში. ყველამ ერთად უნდა განვახორციელოთ ის ცვლილებები, რომლებიც უნდა მოხდეს.

**— ე.ი. მიგაჩნიათ, რომ პარლამენტში როგორც დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობიდან", უფრო მეტს გააკეთებთ, ვიდრე „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის სტატუსით?**

— ბუნებრივია, პოლიტიკაში მოდიხარ კონკრეტულ გუნდთან ერთად. პოლიტიკაში ადამიანები უნდა მიდიოდნენ კონკრეტული პოლიტიკური პროგრამით, პოლიტიკური პრინციპების განსახორციელებლად. ძალზე დიდი ხანი, საქართველოში ამა თუ იმ პოლიტიკური პროგრამის განხორციელება შესაძლებელი არ იყო. მაშინ მთავარი ამოცანა იყო იმ რეჟიმის შეცვლა. ახლა კი, იმ პოლიტიკური ძალის მარცხი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, ჩვენი ქვეყნის პერსპექტივისთვის მიყენებული სერიოზული დარტყმა იქნება. დღეს უნიკალური შანსი გვაქვს, მაგრამ რისკიც ძალზე დიდია. აქედან გამომდინარე, დღეს ჩემს თავს ვხედავ იქ, სადაც ეს გადაწყვეტილებები მიიღება. ცოტა ხნის წინ გავიგონე მოსაზრება — „ვარდების რევოლუცია" „სკამების რევოლუციად" იქცაო. ბუნებრივია, სკამებზე უნდა ისხდნენ ის ადამიანები, ვისაც ამომრჩეველი უჭერს მხარს და ვინც განახორციელებს იმ ცვლილებებს, რომელსაც ხალხს დაჰპირდა. აბა, ვინ უნდა დაჯდეს ამ სკამებზე?.. ის სტერეოტიპი, რომ თანამდებობა არის პრივილეგია და არა „სერვისი" ამომრჩევლებისათვის — უნდა დაინგრეს. თუ ის ამოცანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, არ შესრულდება, მაშინ ამ ხელისუფლებას მოუწევს წასვლა, ან არჩევნების გზით, ან არჩევნებამდე: ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, არ არის აუცილებელი, დაელოდო არჩევნებს, თუ ხედავ, რომ ამოცანები არ სრულდება.

**— როცა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი იყავით, აქტიურად მიუთითებდით ხელისუფლებას შეცდომებზე. სავარაუდოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში იქნებით. ხომ არ შეგიშლით ეს ხელს იმაში, რომ ამ ხელისუფლებასაც მიუთითოთ შეცდომებზე?**

— ყველა სოციოლოგიური კვლევისა და საღი აზრის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ სოლიდური უმრავლესობა გვექნება. პოლიტიკაში მოსვლა არ გულისხმობს პოლიტიკური ან ზნეობრივი პრინციპების შეცვლას — ეს გულისხმობს გარკვეულ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღებას. თუ დაშვებული იქნება პოლიტიკური შეცდომა, ყველას, ვინც გადაწყვეტილება მიიღო, პასუხისმგებლობის გაზიარება მოუწევს. თუ პრინციპულ საკითხში იქნება აზრთა სხვადასხვაობა, მაშინ საერთოდ უნდა წამოხვიდე იმ პოლიტიკური გუნდიდან.

**— რევოლუციის დღეებში თუ ფიქრობდით, რომ პოლიტიკაში მოხვიდოდით და პარლამენტარი გახდებოდით?**

— ვფიქრობდი იმაზე, რომ ხელისუფლებაში მოსულიყო ის ძალა, რომელსაც ირჩევს ამომრჩეველი — თუნდაც მე, როგორც ამომრჩეველი... თქვენ ამ კითხვას ალბათ იმ ქვეტექსტით მისვამთ, რომ ნებისმიერი ადამიანი გარკვეულ ძალას იმიტომ უჭერს მხარს, რომ უნდა, თვითონ მოვიდეს ხელისუფლებაში. მაშინ მე ასე გიპასუხებთ — ჰო! ხელისუფლებას უნდა ებრძოლო იმისთვის, რომ მოიყვანო ხელისუფლებაში ძალა, რომელიც გააკეთებს იმას, რაც შენ მიგაჩნია სწორად. ეს არის ბუნებრივი, ნორმალური და აბსოლუტურად გულწრფელი პოზიცია. ეს გადაწყვეტილება, პირად დისკომფორტთან და მრავალ ასპექტთან არის დაკავშირებული და რევოლუციამდე მიღებული არ მქონდა. თუმცა, არასდროს გამომირიცხავს, რომ შეიძლებოდა, პოლიტიკაში მოვსულიყავი. ვინც არ უნდა თქვას — ვიბრძვი არა სკამისთვის, არამედ იდეალებისთვისო, — ეს არასწორი და წინააღმდეგობრივი ნათქვამია. ის სტერეოტიპი, რომ სკამებზე ცუდი ხალხი ზის და კარგი ხალხი მუდმივად ოპოზიციაშია — გულუბრყვილოა. ისე გამოდის, რომ საქმე სულ ცუდად უნდა იყოს და ჩვენ — „კარგებმა" — გამუდმებით უნდა ვილაპარაკოთ — ცუდად არის საქმე-თქო, არა მგონია, ეს ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ინტერესებში შედიოდეს.

**— რამდენად მნიშვნელოვნად შეიცვლება თქვენი ცხოვრების წესი იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი გახდებით?**

— მე საკმაოდ არასტანდარტული დღის რეჟიმი მაქვს: ძალიან გვიან ვამთავრებ აქტიურ ცხოვრებას და ასევე გვიან ვიწყებ. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი გავხდები, მომიწევს ამ, ჩემთვის ძალიან კომფორტული, ცხოვრების წესის შეცვლა. ■

***გადასახადების განაკვეთები ეკონომიკის ზრდას უნდა უწყობდეს ხელს, მათზე ბევრია დამოკიდებული. ეკონომიკის თითქმის ყველა ექსპერტი და საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრიც მიიჩნევენ, რომ გადასახადები მაღალია და მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს, რადგან სწორედ ეს ფაქტორი იწვევს ქვეყანაში გაბატონებულ სიღარიბეს, კორუფციას და მრავალ სხვა უბედურებას.***

***თუმცა, როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნები არც ეკონომიკის ექსპერტებს, არც ბიზნესმენებს და არც პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს ეთანხმებიან...***



# ვინ გვაკარგვინებს კრიზისიდან გამოსვლის შანსს

*ემა ტუხიაშვილი*

**სოსო სიმონიშვილი,** *ეკონომიკის ექსპერტი, აუდიტორი და ჟურნალისტი:*

– მოქმედ საგადასახადო კოდექსს მე „მახინჯ ქმნილებას“ ვუწოდებ. მაგრამ დიდ იმედებს არც ახალ პროექტზე ვამყარებ, რადგან მასზე მუშაობენ ადამიანები, რომელთა კომპეტენცია სერიოზულ ეჭვს ბადებს. მეტიც – ეს „მახინჯი ქმნილება“ იმ ადამიანების შექმნილია, რომლებიც ჯერ კიდევ არიან ხელისუფლების სათავეში და უყვართ თავიანთი ქმნილება...

**– როგორ იქმნებოდა მოქმედი საგადასახადო კოდექსი?**

– აიღეს ჰარვარდის უნივერსიტეტის მსოფლიო საგადასახადო კოდექსის საფუძვლების სახელმძღვანელო, კომენტარებით; იქ მაგალითად მოყვანილია სიმბოლური სახელმწიფო, რომელსაც ჰქვია პროგრესია და მოცემულია „საგადასახადო კოდექსის“ ზოგადი მოდელი. ჩვენს კოდექსში ამ მოდელის სტრუქტურა არსებითად სწორად არის გადმოღებული, მაგრამ დარღვეულია ძირითადი პრინციპები. კერძოდ, ჩვენი კოდექსის მიხედვით, ერთი და იგივე ბაზა ორჯერ ან სამჯერ იბეგრება, დარღვეულია თანაბრობის პრინციპი ბაზრის სუბიექტებს შორის. სახელდობრ, სახელმწიფო არ გამოდის თანასწორუფლებიან პარტნიორად ეკონომიკურ ურთიერთობებში. მხოლოდ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) 20%-იანი და მოგების ასევე 20%-იანი დაბეგვრის შედეგად, ხშირად, ახალი ღირებულების უდიდესი ნაწილი ბიუჯეტის სასარგებლოდ ხდება გადასახდელი, რისი საფუძველიც ორმაგი დაბეგვრაა.

*ჩვენი პრეზიდენტი ჭკვიანი კაცია და ვფიქრობ, როდესაც ახალი, ლიბერალური საგადასახადო კოდექსის ნაცვლად, ძველ, შენიღბულად ახალ კოდექსს წარუდგენენ, თავზე გადაახევს შესაბამის უწყებას...*

**– როგორ შეიძლება გადამხდელმა აარიდოს თავი ასეთ „მტაცებლურ“ გადასახადებს?**

– ფიზიკური თუ იურიდიული პირი იძულებით მალავს სამეწარმეო ან სავაჭრო ოპერაციას, რასაც იატაკქვეშა, „შავი“ ბრუნვა ეწოდება, ჩვენში კი, ჩრდილოვანი ეკონომიკის სახელითაა ცნობილი. აქ კიდევ ერთი საინტერესო ფაქტორია: ჩვენებური ჩრდილოვანი ეკონომიკა მოიცავს აბსოლუტურად ყველაფერს – ბიზნესის ყველა სფეროს, მაშინ, როდესაც მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ცნებაში იგულისხმება იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და პროსტიტუცია; ზოგიერთ ქვეყანაში ამას ემატება აზარტული თამაშები. ჩვენში კი, უბრალო პურის მცხობელსაც კი უხდება გადასახადების დამალვა, ვინაიდან საგადასახადო ტვირთი მეტისმეტად მძიმეა. საგადასახადო ტვირთი კი, არის არა ის, რასაც მეწარმე საკუთარი საქმიანობით ნაშოვნი ფულით იხდის, არამედ ის, რის გადახდასაც კანონი მოითხოვს. სამწუხაროდ, ჩვენს ფინანსთა მინისტრს თუ შეეკითხებით – რამდენია საგადასახადო ტვირთი? – გიპასუხებთ – 14%-იო. ამ 14%-ში ის გულისხმობს მთლიანი შიდაპროდუქტიდან (მშპ) ბიუჯეტში მობილიზებული თანხის ამოღების მაჩვენებელს, სინამდვილეში კი, ეს 14% მშპ-ის ის ნაწილია, რომლის ბიუჯეტში „მობილიზებასაც“ მთავრობა ახერხებს. სინამდვილეში, მოთხოვნილი გადასახადების ჯამი საკმაოდ მაღალია და 80%-ს აღწევს. ამ ციფრის გამოანგარიშება შესაძლებელია ელემენტარული არითმეტიკული გათვლის შედეგად, თუმცა, არც ერთ ფინანსთა მინისტრს არასოდეს დაუთვლია. და რაკი ასეა, საერთოდ არ მესმის, როგორ შეიძლება დაწერო საგადასახადო კოდექსი და

დაადგინო საგადასახადო განაკვეთები. დღესაც იგივე სურათი მეორდება ანუ ფინანსთა სამინისტრო ახალ საგადასახადო პროექტზე მუშაობისას კვლავ არ ითვლის, თუ რამდენს შეადგენს რეალურად საგადასახადო ტვირთი თითოეული გადასახადის გადამხდელისთვის და ამით ხელს უწყობს იმას, რომ მომავალი საგადასახადო კოდექსი, წინამორბედის ანალოგიური იქნება.

**— მაგრამ თუ ის ბიუჯეტის შევსებას მოახერხებს, ქვეყანაც ხომ გამდიდრდება...**

– ეგ პირიქით არის: ქვეყნის გამდიდრებაა ბიუჯეტის სიმდიდრის (სიდიდის) წყარო. ტერმინები – „ბიუჯეტის შევსება“ და „საბიუჯეტო კრიზისი“ – ბუნებაში არ არსებობს. კრიზისი შეიძლება არსებობდეს ეკონომიკაში, ხოლო ბიუჯეტში შეიძლება არსებობდეს დეფიციტი ან ხორციელდებოდეს ბიუჯეტის დეფიციტური დაფინანსება. ეს არის აპრობირებული მაკროეკონომიკური ბერკეტი. მაგალითად, წელს ამერიკამ თავისი ბიუჯეტი, წინასწარი განზრახვით, დეფიციტით დაბეგრა. ამით შეამცირეს ვალუტის კურსი – მოგეხსენებათ, დოლარის კურსი ეცემა, – ეს კი ხელს უწყობს ქვეყნის ექსპორტს, საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას და ქვეყნის გამდიდრებასა და გაძლიერებას. ბიუჯეტის შევსება უშინაარსო ცნებაა. ჭკვიანი მთავრობის ხელში ბიუჯეტი უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ქვეყნის გამდიდრებას. არ შეიძლება, ღარიბ ქვეყანას მდიდარი ბიუჯეტი ჰქონდეს. ჩვენში არავის აინტერესებს ქვეყანა, ყველა ლაპარაკობს ბიუჯეტზე და ზოგჯერ ქვეყანა და ბიუჯეტი ერთმანეთთან გაიგივებული აქვთ. რატომ? იმიტომ, რომ ქვეყანაში არის ორი ჯიბე: ხალხის ჯიბე – ანუ ოჯახის ბიუჯეტი – და მთავრობის ჯიბე, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი ჰქვია. მთავრობას ურჩევნია, თავის ჯიბეში ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი ფული, ხალხი კი მის კუთვნილ ჯიბეში შენახვას ამჯობინებს. ამგვარი ფილოსოფიური წინააღმდეგობა არსებობს, ამიტომ ხშირად, ეკონომისტები და ექსპერტები თავიანთ გამოსვლებს იწყებენ იქედნური ღიმილით იმის გამო, რომ გადასახადების გადახდა არავის უხარია. რა თქმა უნდა, გადასახადების გადახდა არავის უხარია, მით უმეტეს – ისეთი კორუმპირებული მთავრობისთვის, როგორიც ჩვენი მთავრობაა (ყოველ შემთხვევაში, იყო)...

**— თქვენ თუ მოგეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდით ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს?**

– პრეზიდენტმა დაავალა სავაჭრო-სამრეწველო პალატას, კერძოდ, მის თავმჯდომარეს ეროსი კიღმარიშვილს, შეექმნა სამუშაო ჯგუფი და ემუშავა ახალი ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შედგენაზე. ანალოგიური დავალება მისცა მან პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და სახელმწიფო მინისტრ ჯამბულ ბაკურაძეს და საგანგებოდ მიუთითა, რომ სამუშაო პროცესში ჩაერთოთ მეწარმეები. მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არანაირი სამუშაო ჯგუფი შექმნილი არ არის. თავისთავად, ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიეღო ფინანსთა სამინისტროს, რომელმაც ფაქტობრივად საკუთარ თავზე აიღო ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნა და არავის იკარებს სიახლოვეს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს გახლავთ უსახური და თითქმის უცვლელი საგადასახადო კოდექსი. კერძოდ, არსებული 16 გადასახადიდან, გააუქმეს რამდენიმე წვრილი გადასახადი. მაგრამ უცვლელი დარჩა ის ძირითადი გადასახადები, რაც საგადასახადო ტვირთის სიმძიმეს განსაზღვრავს.

**— პირველ ივნისს ე.წ. „ფინანსური ამნისტიის“ ვადა იწურება. თქვენი ვარაუდით, რა შედეგს გამოიღებს ეს წამოწყება?**

– ამნისტია თავისთავად, პატიებას გულისხმობს, ამ შემთხვევაში კი, ადამიანებისგან ითხოვენ არგადახდილის აღიარებას, დეკლარაციაში ამის დაფიქსირებას, ხელმოწერით დადასტურებას; აღნიშნული თანხიდან აპატიებენ 1 მილიონს, ხოლო თუ უფრო დიდია თანხა, იქიდან წლეულს მოითხოვენ 10%-ს, დანარჩენს კი, 15 წლით რესტრუქტურიზაციას გაუკეთებენ. აქვე ერთი მნიშვნელოვანი დეტალის შესახებაც უნდა ვთქვათ: ყოველივე ამასთან ერთად, მეწარმემ უნდა გადაიხადოს მიმდინარე წლის გადასახადები, არსებული კოდექსის მიხედვით, ხოლო როდესაც ძალაში შევა ახალი საგადასახადო კოდექსი (საუკეთესო შემთხვევაში, ამის განხორციელება 2005 წლის იანვარში მოხდება), თავისთავად შეუმცირდებათ საგადასახადო ტვირთი. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამდენი ფირმა მიაღწევს „ცოცხალი“ 2005 წლის იანვრამდე? პასუხი მარტივია – ვერც ერთი. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთი იმათგანი, რომელიც დღგ-ს გადამხდელია.

**— დაბოლოს, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი საგადასახადო კოდექსი?**

– სამწუხაროდ, ჩვენი პრეზიდენტი არ არის ეკონომისტი, მე კი მის ადგილას პირველ რიგში, შემოვიღებდი კანონს, რომლის მიხედვითაც, არც ერთ სახელმწიფო ორგანიზაციას არ ექნება უფლება, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს გადაახდევინოს მის მიერ მიღებული შემოსავლის 30%-ზე მეტი. დამერწმუნეთ, რომ იმ დღიდან დაიწყებოდა ქვეყნის აღმავლობის გზა. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენში არავინ არაფერს არ ითვლის და არ აანალიზებს. არ მესმის, რას აკეთებენ საერთოდ, ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტები? რატომ არის ფინანსთა სამინისტრო ორიენტირებული მხოლოდ გადასახადების ამოღებაზე, მაშინ, როდესაც მათი ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბება და წარმართვაა? საინტერესოა, საერთოდ რას აკეთებს ეკონომიკის სამინისტრო? ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, ვისაც მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ ამ შემთხვევაში, კიდევ ერთ დანაშაულს სჩადიან ქვეყნის, პრეზიდენტის და ხალხის წინაშე, რადგან გვაკარგვინებენ კრიზისიდან სახელმწიფოს გამოყვანის კიდევ ერთ შანსს. ამ ეტაპზე, საგადასახადო კოდექსზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია. ჩვენი პრეზიდენტი ჭკვიანი კაცია და ვფიქრობ, როდესაც ახალი, ლიბერალური საგადასახადო კოდექსის ნაცვლად, ძველ, შენიღბულად ახალ კოდექსს წარუდგენენ, თავზე გადაახევს შესაბამის უწყებას.

■





**როგორია საპარლამენტო არჩევნების შედეგების ნატაშა სკოროხოდოვასეული პროგნოზი? როგორ გადანაწილდება საარჩევნო ხმები? დაუჭერს თუ არა მხარს ელექტორატი დასუსტებულ და დაქსაქსულ ოპოზიციას? თუ შეძლებს რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას?! როგორ ჩაივლის საპარლამენტო არჩევნები აჭარაში? ნათელმხილველს, პოლიტიკოსებისგან რადიკალურად განსხვავებული პროგნოზები აქვს...**

# „დამიჯერეთ, კიდევ ერთი მაჟორიტარი დეპუტატი აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე...“

*ლელა ჭანკოტაძე*

— შალვა ნათელაშვილი საპარლამენტო არჩევნების შემედგ იტყვის: ხომ ვამბობდიო!.. — და იმაზე დაიწყებს საუბარს, რომ პარლამენტის გარეთ მისი პარტიის დარჩენა მოსალოდნელი იყო და ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი. ვერ გეტყვით, ხელისუფლების ავი ზრახვების ბრალი იქნება ეს თუ არა, მაგრამ არჩევნების შედეგები, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში უმეტესობას საბოლოოდ დაარწმუნებს, რომ ახალ ხელისუფლებას ქვეყნის ერთპიროვნულად მართვა აქვს გადაწყვეტილი.

— **ე.ი. პარლამენტი ერთპარტიული იქნება?**

— პოლიტიკურ პარტიათა ლიდერების გუნება-განწყობილებაზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ცალ-ცალკე ვისაუბროთ და დასკვნებიც მაშინ გამოვიტანოთ. ნათელაშვილის აგრესია მოსატანიც არ იქნება იმ იმედგაცრუებასთან, რომელიც „ახალ მემარჯვენეებს“ ელოდებათ...

— **...მაგრამ კულუარული ინფორმაციით, „მრეწველებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ პარლამენტში მოხვედრის გარანტია აქვთ...**

— ამიტომაც იქნება მოულოდნელი ის მარცხი, რომელიც მათ ელოდება. წარმოიდგინეთ, ნადირი გალიაში კედლებს რომ აწყდება და გააფთრებული ღმუის — სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება დავით გამყრელიძე. ზურაბ ტყემალაძე და გოგი თოფაძე მარცხს უფრო იოლად გადაიტანენ.

— **„ერთობა“ თუ მოხვდება პარლამენტში?**

— კონკრეტულად რომელი პარტია შევა პარლამენტში, ამის შეუცდომლად თქმა ძნელია. შეცდომის ალბათობა ყოველთვის ძალზე დიდია, ამიტომ მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, თუ როგორ შეხვდებიან არჩევნების შედეგების გამოცხადებას პარტიის ლიდერები. ჯუმბერ პატიაშვილი უკვე ძალიან უკმაყოფილოა და იმედგაცრუებულიც. მისთვის ახალი ხელისუფლება აბსოლუტურად მიუღებელია, თუმცა, პარლამენტში მოხვედრის შანსი, სხვა პარტიებთან შედარებით, „ერთობას“ უფრო აქვს. გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ პარლამენტს მიღმა აღმოჩნდება ყველა პატარა და ურეიტინგო პარტია.

— **რა ბედი ელის „ედპ-ტრადიციონალისტებს“?**

— იმაზე, რომ პარლამენტში ვერ მოხვდებიან, ორი აზრი არ არის...

— **თვით „ნაციონალური მოძრაობა“ თუ დარჩება ამ არჩევნებით კმაყოფილი?**

— რა თქმა უნდა. მიხეილ სააკაშვილს როგორც სურს და როგორი გეგმაც აქვს, არჩევნები სწორედ ისე ჩატარდება. პრეზიდენტისთვის მოულოდნელი არაფერი მოხდება. ჯერჯერობით მას არანაირი ცუდი სიურპრიზი არ ელოდება. მისი სახის გამომეტყველებიდანაც ჩანს, რომ კმაყოფილია. საუბარი იმაზე, რომ მას ისევ რევოლუციის გზით გაუსწორდებიან ან აიძულებენ, დათმობაზე წავიდეს, ფუჭია. ის ხალხს ახალ-ახალ სიურპრიზებს ჰპირდება.

— **რაიმე ახალი საკადრო ცვლილებებიც ხომ არ არის მოსალოდნელი?**

— ჩემი ვარაუდით, მინისტრების ცვლის პროცესი დაიწყება. უშიშროების მინისტრის თვალები მეუბნება, რომ ის საკადრო ცვლილებების პირველი მსხვერპლი აღმოჩნდება. ფაქტობრივად, მინისტრი აღარც არის — მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია... იგივე შემიძლია ვთქვა ირაკლი ოქრუაშვილზე. მის თვალებშიც ცვლილებები ჩანს. მას მალე მადლობას გადაუხდიან და გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადააყენებენ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო იმედგაცრუება დაეუფლება, რადგან ახალი წინადადება მისთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდება: მომავალში მას უშიშროების მინისტრად ვხედავ, ამ თანამდებობაზე დიდხანს დარჩება.

— **მის ადგილს ვინ დაიკავებს?**

— დარწმუნებული ვარ, რომ გენერალური პროკურორი, კობა დავითაშვილი გახდება. ეს მაშინაც ვიცოდი, როცა ვამბობდი — პირველი, ვინც სააკაშვილის გუნდიდან წავა, კობა დავითაშვილი იქნება-მეთქი. მან „ნაციონალური მოძრაობის“ რიგები უკვე დატოვა, ამიტომ მისი დანიშვნა გენერალურ პროკურორად ძალზე მომგებიანი იქნება: გამოდის, რომ ამ თანამდებობაზე დაინიშნება უპარტიო კაცი, რომელიც არც ერთი პარტიის გავლენის ქვეშ არ იქნება მოქცეული...

— **ეს ძალზე საეჭვოა, რადგან კობა დავითაშვილი პრეზიდენტს ღიად დაუპირისპირდა. წესით, პრეზიდენტი მასზე ნაწყენი უნდა იყოს...**

— არა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, პრეზიდენტი არ არის ის კაცი, ვისაც შეპასუხებას ასე იოლად გაუბედავენ საკუთარი გუნდის წევრები. ის იტყვის — ე.ი. უნდა გაკეთდეს, საწინააღმდეგო აზრის მოსმენა არ სურს. თუმცა, ყოველთვის უწევს ანგარიშს თავისზე ჭკვიანს და მის შენიშვნებსაც ითვალისწინებს. კობა დავითაშვილზე ნაწყენი არასდროს ყოფილა. უბრალოდ, ეს პოლიტიკური თამაში აუცილებელი

იყო... რაც შეეხება თავად კობა დავითაშვილს — ის მართლა ეწინააღმდეგება მიხეილ სააკაშვილს, ოღონდ — შინაგანად.

**— რევოლუციის შემდეგ, ოპოზიციაში გადაბარგდა აკაკი ასათიანიც. ესეც პოლიტიკური თამაშია?**

— არა. აკაკი ასათიანი პრეზიდენტზე დაბოღმილიც კია. მაგრამ მან სააკაშვილთან ბრძოლა ყველა თვალსაზრისით წააგო. კიდევ ერთი წაგება ელოდება საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების დროს... მაგრამ ასათიანის დროც მოვა. ის აქტიურ პოლიტიკაში კიდევ დაბრუნდება. ისევე, როგორც ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც თავის ოცნებას მაინც აისრულებს და მომავალში, უშიშროების ან სხვა ძალოვანი სამინისტროს ხელმძღვანელი გახდება.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე ალიანსი შექმნან აკაკი ასათიანმა და კონსტანტინე გამსახურდიამ? თუ შეიძლება ველოდოთ მომავალში ე.წ. „ზვიადისტური“ ძალების გაერთიანებას?**

— „ზვიადისტურ“ ძალებს მომავალი არა აქვს. ის, რაც ვერ შეძლო ედუარდ შევარდნაძემ, იოლად მოახერხა მიხეილ სააკაშვილმა — მან დააქუცმაცა და ერთმანეთისგან გათიშა „ზვიადისტური“ ძალები; ნაწილი შემოიერთა კიდეც, თანაც ისე, რომ მისგან განდგომას აღარ შეეცდებიან. მაგალითად, გურამ აბსანძე, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის სამსახურში ჩადგა და მისთვის ოპოზიციონერობანას თამაში უკვე წარმოუდგენელიც კია, თუნდაც იმიტომ, რომ გადაღლილია და სულის მოთქმა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად ბევრ საკითხში სააკაშვილის პოლიტიკას არ ეთანხმება, ამას ხმამაღლა არ გამოხატავს, რადგან მისი პოლიტიკური იდეალი სწორედ სააკაშვილის ტიპის პოლიტიკოსია — ენერგიული, ექსცენტრიკული, მოულოდნელობებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე. იგივე შემიძლია ვთქვა ნემო ბურჭულაძეზე, რომელსაც მძიმე ცხოვრებამ საშინელი დაღი დაასვა. ის დეპრესიული ადამიანი გახდა, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ სურს: მოისმინოს, რომ ფუჭად არ უშრომია და უბრძოლია. ბატონი ნემოც შეიძლება, არ იყოს მოხიბლული მიხეილ სააკაშვილით, მაგრამ სიკვდილამდე მისი მადლიერი იქნება, რადგან მან ის შეძლო, რაც თავის დროზე, ზვიად გამსახურდიას გარშემო შეკრებილმა პოლიტიკოსებმა ვერ მოახერხეს — საშინელი მარცხი განაცდევინა ედუარდ შევარდნაძეს და სამარცხვინოდ დაატოვებინა პრეზიდენტობა. რაც შეეხება აკაკი ასათიანს — მას ბრძოლის უნარი ისევ შემორჩა, თუნდაც იმიტომ, რომ არ განუცდია ის, რაც გურამ აბსანძემ და ნემო ბურჭულაძემ განიცადეს, მისი გრძნობები შედარებით ზედაპირულია. კოკო გამსახურდიასთან მისი გაერთიანება თითქმის შეუძლებელი მეჩვენება. თუმცა პოლიტიკაში ალბათ, წარმოუდგენელი რამეც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით მათ თვალებში ერთმანეთთან დამაკავშირებელი საერთო იმპულსები არ შეინიშნება, პირიქით — მათი გზები და აზრები ამ ეტაპზე, მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს და რაიმე ერთიანობას ვერ ვხედავ. ამასთანავე, აკაკი ასათიანი მერყევი, ცვალებადი ბუნების (და არა ცვალებადი პრინციპების) მქონე ადამიანია. იმავეს ვერ ვიტყვი კოკო გამსახურდიაზე — მას უფრო მტკიცე ხასიათი აქვს.

**— ამ არჩევნებში რა შედეგს მიაღწევს კოკო გამსახურდიას პარტია?**

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადამიანს გაუხარდა მისი ჩამოსვლა, უმეტესობის თვალში ის მხოლოდ მამამისის სახელთან ასოცირდება, მის დამოუკიდებელ პოლიტიკურ კარიერაზე საუბარი მიჭირს. მე მგონი, მისი ამპლუა სამეცნიერო მოღვაწეობა უფროა. თუმცა, არჩევნების შემდეგ, მას სანახევროდ კმაყოფილს ვხედავ. შეიძლება, ის რომელიმე რაიონიდან მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიონ. მაჟორიტარ დეპუტატებთან დაკავშირებით გამახსენდა: დამიჯერეთ, კიდევ ერთი მაჟორიტარი დეპუტატი აღმოჩნდება საბრალდებო სკამზე. თუ რომელი — ეს ცუდ სიურპრიზად დავტოვოთ.

**— როგორი ადამიანია კოკო გამსახურდია? როგორი ბუნება აქვს? რითი ჰგავს და რითი განსხვავდება სხვა ქართველი პოლიტიკოსებისგან?**

— განათლებული ადამიანი, რაფინირებული ინტელიგენტია, რომლისთვისაც მისაღები, მხოლოდ კანონიერი ბრძოლის მეთოდებია. ის სუფთა ადამიანია. გახსნილი კარტით თამაში უყვარს. ვერ ეგუება ბინძურ მაქინაციებს და ინტრიგებს, რომლებსაც ქართულ პოლიტიკაში ხლართავენ. სიტყვის კაცია, ყოველთვის ამბობს იმას, რისი გაკეთების გარანტიაც აქვს. ტყუილი, უპასუხისმგებლობა და შავი პიარი მისთვის მიუღებელია. ის მამის იდეალებით ცხოვრობს და ამიტომ, მის ადგილს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ვერ ვხედავ. თუმცა, საკუთარი, განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრება არ გაუჭირდება.

**— რას მალავს?**

— შიშს იმისას, რომ ვაითუ ადრე დაბრუნდა.

**— როცა არჩევნების თემაზე ვსაუბრობთ, ალბათ უმნიშვნელოვანესია „აღორძინების კავშირის“ ბედი — რა ელის ამ პარტიას?**

— დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ თუ არჩევნები აჭარაში ჩატარდება, „აღორძინება“ 7%-იან ბარიერს გადალახავს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ სხვა საკითხია, ჩატარდება თუ არა საერთოდ, არჩევნები აჭარაში. როგორც მოქალაქეს, ამის იმედი მაქვს. ისევ ასლან აბაშიძისა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოებს ჩავუღრმავდები... ნათლად ვხედავ, რომ აბაშიძისთვის გამარჯვების და გადარჩენის ერთადერთი შანსი, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა, მიხეილ სააკაშვილისთვის კი, ასლან აბაშიძეზე გამარჯვების საუკეთესო საშუალება, აჭარაში არჩევნების ჩაშლაა. ამ ეტაპზე, უმეტესობა იმ პოლიტიკოსებისა, რომელთა ფოტოსურათები ჩემს მაგიდაზე აწყვია, ვარაუდობს, რომ აჭარაში არჩევნები ჩაიშლება.

**— ე.ი. დაძაბულობა ამ რეგიონში მალე არ განიმუხტება?**

— არა. კონფლიქტი მხოლოდ ახალ ფაზაში შევიდა. ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე ძალებს იკრებს. აბაშიძე ყველაფერს იღონებს არჩევნების ჩასატარებლად, თანაც მთელი ამ პროცესის იმგვარად წარმართვა სურს, რომ საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს, ახალ ხელისუფლებას მოუგოს. მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ „აღორძინება“ პარლამენტში ისევ მოხვდა, ის კი ამ პარტიის სიის პირველი ნომერია და მას იმუნიტეტი იცავს. მაგრამ ვერ გათვალა, რომ სააკაშვილი დეპუტატების იმუნიტეტის მოხსნაზე ჯერ კიდევ არჩევნებამდე იზრუნებდა, რათა შემდგომში, აბაშიძეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ან მასზე ძებნის გამოცხადება არ გასჭირვებოდა. სააკაშვილი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა...

**— წინათ ამბობდით, რომ აჭარაში რევოლუცია გარდაუვალია. რა შეიცვალა? შეცდით?**

— რევოლუციის სიომ აჭარაში უკვე დაჰბერა. მაგრამ პროცესი გაიჭიმება. მიხეილ სააკაშვილს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ აბაშიძეს დაამარცხებს, თანაც — რევოლუციის გზით. მაგრამ ის ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ აბაშიძეს შეცდომა-შეცდომაზე დააშვებინოს და საქართველოთი დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს დაანახვოს, რომ თვითონ კი არის დემოკრატი და სამართლიანი პრეზიდენტი, მაგრამ აბაშიძე დიქტატორი და რომ მასთან „ვარდების რევოლუციის“ გარეშე ურთიერთობის დარეგულირება შეუძლებელია. სააკაშვილი ამ ბრძოლას მოიგებს. აჭარას „ვარდების რევოლუცია“ არ ასცდება. ■



# „80% ჩვენი მხარდამჭერია, 15%-ს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს...“

***საპარლამენტო არჩევნების წინ, პოლიტიკური პარტიების ლიდერები და პოლიტოლოგები განსხვავებულ აზრებს აფიქსირებენ არჩევნების სავარაუდო შედეგების შესახებ. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ოპოზიციური პარტიების რეიტინგი დაბალია. თუმცა ზოგიერთი მათგანის ლიდერი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი.***

***მაშ, როგორია პროგნოზები? გვეყოლება თუ არა მრავალპარტიული პარლამენტი? რომელი ოპოზიციური პარტიები შეძლებენ 7%-იანი ბარიერის გადალახვას?***

*ლელა ჭანკოტაძე*

**რამაზ საყვარელიძე,** *პოლიტოლოგი:*

— გამორიცხული არ არის, რომ სახელისუფლებო ბლოკის გარდა, პარლამენტში სხვა პარტიებიც მოხვდნენ, მაგრამ იმდენად მცირე რაოდენობით, რომ გავლენა ვერ იქონიონ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამდენად, შეიძლება პარლამენტი ფორმალურად მრავალპარტიული იყოს, რეალურად კი ვერ განახორციელოს ის ფუნქცია, რისთვისაც მრავალპარტიული პარლამენტი არსებობს. ჯერჯერობით ჩვენ ასეთი შედეგი გველოდება.

— **რომელ ოპოზიციურ პარტიას აქვს შედარებით მაღალი რეიტინგი და შესაბამისად, 7%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი?**

— სოციოლოგიურ ჯგუფ ,,ემ-ჯი-ემის“ ბოლო მონაცემებით, 7%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი ,,ახალ მემარჯვენეებსა და მრეწველებს“ აქვთ. სხვა პარტიები 2, 3, 4%-ს მიღმა დარჩებიან.

— **თუ გავიხსენებთ, როგორ მოდიოდა „მოქალაქეთა კავშირი“ უმრავლესობაში, შეიძლება, სიტუაციის მსგავსებაზე ვისაუბროთ, არა?..**

— ჩვენს ახალ ხელისუფლებასა (,,ნაციონალებს — დემოკრატებს“) და ,,მოქალაქეთა კავშირს“ შორის მსგავსება უზარმაზარია. შეგვიძლია ბლოკთან — ,,მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ მსგავსებაზეც ვისაუბროთ. სცენარი აბსოლუტურად ერთნაირია: ერთ მკაფიოდ გამოხატულ ლიდერზე იდებოდა ფსონი, პარტიის რეიტინგს სწორედ ის განსაზღვრავდა. ამიტომაც იწყებოდა შემდგომ, ამ პარტიების ფრაქციებად დაშლა, რაც ახალ სახელისუფლებო პარტიაშიცაა მოსალოდნელი. ეს პროცესი ახლა უფრო სწრაფად განვითარდება.

— **„აღორძინების კავშირი“ ისევ შეძლებს არჩევნების საბოლოო შედეგებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას?**

— მიჭირს, ასლან აბაშიძის აზრები წინასწარ გამოვიცნო, მაგრამ სოციოლოგიურ გამოკითხვას (,,ემ-ჯი-ემს“) თუ დავეყრდნობით, ,,აღორძინება“ რუსთავში, ბოლნისსა და სამტრედიაშიც კი გადალახავს 7%-იან ბარიერს.

— **რატომ მოხდა ისე, რომ წინასაარჩევნო კამპანია ოპოზიციურ პარტიებს საოცრად მოკრძალებული აქვთ. ნუთუ ფიქრობენ, რომ არჩევნების ბედი წინასწარ გადაწყვეტილია?**

— ბუნებრივია, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერები დაიბნენ, რადგან მიხეილ სააკაშვილმა მათ ცხოვრებისა და პოლიტიკური თამაშების შევარდნაძისეულისგან რადიკალურად განსხვავებული რეჟიმი შესთავაზა. ეს არის რევოლუციური რეჟიმი, რომელშიც ყოველთვის იმარჯვებს გმირი. ეს არ გახლავთ ტიპური პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც დებატებსა და შესაბამისად, საღ პოლიტიკურ აზრზეა დამყარებული. წლების მანძილზე შევარდნაძის მმართველობით უკმაყოფილო ხალხში მუხტი გროვდებოდა. ეს მუხტი მთლიანად შეიწოვა მიხეილ სააკაშვილმა. ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც გადაწყვეტს კიდეც საპარლამენტო არჩევნების ბედს...

— **რას იზამს ასეთი ხშირი არჩევნებისა და ხელისუფლების ფუჭი დაპირებებისგან გადაღლილი ელექტორატი? როგორი იქნება მისი აქტიურობა საპარლამენტო არჩევნებში?**

— მე მგონია, რომ ელექტორატის რაციონალური ნაწილი არ იყო იმის მოლოდინში, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში მოსვლის მეორე დღიდანვე გაზრდიდა ხელფასებსა და პენსიებს. ელექტორატის დანარჩენი დიდი ნაწილი, რომელიც საპირისპიროს ფიქრობდა, უბრალოდ, შეცდა. ეს ელექტორატის შეცდომაა. ასეთი რამ ყველა ქვეყანაში ხდება. ჰიტლერი ხელისუფლებაში ელექტორატმა მოიყვანა. რაც შეეხება ქართველ ელექტორატს, მან თავისივე შეცდომა სააკაშვილს არ უნდა მიაწეროს. სააკაშვილმა მათ მხოლოდ შესთავაზა საკუთარი თავი, ელექტორატმა მიიღო და გმირად აქცია. იმავე ელექტორატის ნაწილი დღეს უკვე საუბრობს — როგორც გადავაგდეთ შევარდნაძე, ისე გადავაგდებთ სააკაშვილსაცო. ეს ძალზე სახიფათოა. ამან შეიძლება საქართველო ისევ დააყენოს მძიმე განსაცდელის წინაშე. თუ ელექტორატში რევოლუციური ნაპერწკალი ჩაქრება, ეს საქართველოსთვის სასიკეთო იქნება. მე მგონია, რომ ხალხი არჩევნებზე მოვა, თუმცა ბევრი პასიური იქნება. დაბალ აქტიურობას უნდა ველოდოთ. ჩემთვის პირველი კითხვის ნიშანი სწორედ ესაა — იქნება თუ არა ისეთი დასწრება, რომ არჩევნები ლეგიტიმურად ვცნოთ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ახლა ძნელია.

**გია ნოდია,** *პოლიტოლოგი:*

— სახელისუფლებო ძალის რეიტინგი დღეს ძალიან მაღალია. ,,ნაციონალებს-დემოკრატებს“ შეუძლიათ, წინასაარჩევნო კამპანია ,,ზრდილობის გულისთვის“ აწარმოონ... თუმცა, საზოგადოების მცირე ჯგუფებს იმედგაცრუება უკვე დაეტყოთ. მიუხედავად ამისა, ჩემი პროგნოზით ხელისუფლება ხმების 70-80%-ს მიიღებს.

— **რა შანსები აქვთ ოპოზიციურ პარტიებს?**

— საარჩევნო კამპანიის ჩატარებას სჭირდება ფინანსები. ოპოზიციურმა პარტიებმა ეს ფინანსები დახარჯეს ნოემბრის საარჩევნო კამპანიაში, ამიტომაც ახლა უფრო მოკრძალებულ კამპანიას ატარებენ. მაგალითად, ,,ახლების“ და ,,მრეწველების“ პიარი ტექნიკურ საშუალებებზე — ტელევიზიაზე, პრესასა და პლაკატებზეა ორიენტირებული. მათ გამოსვლებში სიმკვეთრე არ ჩანს, ხალხთან არ მიდიან, რეგიონებში გასვლა ახლა დაიწყეს. ახლა უკვე ძალიან გვიანია... უფრო პოპულისტური ლოზუნგები აქვთ ლეიბორისტებს, მაგრამ რევოლუციის შემდეგ, მათი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით, პარ-

ლამენტში მოხვედრის მეტი შანსი მაინც ლეიბორისტებს, „ახლებს“ და „მრეწველებს“ აქვთ, 7%-იანი ბარიერის გადალახვა მაინც გაუჭირდებათ. შანსი არა აქვთ „ედპ-ტრადიციონალისტებს“, რადგან იქ ერთადერთი ცნობილი სახე – აკაკი ასათიანია. რაც შეეხება კოკო გამსახურდიას, მე მგონია, ყველაზე გაურკვეველი კანდიდატია, იმ თვალსაზრისით, რომ საერთოდ არ მონაწილეობდა არაფერში და არჩევნებამდე სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელ საქართველოში მისი შტაბბინებია გახსნილი და პლაკატებია გაკრული, შანსი მაინც არა აქვს.

**— რა ელის „აღორძინების კავშირს“?**

– ალბათ, აჭარის შიგნით მოხდება პოლარიზაცია. თბილისში და თუნდაც სხვა რეგიონებში, აჭარის მიღმა „აღორძინება“ თითქმის არ ეწევა საარჩევნო კამპანიას, ხალხის მხარდაჭერა ამ პარტიას არა აქვს და ვერც ექნება, რადგან დღეს უკვე ძნელია ხმები მიიღოს პარტიამ, რომელიც აქტიურ საარჩევნო კამპანიას არ აწარმოებს.

**შალვა ნათელაშვილი,** *ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარე:*

– დავბეჭდეთ 5000 პლაკატი, რამდენიმე ათასი შავ-თეთრი გაზეთი, გავაკეთეთ სატელევიზიო თხუთმეტწამიანი კლიპი – სულ ეს არის, რაც სარეკლამოდ გავიღეთ, რადგან განსხვავებით სხვა პარტიებისაგან, ჩვენთან ხელფასები არ არის. ძალიან გვეხმარება არასახელფასო ურთიერთობები, რადგან ხელფასი მომავალში გამოიწვევს ვალდებულებებს, ჩვენ კი არ გვინდა, დავალებულები ვიყოთ ვინმესგან.

**— წინა საპარლამენტო არჩევნების დროს თქვენ იმედიანად იყავით განწყობილი და უმრავლესობაში მოსვლასაც კი გეგმავდით. ახლა თუ გაქვთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველი?**

– უმრავლესობით მოსვლის პოტენციალი გვქონდა 1999 წელს, მაგრამ პარლამენტში საერთოდ არ შეგვიშვეს. ეს მთელმა მსოფლიომ იცის. ადგილობრივ არჩევნებში თბილისის მასშტაბით პირველ ადგილზე გავედით. 2003 წლის 2 ნოემბერს ყველამ არჩევნების გაყალბებაზე იმუშავა, თავად მიხეილ სააკაშვილმაც. მაგრამ მაინც 12,5% დაგვიწერეს, თუმცა მიღებული ხმების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ამჯერადაც, სააკაშვილს კურსი აქვს აღებული, რომ პარლამენტს მიღმა დაგვტოვოს. ამას არც მალავს. იმიტომ, რომ შევარდნაძისა და სააკაშვილის პოლიტიკური ბიოგრაფია – ეს არის ლეიბორისტულ პარტიასთან და შალვა ნათელაშვილთან ბრძოლის ისტორია.

**— თუ შიშობთ, რომ პარლამენტის მიღმა დაგტოვებენ, ბოიკოტი რატომ არ გამოუცხადეთ არჩევნებს?**

– მე არაფრის შიში არა მაქვს. პარლამენტის გარეთ დარჩენა ჩემთვის გადატანილი პრობლემაა. ბოიკოტი, ხელის ჩაქნევა და ბრძოლაზე უარის თქმა, ჩვენი სტილი არ არის. იმდენ ხანს ვიქნები პოლიტიკაში, სანამ შევარდნაძის კუდებს არ გავისტუმრებ პოლიტიკიდან. მე მოვიარე ასი სოფელი. გვერდით ვირი მედგა, ხელში მიკროფონი მეჭირა და მისმენდნენ სრულიად შემთხვევით თავმოყრილი ადამიანები. 80% ჩვენი მხარდამჭერია, 15%-ს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს, მხოლოდ ამომრჩეველთა 5% უჭერს მხარს ბატონ სააკაშვილს. ეს ჩემი თვალით ვნახე. ამას არ სჭირდება არც „გორბი“ და აფერისტი „ბანტიანი“ ბიჭი, სოციოლოგიური კვლევის სამსახურიდან. მთელი საქართველო ჩვენ გვიჭერდა და გვიჭერს მხარს!

**— მაგრამ „ვარდების რევოლუციამ“ ლეიბორისტული პარტიის რეიტინგი ქვემოთ დასწია...**

– ერთი პერიოდი, ვერ გაიგო ხალხმა, რატომ არ დავდექით სააკაშვილის გვერდით. ახლა უკვე გვეუბნებიან: რა კარგი გააკეთეთ, რა ვიცოდით, რომ მატყუარა იყოო?!

**— „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, რომელი პარტიები გადალახავენ 7%-იან ბარიერს — როგორია თქვენი პროგნოზი?**

– ჩვენ და „ნაციონალური მოძრაობა“ მოვხვდებით პარლამენტში. გაერთიანებულ „მრეწველებსა“ და „ახალ მემარჯვენეებს“ ბადრი პატარკაციშვილი დაუდგა თავდებად და ალბათ, ფულიც წაახმარა. მე იმედიანად ვარ, როგორც ყოველთვის და ვიცი, რომ ისე არ წავალ პოლიტიკიდან, თან რომ არ გავიყოლო „შევარდნაძის წიწილები“.

■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი 18 წლიდან
☎822 009 005
„მაგთი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ – 0,70 ლ.
თბილისი – 0,45 ლ.
რაიონები – 0,65 ლ.


# როგორ იპარავდნენ „ქუთაისის ავტოქარხნის“ დირექტორები ფულს

16 მარტს, შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის სამმართველოსა და ქუთაისის პროკურატურის თანამშრომლებმა, სააქციო საზოგადოება „ქუთაისის ავტოქარხანაში“ ჩატარებული შემოწმების მასალების საფუძველზე დანაშაულში ამხილეს აღნიშნული საზოგადოების ხელმძღვანელი პირები: გენერალური დირექტორი, 64 წლის ამირან ნაცვლიშვილი და აღმასრულებელი დირექტორი, 50 წლის შიო ობოლაძე.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ნაცვლიშვილმა და ობოლაძემ სააქციო საზოგადოებაში მუშაობის პერიოდში, კერძოდ, 2000-2002 წლებში შექმნეს დანაშაულებრივი ჯგუფი. სამართალდამცავთა თქმით, ჯგუფის წევრებმა (თუმცა, ოფიციალურად ჯერჯერობით მხოლოდ ნაცვლიშვილი და ობოლაძე სახელდება) ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი მდგომარეობა და 78,61% წილის მქონე ს/საზოგადოების საწესდებო კაპიტალში მოქცეული ძირითადი ტექნიკური საშუალებების ჩამოწერა დაიწყეს. ჩარხებისა და მანქანა-დანადგარების ჩამოწერის, გასხვისებისა და რეალიზაციის შედეგად მათ საწესდებო კაპიტალის 132.206.000 ლარით შემცირება მოახერხეს.

აღნიშნული თანხა სასამართლოს წესით არ გაატარეს რეესტრში, ხოლო ამონაგები ფული – დაახლოებით 4.471.108 ლარი უსარგებლოდ გაანიავეს. სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ამ დანაშაულებრივი ჯგუფის მოქმედების შედეგად სახელმწიფომ მილიონობით ლარის ზარალი მიიღო, ყოველივე ამის გაკონტროლება კი საქართველოს ქონების მართვის, ვაჭრობის, მრეწველობისა და ეკონომიკის სამინისტროების ხელმძღვანელ პირებს ევალებოდა. შს სამინისტროსა და ქუთაისის პროკურატურის თანამშრომელთა თქმით, ზემოთ აღნიშნული სამინისტროების ხელმძღვანელობა სისტემატურად იჩენდა სამსახურებრივ გულგრილობას, პასუხისმგებელი პირები ჯეროვნად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, კერძოდ, არ აკონტროლებდნენ „ქუთაისის ავტოქარხნის“ საწესდებო კაპიტალიდან ჩამოწერილი და გასხვისებული ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხების ხარჯების მიზნობრიობასა და ამ თანხების ხელახლა შესავსებად გაწეულ საქმიანობას. ყოველივე ამან კი მძიმე შედეგი გამოიწვია. აღნიშნულ ფაქტზე ქუთაისის საქალაქო პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

■

## კრიმინალურ ავტორიტეტ ვატოს და მის თანამზრახველებს პირადი ჩხრეკისას ათიათასობით დოლარი და ევრო უპოვეს

დედაქალაქში მოქმედი, განსაკუთრებით საშიში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ბანდის წევრების დასაკავებლად ჩატარებულ სპეცოპერაციაში ხუთი სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს ოპერატიული ჯგუფი მონაწილეობდა. სპეცოპერაცია 2004 წლის 21 მარტს ჩატარდა, თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე. აიყვანეს ბანდის ორგანიზატორი და ლიდერი, ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, თბილისელი, ნიკოლაძის ქუჩაზე მცხოვრები 26 წლის ვახტანგ (ვატო) ყიფიანი; თბილისელი, ყაზბეგის ქუჩაზე მცხოვრები, 30 წლის დავით კეკელია; თბილისელი, ქუთათელაძის ქუჩაზე მცხოვრები, 28 წლის დავით გაგნიძე და თბილისელი, ჯაფარიძის ქუჩაზე მცხოვრები 29 წლის ირაკლი შალიკაშვილი.

ვატოს პირადი ჩხრეკისას აღმოუჩინეს: 2 ცალი „სტეჩკინის" სისტემის უნომრო ავტომატი; 2 მჭიდი და 42 საბრძოლო ვაზნა; უცხოური წარმოების რევოლვერის სისტემის, უხმო, ლაზერულსამიზნიანი ცეცხლსასროლი იარაღი 5 საბრძოლო ვაზნით; 0,13 გ ჰეროინი, 14.900 დოლარი, 2.000 ევრო, 5.000 ლარი. ყიფიანი დაკავების დროს ნარკოტიკული საშუალების – მეტადონის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

რაც შეეხება კეკელიას, სამართალდამცავებმა მას პირადი ჩხრეკისას 0,19 გ ჰეროინი; 7 აბი დამაწყნარებელი საშუალება სუპრასტინი, 3.600 დოლარი და საზღვარგარეთის პასპორტი უპოვეს. როგორც პოლიციელები ამბობენ, კეკელიაც ნარკოტიკების, კერძოდ, ოპიუმის ზემოქმედების ქვეშ გახლდათ.

გაგნიძე და შალიკაშვილი ჯერჯერობით მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაში არიან ეჭვმიტანილები. ამისთვის ისინი ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციული წესით 75 ლარით დააჯარიმა. კეკელიასა და ყიფიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება. ■

## ბავშვთა პოლიკლინიკაში ექიმები უკანონო მაქინაციებს მიმართავდნენ

როგორც გაირკვა, შპს „№23-ე ბავშვთა პოლიკლინიკის" ხელმძღვანელობამ 2003 წლის დასაწყისში, იმისათვის, რომ მიეღო მონაწილეობა თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამაში 3-დან 15 წლამდე ბავშვებისთვის, უკანონონო მაქინაციებს მიმართა. ხელმძღვანელებმა უბნის ექიმებსა და ექთანებს კონკრეტულ უბნებზე ბავშვთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა დაავალეს. ვარაუდობდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უბნების გაუქმების საკითხი დადგებოდა.

ჩატარდა შემოწმება და დადგინდა, რომ 2003 წლის დასაწყისში, გლდანის მე-2 მიკრორაიონის უბნის ექიმის მ. ზარანდიას ექთანმა – ქ. ღვინჯილიამ არაერთგზის ყალბად შეავსო ბავშვთა განვითარების ისტორიები (ანკეტები), ისინი პასპორტიზაციის ჟურნალში გაატარა და შესაბამისი ნომრებიც მისცა. სამართალდამცავებმა ამ ფაქტის გამოაშკარავებისთანავე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე და გამოსაძიებლად საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს გადასცეს. ■

## „ხაფანგი-2004"

ასე ერქვა ოპერაციას, რომლის პირველი ეტაპის ჩატარების დროს – 17 მარტს, თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და დიდუბე-ჩუღურეთის ძებნის განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი, 1980 წელს დაბადებული ნიკოლოზ მეფურიშვილი დააკავეს. მეფურიშვილს პროკურატურა განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობაში, ხულიგნობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში ადანაშაულებს.

2003 წლის 19 მარტს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, თბილისში, გოგოლის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ფიროსმანში" მეფურიშვილმა გიორგი ნადირაძესთან და გამოძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირთან ერთად, მკვლელობის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღით სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა რესტორანში მყოფ მოქალაქეებს – ზაზა ჯვარშეიშვილს, გიორგი დემეტრაძეს და ბესიკ შენგელიას. ეს უკანასკნელი რამდენიმე თვის წინ, სწორედ აღნიშნული შემთხვევის დროს მიყენებული ჭრილობების შედეგად განვითარებული დაავადებისგან გარდაიცვალა. რაც შეეხება გიორგი ნადირაძეს, მას ამჟამად უზენაესი სასამართლო ასამართლებს („ფიროსმანში" მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით „გზის" წინა ნომერშიც ვწერდით). ნიკოლოზ მეფურიშვილი თბილისის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში გადაიყვანეს. ■

***2002 წლის 25 იანვარს, თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე, შეიარაღებული ნიღბიანი ბოროტმოქმედები ერთ-ერთ შეძლებულ ოჯახს დაესხნენ თავს და იქიდან, წარმოუდგენელი სისასტიკისა და ძალადობის შედეგად, 20 ათასზე მეტი ლარის ქონება გაიტაცეს. თავდამსხმელებმა ბინაში მყოფთ ხელ-ფეხი შეუკრეს, ოჯახის უფროსი სცემეს და დაჭრეს, დიასახლისს შუბლზე იარაღი მიადეს და მოკვლით დაემუქრნენ. მათ მხოლოდ ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაინდვეს და არ გაკოჭეს ისინი.***

დაზარალებული ოჯახის უფროსი – გიორგი მარგველაშვილი „თბილღვინოს" ერთ-ერთი დამფუძნებელია, მამამისი კი, ამ სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი გახლავთ. რამდენიმე დღეში პოლიციამ ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დააკავა. იგი სამი შვილის მამა, 27 წლის თბილისელი – ზურაბ გივიაშვილი აღმოჩნდა. ჯერ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა, შემდეგ კი, თბილისის საოლქო სასამართლომ გივიაშვილი დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი – ზურაბ როსტიაშვილი დღეს აცხადებენ, რომ სასამართლოებმა უკანონო განაჩენები გამოიტანეს და სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაამწესეს ციხეში. აღსანიშნავია, რომ გივიაშვილი წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. ორი წლის წინ მომხდარ ყაჩაღობაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო. მაგრამ საქმის მასალებში დევს მის მიერ დაწერილი ახსნა-განმარტება, სადაც ყველაფერს აღიარებს და ფაქტებს დეტალურად აღწერს. მას შემდეგ გივიაშვილი დუმილის უფლებით სარგებლობდა. მას თავის გასამართლებლად არც გასულ სამშაბათს, უზენაეს სასამართლოში უთქვამს რაიმე, სადაც ზემოთ აღნიშნულ განაჩენთან დაკავშირებით პალატა საკასაციო საჩივრებს განიხილავდა.

ბოროტმოქმედთაგან პოლიციის მიერ ჯერჯერობით მხოლოდ გივიაშვილია დაკავებული, მეორე – ვინმე ჯამბულატ სურმავა დღემდე იძებნება, დანარჩენი ორის ვინაობა კი გამოძიებამ უბრალოდ ვერ დაადგინა. განაჩენის მიხედვით, სწორედ გივიაშვილი დაუკავშირდა სურმავას, ვინმე გიასა და კაკოს და მათ ტაბიძის ქუჩაზე მცხოვრები მარგველაშვილების ოჯახის

# „თბილღვინოს“ მეპატრონის დაყაჩაღებისთვის სამი შვილის მამას ასამართლებენ

## ადვოკატის თქმით, მსჯავრდებული უდანაშაულოა

დაყაჩაღება შესთავაზა. ნიღბებით, ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით აღჭურვილი ბოროტმოქმედები დილის 5-ის ნახევარზე მიადგნენ მარგველაშვილების ბინის კარს და შიგნით შეაღწიეს. ოჯახის უფროსმა გიორგი მარგველაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეებს, მაგრამ მათ არ დააყოვნეს და იარაღიდან გასროლით მარცხენა მხარში დაჭრეს იგი. შემდეგ თავსა და ცხვირში ჩაარტყეს ბლაგვი საგანი და გათოკეს, ისევე, როგორც მისი მეუღლე მარიკა ბიბილეიშვილი და ბავშვების ძიძა – ნანა ცისკარიშვილი.

დაზარალებულმა **მარიკა ბიბილეიშვილმა** მომხდარი ფაქტი საოლქო სასამართლოში ასე აღწერა: *„...ყველას გვეძინა. უეცრად საძინებელ ოთახში სამი ნიღბიანი მამაკაცი შემოვარდა. ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით იყვნენ შეიარაღებულები. ჩემს მეუღლეს ცემა დაუწყეს, იგი ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ სწორედ ამ დროს დაჭრეს მხარში. პირადად მე, იარაღი მომადეს შუბლზე და მიბრძანეს, გავჩუმებულიყავი. ბავშვების გარდა ყველანი გაგვკოჭეს. ერთ-ერთი ნიღბიანი, რომელსაც დანა ეჭირა ხელში, თავზე მადგა. ჩვენგან ფულსა და ძვირფასეულობას მოითხოვდნენ. ხელფეხშეკრული ამიყვანეს ხელში და მიბრძანეს – ის ადგილი გვაჩვენე, სადაც იარაღს ინახავთო. ამასობაში მათ მობილურ ტელეფონზე ოთხჯერ დარეკა ვიღაცამ, პასუხობდნენ – ყველაფერი წესრიგშიაო. თან ბინას ჩხრეკდნენ. ყველა ოთახი გაჩხრიკეს, მოაგროვეს ნივთები, ფული, მობილური, პისტოლეტის ტყვიები და სადარბაზოში გაცვივდნენ. წასვლამდე გაგვაფრთხილეს – არ გაინძრეთ, იცოდეთ, გარეთ ვტოვებთ ჩვენს კაცს სამეთვალყურეოდ და არ გაბედოთ მომხდარის შესახებ ვინმეს შეატყობინოთო. რომ წავიდნენ, როგორც იქნა, შევიხსენით ხელ-ფეხი – ჩემმა მეუღლემ ნათესავებს დაურეკა. „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ და პოლიციასაც შევატყობინეთ“.*

*„...ღამით მარიკას ყვირილმა გამაღვიძა. მიშველეთო – ყვიროდა. საწოლიდან ადგომა დავაპირე თუ არა, ნიღბიანი უცნობი პიროვნება დამადგა თავს და მითხრა – არ გაინძრე, თორემ მოგკლავო. ამ ხმაურზე ბავშვებმაც გაიღვიძეს, თუმცა ხმა არ ამოუღიათ“,* – აღნიშნავს მარგველაშვილების შვილების ძიძა. დაზარალებულების თქმით, ბოროტმოქმედებმა მათ ბინაში დაახლოებით ერთი საათი დაყვეს. როგორც საქმის მასალებშია დაფიქსირებული, დამნაშავეებმა იქიდან 20.051 ლარის ოდენობის ძვირფასეულობა და სხვა ნივთები წაიღეს, მათ შორის ფული – 200 დოლარი. სამართალდამცავთა თქმით, გივიაშვილს დაკავებისას ჩატარებული ჩხრეკის დროს შარვლის მარჯვენა ჯიბეში მარგველაშვილების კუთვნილი ვერცხლის გიშრისთვლიანი ბეჭედი აღმოაჩნდა. პოლიციაში გივიაშვილს ახსნა-განმარტება დააწერინეს, ახსნა-განმარტებაში დაკავებული დანაშაულს აღიარებს და აღნიშნავს, რომ ვაგზალზე გაიცნო სამი პიროვნება, რომლებთან ერთადაც შემდეგ, მარგველაშვილების ოჯახის დასაყაჩაღებლად წავიდა. დაყაჩაღების დეტალებს იგი თანმიმდევრულად აღწერს, თუმცა მას შემდეგ, სამართალდამცავებისთვის გამოძიების პერიოდში არც ერთი ჩვენება არ მიუცია. დღეს გივიაშვილი აცხადებს, რომ ახსნა-განმარტება პოლიციელებმა მას ფიზიკური ზეწოლის შედეგად დააწერინეს.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული ჩხრეკისას ზემოთ ხსენებული ბეჭდის ამოღების ფაქტს არ უარყოფს, მაგრამ განმარტავს, რომ ბეჭედი ჯიბეში მას თავად პოლიციელებმა ჩაუცურეს და რომ მას პირადი ჩხრეკა პირველად პოლიციის შენობაში კი არა, საკუთარი სახლის წინ ჩაუტარეს.

**ზურაბ როსტიაშვილი,** *ადვოკატი:*

*„გივიაშვილს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. ეს შესანიშნავად ჩანს თავად პროკურატურის მიერ შეკერილი საქმიდან, მოწმეების ჩვენებებიდანაც. მტკიცებულება არსად ჩანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამი შვილის მამას 8 წელი მიუსაჯეს.*

*2002 წლის 24 იანვარს, ე.ი. დაყაჩაღების წინადღეს, ღამის 2-ის ნახევარზე, შინ მიაკითხა ვინმე კაკომ. მას გივიაშვილი უბნიდან იცნობდა, მხოლოდ რამდენჯერმე ჰქონდა ამ ადამიანთან კონტაქტი და მის შესახებ სახელის მეტი არაფერი იცოდა. კაკომ გივიაშვილს 15 ლარი სთხოვა. ამ უკანასკნელს ფული არ ჰქონდა და ამიტომაც უარი უთხრა. მაშინ გამოიძახა ტაქსი. ტაქსის მძღოლს – ბადრი მეჩითიშვილს სთხოვა – ეს კაცი ჩემი ნაცნობია და თუ შეიძლება, ვაკეში გაიყვანეო. ვიდრე კაკო წავიდოდა, გივიაშვილმა უთხრა – იცოდე, მობილური აუცილებლად დამიბრუნეო. რახან ფული არ აღმოაჩნდა, კაკოს მისთვის მობილური გამოურთმევია დროებით – მჭირდება და ცოტა ხანში დაგიბრუნებო.*

*გივიაშვილმა სამართალდამცავებს აღუწერა კაკოს გარეგნობა. ამის შემდეგ პროკურატურამ მეჩითიშვილიც დაჰკითხა და კაკო მანაც აღწერა, ზუსტად ისე, როგორც გივიაშვილმა. ხუთი დღის შემდეგ, 29 იანვარს, დილის 11 საათისთვის გივიაშვილს მეუღლემ უთხრა – გეძახიანო. ფანჯარაში რომ გაიხედა, 6-7 მამაკაცი დაინახა, მათგან ორს პოლიციელის ფორმა ეცვა. გივიაშვილი გარეთ გავიდა, თუმცა ვიდრე იმ პირებამდე მივიდოდა, დაახლოებით 30 მეტრი უნდა გაევლო. ბეჭედი თუ ჯიბეში ედო, როგორ ფიქრობთ, გზაზე არ გადაავდებდა? მიუახლოვდა თუ არა მათ, მაშინვე გადაუგრიხეს ხელები, ტანსაცმლის სინჯვა დაუწყეს, ჯიბეები გადმოუტრიალეს. ამას ყველა ერთად აკეთებდა თურმე. ფაქტობრივად, ჩხრეკა ჩატარდა, მაგრამ არანაირი ოქმი იქ*



*არ შეუდგენიათ. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ ჩაუგდეს ბეჭედი ჯიბეში. აღნიშნულ ფაქტს გივიაშვილის ორი მეზობელი შეესწრო — თინა უგრეხელიძე და თალიკო ლომაძე. ორივე დაიკითხა და ორივემ დაადასტურა, რომ ჩხრეკა ჩატარდა, მაგრამ ოქმი არ დაწერილა. გივიაშვილს ბორკილები დაადეს და პირდაპირ იქიდან წაიყვანეს გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პოლიციაში და მას შემდეგ, რაც გივიაშვილმა თქვა, რომ მას არავითარი ყაჩაღობა არ ჩაუდენია და არც ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონია ოდესმე, სასტიკი ცემა დაუწყეს. სცემეს ასევე 31 იანვარს და მაშინ გივიაშვილის ადვოკატს (იმ დროს მის ინტერესებს სხვა იცავდა) „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება მოუხდა. შესაბამისი საბუთიც დევს საქმეში, სადაც ექიმების მიერ დაფიქსირებულია, რომ გივიაშვილს ცემის შედეგად მიღებული ტვინის შერყევის ფონზე მძიმე დაავადება განუვითარდა. სწორედ სასტიკად ნაცემ გივიაშვილს უკარნახეს პოლიციელებმა ყველაფერი, რაც ახსნა-განმარტებაში წერია. სხვათა შორის, ახსნა-განმარტებაში წერია, რომ დაყაჩაღების შემდეგ, გივიაშვილს მხოლოდ 180 ლარი ერგო, 6-6 ათასი კი დანარჩენებმა წაიღეს. ბოროტმოქმედებმა ბინიდან იმხელა ქონება წაიღეს, მთავარი ორგანიზატორი გივიაშვილი იყო და მხოლოდ 180 ლარი აიღო გატაცებული ქონებიდან?“*

ადვოკატის არგუმენტები თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა. მოსამართლეების აზრით, დაზარალებული **გიორგი მარგველაშვილი** საკმაოდ დამაჯერებლად ირწმუნება, რომ მან გივიაშვილი პოლიციის შენობაში ამოიცნო. *„...დამყაჩაღებელთაგან ერთ-ერთი ის იყო. ხმით ამოვიცანი ვაკე-საბურთალოს პოლიციის შენობაში, 2002 წლის 29 იანვარს. მე მაშინ სამმართველოს უფროსთან ვიყავი, კაბინეტიდან რომ გამოვედი, ერთ-ერთი ოთახიდან ხმა შემომესმა. იმ ოთახის კარი გამოვაღე და მივხვდი — გივიაშვილი ერთ-ერთი მათგანი იყო. დაყაჩაღების დროს ის ყველაზე დიდხანს იყო ჩემთან, დიდ ტუალეტში და გარკვეული ხნის განმავლობაში მესაუბრებოდა. მისი ხმა კარგად დამამახსოვრდა. ამოცნობის შესახებ მაშინვე ვუთხარი, როგორც სამმართველოს უფროსს — ბაღათურიას, ასევე გამომძიებელ ქარქაშაძეს“*, — აღნიშნა ჩვენების მიცემისას დაზარალებულმა. ეს ფაქტი კი გამოძიების მასალებში დაფიქსირებული არ არის. საოლქო სასამართლოში გამომძიებელმა ქარქაშაძემ დაადასტურა დაზარალებულის სიტყვები და თქვა, რომ ამაზე მაშინ სპეციალურად არ გაამახვილა ყურადღება, რადგან ამ შემთხვევაში, ხმაზე ექსპერტიზის ჩატარება გახდებოდა საჭირო, ეს კი გარკვეულ ტექნიკურ და ფინანსურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

**ზურაბ როსტიაშვილი:**

*„დაზარალებული, როგორც 29 იანვარს, ისე 31 იანვარს, დაკითხვის ოქმში აღნიშნავს, რომ ბოროტმოქმედების ამოცნობას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად ისე ჩააცვამენ ეჭვმიტანილ პირებს, როგორც თავდამსხმელები იყვნენ ჩაცმულები. დაზარალებულები ყურადღებას ამახვილებდნენ ერთ-ერთი ბოროტმოქმედის ფეხსაცმელზე, რომელიც დაამახსოვრდათ და ბენდენებსა და ქუდებზე. არც ერთს, მათ შორის არც გიორგი მარგველაშვილს არ უთქვამს, რომ ხმით შეძლო დამნაშავის ამოცნობა. ფაქტია, მისი ჩვენება პოლიციაში გივიაშვილის ამოცნობის შესახებ შეთხზულია“.*

მსჯავრდებულის ადვოკატის არგუმენტებს შეეწინააღმდეგა დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი — ვოვა გაბრიჩიძე. საოლქო სასამართლოში მან აღნიშნა, რომ არც მოწმეების — უგრეხელიძისა და ლომაძის ჩვენებებია საკმარისი და მნიშვნელოვანი, პირადი ჩხრეკის დროს ნივთმტკიცების მოპოვების ფაქტში ეჭვის შესატანად და არც ის მტკიცებაა გასათვალისწინებელი, რომ გივიაშვილს ახსნა-განმარტება სასტიკი ცემის შედეგად დააწერინეს. *„გივიაშვილის ადვოკატმა „სასწრაფო“ 31 იანვარს გამოიძახა, ახსნა-განმარტება კი 29 და 30 იანვარსაა დაწერილი“*, — განაცხადა გაბრიჩიძემ. მისივე თქმით, გივიაშვილის მიერ რაიონულ სასამართლოში მიცემული ჩვენება არადამაჯერებელია, რაც მის ბრალზე მეტყველებს.

**ვოვა გაბრიჩიძე,** დაზარალებულის ადვოკატი:

*„თითქმის ყველა საქმის წინასწარი გამოძიების მასალებში მეტ-ნაკლებად ფიქსირდება დარღვევები. ამ მხრივ, გამონაკლისი არც გივიაშვილის საქმეა. მაგრამ იქ არსებული დარღვევები ძალზე უმნიშვნელოა და ბრალის დადასტურებაზე გავლენას ვერ ახდენს. მსჯავრდებულის ადვოკატი ამბობს, რომ დაზარალებულები ვერ შეძლებდნენ რომელიმე დამნაშავის ამოცნობას, მაგრამ ფაქტია — მათ ის ნიღბის მიუხედავად იცნეს და ამას მთელი კატეგორიულობით აცხადებენ. დაზარალებულმა გიორგი მარგველაშვილმა ერთ-ერთ სხდომაზე ისიც აღნიშნა — არ ვარ ის ადამიანი და არც ისე ღარიბი ვარ, რომ ფულის გულისთვის ტყუილი ვთქვა ან ვინმეს მითითებებს დავემორჩილოო.*

*საქმეში დევს მოწმეების სავსებით დამაჯერებელი ჩვენებები და სხვა უტყუარი მტკიცებულებები, რომელთაც გივიაშვილი და მისი ადვოკატი ვერსად გაექცევიან.*

*სხვათა შორის, სასამართლოში გამომძიებელმაც დაადასტურა, რომ დაზარალებულმა მას დამნაშავის ხმით ამოცნობის შესახებ უთხრა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ამაში გასარკვევად ექსპერტიზის ჩატარება გახდებოდა საჭირო, რისი საშუალებაც დღესდღეობით პროკურატურას არა აქვს. თუ რა ვითარებაა ტექნიკური თვალსაზრისით ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებში, ყველამ იცის და მეც კარგად მესმის იმ გამომძიებლის.*

*თავდაპირველად, როცა საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში განიხილებოდა, დაზარალებულმა განსასჯელისთვის სასჯელის ზომად, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. მაშინ მოსამართლემ გივიაშვილისთვის შემამსუბუქებელი გარემოებები გაითვალისწინა და მხოლოდ 8 წელი მიუსაჯა მას. დაზარალებულმა გადაწყვიტა, განაჩენი არ გაესაჩივრებინა, არ გაბოროტდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ სულიერ ტრავმას და ზიანს, რაც მას მომხდარმა ფაქტმა მიაყენა, ვერაფერი აანაზღაურებს“.*

დაზარალებულმა ოჯახმა საოლქო სასამართლოს ან რაიონული სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვება მოითხოვეს, რაც შესრულდა კიდეც. მსჯავრდებულის ადვოკატი უზენაეს სასამართლოში სწორედ საოლქოს განაჩენის გაუქმებასა და გივიაშვილის გამართლებას მოითხოვს. ის აცხადებს, რომ პოლიციამ და პროკურატურამ ყველაფერი გააკეთა გაუხსნელი საქმის თავიდან ასაცილებლად, სასამართლოებმა კი ობიექტურობა არ გამოიჩინეს. იგი მიკერძოებაში დაზარალებულებსაც სდებს ბრალს. მისი თქმით, მათ არაფერი გააკეთეს დანაშაულის ობიექტურად გამოსაძიებლად და პირიქით, პოლიციის მითითებებს დაემორჩილნენ. თუმცა, საინტერესოა, რისთვის უნდა სჭირდებოდეს დაზარალებულს უდანაშაულო ადამიანის დასჯა და ნამდვილი ბოროტმოქმედის დაუსჯელად დატოვება? ეს კითხვა ადვოკატმა როსტიაშვილმა უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზე უპასუხოდ დატოვა. პალატის მოსამართლეებმა პოზიციისა და საკუთარი მოთხოვნის დაფიქსირების შესაძლებლობა მსჯავრდებულსაც მისცეს, მაგრამ გივიაშვილმა არაფერი თქვა თავის გასამართლებლად, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ცუდად იყო და საუბარს ვერ შეძლებდა. თავის სიტყვას ის სავარაუდოდ 6 აპრილს, მომდევნო სხდომაზე იტყვის. მისი ბედიც ალბათ იმ დღეს გადაწყდება, რადგან მოსამართლეები საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებას სწორედ 6 აპრილს გეგმავენ.

***რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ***

LCG
law consulting group
საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

# „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი)

## გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38



# "ჩემი გულის კოკორი და ჩემი გულის ყნოსვა ხარ"

## მარი ხაფარიძე

*„გზის“ წინა ნომრის „სასიძო“, გიგა მიქაბერიძე გახლდათ. როგორც ჩანს, წლის ბოლოს, გიგა გამოხმაურებების სიმრავლით, რეკორდსმენთა სიის თავში მოექცევა: მას უამრავმა გოგონამ გამოუგზავნა „მესიჯი“, მათ შორის არაერთი ლექსიცაა. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მომღერალს მშვენიერი აკროსტიქი უძღვნა:*

**გავა დრო და კვლავ შეგხვდები,**
**ისევ ისე მენატრები,**
**გული შენკენ რომ მომიწევს,**
**აბა, რატომ მემალები?**
**მინდვრად დავკრეფ ყოჩივარდებს,**
**იის სუნით დავითვრები,**
**ქართან ერთად ვიღიღინებ,**
**ავამღერო უნდა მთები.**
**ბავშვობაში დავბრუნდები,**
**ერთი წამით შევიცვლები,**
**რაც არ უნდა გამიჭირდეს,**
**იმედებით დავიღლები.**
**ძლიერ თუ არ შეგიყვარდი,**
**ერთი მოსმით დავიცლები.**

*გარითმულ გზავნილებს ერთად მოვუყარეთ თავი და ჯერ მათ წარმოგიდგენთ, შემდეგ კი, დანარჩენ „მესიჯებს“ გაგაცნობთ.*

**„დამიჯერეთ, მისტერ, სიხარულით გიმზერ, მევასები ძლიერ, სერენადებს გიმღერ, „მესიჯს“ „გიმესიჯებ“, შენც „დამიმესიჯე“. იაკო პატაპიშვილი“.**

**„ოჰ, ეს თვალები, თითქოსდა უტყვი, მაგრამ ენაზე უფრო მეტყველი, შენს ლამაზ თვალებს, ლამაზო, ველარასოდეს ვერ შეველევი“.**

**„ქარის მოტანილი რა მაქვს, რომ უკან გავატანო ქარს? ჩემი სიყვარული თვით შევქმენი და როგორ გავატანო სხვას? შენი სიყვარულით გამთბარი, როგორ მივეკედლო სხვას? მე ხომ მაგ თვალების მჯეროდა, როგორ დავუჯერო სხვას? ქარის მოტანილი არ ხარ და რა ვქნა, ვერ გაგატან ქარს. ნათია“.**

„ღმერთმა ცაში ანგელოზები შეკრიბა, ყველაზე ლამაზს ხელი ჰკრა და გადმოაგდო. გიგა, რამე ხომ არ იტკინე? მიყვარხარ. ირინა“.

„მარი, დიდი მადლობა, რომ ჩვენს სურვილებს ითვალისწინებ და „სასიძოდ“ ჩემი სიცოცხლე მოიწვიე. გათხოვილი ვარ, უფლება არ მაქვს, მაგრამ ვაღიარებ, რომ... მაინც...“

„მეც ანანო მყავს და შენი სიმღერები ძალიან უყვარს. 6 წლის არის და შენი გაცნობა უნდა — არა როგორც მამის, არამედ, როგორც მომღერლის“.

„ჰოდა, მე მიყვარს მორჩილი მამაკაცები. შენ რას იტყვი, ქერა, ცისფერთვალება გოგოზე? შეცდები, თუ არ გამიცნობ. ყველას გვიყვარხარ“.

„გიგა, ვეხმაურები შენს ინტერვიუს. შენთან ერთად ოჯახის შექმნაზე სერიოზულად ვფიქრობ. ვარ სასიამოვნო გარენობის, მწვანეთვალება და ქერა გოგო. ჰოროსკოპით ტყუპი. ბავშვებზე „გართულება“ არ მაქვს. ნათია“.

„გიგა, შენ ხარ ჩემი სიცოცხლის ერთადერთი მიზეზი. იცოდე, მიყვარხარ, მიყვარდი და მეყვარები“.

„გიგა, ჩემი გულის კოკორი და ჩემი გულის ყნოსვა ხარ. ია“.

„გიგა, ვიცი, შენთვის ჩემს აზრს მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მინდა, ხმამაღლა, საქვეყნოდ ვიყვირო: მე შენ ძალიან, ძალიან... ნუთუ ამას აქვს რაიმე, თუნდაც სულ პატარა მნიშვნელობა?“

„გიგა, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ რომ გნახე, ძალიან მომეწონე. ისიც ვიცი, რომ შენც მოგეწონე, მაგრამ... ერთმანეთი არ გაგვიცნია. მინდა დიდი, დიდი და ბევრი წარმატება გისურვო. ანანო“.

„უშენობამ, უსასრულო მოლოდინმა და შენმა სიყვარულმა დამღალა. თეა. სენაკი“.

„გიგა, ძალიან საყვარელი ხარ. შენს მოფერებას ვინ დაზარდება? მაგრამ როგორც მე მინდა, ისე სად არის? თუ არის? გარეგნობით განგებამ გამანებივრა, მაგრამ შენს სილამაზესთან რას მოვალ? არაფერს გთხოვ. მიყვარხარ. კატო“.

„გიგა, შენზე ვგიჟდებით. გთხოვთ, კიდევ ერთხელ ჩამოხვიდე ზუგდიდში და კონცერტი ჩაატარო. მაგარი ვინმე ხარ. ძალიან გვიყვარხარ. ზუგდიდელები: მარიკა, ნანი და ნინო“.

„დილით ვერ ვსაუზმობ, რადგან შენზე ვფიქრობ, შუადღისას ვერ ვსადილობ, რადგან შენზე ვფიქრობ, საღამოს ვერ ვვახშმობ — ისევ შენზე ვფიქრობ, ღამით ვერ ვიძინებ, იმიტომ, რომ მშია“.

„გიგა, ანუშკასთვის ძიძა არ გჭირდება? ორივეს ერთად მოგივლით. ნინი.“

„თუ ოდესმე, ვინმე შეძლებს, ერთი ნაჭერი ყინულით მზეზე შენი სახელი დაწეროს, მაშინ მას ჩემზე მეტად ჰყვარებიხარ. ეს გულიდან ამოსული სიტყვებია. თეო“.

„ერთი პატარა კოცნა ხელისგულზე დავისვი, სული შევუბერე და შენკენ გამოვუშვი. გიგა, არ მოსულა? ელისო.“

„გამარჯობა, მარი. არ ვიცი, რამდენად მისაღებია, თავმოყვარე, ამაყი გოგოსთვის ტელეფონით უცნობი მამაკაცის გაცნობა. ერთადერთ გამონაკლისს დავუშვებ. ეს გიგაა“.

„გიგა, შენი თვალები ყოველთვის წყლიანია. რატომ? შენს ლამაზ სულში რაღაც მიუწვდომელია ჩაბუდებული. არ გეგონო ვიღაც პატარა გოგოშკა. 21 წლის ვარ, მაგრამ ცხოვრებაში შენსავით ბევრი გამოცდილება დამიგროვდა. შენი ბარიტონის მოსმენა მსურს, არაჩვეულებრივი ხმის ტემბრი გაქვს. პატივისცემით ლიკუნა“.

„ერთი გოჭი მყავს, გიგა ჰქვია. ისიც შენსავით თითის დაკარებაზე დაბლა გაგორდება ხოლმე. წარმომიდგენია, მე და შენ როგორ გავუგებთ ერთმანეთს. ლუსი“. ■

# ქეთა თოფურია მომავალი ქმრის ოჯახში წასასვლელად უცნაურ კაბას ინახავს

მარი ხაჭარიძე

**რუბრიკის არსებობის მანძილზე ყველაზე ნორჩი „საპატარძლო“ უნდა წარმოგიდგინოთ. ეს გახლავთ მომღერალი ქეთა თოფურია. ქეთა ჯერ 18 წლისაა, მაგრამ ის თავს ბავშვად სულაც არ მიიჩნევს, თუმცა, ცხადია, ვერც ზრდასრული ქალის „ამპლუით“ დაიკვეხნის... მასთან სტუმრად მისულს, შინ მხოლოდ ქეთა დამხვდა. შემოთავაზებულ ყავაზე უარი არ მითქვამს, მაგრამ შემდეგ ვინანე, რადგან სამზარეულოში გასული რესპონდენტი კარგა ხნით დამეკარგა. ცოტა ხანში შინ დაბრუნებულ ქალბატონ ნატოს (ქეთას დედას) კი, გაზქურა ისეთ მდგომარეობაში დახვდა, რომ მის გასაწმენდად დიდი ძალისხმევა დასჭირდა... მერე ნორჩ „მზარეულს“ ინტერვიუს დროსაც მიეხმარა და ახლა წარმოგიდგენთ იმას, თუ რა გამოგვივიდა ჩვენი ერთობლივი საუბრისას.**



— **ქეთა, გაგვაცანი შენი ოჯახი...**

— მყავს დედა — ნატო ბუცხრიკიძე, მამა — ანდრო თოფურია, ძაღლი — ჩემპი თოფურია და მე...

— **ზოდიაქოთი ვინ ხარ?**

— ქალწული. წლის მიხედვით — ვეფხვი. სიმართლე რომ გითხრათ, ზოდიაქოსი მაინცდამაინც არ მჯერა. მაგრამ ხანდახან, თუ ჩემი ინტერვიუს შემდეგ, ასტროლოგიური პროგნოზებია დაბეჭდილი, ვკითხულობ ხოლმე და ძალზე ხშირად ემთხვევა. ვარ აკურატული და თუ რაიმე საქმე წამოვიწყე, აუცილებლად ბოლომდე მივიყვან.

— **ჩამოთვალე შენი კარგი და ცუდი თვისებები.**

— ვარ ძალზე ერთგული ბუნების, კარგი მეგობარი. ხშირად ვნატრობ, რომ ისეთი მეგობარი მყავდეს, როგორიც მე თვითონ ვარ. მიმაჩნია, რომ ეს ძალზე კარგია. ცუდი კი ის არის, რომ ზარმაცი ვარ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ცოტა გამოვსწორდი. როცა რაიმეს ვაკეთებ, ვხვდები: სიზარმაცე ხელს რომ არ მიშლიდეს, უკეთ გავაკეთებდი.

— **შინ ყველაზე მეტად რის გამო გსაყვედურობენ?**

— მშობლებიც და მეგობრებიც ხშირად მეუბნებიან — ცანცარა ნუ ხარო. მე კი ჯერჯერობით დაჭკვიანებას არ ვაპირებ. თუმცა, თუ ჩუმად ვზივარ და სერიოზული სახე მაქვს მიღებული, ყველა მეკითხება — რა გჭირს? რა მოგივიდა? ასეთს ვერ გიტანთო. გამოდის, რომ სერიოზული ქეთა არ მოსწონთ.

— **ბუტია ხარ?**

— არა, ბუტია არ ვარ. ძალზე იოლად შეიძლება ჩემი გულის მოგება. წყენას იოლად ვივიწყებ. შესაძლოა, გულში სულ ცოტა წყენა დამრჩეს, მაგრამ პატიება მაინც არ მიჭირს.

— **ბუზღუნი თუ გიყვარს?**

— კი, ბუზღუნი მჩვევია. თუ მეგობრებს სადმე წასვლას ვთხოვ და არ მომყვებიან, ან მშობლები სურვილს არ მისრულებენ, იმდენს ვიბუზღუნებ, რომ სანამ ჩემსას არ გავიტან, არ გავჩერდები. მეგობრები ,,ტვინის ბურღს“ მეძახიან.

— **ჯიუტი ხარ?**

— ვარ. ეს დედისერთებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ასევე ეგოისტი, ჭირვეული და ძალზე ეჭვიანი ვარ. უზომოდ ვეჭვიანობ, თანაც — ყველაზე. უბრალოდ, ასეთი ნატურა ვარ: თუ ვინმე მომწონს, ჩემი ეჭვიანობით ხელში მყავს შეკლული. ჩემი მომავალი მეუღლე ამის გამო ძალზე უბედური იქნება. სულ პატარა მიზეზი მჭირდება, რომ ეჭვმა გამაბოროტოს.

— **ტყუილები თუ გეხერხება?**

— იშვიათად ვიტყუები და სხვასაც ვერ ვაპატიებ, თუ ტყუილში გამოვიჭირე. პატარ-პატარა, უმნიშვნელო ტყუილს კი ვამბობ ხოლმე — ხანდახან საჭიროა და იმიტომ. ერთხელ, დედაჩემი მოვატყუე — ჩვენი ერთ-ერთი ახლობლის დედა დაიღუპა-მეთქი. დედა გამოეწყო და სამძიმრის სათქმელად წავიდა. ოჯახში მისულს კი, ,,მიცვალებული“ ცოცხალი და საღ-სალამათი დახვდა...

— **საოჯახო საქმე გეხერხება?**

— სამზარეულოსთან ძალზე მწყრალად ვარ და ვერ ,,ვმეგობრობ“, არც სხვა საქმეს ვაკეთებ. ერთადერთი ჩემი საქმიანობა, ჩემი საცვლების რეცხვაა — სხვა არაფრის გაკეთება არ მიწევს.

ქალბატონი ნატო:

— ქეთას ოჯახში არაფრის გაკეთება არ უწევს. მისი მოვალეობა თავის მოვლა და სწავლაა. მაგრამ ძალიან ზარმაცია, არ უყვარს მეცადინეობა. მუსიკალური სასწავლებლის მეორე კურსზე სწავლობს და ვერ მივაღწიე იმას, რომ წიგნი წაიკითხოს, იმეცადინოს და გამოცდებისთვის მოემზადოს. მის პედაგოგებს ძალზე დიდი მოთმინების უნარი აქვთ, ამას რომ უძლებენ. საერთოდ, ქეთა ,,პრობლემური“ გოგონა არ არის. ერთადერთი, რაზეც ვსაყვედურობთ, მისი ჩაცმულობის სტილია. ძალზე უყვარს დეკოლტირებული ტანისამოსი. მე ვსაყვედურობ ხოლმე, ის კი მეუბნება — კლიპისთვის ან იმიჯისთვის არის საჭიროო. მეც ვჩუმდები.

— **ქეთა, როგორი ბავშვი იყავი?**

— უჰ, საშინელი! მე რომ ეზოში სათამაშოდ გავიდოდი, ბავშვები შინ გარბოდნენ ხოლმე... ძალიან მიყვარდა გარაჟებზე ჯდომა, ბავშვების ცემა. ავტოფარეხების უკან თუთის ხეები იდგა და ტოტები ისე ახლოს ჰქონდა, რომ სახურავზე ამძვრალი, ნაყოფს იოლად ვწვდებოდი და ძალზე მიყვარდა თუთის ჭამა. ასევე მიყვარდა ,,როლიკებით“ სრიალი. ამას წინათ, ბაბუას რომ ვესტუმრე, გამახსენდა, რომ სადღაც ჩემი ,,როლიკები“ უნდა ყოფილიყო, ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. ბავშვობის დროინდელი თოჯინაც მაქვს შემორჩენილი. ორი თვის ვყოფილვარ, როდესაც დედაჩემის მეგობარმა მაჩუქა. თოჯინას მისი სახელი დავარქვი და ზაზას ვეძახი. ძალზე დამახინჯებულია, ,,გასაცოდავებული“, ისეთი გაშავებულია, რომ აღარ ირეცხება, მაგრამ ძალიან მიყვარს და არ ვაგდებ. ახლაც, ეზოში რომ გავალ, აუცილებლად ავძვრები ხოლმე გარაჟზე, ველოსიპედით ვსეირნობ და ,,კლასობანას“ ვთამაშობ.

— **როგორ იქცევი, როცა შეყვარებული ხარ?**

— ჩვეულებრივად, სულაც არ ვიცვლები. არ ვთამაშობ, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანმა

უნდა შეგიყვაროს ისეთი, როგორიც ხარ.

— **დარწმუნებული ვარ, უამრავი თაყვანისმცემელი გეყოლება. როგორ უძლებ მათ შემოტევებს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ძალზე მაწუხებენ, რადგან ტელეფონის ნომერს ხშირად ვიცვლი, ამიტომ მათი მოგერიება არ მიწევს ხოლმე... მინდა, ერთი თაყვანისმცემლის შესახებ მოგიყვეთ. სკოლაში წასასვლელად მოვემზადე და გარეთ რომ გავედი, ჩემი სახლიდან სკოლამდე, შენობის კედლები ასეთი წარწერით აჭრელებული დამხვდა: ,,ქეთა, მიყვარხარ‘‘... ეს სიტყვები უამრავჯერ ეწერა. სკოლის შენობაც მთლიანად ამ წარწერით იყო მოხატული. სკოლის დირექტორმა დამიძახა: ქეთა, შენ ხარ, ხომ? ეს წარწერები შენ გეკუთვნის? დადექი ახლა და მთლიანად წაშალეო. წარმოიდგინეთ, როგორ გამიჭირდებოდა საღებავით გაკეთებული წარწერების წაშლა. ისე გავმწარდი, რომ ის ბიჭი ხელში რომ ჩამვარდნოდა, ალბათ მოვკლავდი. მაგრამ დღემდე არ ვიცი, ვინ იყო. თუ ახლა ამ ინტერვიუს წაიკითხავს, გამომეხმაუროს, გამოჩნდეს და ბოლოს და ბოლოს, თავისი ვინაობა გამიმჟღავნოს...

— **როგორი ინტუიცია გაქვს?**

— კარგად მაქვს ეს გრძნობა განვითარებული. თუ ჩემს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს, ყოველთვის წინასწარ ვგრძნობ ხოლმე. ადამიანს რომ გავიცნობ, ვხვდები, როგორი პიროვნებაა, რას მომიტანს მასთან ურთიერთობა, რა რეაქცია ექნება ჩემს ქცევაზე.

— **მკითხავების თუ გჯერა?**

— არა, არ მჯერა. წინათ, რამდენჯერმე ვყოფილვარ მკითხავებთან, მაგრამ მათი ნათქვამი არასოდეს გამართლებულა. ამიტომ ახლა უკვე აღარ მჯერა.

— **გაგვიმხილე, როგორი მამაკაცები მოგწონს.**

— ბევრი ამბობს, რომ გარეგნობას მნიშვნელობას არ ანიჭებს. ჩემთვის მამაკაცის გარეგნობას ძალზე დიდი მნიშვნე-ლობა აქვს. თუმცა, გემოვნება ხშირად მეცვლება. წინათ შავგვრემანი მამაკაცები მომწონდა, ახლა — ქერა. რაც შეეხება თვისებებს, უნდა იყოს თბილი და ერთგული, რადგან ძალიან ეჭვიანი ვარ. უნდა ვუყვარდე მეც და ჩემ გარშემო მყოფი ადამიანებიც. მის ფინანსურ მხარეს დიდ ყურადღებას არ მივაქცევ, მაგრამ ოჯახის რჩენის საშუალება უნდა ჰქონდეს. მისმა მწირმა შემოსავალმა შესაძლოა, ჩვენს ურთიერთობაში ბზარი გააჩინოს. ამიტომ უმჯობესია, მყარად იდგეს ფეხზე.

— **თუ შეეგუები ისეთ მამაკაცს, რომელიც გაიძულებს, სცენა მიატოვო?**

— თუ ძალიან მეყვარება და ისიც ვნებს გადაიჭრის იმის გამო, რომ ვიმღერებ, — დავთმობ. მეტი რა გზა მექნება?! მაგრამ იმედია, წელიწადში ერთხელ მაინც მომცემს იმის უფლებას, რომ კლიპი ჩავწერო ან სცენაზე დავდგე და ვიმღერო.

— **თუ წარმოგიდგენია საკუთარი თავი მხოლოდ დიასახლისის როლში?**

— კი, კი, წარმომიდგენია. უბრალოდ, ახლა არ მიწევს ოჯახში საქმის კეთება, თორემ, რომ დამჭირდება, ყველაფერს ვისწავლი. დარწმუნებული ვარ — რომ მოვინდომო, კერძიც გემრიელი გამომივა და სახლსაც მშვენივრად მივხედავ. მოკლედ, მაგის დროც მოვა...

— **ქეთა, ჩამოთვალე შენი მზითევი.**

— მზითევში მომყვება: დედა, ძაღლი, თოჯინა და ერთი აგური: ეს აგური დაბადების დღეზე მაჩუქეს და მითხრეს — თუ ვინმე გაგაბრაზებს, თავში ჩასცხეო... ჩემს ოთახში მაქვს შენახული და რომ გავთხოვდები, თან წავიღებ — იქნებ, დამჭირდეს...

— **საჩუქრის მიღება გიყვარს?**

— კი, ვის არ უყვარს?.. მაგრამ საჩუქრის ფასს იმით არ ვსაზღვრავ, თუ რა თანხაა მასში გადახდილი. ახლობელი ადამიანისგან მოძღვნილი მცირე საჩუქარი უფრო მიხარია.

— **ჭორი პოპულარობის თანმდევია. როგორ რეაგირებ ჭორებზე?**

— წინათ, არანაირი რეაქცია არ მქონდა, რადგან ბავშვი ვიყავი და ჩემზე, უწყინარი ჭორები ვრცელდებოდა. ახლა, რაც გავიზარდე, ისეთ ჭორებს ვიგებ, რომელიც თავმოყვარეობას მილახავს, ამიტომ მძაფრი რეაქცია მაქვს ხოლმე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ არსებობს, ვერ დაადგინო, ვინაა ჭორის პირველწყარო. ეს თავისთავად ხდება ხოლმე. ჰოდა, მერე აუცილებლად ვურეკავ იმ ჭორიკანას და ვსაყვედურობ.

— **შენ თვითონ თუ გიყვარს ჭორაობა?**

— არა, მაგრამ თუ მეგობრებთან ერთად ვარ და ვინმეს ჭორავენ, ერთ-ორ სიტყვას მეც ჩავაგდებ ხოლმე... მე თვითონ არასოდეს ვიგონებ და არ ვავრცელებ ჭორებს.

— **ვისთან ისურვებდი დუეტის ჩაწერას? უცხოელ მომღერლებსაც ვგულისხმობ.**

— ძალიან მომწონს ენრიკე იგლესიასი და სიამოვნებით ჩავწერდი მასთან დუეტს. მაგრამ ის მარტო როგორც მომღერალი კი არ მომწონს — როგორც მამაკაცი, ისეც. ამიტომ ანა კურნიკოვა ცოტა ფრთხილად იყოს, თორემ, ჩემს სამზითვო აგურს მას გავატან.

— **სიგარეტს თუ ეწევი და თუ სვამ?**

— სიგარეტს არ ვეწევი. რაც შეეხება დალევას — ,,მალალიტრაჟკა‘‘ ვარ. ერთხელ, ხაშურში ვიყავი კონცერტზე. სანამ საკონცერტო ტანსაცმელს ჩავიცვამდი, სუფრასთან აჩი ფურცელაძემ მაიძულა, ახალდაქორწინებული მეგობრის სადღეგრძელო დამელია. ერთი ჭიქა შამპანური დავლიე, შემდეგ მეორე და ტანისამოსის გამოსაცვლელად წავედი. შევედი ოთახში, დავჯექი სარკესთან და მთლად გამოვშტერდი. 20 წუთის განმავლობაში, დაელმებული და პირდაღებული, გაუნძრევლად ვმჯდარვარ. დედაჩემი ლამის გაგიჟდა. აზრზე რომ მოვედი, დავინახე, რომ დედას ცალი ფეხსაცმელი გაეხადა და აჩის დასდევდა მაგიდის გარშემო... სცენაზე აჩიმ ხელით გამიყვანა და ისე ვიმღერე. ერთხელ, ხმის ,,მოსაყვანად‘‘, კონცერტის წინ, ცხელ ჩაიში კონიაკი გაურიეს და დამალევინეს. ისე დავთვერი, ფილარმონიის ბუფეტში ,,ბორჯომით‘‘ მაფხიზლებდნენ. ესეც აჩის ბრალი იყო. იცის, რომ სასმელი მალე მეკიდება, მერე სისულელეებს ვაკეთებ და ჩემზე კაიფობს ხოლმე. ამიტომაც ხშირად მაძალებს სასმელს...

*აი, ასეთია პატარა ,,საპატარძლო‘‘ ქეთა თოფურია. მასთან დაკონტაქტების მსურველებს შეუძლიათ, დამირეკონ ან დამიმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. შეგახსენებთ, რომ ეს ნომერი ჟურნალისტისაა და არა რესპონდენტის, ამიტომ ნუ მომთხოვთ — ქეთას დამალაპარაკეთო! გისურვებთ წარმატებებს.*

■



**„დედაჩემი პატიმარია, — ასე იწყება 10 წლის ანას წერილი. — მე მისი სახე აღარ მახსოვს. ვიცი, რომ მან მამაჩემი მოკლა. ბებია მეუბნება: დედაშენი ციხიდან რომ გამოვა, შენს სანახავად მოვა; მეზობლებს შევყრი, ქვებით ჩავქოლავთ ქმრის მკვლელსო... გააგებინეთ დედაჩემს — არ მოვიდეს. ბებია ავადაა; როცა დაიღუპება, მე თვითონ მოვძებნი...“**



# დედაჩემი პატიმარია!

## „არ გამაღვიძოთ, სიზმარში დედაჩემს ვხედავ“...

ლელა ჭანკოტაძე

*ეს წერილი ანამ 1986 წელს დაწერა. საკონტროლოს რვეულში მისმა პედაგოგმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა მაყვალა გრიგალაშვილმა კი, წითელი მელნით ჩაასწორა. მაშინ, შეცდომების გამო, ანას „სამიანი“ დაუწერა, ხოლო მას შემდეგ, რაც პატარა ანა დაიღუპა, რვეული მოძებნა და საგულდაგულოდ შეინახა. ეს გაცრეცილი რვეული ახლა ჩემ წინ დევს და პატარა გოგონას სევდიან ამბავში ჩაწვდომის სურვილს მიასკეცებს... სამწუხაროდ, ანას დედის მოძებნა ვერ მოხერხდა. იმედია, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გამოგვეხმაურება. სამაგიეროდ, მისი ძველი მეზობელი ლუსია ბალდასაროვა დაგვთანხმდა, ამ ტრაგედიის შესახებ მოეთხრო ჩვენთვის. ქალბატონი ლუსია 8 შვილის დედაა. მისი უფროსი ქალიშვილი და ანა თანაკლასელები იყვნენ.*

**ლუსია:**

— ავლაბრელებს ალბათ, დღემდე ახსოვთ საშინელი ტრაგედია, რომელიც 1975 წლის ბოლოს დატრიალდა ფეიქრიშვილების ოჯახში. ახალი წლის ღამეს კივილის ხმა გაისმა. ყველანი ეზოებში გამოვეფინეთ. დუნია დეიდა კიოდა: მიშველეთ, შვილი მომიკლესო! მართლაც, მისი ბიჭი ეზოში მკვდარი ეგდო. მახსოვს ის საზარელი სცენა. გვამზე დამხობილი მოხუცი დედა და სახედახოკილი ახალგაზრდა ქალი... ანა მაშინ ძალიან პატარა იყო — დაახლოებით ერთი წლის. როგორც შემდეგ, დუნია დეიდა ამბობდა, მის რძალს საყვარელი ჰყავდა და ახალ წელს მასთან წასვლა უნდოდა. ქმარი არ უშვებდა, ამიტომ გამოიტანა თოფი, ესროლა და მოკლა. თუმცა, იმასაც ამბობდნენ — ქალმა თოფი ქმარს ხუმრობით დაუმიზნა, არ ეგონა, დატენილი რომ იყო და უცბად გავარდაო... ასე იყო თუ ისე, ქალი 10 წლით გამოამწყვდიეს ციხეში და დედობის უფლებაც ჩამოართვეს. სამწუხაროდ, მისი სახელი აღარ მახსოვს. მეზობლები ხშირად ვსაუბრობდით ამ ამბავზე. ყველას განსხვავებული მოსაზრება გვქონდა. ერთ რამეში კი ერთსულოვნება იყო: მოხუცი ბებიის ამარა დარჩენილი ანას ცქერა გულს გვითუთქავდა.

— **ტრაგედიის შემდეგ, ანას ბებია ზრდიდა?**

— ყველა ურჩევდა, უპატრონო ბავშვთა სახლში ჩაებარებინა, მაგრამ დუნია დეიდამ არ ქნა. ჩემი სისხლი და ხორცი როგორ გავიმეტოო?!. — ამბობდა. თუმცა მოხუცი არც ეთქმოდა, 60 წლის თუ იქნებოდა, მაგრამ თვალის სინათლე ისე წართმეოდა, რომ თითქმის ვერ ხედავდა. გვიკვირდა კიდეც, ბავშვს როგორ უვლიდა. მაშინ სხვა დრო იყო. მასთან სახლში პიონერები დადიოდნენ. იცით, როგორ ეხმარებოდნენ?! ბევრჯერ მინახავს, ანასაც რომ ასეირნებდნენ. ანა ჩვენ თვალწინ იზრდებოდა. ყველას გვიყვარდა. როცა დაეცემოდა ან რაიმეს იტკენდა, მაინც — დედა, მიშველეო! — იძახდა. თუ ჰკითხავდნენ — ახალ წელს თოვლის პაპამ საჩუქრად რა მოგიტანაო? — უპასუხებდა: წელს არაფერი, ალბათ დედას მომიყვანსო... სკოლაში რომ მივიდა, მასწავლებლები გაოცებას ვერ ფარავდნენ, ისე სწავლობდა. მაგრამ მესამე კლასში იყო, ბებიამისი რომ დაბრმავდა. დუნია დეიდას სხვა შვილიც ჰყავდა. ის მცხეთაში ცხოვრობდა. მან დედა და ძმისშვილი საცხოვრებლად თავისთან წაიყვანა. ანას წასვლით თითქოს მთელი უბანი დაცარიელდა. ძალიან მეცოდებოდა, მიყვარდა კიდეც, ამიტომ მასთან განშორება გამიჭირდა. გადავწყვიტე, მის სანახავად მცხეთაში ჩავსულიყავი. რომ დამინახა, თვალები საცრისხელა გაუხდა. რა მოხდა, ლუსია დეიდა? დედაჩემი გამოვიდა ციხიდან და იმან გამოგგზავნაო?! — მკითხა. როცა დავემშვიდობე, ხელში რაღაც ფურცელი ჩამიკუჭა, თან ჩამჩურჩულა: ჩემი მისამართია, დედაჩემი ციხიდან რომ გამოვა, სად უნდა მეძებოს? მიეცი, გთხოვო... ის დაკუჭული ფურცელი დღემდე შენახული მაქვს. დედამისი არ მოსულა...

— **ეი. ანა ისე გარდაიცვალა, რომ დედა ვერ ნახა?**

— ძალიან მოულოდნელად დაიღუპა. თურმე თავში სარკომა ჰქონია. ეზოში თამაშობდა, გული წასვლია და დაცემულა. მაშინვე ექიმთან გაუქანებია მამიდამისს. მეორე დღეს დაღუპულა. გონზე არც მოსულა. ასე სცოდნია მაგ დაავადებას... დაკრძალვაზე წავედი. ასეთი ამბავი გავიგე: თურმე დედის ორი ფოტოსურათი ჩანთის სარჩულში ჰქონია ჩამალული. ერთ სურათზე ეწერა: „მამას არ ვიცნობდი. არც შენ გიცნობ. მაინც ძალიან მიყვარხარ“. არავინ იცოდა სად იპოვა ეს სურათები ან ვინ უთხრა — დედაშენიაო.

— **დაკრძალვაზე დედა არ მიიყვანეს?**

— არა. არც შეატყობინეს. ვინ მიუშვებდა? ქვებით ჩაქოლავდნენ. ფაქტია, რომ მან 24 წლის ბიჭი მოკლა. იმ ბიჭის ნათესავებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თოფი შემთხვევით გაუვარდა თუ არა... ანა ავლაბარში ჩამოასვენეს და მამის გვერდით დაკრძალეს. ყველანი ვტიროდით. საბრალო ბავშვმა დედასთან ჩახუტების ოცნებაში დალია სული.

*არანაკლებ სევდიანია ნატოსა და ლადოს ამბავი. მათ მამიდა ზრდის. ამ და-ძმის დედაც პატიმარია; ისიც ქმრის მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. ნატო*

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ჟორა ღვალის ჯიბის წიგნაკიდან:

1. მამალ კვიცს ურა ჰქვია.
2. დიდ ყინვას ტეხვრას ეძახიან.
3. კვადრილიონი 15 ნულით იწერება.
4. კლასიკური სონეტი 14 სტრიქონს შეიცავს.
5. საწებლად მოდუღებულ ბროწეულის წვენს მაშარაბი ჰქვია.
6. ესპერანტოს პირველი სახელმძღვანელო რუსულ ენაზე გამოიცა.
7. ქალღმერთი ბასტი ეგვიპტის ყველა კატის მფარველად ითვლებოდა.



8. ერთი პერიოდი ალენ დელონი გემზე უბრალო მეზღვაურად მსახურობდა.
9. ერთი „შატლის“ გაგზავნა კოსმოსში ამერიკას ერთი მილიარდი დოლარი უჯდება.
10. ვახუშტი კოტეტიშვილი 15 წელია, რაც მწერალთა კავშირის წევრი აღარ არის.
11. შექსპირის „მეფე ლირი“ ივანე მაჩაბელმა ილია ჭავჭავაძის დახმარებით თარგმნა.
12. ლონდონის ბირჟის გერბს ამშვენებს დევიზი: „ჩემი სიტყვა — ჩემი ვალდებულებაა“.
13. გორკის პოემა „გოგონა და სიკვდილი“ სტალინს გოეთეს „ფაუსტზე“ უფრო ძლიერ ნაწარმოებად მიაჩნდა.
14. რუსეთის პირველი ჯარისკაცის საპატიო ტიტული პეტრე პირველმა სერგეი ბუხვოსტოვს მიანიჭა.
15. სამხრეთ კორეისა და ჩრდილოეთ კორეის საზღვარი ყველაზე გამაგრებული საზღვარია მთელ მსოფლიოში.
16. კოსმოსური გაფრენისათვის იური გაგარინმა მაშინდელი დროისათვის გაუგონარი თანხა — 30.000 მანეთი მიიღო.
17. „სამასი მუნჯი“ — ასე ეძახდა ფრანგი ხალხი თავის პარლამენტს, რომელსაც 1799 წლის კონსტიტუციის მიხედვით უფლება არ ჰქონდა, ცვლილებები შეეტანა კანონებში.
18. 1873 წელს პარიზიდან გაგზავნილი წერილი ფილატელისტურ იშვიათობას წარმოადგენს. ამ წერილის შტემპელზე იკითხება: „კვამლშია გატარებული“. იმ დროს პარიზში ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა.
19. პოლიციელთა ნაკლებობის გამო ლონდონის მეტროპოლიტენში ელექტრონულ ტაბლოებზე შეიძლება წაიკითხოთ ასეთი მორბენალი სტრიქონი: „ყურა-

*13 წლისაა, ლადო — 15-ის. დედა რომ დააპატიმრეს, 31 აგვისტო იყო. ნატოს ისედაც არ ეძინა, დილით პირველად უნდა წასულიყო სკოლაში. ეს დღე, რომელიც წესით, მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ცრემლიანი და ტკივილით აღსავსე აღმოჩნდა მისთვის. გამთენიისას, მათ სახლში პოლიციელები შეცვივდნენ. მძინარე ქალი საწოლიდან წამოაგდეს და ხელბორკილები დაადეს.*

**ნატო:**

— დედა კიოდა — დამნაშავე არა ვარო! მე და ლადო ვტიროდით. მეზობლები შემოცვივდნენ, ნუ გეშინიათო — გვამშვიდებდნენ. დედა წაიყვანეს... დილით სკოლაში აღარ წავსულვარ. სამი დღის შემდეგ, ვიღაც ქალები მოვიდნენ. ერთი, ჩემი პირველი მასწავლებელი ყოფილა, მეორე — სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. მე და ლადოს ხელი ჩაგვკიდეს და სკოლაში წაგვიყვანეს.

**ლადო:**

— კლასში რომ შევედი, მეგონა, აღარავის ენდომებოდა ჩემთან მეგობრობა. იმ დღიდან მოვიკუნტე მხრებში. მამიდა მეჩხუბება ხოლმე — ეგრე მოხრილი ნუ დადიხარო. იმის მოლოდინში, როდის დამცინებდნენ ბიჭები — დედაშენი პატიმარიაო, — მოკუნტული ვიყავი, მერე ჩვევაში გადამივიდა. წლები გავიდა, მე კი ისევ მეშინია — არ დამცინონ, აბუჩად არ ამიგდონ დედის გამო...

— **რა მოხდა? დედა რატომ დააპატიმრეს?**

**ნატო:**

— როგორც ამბობენ, თურმე საყვარელი ჰყავდა, მამას ღალატობდაო. ერთხელ მამა შინ მთვრალი დაბრუნებულა, იმ ღამეს დედა არ ელოდა: თურმე, მამიდასთან უნდა დარჩენილიყო. დედას და მის საყვარელს მამამ საწოლში შეუსწრო...

**ლადო:**

— მამას სიმართლე რომ არ ეთქვა, იმ კაცმა და დედაჩემმა მოკლეს. შემდეგ, სარდაფში ჩაათრიეს და იქ ჩააგდეს. დილაუთენია, მამიდა მოვიდა: წუხელი, ნოდარი ჩემთან არ დარჩა, მთვრალი წამოვიდა, შინ როგორ მოვიდაო? — იკითხა. რადგან მამა ვერ ნახა, მისი ძებნა დაიწყო. მთელი ნათესავები შემოიარა. მამა არსად იყო. მეხუთე დღეს, დედამ კივილი ატეხა: მიშველეთ, ნოდარი სარდაფში ჩავარდნილაო! ყველა დაიჯერებდა, რომ მთვრალი კაცი მართლაც, სარდაფში ჩავარდა, რომელშიც რკინის კიბით ჩავდიოდით, რომ არა ერთი მეზობელი, რომელმაც მამიდას უთხრა: იმ ღამეს თქვენი სახლიდან ყვირილი ისმოდა, მერე კი, ვიღაც კაცი ეზოდან შეშლილივით გამოვარდაო... მამიდამ ექსპერტი მოიყვანა. ექსპერტმა თქვა — მოკლულია და მერეა სარდაფში ჩაგდებულიო... მამის დაკრძალვიდან მესამე დღეს, დედა დააპატიმრეს.

— **თქვენ ვინ გიამბოთ ეს საშინელი ამბავი?**

**ლადო:**

— მე ყველაფერი მახსოვს. განსაკუთრებით ის დღე, როდესაც თავგაჩეხილი მამა სარდაფიდან ამოიყვანეს. ამ ამბის დავიწყება რომც გვნდომებოდა, ვერ შევძლებდით, რადგან ახლაც ყველა ისე იხსენებს, თითქოს გუშინ მოხდა.

— **თქვენზე ვინ ზრუნავს?**

**ნატო:**

— იმ წუთიდან, რაც დედა დააპატიმრეს, ჩვენი პატრონი მამიდა გახდა. ის გვივლის. ქვრივია, ამიტომ საცხოვრებლად ჩვენთან გადმოსვლა არ გაუჭირდა. დედობას მამიდა გვიწევს.

**ლადო:**

— დედა ციხიდან რომ გამოვა, შინ არ შემოვუშვებთ. ხშირად გვიგზავნის წერილს. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოიხადოს და დანაშაული აღიაროს, გვლანძღავს: მამიდათქვენმა გაგაგიჟათ, ჭკუაზე აღარ ხართ, ჩემს სანახავად არ მოდიხართო...

**ნატო:**

— ციხეში ერთხელაც არ გვინახავს. ჯერ პატარები ვიყავით და არავის მივყავდით, შემდეგ, ჩვენ აღარ გვქონდა წასვლის სურვილი: მის გამო ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. სადაც არ უნდა წავიდეთ, ყველა ჩვენკენ იშვერს თითს — დალის შვილები არიანო... ჩემს კლასში ყველა გოგოს ჰყავს შეყვარებული, მე — არა. მამიდამ მითხრა: მამიდა მოგიკვდა, მკვლელი დედის შვილს ვინ შეგიყვარებსო?!. ხშირად ვფიქრობ: რას ვიზამ, როცა ჭიშკართან დავინახავ?.. ციხიდან რომ გამოვა, ალბათ, მოგვაკითხავს. ლადო ამბობს — თუ მე ვერ გავაგდე, ძაღლებს მივუქსევ და დავაკბენინებო. არ მინდა, ოდესმე შევხვდე. მეჯავრება.

*ფსიქოლოგები ასეთ ბავშვებს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან: მათ ტრავმირებული ფსიქიკა აქვთ და ყოველ წუთას შესაძლებელია, გამოუსწორებელი ცხოვრებისეული შეცდომა დაუშვან — ისე, როგორც ეს პატარა გიას მოუვიდა. მას თითქმის ყველა ბავშვთა სახლში იცნობენ. თურმე, მისი ფოტოსურათები წინათ, პრესაშიც მოხვედრილა, რის გამოც 8 წლის ბიჭი ბავშვთა სახლის მესამე სართულიდან გადმოხტა და თავის მოკვლა სცადა... დედამისს ამნისტია შეეხო და გათავისუფლდა. მაშინვე ხელი მოჰკიდა შვილს და წაიყვანა... ეს ის შემთხვევაა, როცა დედა-შვილი უკანონობის მსხვერპლი გახდა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა, კანონი უფრო*

*ლოიალური ყოფილიყო გიას დედის, ლალი პატარიძის მიმართ...*

**დოდო ლოგჟანიძე,** ფსიქიატრი:

— ჩემს პაციენტებზე წიგნის დაწერას ვაპირებ. ამ წიგნის დიდი ნაწილი, გიას მიეძღვნება. კაბინეტში პირველად რომ შემომიყვანეს და თავისი ლურჯი თვალებით მომაჩერდა, სისხლი გამეყინა. უფრო ლამაზი ბავშვი ნანახი არ გეყოლებათ. მოკლე შარვალი და დიდი ფეხსაცმელი ეცვა. ეს ბავშვია, თავის მოკვლა რომ სცადაო, — მითხრა ჩემმა კოლეგამ, რომელიც ასევე მოხიბლული იყო ბიჭუნას სილამაზით... გიას მეორედ რომ შევხვდი, მას უკვე ქვედა კიდურები პარალიზებული ჰქონდა და ჯანმრთელობის ნიშანწყალიც კი არ შერჩენოდა...

— **დედამისი რა დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს?**

— ის ექთანი იყო. დამატებითი შემოსავალი რომ ჰქონოდა, თავისი ბინის ერთ ოთახში, ყველასგან მალულად ქალებს იღებდა და აბორტს უკეთებდა. ერთ-ერთი ასეთი უკანონო ოპერაციის დროს, 27 წლის ქალი ნარკოზიდან ვერ გამოიყვანა და შემოაკვდა. იმ ქალის ნათესავებმა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. გია მაშინ 2 წლის იყო. დედამისს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. არ ვიცი, ობიექტური იყო თუ არა სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ საერთოდ მგონია, რომ პატიმარ დედებს შვილებზე მზრუნველობის საშუალება მაინც უნდა ჰქონდეთ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ქალების უმეტესობას თავშესაფარი აღარ აქვს. ხშირ შემთხვევაში, მათი ქმრები მეორედ ქორწინდებიან, შვილებს კი, დედის ნახვა აღარ სურთ... გია სულ იბრძოდა იმისთვის, რომ დედა ენახა. პატარა ნუკრივით იყო. ყველგან დედის სითბოს ეძებდა. მერე კი, მთელ სამყაროს აუჯანყდა. თქვა — აღარც ყურში მესმის და ვეღარც ვხედავო... ყველას ეგონა, რომ მართლა დაბრმავდა. სინამდვილეში, ეს მხოლოდ პროტესტი იყო მათ მიმართ, ვინც დედასთან ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა. ერთხელ, ჩემს სავარძელში ჩავსვი, ვთხოვე, სანამ დავბრუნდებოდი, ეხატა და კაბინეტის კარი ჩავუკეტე. ერთი საათის შემდეგ, კაბინეტის კარი რომ გავაღე, დავინახე — გიას სავარძელში კნუტივით მოკუნტულს ეძინა, მაგიდაზე კი, იდო ნახატი წარწერით: „არ გამაღვიძოთ, სიზმარში დედაჩემს ვხედავ"...

— **მაგრამ ბოლოს, ხომ გამოჯანმრთელდა? დედამისიც ხომ გათავისუფლდა?..**

— არა. გია ყოველთვის ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი იქნება. ჩემი გამოცდილება მაძლევს ამის თქმის საფუძველს... ახლა გაზაფხულია. მას ინტენსიური მკურნალობა სჭირდება. ვთხოვ გიას დედას, ბავშვი ჩამოიყვანოს. რამდენადაც ვიცი, თელავში ცხოვრობენ. გიას დედას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ბიჭი მასზე ბევრს მიამბობდა. მეუბნებოდა, რომ დედამისს უზარმაზარი ხელები ჰქონდა — ისეთი დიდი, როგორიც კეთილ ჯინს ალადინის ზღაპარში... ერთხელ რუსთაველის მეტროსთან მოვკარი თვალი ბიჭს. არადა, ვიცოდი, რომ ბავშვთა სახლში უნდა ყოფილიყო. უკან ავედევნე და დავინახე, რომ მალულად უყურებდა ვიღაც ქალს. შემდეგ გაეკიდა და უყვიროდა: დედა, დედაო!.. ის ქალბატონი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა, რა ექნა. მოეფერა გიას. მაგრამ მალე, ბავშვი გამოერკვა და წიხლები დაუშინა — შენ დედაჩემი არა ხარო!.. სამწუხაროდ, გია ერთადერთი არ არის, ვისაც დედის პატიმრობის პერიოდში, ცხოვრების გზა გაუმრუდდა. მყავდა ერთი პაციენტი გოგონა, რომლის დედაც გაფლანგვისთვის იხდიდა სასჯელს — ბუღალტერი გახლდათ. სანამ დედა ციხეში იჯდა, გოგონა შინიდან გაიქცა. ქუჩაში ათენებდა და აღამებდა. მეუბნებოდა: შინ რომ მივიდე, მამას მოვკლავ — ის დედაჩემს გამუდმებით ლანძღავსო... იმ გოგოს თიკა ერქვა. ქუჩა, მოგეხსენებათ, სასტიკია. ერთ დღეს, გააუპატიურეს... მერე ცირკთანაც იდგა... სხვათა შორის, მის შესახებ ტელერეპორტაჟიც გაკეთდა, აჩვენეს, როგორც მეძავი. ახლა ის 18 წლისაა და მთელი ცხოვრების, მძიმე ფსიქიკურ პრობლემებთან ჭიდილში გატარება მოუწევს...

*როგორია კანონი სუსტი სქესის მიმართ? ხომ არ ეკისრება ქალს შედარებით მსუბუქი სასჯელი? არიან თუ არა თანასწორნი ქალები და მამაკაცები კანონის წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით? გათვალისწინებულია თუ არა რაიმე შეღავათები იმ ქალების მიმართ, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ? ამ კითხვებზე ერთ-ერთი იურიდიული ფირმის ხელმძღვანელი* ***ომარ დგებუაძე*** *გვიპასუხებს:*

— ქალების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია გარკვეული შეღავათები. 159-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ არ შეიძლება, დაპატიმრებული იყოს ქალი ისეთი დანაშაულისთვის, რომლის ჩადენის გამო დაკისრებული სასჯელი არ აღემატება 3-წლიან პატიმრობას. ამდენად, მსგავს შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, არ გამოიყენოს ქალის მიმართ ისეთი სასჯელი, რომელსაც საპატიმრო ღონისძიება ჰქვია. კანონი ითვალისწინებს



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალიშ

**უბის წიგნაკიდან:**

დღება! ამ სადგურზე ჯიბის ქურდები დაძრწიან!"

20. „თქვენ მე უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოთ, თუნდ წყალში გადავარდნა გიბრძანოთ!" — განუცხადა ერთხელ ლუდოვიკო მეთოთხმეტემ თავის ქვეშევრდომებს. ერთ-ერთმა დიდებულმა მაშინვე დატოვა დარბაზი და წასვლისას მოიბოდიშა: „გთხოვთ მომიტევოთ, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგე ცურვის სწავლას".

21. „აკაგი", „კაგა", „სორიუ", „ხირიუ", „ძუიკაკუ", „სეკაკუ" — იმ იაპონურ ავიამზიდთა ჩამონათვალია, რომლებიდან აფრენილმა თვითმფრინავებმაც პირლ-ჰარბორში ღუზაზე მდგარი ამერიკის წყნარი ოკეანის სამხედრო ფლოტი დაბომბეს.



22. მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო ადამიანებთან შეხვედრისას ლეონარდო და ვინჩი მათი სახის პარამეტრებს უბის წიგნაკში იწერდა.

23. იმპერატორი ვესპასიანე სახელმწიფო ხაზინის შესავსებად მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე ქურდებს, მექრთამეებსა და გამომძალველებს ნიშნავდა, რათა დროთა განმავლობაში ისინი პასუხისგებაში მიეცა და მათ მიერ დაგროვებული ქონების, თავის და ხაზინის სასარგებლოდ კონფისკაცია მოეხდინა. თანამდებობის ასეთ პირს ღრუბელს ეძახდნენ.

24. კეთილმორწმუნე მუსლიმანები ჭამის დროს ცალ მუხლს იატაკზე დებენ, მეორე მუხლი კი მკერდზე ისე აქვთ მიჭერილი, რომ კუჭის მესამედი გადაიკეტოს — ასე ებრძვიან ისინი ნაყროვანების ცოდვას.

25. რუსეთსა და ამერიკაში ცხენზე ამხედრებული გენერლის ძეგლის მიხედვით შესაძლებელია, მისი მფლობელის სიკვდილის მიზეზი შეიტყოთ: თუ გენერლის ცხენს ოთხივე ფეხი მიწაზე უდგას, ეს იმას ნიშნავს, რომ გენერალი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, თუ ცხენს წინა ფეხი აქვს აწეული, მისი პატრონი ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგანაა გარდაცვლილი, ხოლო თუ ცხენი ყალყზე დგას, მისი პატრონი ბრძოლის ველზეა დაცემული.

■

აგრეთვე შეღავათებს ფეხმძიმე ქალის მიმართ, თუ ორსულობა უკვე ორ კვირას აღემატება. შეღავათებია გათვალისწინებული იმ ქალების მიმართ, რომლებიც 60-წლიან ზღვარს გადასცდნენ. სასამართლოც და წინასწარი გამოძიებაც ყოველთვის ითვალისწინებს ქალის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხარისხსა და ხასიათს. ჩვენ ვიცავდით ორი შვილის დედას, რომელიც დააკავეს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის; ის 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ადვოკატებმა თავდებით მის გათავისუფლებას მივაღწიეთ და შემდეგ, მის მიმართ გამოყენებული იქნა არასაპატიმრო ღონისძიება.

**— რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი?**

— ის დააპატიმრეს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის და არა განხორციელებული დანაშაულისთვის. 3 დღის მანძილზე მოგვიხდა ბრძოლა იმისათვის, რომ წინასწარი დაკავების საკნიდან გამოგვეყვანა...

**— ფეხმძიმე ქალების მიმართ რა შეღავათები ვრცელდება?**

— განსაკუთრებით საშიში დანაშაულის შემთხვევაში, რომლის სანქცია 10-წლიან პატიმრობას აღემატება (მკვლელობა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაცია), სასამართლო თვითონ წყვეტს, თუ რამდენად შესაძლებელია ქალისთვის საპატიმრო ან არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ასეთ ქალებს განსაკუთრებული პირობები აქვთ შექმნილი.

**— თუ განსასჯელ ქალს არასრულწლოვანი შვილები ჰყავს, სასამართლო შეღავათებს ითვალისწინებს?**

— სასამართლო იმსჯელებს მცირეწლოვანი ბავშვებისთვის მეურვეობის განსაზღვრის თაობაზე. ამ ბავშვებზე მეურვეობის უფლებას მამას, ბებიას, ბაბუას თუ გარეშე პირს მიანიჭებენ — ეს სასამართლოს გადასაწყვეტია. თუმცა, პატიმარ დედასაც შეუძლია, თავისი მოტივირებული პოზიცია მიაწოდოს სასამართლოს, მაგრამ კანონით მეურვედ ინიშნება მამა ან მისი ნათესავები.

**— ქალს, რომელიც სასჯელს მეუღლის მკვლელობისთვის იხდის, სასამართლო უეჭველად ართმევს დედობის უფლებას?**

— თუ ქმრის ნათესავები ამ საკითხს დააყენებენ, ისინი შედიან დამოუკიდებელი სარჩელით სასამართლოში და მოითხოვენ დამნაშავისთვის დედობის უფლების ჩამორთმევას. ცხადია, უნდა დაასაბუთონ, თუ რატომ უნდა ჩამოერთვას. სასამართლო შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანს ვერდიქტს — ჩამოართვას თუ არა დედობა ქალს. ამგვარი დამნაშავე ქალების 80-90%-ს დედობის უფლებას მართლაც ართმევენ... სამწუხაროდ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ქალები უმძიმეს მდგომარეობაში ვარდებიან. არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, პატიმარი დედების შვილებისა და პატიმრობიდან გათავისუფლებული ქალების ცხოვრება შეამსუბუქონ.

*განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ისინი იმყოფებიან, ვისაც დედის პატიმრობის გამო ცხოვრება დაენგრა. ლეილა ახლა 26 წლისაა. ის მეძავია, სხეულის გაყიდვით ირჩენს თავს. საკუთარი უბედურების მიზეზად, დედას ასახელებს, რომლის დაპატიმრების შემდეგაც, ქუჩაში აღმოჩნდა.*

**ლეილა:**

— დედას ჩემზე არც უფიქრია: როცა დანაშაულს სჩადიოდა, არ ფიქრობდა, რა ბედი მეწეოდა, თუ ის საბრალდებო სკამზე აღმოჩნდებოდა; ვინ იზრუნებდა ჩემზე, თუ მას დააპატიმრებდნენ!.. ციხეში საშინელი ბრალდებით მოხვდა: ნარკოტიკებით ვაჭრობდა. თქვენ მითხარით — პატიმარი დედის შვილებს ბედის ანაბარად არ ტოვებენო. მაგრამ ჩემთან არავინ მოსულა. თემქაზე ოროთახიან ბინაში ღვთის ანაბარად დავრჩი. ჩემზე არავის უზრუნია. ან ვის ეცალა ჩემთვის?! იმ დროს, თბილისში ომი იყო, ქვეყანა თავზე ექცეოდა ყველას... ჯერ ვერ ვიჯერებდი, რომ დედა დაიჭირეს, მერე კუჭმა შემაწუხა...

**— ნათესავები არ გყავდა? მამამ არ იზრუნა შენზე?**

— მამა და დედა მანამდეც გაყრილები იყვნენ. მამას სხვა ოჯახი ჰქონდა. არც ვიცი, ახლა სად არის, რას აკეთებს. მეც მკვდარი ვარ მისთვის და ისიც — ჩემთვის. მისი და მოდიოდა ხოლმე ჩემთან. ვერ შევეგუე. ხშირად მეუბნებოდა: დედაშენის შვილი რა უნდა გაიზარდოო?! გავიზარდე ისე, რომ დახმარება არავისთვის მითხოვია.

**— რამდენი წლის იყავი, დედა რომ დაიჭირეს?**

— გარდატეხის ასაკში ვიყავი. თვალებს ბიჭებისკენ ვაპარებდი. შეყვარებულიც მყავდა. როგორც კი შინ მარტო დავრჩი, მაშინვე მოუხშირა ჩემთან სიარულს. ის გახდა ჩემი პირველი მამაკაცი. მისგან დავფეხმძიმდი კიდეც. დედამისმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ჩემზე თქვა — მაგას ოჯახში როგორ შემოვუშვებ — პატიმრების დანათესავებაღა მინდაო?!. იმ ქალმა წამიყვანა აბორტის გასაკეთებლად...

**— დედის ნათესავებიც არ გპატრონობდნენ?**

— დეიდაჩემს ისეთი მკაცრი ქმარი ჰყავდა, ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. თავისი დის სახელის ხსენებასაც კი უკრძალავდა. თუმცა ვერ ვიტყვი — სულ უპატრონოდ ვიყავი-მეთქი: დედაჩემის ბიძაშვილები თითქმის ყოველ დილით შემომივლიდნენ ხოლმე. მაგრამ ხომ იცით, მარტოდ დარჩენილი ბავშვის ამბავი...

**— დედას ციხეში არ ნახულობდი?**

— პირველი 2 წლის მანძილზე, არ მყავდა ნანახი. შემდეგ ჩავაკითხე. აღარც ვიცოდი, მასთან რაზე უნდა მელაპარაკა: თითქმის უცხო ქალი იყო ჩემთვის. საშინლად გამოიყურებოდა, თუმცა პომადაც ჰქონდა წასმული და თვალებიც — ლურჯად შეღებილი... ამან საშინლად გამაღიზიანა. ვუთხარი: სახის შეღებვის ნერვები გაქვს? შვილი უპატრონოდ გყავს მიგდებული-მეთქი! ვიჩხუბეთ... ერთი წლის შემდეგ, ისევ მივაკითხე. ახლა თვითონ მეჩხუბა: დედა როგორ მოიძულეო?!.

**— ახლაც ციხეშია?**

— არა, გამობრძანდა. შინ დაბრუნდა. სულ ვჩხუბობთ. საერთო აღარაფერი გვაქვს. ციხემ დაგვაშორა ერთმანეთს. შინ როცა მივდივარ, ის თავის ოთახში შედის... მე უკვე ჩემი ცხოვრება მაქვს, რომელშიც მისი ადგილი აღარ დარჩა. ვერ ვპატიობ, რომ როცა დანაშაულს სჩადიოდა, ჩემზე არ ფიქრობდა. საკუთარ შვილს ანგარიში არ გაუწია. თუ ვინმეს წინაშეა დამნაშავე, პირველ რიგში — ჩემ წინაშე. სასჯელი მოიხადა, მაგრამ ჩემ წინაშე ჩადენილი დანაშაული ჯერ არ გამოუსყიდია...

■



# „გაუნათლებლობის" მსხვერპლი



ალბათ გახსოვთ, პატივცემულო მკითხველო, ერთი სატელევიზიო რეკლამის სიუჟეტი: სოლიდური მამაკაცი შედის აფთიაქში და ახალგაზრდა პროვიზორქალიშვილს ძალზე მორიდებულად ეუბნება — უკაცრავად, კუჭი მაქვს აშლილიო...

ამ სცენამ ძველი, ჩემი სტუდენტობის დროინდელი კურიოზული ამბავი გამახსენა.

სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლის ბინადარი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ალიოშა გავაშელიშვილი, გარდა იმისა, რომ კარგი სპორტსმენი — მოჭიდავე იყო, დიდი ეშმაკის ფეხიც გახლდათ და საოცარი იმპროვიზაციის უნარითაც იყო დაჯილდოებული. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მისი თანაოთახელი და თანაკურსელი, საჩხერელი ალბერტ ბრეგვაძე, სხვა მეგობართან ერთად სადღაც წასასვლელად მოემზადა. ალბერტი კეთილი, გულისხმიერი და გულუბრყვილო ყმაწვილი იყო, თუმცა ხანდახან, მომეტებულ სიფიცხესაც იჩენდა...

როდესაც მისი მეგობრები ის-ის იყო, ოთახიდან უნდა გასულიყვნენ, ალიოშამ უცებ, ხელი თავზე წაივლო და აკვნესდა:

— ა-ა-უ-უ! როგორ ამტკივდა თავი! ასე მემართება, როდესაც ვარჯიში ზედმეტი მომდის ხოლმე... პირდაპირ მისკდება თავი...

— რა ვქნათ? რა გიშველოთ? რაიმე წამალი არა გაქვს? — შეწუხდნენ მეგობრები.

— არა. გამითავდა. ასეთ დროს, ერთადერთი წამალი მშველის ხოლმე. თან, ეს ოხერი, მარტო რუსთაველის პროსპექტზე, დიდი აფთიაქი რომაა, იქ იყიდება, მაგრამ იქ ახლა რა წამიყვანს?!. — და ალიოშამ შუბლზე „ვაფლის" პირსახოცი წაიკრა, გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

ალბერტამ გულთან ახლოს მიიტანა მეგობრის გასაჭირი, ალიოშას თავზე დაადგა და ჩაეძია:

— გვითხარი, რა წამალია ასეთი. მაინც ქალაქში მივდივართ, იმ აფთიაქშიც შევივლით და გიყიდით. რამდენი გინდა?

ალიოშამ მადლობა გადაუხადა და უპასუხა:

— ჯერჯერობით ერთი შეკვრა მეყოფა. აბა, ჩაიწერე, რაკი ეგრეა, თორემ, ვერ დაიმახსოვრებ.

გულუბრყვილო ალბერტამაც საგულდაგულოდ ჩაიწერა ალიოშას ნაკარნახევი „წამლის" სახელი — პრეზერვატივი...

მოგეხსენებათ, ეს ნივთი ფართო მასებში სხვა სახელით უფრო გავრცელებული და გარდა უშუალო დანიშნულებისა, იმდენად შეურაცხმყოფელ ეპითეტადაც იყენებენ ხოლმე, რომ ახლა მეც ვერიდები ამ სიტყვის გამეორებას და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ის „გან"-ით იწყება... ალბერტამაც, სხვების მსგავსად, მხოლოდ ეს, ნივთის ასე ვთქვათ, არაოფიციალური სახელი იცოდა და სულაც არ უეჭვია იმაზე, რომ ალიოშა მახეს უგებდა...

შევიდნენ თუ არა ბიჭები ალიოშას მიერ მითითებულ აფთიაქში, ალბერტა გაემართა წამლების საცალო გაყიდვის დახლისაკენ, რომელთანაც 10-12-კაციანი რიგი იდგა, დააძრო თავისი „შპარგალკა" და ხმამაღლა, დამარცვლით წაუკითხა თეთრ ხალათში გამოწყობილ ცქრიალა პროვიზორ-ქალიშვილს:

— პრე-ზერ-ვა-ტი-ვი მინდა, გაქვთ?

რიგში მდგომმა საზოგადოებამ ამრეზილად შეხედა ალბერტას. ყურებამდე გაწითლებულმა ქალიშვილმა კი, ბრაზიანი მზერა ესროლა და საყვედურით სავსე ტონით უპასუხა ზრდილობის ნორმების დამრღვევ ალბერტას:

— კი გვაქვს, მაგრამ ცოტა მორიდებულად ვერ იკითხავთ?..

— რაა მოსარიდებელი, ლამაზო?! — უფრო ხმამაღლა წამოიძახა ალბერტამ. — გაჭირვებული მეგობარი ლოგინში მიწევს, დეიტანჯა კაცი, ეგება მოკვდეს, თუ დროზე არ მივუტანე ეს წამალი. ის დროა, უნდა მივრბოდე სტუდქალაქისკენ, ეს კიდევ, მორიდებაზე მელაპარაკება, — და სხვებისგან თანაგრძნობის მისაღებად, ირგვლივმყოფებს შეავლო თვალი...

ქალიშვილმა გადაწყვიტა, დროულად მოეშორებინა ახირებული „ხულიგანი" და სასწრაფოდ გაისტუმრა.

ამ დროს, ალიოშა და მის მიერ საგანგებოდ სეირის საყურებლად თავშეყრილი სტუდენტები ფანჯარასთან იყვნენ დადარაჯებულები და მართლაც მოუთმენლად ელოდნენ ალბერტას გამოჩენას... ეზოში შევიდა თუ არა, ალიოშა გაექანა საწოლისკენ, ისევ ჩაწვა ლოგინში და კვნესა განაგრძო.

— აჰა მოგიტანე შენი წამალი, — ოთახში შესვლისთანავე ახარა კმაყოფილმა ალბერტამ მეგობარს.

— უ, შენ კი გაიხარე, ჩემო ალბერტა!.. ბოლომდე ქენი სიკეთე, ბარემ ჩაასხი ჭიქაში წყალი, გახსენი ეგ შეკვრა და დამალევინე.

ალბერტამ ჩამოასხა წყალი, გახსნა შეკვრა და... ხელში შერჩა აკურატულად დაკეცილი ორი პრეზერვატივი... ის ჯერ გაშეშდა... მერე გაფითრდა... მერე საშინლად დაიღრიალა, სკამს ხელი წამოავლო და... კიდევ კარგი, რომ ოთახი პირველ სართულზე იყო და ალიოშამ, ნიფხავ-პერანგის ამარა, მოასწრო ფანჯრიდან გადახტომა.

***იური ცუცქირიძე***

ტრაგედია



# «ახლაც თვალწინ მიდგას მისი მავედრებელი თვალები»...

**„ამ ჩანაწერით ვიხსენებ ჩემს მეუღლეს — სამი შვილის დედას, დოდო დანილოვას, რომელიც წელს 38 წლის უნდა გამხდარიყო. 1994 წლის 26 სექტემბერს ის ჩემ მიერ გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. მამედ გერგედავა. 1996 წლის 15 სექტემბერი" — ასეთი ეპილოგი აქვს სიკვდილმისჯილის მიერ რამდენიმე წლის წინ დაწერილ აღსარებას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის აქტივისტთა წევრებმა გადმომცეს. ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ტრაგედია კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ისეთ ადამიანურ გრძნობებზე, როგორიცაა სიყვარული, ეჭვიანობა; დაგვაფიქრებს სიკვდილზე, სიცოცხლეზე, დანაშაულსა და სასჯელზე... მამედ გერგედავას სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი სამუდამო პატიმრობით შეეცვალა.**

*ნინო ჯავახიშვილი*

1951 წლის 17 ნოემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში დავიბადე. 1975 წელს გალელ დოდო დანილოვაზე დავქორწინდი. კარგად ვცხოვრობდით. სამი შვილი შეგვეძინა — ორი ბიჭი და ერთი გოგო. 19 წელი ვიცხოვრეთ ერთად და ამ ხნის მანძილზე, ყველაფრის მიუხედავად, დოდომ ჩემს ცხოვრებაში იმხელა ადგილი დაიკავა, რომ სიკვდილამდე ჩემთან ერთად იცოცხლებს. ერთი კია — ხვალ რომ გაცოცხლდეს, ღალატს მაინც არ ვაპატიებ...

1994 წლის 16 სექტემბერი იყო. დოდომ ბავშვები სკოლაში წაიყვანა. თვითონ მუსიკის მასწავლებელი იყო, მე — მძღოლი. სახლში ვიყავი. ჩემმა მეგობარმა მომაკითხა — მანქანის ნაწილები მთხოვა. წასვლისას მეც თან გავყევი. უცებ დავინახე, რომ ქუჩაში ჩემი მეუღლე და ბიძაშვილის ქალიშვილი მოდიოდნენ. მეგობარმა მკითხა — მარჯვნივ რომ მოდის, ის ქალი თუ იცი, ვინ არისო? ჩემს მეუღლეს არ იცნობდა. გამიკვირდა, ნეტავ, რატომ კითხულობს-მეთქი და სიმართლე არ ვუთხარი. ერთი აქაური კაცის ცოლია-მეთქი. შენი ახლობელი ხომ არ არისო? ვიუარე. ეს ქალი ამა და ამ ადგილას ერთ კაცთან ერთად ვნახეო — მითხრა. არაფერი შევიმჩნიე, მაგრამ სახლამდე ძლივს მივაღწიე. ცოლისთვის არაფერი მითქვამს, მეორე დღეს მცხეთაში გასეირნება შევთავაზე. მთელი გზა ხმას რომ არ ვიღებდი, დოდო დაეჭვდა და ხშირად მეკითხებოდა უგუნებობის მიზეზს — რა მოხდა, რაღაც სხვანაირად მიყურებო. მე კი გულში ვფიქრობდი, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი გასეირნება იყო. გზიდან გადავუხვიე და მანქანა გავაჩერე. ხომ გახსოვს, 6 წლის წინ ამ ადგილზე რაც მოხდა-მეთქი? — ვკითხე (6 წლის წინ დოდოზე ყურმოკვრით გავიგე, რომ მღალატობდა და მაშინაც იქ წავიყვანე სალაპარაკოდ). მე ყველაფერი გავიგე და გაპატიე, რადგან ჯერ ერთი, სამი შვილის დედა იყავი, მეორე — მიყვარდი, მესამე — იმიტომ გაპატიე, რომ ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს, ოღონდ ეს უკანასკნელი იქნება, მეორედ თუ გავიგე მსგავსი რამ, აღარ შეგარჩენ-მეთქი... ამის შემდეგ ნუთუ ღირსი არა ვარ, სიმართლე ვიცოდე, ყველაფერი ამიხსენი-მეთქი, — მოვთხოვე. ოღონდ აქედან წამიყვანე და არაფერს დაგიმალავო, — მთხოვა. დოდო მიხვდა, რომ ვიცოდი, რაც ჩაიდინა და ყველაფერი აღიარა. 2-3 დღეს გაძლევ, ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე გავშორდეთ-მეთქი... დრო იმიტომ მივეცი, რომ მინდოდა, საკუთარი თავისთვის თვითონ გამოეტანა განაჩენი, მაგრამ ვერ გაბედა. მაშინ გადავწყვიტე, განაჩენი თვითონ მომეყვანა სისრულეში. ძალიან გამიჭირდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. განა არ ვფიქრობდი, დედის სიკვდილის შემდეგ ბავშვები უპატრონოდ რომ დარჩებოდნენ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა.

1994 წლის 26 სექტემბერი იყო, ორშაბათი. საღამოს დოდოს ვუთხარი — იარაღის დამალვა მინდა ტყეში და დამეხმარე-მეთქი. გამომყვა. ხრამის პირას ვიდექით. დოდოს შევხედე. ვიგრძენი, რომ ის უსიტყვოდაც მიხვდა ჩემს განზრახვას. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მავედრებელი თვალები, ყურში ჩამესმის მისი სიტყვები — მე ხომ სიმართლე გითხარი, მაპატიე, გთხოვ, ბავშვებს ნუ დააობლებო. პასუხი უნდა აგო იმისთვის, ხალხის დასაცინი რომ გამხადე. გპირდები, ვინც ჩვენი ოჯახი დაანგრია, იმას სიცოცხლეს მოვუსპობ-მეთქი, — ეს იყო ჩემი პასუხი და ორჯერ ვესროლე გულში. — ღმერთო, მიშველე, გთხოვ, — ეს კი დოდოს უკანასკნელი სიტყვები იყო. ყურებზე ხელი მივიფარე, აღარ მინდოდა მისი ვედრების მოსმენა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან დავბრუნდი, მაგრამ ცოცხალი აღარ იყო. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ ხელში ავიყვანდი და სირბილით მივიყვანდი საავადმყოფომდე, ოღონდ გადარჩენილიყო, მაგრამ უკვე გვიან იყო. იმ ღამეს მივხვდი, რომ ადამიანის გული არ მქონია — ძაღლი არ დატოვებდა პატრონს ისეთ ადგილას, სადაც ჩემი მეუღლე დავტოვე.

გასვენების დღეს შვილებთან ერთად ვიდექი და მათ თვალებში ცრემლს რომ ვხედავდი, მრცხვენოდა. იმ დღეებში ძალიან გამიჭირდა. ყოველ დილით სახლიდან გავდიოდი და საღამომდე უაზროდ დავხეტიალებდი. ვერ ვბედავდი იმ ოთახში შესვლას, სადაც მე და დოდოს გვეძინა. ბიჭებთან ერთად ვწვებოდი და მთელი ღამე თვალს ვერ ვხუჭავდი. ერთხელ შინ გვიან დავბრუნდი. დილით რომ გამომეღვიძა, აღ-

მოვაჩინე, რომ ჩვენს საძინებელში დავწოლილვარ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ წამომხტარან ბავშვები ლოგინიდან „დედიკოს" ძახილით. ალბათ, ესიზმრებოდათ. შუქს ავანთებდი და ვამშვიდებდი ბავშვებს — ნუ გეშინიათ, აქ ვარ-მეთქი.

ყოველდღე უფრო ბევრს ვფიქრობდი იმაზე, როგორ დამესაჯა ის კაცი, რომელმაც ოჯახი დამინგრია და რომელიც თავის ცოლ-შვილთან მშვიდად ცხოვრობდა — მაშინ, როცა მე უზომოდ ვიტანჯებოდი... დოდოს ორმოცზე ასეთი რამ განვაცხადე — ჩემს ოჯახში დღეს დამთავრდა გლოვა. მარტო ჩვენთვის არ არის მოგონილი დარდი და ცრემლი. თუ ვინმეს მიუძღვის დოდოს სიკვდილში ბრალი, მამედ გერგედავა არ ვიყო, თუ ერთ კვირაში მისი ოჯახი არ ავატირო-მეთქი. მეორე დღეს ღვინო დავაყენე, არაყიც გამოვხადე, რომ მერე ბავშვებს არ ეწვალათ. საღამოს იარაღი ავიღე და ზუგდიდში წავედი. ის კაცი გაეფრთხილებინათ — მამედი არ შეგარჩენს ამ ამბავს და სადმე გაემგზავრეო. ისიც ზუგდიდში გადასულიყო საცხოვრებლად. სახლში მივედი და დავუძახე, გამოვიდა თუ არა, 5 ტყვია დავახალე. მეორე დღეს დოდოს საფლავზე ავედი და ვუთხარი, რომ დანაპირები შევასრულე. 1994 წლის 21 დეკემბერს დამაპატიმრეს, 1995 წლის 28 ნოემბერს კი გამასამართლეს და სიკვდილი მომისაჯეს.



ვერასდროს ვიფიქრებდი, კაცის მოკვლას თუ შევძლებდი. სოფელში ქათამს ან ღორს რომ კლავდნენ, იმის ყურებაც კი არ შემეძლო — მეცოდებოდა. ჩემს საქციელს ალბათ მხოლოდ კაცი გაიგებს. პატიოსანი ოჯახი მქონდა და ვინც საქვეყნოდ შემარცხვინა, დავსაჯე. ეს არის და ეს...

ვიცოდი, რაც მელოდა და ამიტომ განაჩენი მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის. მზად ვიყავი ნებისმიერი განაჩენისთვის. რატომ, რისთვის მიმიყვანეს ამ მდგომარეობამდე? სიცოცხლე მიყვარდა და ყველაფერი დავკარგე — ოჯახი, თავისუფლება და ახალგაზრდობა. 45 წლის ვარ და ვიცი, რას ნიშნავს სიკვდილის მოლოდინი. კარის ყოველ გაღებაზე ფეხზე წამოვხტებოდი ხოლმე და ველოდი, როდის გამიყვანდნენ დასახვრეტად. ეს ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედებს. სულ იმის ფიქრში ვარ, როდის მოადგება ჯალათი ჩემს კარს, როდის გამომასალმებს სიცოცხლეს და მაინც მინდა, ბოლომდე ვებრძოლო სიკვდილს.

ბავშვები მოვიდნენ ჩემს სანახავად. ბოდიში მოვუხადე.

— მაპატიეთ, მარტო რომ დაგტოვეთ, პატარები აღარ ხართ და რაც დრო გავა, უფრო უკეთესად გაიგებთ ყველაფერს. ბებიას მიხედეთ, ნუ მისცემთ სიკვდილის უფლებას, დააიმედეთ, რომ ციხიდან მალე გამოვალ. ისე იცხოვრეთ, როგორც მე ვცხოვრობდი — პატიოსნად, — დავმოძღვრე შვილები. ბავშვებს თვალი გავაყოლე და გავიფიქრე — ღმერთო, ნუთუ კიდევ გნახავთ-მეთქი?.. ის დღე ისეთი საშინელი იყო, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ... ხშირად მესიზმრება დოდო და მეკითხება — ბავშვები სად არიანო? თან მთხოვს — აქ ვერავინ ვიცანი და შინ დამაბრუნეო. ნეტავ, რატომ მესიზმრება? ამბობენ, მიცვალებული თუ გემდურის, არც დაგესიზმრებაო. ან რატომ უნდა მემდუროდეს? სხვის ნათქვამს, ჭორს ხომ არ დავიჯერებდი? დანაშაული თვითონ აღიარა, სასამართლომ განაჩენი კი გამომიტანა, მაგრამ მთავარი სასამართლო იქ — იმ ქვეყნად მელის! მორწმუნე კაცი ვარ და ღმერთის მწამს. თუ რამე შეცდომა მიმიძღვის ღმერთის წინაშე, ვთხოვ, არ გამწიროს და მაპატიოს!.. ■

---

**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**

# ტესტი მრუდიციაზე

***1. კოტე მახარაძე თავის მეუღლეს, სოფიკო ჭიაურელს ყოველთვის ორიგინალურ საჩუქარს უძღვნიდა ხოლმე. 37 წლისას 37 წიწილა აჩუქა... ერთხელ კი საჩუქრად მიართვა:***



ა) პატარა ჩოკინა;
ბ) ვეფხვის ბოკვერი;
გ) კოზაკი.

***2. ბავშვობაში გადატანილი ოპერაციის გამო, რომელ ფეხბურთელს ჰქონდა მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე?***



ა) პლატინის;
ბ) გარინჩას;
გ) პელეს.

***3. სად ითვლება ფრინველზე ნადირობა სირცხვილად?***



ა) არხოტის ხეობაში;
ბ) პანკისის ხეობაში;
გ) კოდორის ხეობაში.

***4. „ბურთის კალათში ჩატენას გუნდისთვის მხოლოდ ორი ქულა მოაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, მეტოქის გუნდს მხნეობას აკარგვინებს". ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?***



ა) მაიკლ ჯორდანს;
ბ) ნიკოლოზ დერიუგინს;
გ) მიხეილ ქორქიას.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*



ფრანგი რეჟისორის ჟიული ბერტუჩელის საქართველოში გადაღებულ ფილმს — „რაც ოთარი წავიდა“ — ახალი წარმატება ხვდა წილად. შარშან, კანის ფესტივალზე პრიზირებული ფილმი წელს ამერიკაში, რობერტ დე ნიროს, რობერტ რედფორდისა და ჯეკ ნიკოლსონის მიერ დაარსებულ, ამერიკული კინოს ფესტივალზე იყო წარდგენილი. ფილმთან ერთად ამერიკის სხვადასხვა ქალაქი მთავარი როლის შემსრულებელმა, ქართველმა მსახიობმა — ნინო ხომასურიძემ მოიარა და ისიც გვითხრა, რომ ფილმი ყველგან დიდი წარმატებით მიიღეს. სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას შეიტყო ქალბატონმა ნინომ, რომ სურათი — „რაც ოთარი წავიდა“ — ფრანგული კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — „ცეზარით“ დაჯილდოვდა.

# უმაღლესი ფრანგული კინოჯილდო ფილმს ქართველი მსახიობის მონაწილეობით

ნათია თენიეშვილი

**ნინო ხომასურიძე:**

— ძალიან დამწყდა გული, ცერემონიაზე დასწრება რომ ვერ მოვახერხე, მაგრამ ვერანაირად ვეღარ ვასწრებდი საფრანგეთში ჩასვლას. თბილისში დავბრუნდი და ცოტა ხანში, პარიზთან ახლოს მდებარე ქალაქის — ვილნევ ლა მარენის მერმა მიმიწვია. ამ ქალაქში ახალი კინოთეატრი სწორედ ჩვენი ფილმით გაიხსნა და მე, როგორც მთავარი როლის შემსრულებელი, ისე მიმიწვიეს. ძალიან ლამაზი ქალაქია, ფრანგები მას პატარა პარიზსაც უწოდებენ. ამ ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდებაც მომანიჭეს.

*ფილმის ჩვენების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კინოკრიტიკოსებმა სურათი დადებითად შეაფასეს. მათი უმრავლესობის აზრით, მაინც გაუმართლებელია, რომ ფილმში დანარჩენ ორ მთავარ გმირს — ნინო ხომასურიძის პერსონაჟის შვილს და დედას ფრანგი და არა ქართველი მსახიობები ასრულებენ (შვილს დინარა დრუკაროვა, დედას კი ესტერ გორენტენი განასახიერებს)...*

**ნინო ხომასურიძე:**

— სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ვნახე ჩემი მეგობრები, ჟიული ბერტუჩელი და „ცეზარიც“ პირველად ავიღე ხელში. ეს მართლა შეუდარებელი განცდაა. ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯილდო პირადად მე არ მეკუთვნის, ალბათ რაღაც წვლილი მეც მიმიძღვის. ცნობილია, რომ პარიზელი მაყურებელი საკმაოდ მომთხოვნია, ფილმი ერთ დღეზე მეტხანს არ ჩერდება კინოეკრანზე. „რაც ოთარი წავიდა“ — უკვე ორი კვირაა, ანშლაგით გადის პარიზის კინოთეატრებში, სადაც ფრანგები ამ ქართული ამბის გამო ყოველ საღამოს ტირიან...

*როგორც ნინო ხომასურიძემ საუბრის ბოლოს მითხრა, უკვე დაგეგმილია საქართველოში ამ ფილმის ჩვენება — მას ქართველი მაყურებელი შემოდგომაზე იხილავს.* ■



ნინო ხომასურიძე ჟიული ბერტუჩელისთან ერთად უმაღლესი ფრანგული კინოჯილდო „ცეზარით“ ხელში

# „საკუთარი მანქანით საკუთარი ქალიშვილი დავჯახე"



როდესაც ეს თემა შემოგთავაზეთ, ვფიქრობდი, რომ მკითხველები იმ ამბებს მომიყვებოდნენ, რომლებიც განსაკუთრებით სასიამოვნო გასახსენებელი იქნებოდა მათთვის, მაგრამ უმეტესობას რატომღაც, საკუთარი შეცდომა გაახსენდა და იმ დღის დაბრუნებაზე იმის გამო ოცნებობს, რომ შეცდომა გამოასწოროს... ზოგჯერ, მართლაც, გინდა, დაიძახო – „შეჩერდი, წამო!" – მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს წამი მშვენიერია, არამედ იმიტომ, რომ საშინელების შეჩერება გსურს...

## ამბავი, რომელიც მინდა, რომ კიდევ გამეორდეს

*მარი ჯაფარიძე*

### „ერთი წამით შევყოვნდი და... გასროლის ხმა გავიგონე"

„მარი, ვიცი, რომ ახლა რაიმე კარგი და სასიამოვნო უნდა მოგიყვე, მაგრამ მაპატიე, თუ ამას ვერ ვახერხებ. ღმერთო, რამდენჯერ მინატრია, ნეტავ, დროის უკან დაბრუნება შეიძლებოდეს-მეთქი! დროს სწორედ იმ წამზე შევაჩერებდი, როცა ჩემმა შვილმა თავი მოიკლა... ეს ამბავი ათი წლის წინ მოხდა. თვითმკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე, ჩემმა სოსომ აიკვიატა – თავს არ ვიცოცხლებ, თავი უნდა მოვიკლაო. სულ დაღვრემილი დადიოდა, გახდა, უმეტესწილად თავის ოთახში იყო ჩაკეტილი, გულაღმა იწვა და ჭერს მიშტერებოდა. ეს ერთი შვილი გვყავდა მე და ნინოს, მზე და მთვარე მასზე ამოგვდიოდა, თავიდანვე მეგობრული და კარგი დამოკიდებულება გვქონდა მამა-შვილს. იმ დღეებშიც ვცადე, დავლაპარაკებოდი, იქნებ, გული გადაეხსნა ჩემთვის, მაგრამ ამაოდ. ჯიუტად დუმდა. ძალზე ვნერვიულობდი, უყურადღებოდ ერთი წუთითაც არ ვტოვებდი, ვცდილობდი, დარდი შემემსუბუქებინა მისთვის. ერთ საღამოს დამიძახა და მითხრა: – მამა, მომისმინე, მინდა იცოდე, რის გამო ვარ ასე ცუდად, ოღონდ, ისიც იცოდე, რომ ყველაფერს რომ შეიტყობ, მერე თავს არ ვიცოცხლებო. ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდი, მაგრამ ვიფიქრე: რომ მიამბობს, რჩევას მივცემ, გვერდით დავუდგები და არ მივცემ უფლებას, თავს რაიმე აუტეხოსმეთქი. აღმოჩნდა, რომ თავისი უახლოესი მეგობრის ცოლი უყვარდა. სოსო მათი მეჯვარე იყო. ორი წლის განმავლობაში მალავდნენ ურთიერთობას და ბოლოს, ქმარს ერთად შეუსწრია. მეგობრების წრეში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. ყველამ სოსო გაამტყუნა და მეგობრების სიიდან ამოშალეს კიდეც. ერთს ისიც უთქვამს: – სანდო კაცი არ ყოფილხარ, ჩვენს ცოლებსაც ხომ არ ეკურკურებიო?.. ის ოჯახიც დაინგრა. სოსო კი განადგურებული იჯდა ჩემ წინ და ამ ამბავს ჰყვებოდა. თან ერთიანად ცახცახებდა. ბუნებრივია, მეც ვუთხარი – არასწორად მოიქეცი-მეთქი, – მაგრამ ვცადე, დამემშვიდებინა: ჯერ 26 წლის ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, გაივლის წლები და ყველაფერი დაგავიწყდება-მეთქი. თან შევპირდი, რომ მეორე დღესვე, მოსკოვში გავუშვებდი, ჩემს უახლოეს მეგობართან და იქ მოიშუშებდა ამ ჭრილობას, შემდეგ კი დაბრუნდებოდა ან სულაც იქ იცხოვრებდა. – მიდი, დარეკე იმ შენს მეგობართანო, – მითხრა. ოთახიდან გამოვედი, მოსკოვში დავრეკე და საქმე მოვაგვარე. კვლავ სოსოს ოთახისკენ გავემართე, კარის სახელურს ხელი მოვკიდე და ამ დროს, მეუღლემ დამიძახა – სოსოს ყავა ხომ არ მოვუდუღოო? ამის გამო სულ ერთი წამით შევყოვნდი, შემდეგ სახელური ჩამოვწიე და გასროლის ხმაც გავიგონე. გიჟივით შევვარდი ოთახში, სოსო კი უკვე უსულოდ ეგდო ლოგინზე... აი, ამიტომ მინდა, დრო უკან დავაბრუნო და იმ წამზე შევაჩერო, როცა პირველად მოვკიდე ხელი კარის სახელურს. არავითარ შემთხვევაში არ მივცემდი შვილს გასროლის უფლებას. სულ ერთმა წამმა გადაწყვიტა მისი სიცოცხლის საკითხი. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რატომ შევჩერდი... თქვენმა თემამ ეს უბედურება გამახსენა და ჭრილობა ხელახლა გამეხსნა. ამიტომ არ შემეძლო, არ მომეწერა. გმადლობთ, რომ არსებობთ".

*მართლაც, კარგი იქნებოდა, ადამიანის ცხოვრება ვიდეოფირზე რომ იყოს ჩაწერილი და ნებისმიერ, სასურველ ადგილზე შეიძლებოდეს მისი გაჩერება, მაგრამ ვაი, რომ ეს არარეალურია... შემდეგი რესპონდენტი წამს გაზაფხულის ერთ ლამაზ დღეზე შეაჩერებდა.*

### ექსკურსია ბროწეულის ტყეში

„არასოდეს დამავიწყდება ერთი დღე ჩემი ცხოვრებიდან და დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი იმ სიტუაციაში, რომელშიც მაშინ აღმოვჩნდი. საერთო ნაცნობების წრეში ერთი ახალი მამაკაცი გამოჩნდა. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო – კარგი ბუნების, თავაზიანი და მხიარული. პირველი ნახვისთანავე მომეწონა. ცოტა ხნის შემდეგ კი ჩვენი ურთიერთობა საუცხოოდ აეწყო. გაზაფხ-

ულის ერთ თბილ და მზიან დილას დამირეკა და მითხრა: დღეს ნურაფერს დაგეგმავ, სიურპრიზი მაქვს შენთვის მომზადებულიო. შევხვდი. მის მანქანაში ჩავჯექი თუ არა, მითხრა: — არ იუცხოვო, ახლა თვალები უნდა აგიხვიო და გაურკვეველი მიმართულებით წაგიყვანოო. მუქი შარფით ამიხვია თვალები და მანქანა დაიძრა. გზად ათასგვარ ამბავს მიყვებოდა, მართობდა, უამრავი სახის ხილი ჰქონდა წამოღებული და ასეთი თამაში მოიგონა: ჩემს პირთან მოჰქონდა ხილი, მე კი სუნით და ენის წვერით უნდა გამომეცნო, რა იყო ეს. შემდეგ, თავისივე ხელით მაჭმევდა. ამასობაში კარგა მანძილი გავიარეთ და გავჩერდით. ისეთი დაინტრიგებული და აღტაცებული ვიყავი ყოველივე ამით, რომ ჩემზე ბედნიერი ქვეყნად არავინ მეგონა. მანქანიდან გადმოსვლაში დამეხმარა, ხელი ჩამკიდა და ფეხითაც კარგა მანძილი გამატარა. ოღროჩოღრო გზაზე მივდიოდით, მივხვდი, რომ სადღაც, ტყეში ვიყავით. ბოლოს გავჩერდით, თვითონ უკან დამიდგა, მხრებზე ხელები დამადო და ყურში ჩამჩურჩულა: ახლა სახვევს მოგხსნი, თვალები ერთბაშად გაახილე და ყველაზე მეტად რისი დანახვაც გსურს, დაინახეო... ამქვეყნად ყველაზე მეტად მისი თვალების დანახვა მინდოდა. ამიტომ, როდესაც შარფი ნელ-ნელა მომხსნა, თვალდახუჭული შემოვბრუნდი, მის პირისპირ გავჩერდი და თვალები ისე გავახილე. ისეთ ალერსიან და თბილ მზერას წავაწყდი, რომ საკოცნელად თავად გავიწიე... ეს ჩემი პირველი კოცნა იყო... ირგვლივ თვალი რომ მოვავლე, აყვავებულ, ბროწეულის ტყეში ვიყავი... ხომ იცით, რა ლამაზია ბროწეულის ყვავილობა? სიმართლე რომ გითხრათ, დღემდე არ ვიცი, სად ვიყავი, რადგან იქიდან კვლავ თვალებახვეული წამომიყვანა. ჩემი და ამ ადამიანის თანაცხოვრება არ შედგა, ჩვენ შორის შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ მაინც საუკეთესო მოგონებად დამრჩა ეს დღე. დიდი სურვილი მაქვს, ერთხელ კიდევ გამეორდეს. პატივისცემით, კესო“.

*ჩვენი მკითხველების უმეტესობა ბავშვობას მისტირის და იქ დაბრუნებაზე ოცნებობს. ნახეთ, რას გვწერს 45 წლის დიტო:*

## „ყველა საათს დავშლი და... საწოლზე ვიხტუნებ...“

„ეჰ, ამბის რა მოგახსენოთ, ჩემო კარგებო, მაგრამ ბავშვობაში კი ნამდვილად დავბრუნდებოდი. პატარა რომ ვიყავი, ძალიან მიყვარდა ზამბარებიან საწოლზე ხტუნვა. შევიპარებოდი საძინებელში, ლოგინს იატაკზე გადმოვყრიდი და ჰერი... გიყვარდეს. დედაჩემი რომ შემომისწრებდა, სულ ცემა-ტყეპით გამომაგდებდა ხოლმე ოთახიდან. ატირებული, კუთხეში მივჯდებოდი ხოლმე და ვფიქრობდი: რომ გავიზრდები, როცა ყველა საათს დავშლი და დრო დამრჩება, რამდენ ხანსაც მინდა, იმდენ ხანს ვიხტუნებ საწოლზე-მეთქი. ჰოდა, გავიზარდე... ახლაც ხანდახან მომივლის ხოლმე ის ჟინი და რამდენჯერმე ვცადე, მეხტუნა, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ისეთ სიამოვნებას ველარ განვიცდი, როგორსაც ბავშვობაში. ამიტომ, ვფიქრობ, არასოდეს უნდა დაუშალო ბავშვს საყვარელი საქმიანობა, თორემ გაიზრდება და სულ სანანებლად ექნება...“

*ხანდახან ისეც ხდება, რომ სრულიად უცხო ადამიანი გადაგეყრება გზაზე, შემდეგ წავა და... მთელი ცხოვრება გახსოვს. გვიამბობს 35 წლის გია:*

## „დედამიწელი“ თუ უცხოპლანეტელი?

„გზის“ წინა ნომერში სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა მეტად საინტერესო ამბავი „დაგიმესიჯათ“. მე მსუბუქი ტაქსის მძღოლი გახლავართ. ერთხელ, გაჩერებასთან სიმპათიურმა ქალმა გამაჩერა. ჩანთა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, ხელის თითები კი გაფარჩხული... კართან მოვიდა და მანიშნა, გამიღეო. გავუღე. ჩაჯდა, კარი ფრთხილად მოხურა და — ორთაჭალაშიო, მხოლოდ ეს ერთი სიტყვა მითხრა. თან ფრჩხილებს დახედა და სული შეუბერა. მივხვდი, ლაქი ახალი წასმული ჰქონდა. მივდივარ ჩემთვის, გზას ვუყურებ და ვგრძნობ, მგზავრი მომშტერებია. არ ვიმჩნევ. უცებ, რაღაც ძალიან ლამაზი ლექსი მითხრა, შემდეგ მეორე... მესამე... შემდეგ მეუბნება: მოაბრუნე მანქანა და მცხეთაში წადიო. მოვბრუნდი. ჯვარზე ავედით. ეკლესიის ეზო ათასგვარი ყვავილით იყო მოფენილი. ეს ქალი ხმას არ იღებდა, ეკლესიაში შევიდა, შემდეგ ყვავილები დაკრიფა, ბალახზე დაწვა და ყვავილები გულზე დაიყარა. მე მას მანქანიდან ვადევნებდი თვალყურს. კარგა ხანს იწვა მზის გულზე, შემდეგ წამოდგა, მანქანაში ჩაჯდა და ისევ ორთაჭალაში წაყვანა მთხოვა. გადასვლისას ორმოცდაათლარიანი დამიგდო სავარძელზე, მიბრუნდა და წავიდა... დღესაც არ ვიცი, ვინ იყო ის ქალი, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება. მინდა, ის დღე გამეორდეს. აუცილებლად გამოვკითხავდი, ვინ იყო, რატომ იქცეოდა ასე და საერთოდ, „დედამიწელი“ იყო თუ არა?“

*ცხოვრება ათასგვარი კურიოზითაა აღსავსე და თითოეული მათგანი, ვფიქრობ, გასახსენებლად ღირს, მით უმეტეს, თუ ამ კურიოზს ის დანიშნულება აქვს, რომ „მტერზე“ შური იძიო:*

## „ნავთის ჭურჭელში ბენზინი ჩავასხი“...

„გამარჯობათ, მე მაკა ვარ, 19 წლის. მინდა, სასაცილო ამბავი მოგიყვეთ. აუ, იცით, რა მაგარია? ზაფხულობით ბებიასთან, სოფელში მივდივარ ხოლმე. მეზობლად ჩემი კბილა ბიჭი ცხოვრობს, რომელსაც რაც თავი მახსოვს, ვიცნობ, მაგრამ სულ ერთმანეთის „მტრები“ ვართ. ბავშვობაში, ხან ის მაგლეჯდა კიკინებს, ხან მე ვცემდი... ერთხელ კაბაც შემომახია. თან, უერთმანეთოდაც ვერ ვძლებდით. თუ რაიმეს დავაშავებდი, მაშინვე ბებიაჩემს მიურბენინებდა ხოლმე ამბავს, ხან ტყუილსაც კი იგონებდა და მეც არაფრის გამო მხვდებოდა. ერთხელ ჩვენს ყანაში ღორები შეუშვა, მათ სიმინდის ნათესი სულ გაანადგურეს, ბებიაჩემს კი უთხრა, მაკამ ყანაში შესასვლელი კარი ღია დატოვაო. მტერსა და ავს, რაც მე დღე დამადგა... მოკლედ, უკვე გავიზარდეთ, მაგრამ ახლაც ისევ ისე გრძელდება. ბებიისგან მალულად სიგარეტს ნალიაში ვაბოლებდი ხოლმე. საკმაოდ დიდი ზომის ნალია გვქონდა, რომელსაც ხის კიბე ჰქონდა მიდგმული. ავძვრებოდი ხოლმე, წამოვწვებოდი და გემრიელად ვეწეოდი. ერთ დილით, ავძვერი კიბეზე და ბოლო საფეხურზე რომ შევდექი, კიბე ჩატყდა და ძირს ბზრიალ-ტრიალით წამოვედი. თავიც გავიტეხე, მუხლიც გადავიტყავე, ისე გავმწარდი, რომ სულ ცხარე ცრემლით ვიტირე. ცოტა რომ დავწყნარდი, კიბის საფეხურებს დავაკვირდი და ვნახე, რომ გადახერხილი ყოფილა. მაშინვე მივხვდი, ილოს მეტი ამას არავინ გააკეთებდა... იმ საღამოს, ბებიაჩემი მეზობლებთან საჭორაოდ რომ წავიდა, ილოს დავუძახე, ღუმელი დამანთებინე-მეთქი. ნავთის ჭურჭელში ბენზინი ჩავასხი. როდესაც ნაკვერჩხალზე დაასხა, შიგნით შეიხედა და სული შეუბერა... ღუმელმა დაიქუხა, ილო შიშით უკან გადაყირავდა და ისეთი სანახავი იყო, სიტყვით გადმოცემა ძნელია: სახე ერთიანად გამურული ჰქონდა, თვალებს სასაცილოდ აჭყეტდა, თმა კი ერთიანად შეეტრუსა და კვამლი ასდიოდა... კარგა ხანი გავიდა,

ვიდრე თმა წამოეზარდა და მე შემირიგდა... ამ ერთი თვის წინ კი სიყვარულში გამომიტყდა... მგონი, მეც მიყვარს... ისე, დიდი სიამოვნებით დავაბრუნებდი იმ დღეს და მის მარცხზე ჩემს მეგობრებსაც ვახალისებდი...“

## „ახალი მანქანა ვუყიდე და ორი შვილიშვილიც „დავაჯახე“

„მე და ჩემს მეუღლეს სამი წელი გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მისი მშობლები აზრზე არ იყვნენ, ვინ იყო მათი ქალიშვილის რჩეული, თუმცა, ერთიც და მეორეც ძალზე კარგად მიცნობდა. ჩემი სიმამრი ჩემზე 13 წლით უფროსია, მე კი ჩემს მეუღლეზე 5 წლით ვარ დიდი. ერთხელ, ჩემმა მეგობრებმა საზღვარგარეთიდან 5 ათასი დოლარი გამომიგზავნეს. მაშინვე ბინა ვიყიდე – ისე, რომ ჩემმა მშობლებმაც არ იცოდნენ. დედისერთა ვარ, ბინაც მქონდა, მაგრამ დაოჯახების შემდეგ ცალკე ცხოვრება მქონდა გადაწყვეტილი. ჰოდა, რადგან ბინის პრობლემა მოვაგვარე, ახლა ცოლის მოყვანა დადგა დღის წესრიგში. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს სასიმამროს მანქანა ვთხოვე, მთელი დღით. უარი არ უთქვამს. მე კი კარგი „შტუკა“ გავუკეთე – საკუთარი მანქანით საკუთარი ქალიშვილი მოვტაცე. რაღას იზამდა? ადგა და მანქანაც და შვილიც სამუდამოდ დამიტოვა. ვალში არც მე დავრჩენილვარ. იმავე მარკის, უფრო ახალი მანქანა ვუყიდე და ორი შვილიშვილიც „დავაჯახე“. ვფიქრობ, გაახსენდება ეს ამბავი ჩემს სიმამრს, მე კი ვისურვებდი, რომ ეს ამბავი გამეორდეს. მამუკა“.

*ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯები“:*

## „პირველ კოცნაზე უტკბესი რა არის?“

„ძალიან მინდა, გამეორდეს 1997 წელი. არც კი ვიცი, რა დავარქვა ჩემს საქციელს, რომელსაც გამართლება არა აქვს. მე დავკარგე ის ადამიანი, რომელიც მიყვარდა, ახლაც მიყვარს და ალბათ ყოველთვის მეყვარება. მაშინ სამხედრო სავალდებულო სამსახურს ვიხდიდი ქუთაისში, როცა „ის“ გავიცანი. ის წლები უკან რომ დაბრუნდეს, მე ამ შეცდომას აღარ გავიმეორებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. არადა, ბევრი რამ შეიცვლებოდა ჩემს ცხოვრებაში. რეზო“.

„მინდა, გამეორდეს 2003 წლის ზაფხული, რათა სულელურად და უაზროდ დაშვებული შეცდომები გამოვასწორო. იმდენად ბევრი შეცდომა დავუშვი, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი ადამიანის, დედის ნდობა დავკარგე, რომელსაც ალბათ ვეღარასოდეს დავიბრუნებ. როგორ ფიქრობთ, ვის გამო? ერთი ჩვეულებრივი არამზადის, რომელსაც ახლა ვერ ვიტან, მაგრამ ამას ახლა არამც თუ დედა, არამედ არავინ დამიჯერებს. პატივისცემით, მარი, ბათუმი“.

„ძალიან მინდა, ის დღე გამეორდეს, ჩემს სიდედრს ფეხი რომ მოსტყდა. ჯერ იყო და... 5 თვე საავადმყოფოში იწვა, შემდეგ, მთელი წელი – შინ, შემდეგი ერთი წელი ყავარჯნებით დადიოდა და ჩვენთან მოსვლას ვერ ახერხებდა. მისი ვიზიტებისგან მთელი ორი წელი ვისვენებდი. უჰ! კიდევ ორი წელი მომცა ასეთი ბედნიერი! ვაჟა“.

„ერთხელ, ჩემთვის, დაღვრემილი მივდიოდი. ჩემს საყვარელ ადამიანზე ვფიქრობდი და მის ნახვას ვნატრობდი. თავი ავწიე და ამ ადამიანს პირისპირ შევეჩეხე. მისმა სევდიანმა თვალებმა უფრო დამატყვევა. ვიგრძენი, მასაც გაუხარდა ჩემი დანახვა. გახსოვს, გია? ძალიან მინდა, ეს დღე გამეორდეს. თამუნა“.

„ძალიან მინდა, ჩემი და ჯაბას ურთიერთობა გამეორდეს. მინდა, ისევ მითხრას, მიყვარხარ და სულ მეყვარებიო... და კიდევ, მინდა მასთან ჩახუტება... ჯაბა, მიყვარხარ. შენი ბუზღუნა კუსა“.

„პირველ კოცნაზე უტკბესი რა არის? სხვა რისი გამეორება უნდა ინატრო? ჩემი დათო პირველი და ერთადერთი მამაკაცია, ვისაც ჩემთვის უკოცნია. უკვე ერთი წელია, არ მინახავს და სულ იმ კოცნაზე ვფიქრობ. ახლა მალე ვნახავ და იმ კოცნას ისევ გავიმეორებთ, უფრო ვნებიანად. ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩემი სიცოცხლე ჩამოდის, მაგრამ მეტად გამიხარდება, თუ ის ადამიანი ამ სიტყვებს „გზის“ ფურცლებზე წაიკითხავს. ნატო“.

„მარი, ძალზე ვნერვიულობ, რადგან ჩემი უახლოესი მეგობარი, ორი წელია, მებუტება. ის დღე რომ გამეორდეს, როცა ვაწყენინე, იმავეს აღარ გავიმეორებდი. ზვიკუჩი, შევრიგდეთ“.

„მინდა, ის დღე გამეორდეს, როცა ჩემმა საყვარელმა ადამიანმა სერენადა მიმღერა და თოვლის გუნდებით ლამის ფანჯრები ჩამიმსხვრია, რომ ფანჯარაში გამეხედა. ბექა, მიყვარხარ. ნატო.“

„ვფიქრობ, იმ დღეს დავიბრუნებდი, როცა მე და „ის“ ჩახუტებულები ვალსს ვცეკვავდით. მართლაც დაუვიწყარი იყო. სოფო“.

„მარი, ამბის რა მოგახსენო, მაგრამ ბავშვობა რომ გამეორდეს, ნამდვილად მინდა. მიუხედავად იმისა, რომ 18 წლის ვარ, მენატრება გაფრენილი წლები და ძალიან მინდა, რომ გამეორდეს, რადგან ბევრი რამ ვისწავლე და ყველა დაშვებულ შეცდომას გამოვასწორებდი. თათა“.

„ჩემი ბედნიერი დღეები დასრულდა. ახლა კი მინდა, ლეპო დამიბრუნდეს, ისევ ერთად ვიყოთ და ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდეთ. ლეპო, მიყვარხარ და დაგელოდები. თუნდაც ამისთვის მთელი სიცოცხლე დამჭირდეს. არ ვარ მატყუარა. შენი „თოჯინა“.

„ოთხი წლის წინ ერთი ადამიანი მიყვარდა და ბედნიერი ვიყავი, მაგრამ დაგვაშორეს. მას ცოლი მოაყვანინეს. მე კი მარტო დავრჩი. მინდა, ისევ ერთად ვიყოთ. ცაცა“.

„რისი გამეორებაც მინდა, ეს სტუდენტობაა. ბევრი კარგი დღე მახსოვს, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა... ახლა კი შინ ვარ, უმუშევარი, მეგობრებს კი ტელეფონით ვეკონტაქტები. მოკითხვა სვანეთიდან“.

„ძალიან მინდა, გოჩას შევხვდე და ისევე, როგორც წინა შეხვედრისას, მთელი საღამო მასთან გავატარო. გოჩა, მენატრები. ნატა“.

„ძალიან მინდა, გიომ კიდევ მითხრას, რომ ვუყვარვარ, რადგან 7 თვეა, არ მინახავს. გიო, უზომოდ მიყვარხარ და მეყვარები. მარი“.

„მარი, მთელი გულით გთხოვ, ნორიოელ გიორგი ნიკოლიშვილს გააგებინე, რომ მიყვარს. ჩემო სიცოცხლევ, შენს თავს გეფიცები, სიგიჟემდე მიყვარხარ. ნორიოელი“.

„იცით, რა მინდა, გამეორდეს? როცა გიორგიმ მაკოცა, მაშინ ყველაზე ბედნიერი ვიყავი. მაგრამ დღეს ყველაზე უბედური ვარ. მინდა, თქვენი საშუალებით ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და ჩემი დაუფიქრებელი სიტყვები მაპატიოს. გიო, მიყვარხარ ძალიან და მენატრები უფრო ძალიან. ნატალი“.

*დღეს ამით ვამთავრებთ. მომდევნო „გზავნილების“ თემა იქნება: საპირველაპრილო ოინები. გვიამბეთ თქვენი უწყინარი ხუმრობების შესახებ. გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. „გზის“ მომდევნო ნომერი სწორედ პირველ აპრილს გამოდის, რომლის დადგომამდეც გემშვიდობებით.*

■



**თეატრის მოყვარულთათვის ალბათ ნაცნობი სპექტაკლებია — „ქალი ბველი“, „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“, რომლებშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ᲓᲐᲗᲝ ᲓᲐᲠᲩᲘᲐ ასრულებს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მსახიობისთვის უფრო მეტი პოპულარობა კინოსა და ტელევიზიას მოაქვს? სწორედ ამიტომ, დათო დარჩიაც სერიალის — „წვრილვარსკვლავთა ღამე“ — წყალობით გაცილებით მეტი მაყურებლისთვის გახდა ცნობილი.**

# შენდა გაიკეთოს თუ არა მსახიობმა როლისთვის მორფი...

*ნათია ქივიძე*

— **ვიდრე რუსთაველის თეატრში რემონტი მიმდინარეობს, ძირითადად, სად მოღვაწეობთ?**

— არსად. ჰაერში ვარ გამოკიდებული. ტელეკომპანია „მე-9 არხზე“ მულტფილმებს ვახმოვანებ. შეიძლება ტელეწამყვანადაც მოგევლინოთ. ეს იქნება დილის გასართობი გადაცემა, თუმცა ჯერჯერობით, მხოლოდ პროექტის დონეზეა. ამ დღეებში ჩავწერეთ საცდელი გადაცემა. ვნახოთ, რა გამოვა. გადაცემაში შოუბიზნესის მოვლენებს გავაშუქებ, რომელიც პირადად მე, პოლიტიკაზე მეტად მაინტერესებს.

— **როდის დაბრუნდებით თეატრის შენობაში?**

— ალბათ ნოემბერში. ყოველ შემთხვევაში, ასე გვპირდებიან. პირველი პრემიერა „ვეფხისტყაოსანი“ იქნება. ჯერ არ ვიცი, რა როლს ვითამაშებ ამ სპექტაკლში. რეპეტიციებს ზაფხულიდან დავიწყებთ.

— **ახლა უშუალოდ თქვენს შემოქმედებაზე ვისაუბროთ. როდესაც ახალ როლს შემოგთავაზებენ, რით იწყებთ მის მომზადებას?**

— რა ვიცი, ამისთვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. არიან მსახიობები, რომლებიც გიჟის როლის შესრულების წინ, საგიჟეთში მიდიან. მე ამ ყველაფერს მსგავსი რაღაცების გარეშე, უბრალოდ ვაკეთებ; გიჟებთან არანაირი კონტაქტი არ მჭირდება, რადგან დღეს, თითქმის ყველა გიჟია... არც იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელიც როლის მიღებისთანავე, სცენარს ჩაუჯდება ხოლმე. ამ ყველაფერს „ლაითად“ ვეკიდები. როცა სპექტაკლის რეპეტიციები თითქმის დამთავრებულია, მხოლოდ მერე ვიწყებ ფიქრს იმაზე, თუ რა უნდოდა ეთქვა ჩემს გმირს. საერთოდ, გაკეთებულის გადაკეთება უფრო იოლია. ვთქვათ, ვთამაშობ ჰამლეტს. რა უნდა ვქნა? სინამდვილეში ხომ არ ვიცი, ის ვინ იყო?! იქნებ, შექსპირი გვატყუებდა?.. ამიტომ ყოველთვის საკუთარ თავს ვთამაშობ და ჩემი აზრით, ყველა მსახიობი ასე იქცევა. მორფინისტის როლის შესრულების წინ, წამლის კეთებას ხომ არ დავიწყებ?! მსახიობმა ისე უნდა ითამაშოს, როგორც იმ კონკრეტულ მომენტში ჩათვლის საჭიროდ.

— **მაგრამ გარდასახვა ხომ მაინც ხდება. თქვენში როდის ხდება ეს პროცესი — კულისებში თუ უკვე სცენაზე გასვლის შემდეგ?**

— გარდასახვა მხოლოდ სცენაზე ხდება, რადგან იმ როლს იქ ვთამაშობ. ისე, მეც, თქვენც და ყველა სხვა ადამიანი ცხოვრებისეულ თამაშს ვთამაშობთ...

— **თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც როლიდან გამოსვლა გაგჭირვებიათ?**

— არასოდეს გამჭირვებია. შეიძლება, როლიდან რაღაც გამომყვეს — ვთქვათ, მეფე ვითამაშე და მერე, გარკვეული პერიოდით, მბრძანებლური ტონი გამომყვეს. მაგრამ ძირითადად, როგორც კი როლის თამაშს დავასრულებ, მაშინვე გამოვდივარ იმ სამყაროდან.

— **თუ შეგიძლიათ დამისახელოთ როლი, რომელიც განსაკუთრებით მოერგო თქვენს სულიერ სამყაროს?**

— ვერ დავაკონკრეტებ. ვცდილობ, ყველა როლს ჩემებურად მოვეკიდო. ჩემი როლებიდან ვერ გამოვყოფ ვერც ერთს, თუმცა, ყველაფერი შედარებითია და მაინც, გიოს გამოვყოფ, რომელიც სპექტაკლში – „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ – ვითამაშე. მარტის შუა რიცხვებში გამოვა სერიალი, სადაც საინტერესო როლს – ბანდიტს ვთამაშობ. საერთოდ, არა აქვს მნიშვნელობა იმას, მთავარ როლს ვითამაშებ თუ ეპიზოდურს – ყველას ერთნაირი სიყვარულით ვეკიდები. ვცდილობ, ყველა ჩემი პერსონაჟი – თუნდაც ის გასული საუკუნეების ადამიანი იყოს, დღევანდელობას დავუკავშირო.

— **საოცნებო როლი თუ გაქვთ?**

— მე პროფესიონალი მსახიობი ვარ და რასაც შემომთავაზებენ, ის უნდა ვითამაშო. კინოროლზე შეიძლება ვთქვა უარი, მაგრამ თეატრში ამის უფლება არა მაქვს, რადგან იქ ყველანი ხელშეკრულებით ვმუშაობთ.

— **რომელიმე როლის შესრულებაზე თუ გითქვამთ უარი და რა მიზეზით?**

— კი, მითქვამს. ალბათ რაღაც არ მომეწონა. ახალგაზრდობაში, ოღონდ რამე მეთამაშა და უარს რა მათქმევინებდა?! ახლა კი, ბევრ რამეს ვითვალისწინებ. მაგალითად, შეიძლება, სათანადო ანაზღაურება არ შემომთავაზონ და ამიტომ ვთქვა უარი.

— **საინტერესოა, საერთოდ რა აზრის ხართ სერიალებზე?**

| სამიკიტნოს პატრონი და დახლიდარი | იაპონური ავტომანქანა „...-პატრული“ | რუს გოგონათა საესტრადო დუეტი | „... კატა, მაგიდაზე ახტა, გადმოაგდო ვაზა, ბებო გააბრაზა“ | ფრანგი ფერმწერი ამადეო ... | ოინ... | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თაგუნია ... მაუსი | მთრიმლავი ნივთიერება | თოვლის ბაბუა, იგივე ...-კლაუსი | მოსაპირკეთებელი ქვა | ჰაერით გავრცელებული არომატი | „მზეო, ..., ..., ნუ ეფარები გორასა“ | მსახიობი ... ელიავა | რაიმეზე და... ბული გადა... |



ვცდილობ, ყველა ჩემი პერსონაჟი — თუნდაც ის გასული საუკუნეების ადამიანი იყოს, დღევანდელობას დავუკავშირო

— პირველი სერიალი, რომელიც საქართველოში გაუშვეს ტელეეთერში, იყო „მონა იზაურა", რომლის ერთი სერია ვნახე და ძალიან დაბალი დონის მომეჩვენა. ახლანდელ სერიალებში კი, კინოვარსკვლავები თამაშობენ, ისე განვითარდა ეს ჟანრი. ზოგიერთი სერიალი მომწონს და როცა დრო მაქვს, ვუყურებ. რაც შეეხება ქართულ სერიალებს, ჩვენთვის ეს მაინც ახალი ხილია და გამოცდის ეტაპზეა. კბილი ხომ უნდა მოვუსინჯოთ იმას, თუ რას წარმოადგენს სერიალი?! მაგრამ ამ დროს, მაქსიმალურად უნდა გამოიყენო შენი შესაძლებლობები და გულგრილად არ უნდა მიუდგე. ერთ ჩვენს სერიალში ისეთი კადრები ვნახე, რომ ცუდად გავხდი. წელანაც აღვნიშნე — მარტის შუა რიცხვებში „იმედის" ეთერში ლევან ერისთავის ახალი სერიალი — „თენდება გვიან" დაიწყება. იმედი მაქვს, კარგი გამოვა, თორემ ვიტყვი — მე არ ვთამაშობ, გეშლებათ-მეთქი... ამ სერიალს სამუშაო სათაურად „კანონის სახელით" ერქვა, მაგრამ რატომღაც შეცვალეს. სულ 12 სერია იქნება.

— **„წვრილვარსკვლავთა ღამემ" დიდი პოპულარობა მოგიტანათ. რას იტყვით ამ სერიალზე?**

— ეს პირველი სერიალი იყო ჩემთვის. დაუფიქრებლად დავთანხმდი.

— **ის მგონი, დაუსრულებელი დარჩა...**

— მართალია. სულ ცოტა, 75-სერიიანი პროექტი იყო. საქმე აირია და ისე დამთავრდა, რომ არც აქეთაა, არც — იქით. ვერ გეტყვით, რა მოხდა. ვფიქრობ, გაგრძელება არ უწერია.

— **თავად თქვენს გმირზე რას იტყვით, რომელიც ქალის მარიონეტი იყო?**

— თავიდან სხვა როლს ვასრულებდი, მაგრამ მერე, მსახიობები შეიცვალნენ და მთელი დატვირთვა ჩემზე გადმოვიდა. რა ვიცი, ხალხმა განსაჯოს, როგორ ვითამაშე, თორემ, მე ყველა ჩემს როლს დადებითად ვაფასებ, რადგან დათო დარჩია ვარ და ყველა როლს მთელი სულითა და გულით ვეკიდები. რაც შეეხება ამ გმირს — რა ვქნათ, ეს დღევანდელი ყოფაა: იმ ქალს ბევრი ფული და ბევრი პრობლემა აქვს, რის გამოც მარტოხელა კაცს სთხოვს დახმარებას. ვამართლებ ამ კაცს. დღეს ვილაცამ რომ მითხრას — ორმოცდახუთი მილიონი მაქვს, რაღაც პრობლემის გადაწყვეტაში დამეხმარე და რასაც გინდა, იმას შეგისრულებო, არ დავთანხმდებოდი?..

— **დათანხმდებოდით?**

— მარტო რომ ვცხოვრობდე, ალბათ ვიფიქრებდი და მსგავს შემოთავაზებაზე დავთანხმდებოდი, მაგრამ ოჯახი მაქვს და ამიტომ შეიძლება უარი მეთქვა...

— **ახლა თუ გაქვთ შემოთავაზება რაიმე კინოროლზე?**

— არა, ძირითადად, კლიპებზე ვმუშაობ. შეიძლება, სულ ცოტა ხანში, კლიპის გადაღებაზე აფხაზეთშიც მოვხვდე. ამ კლიპს გაგრაში გადაიღებს რეჟისორი გიორგი კიკალეიშვილი (კიკალა). ოღონდ არ მკითხო, ვინ იმღერებს, რადგან ჯერ არ ვიცი. ის ბიჭი გაგრიდან არის და კიკალა შემპირდა, გაგაცნობო. სოჭიდან ცისფერჩაფხუტიანები გადაგვიყვანენ გაგრაში. რომ იცოდე, ეს სახიფათო საქმეა...

— **ისიც სახიფათო არ იყო, სოსო ჯაჭვლიანმა კლიპის გადაღების დროს ხანჯლით რომ დაგჭრათ?**

— სოსო დევივით კაცია, თან ხმალს ისე ენერგიულად იქნევს, მხოლოდ ჩემთვის კი არა, ყველასთვის სახიფათო იქნებოდა. ძალა ერჩის და რა ქნას?! ბოლოს და ბოლოს, სვანია, თან — მსოფლიო ჩემპიონია მკლავჭიდში! მსგავსი სახიფათო როლები იცი, რამდენჯერ შემისრულებია? ხან ცხენიდან ვვარდები, ხან ტყეში, ხევში ვიჩეხები ხოლმე...

— **რით არის თქვენთვის საინტერესო კლიპში გადაღება?**

— სიმართლე გითხრა?

— **ხომ მითხარით — ყოველთვის სიმართლეს ვამბობო?!**

— რა თქმა უნდა! კლიპში გადაღებაზე შემოსავლის გამო ვთანხმდები. იქ სულ ორი დღე ვარ დაკავებული. ჰოდა, ორ დღეში გარკვეულ თანხას რომ გადაგიხდიან, ამას რა სჯობს?! ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ეს კლიპი ჯეიმს ბრაუნის სიმღერაზე იქნება გადაღებული თუ ნინი ქარსელაძის სიმღერაზე. სწრაფი და შემოსავლიანი საქმეა... აი, იმ კლიპით კი, რომელზეც წელან გითხარით, გვინდა, აფხაზეთთან შერიგებას შევუწყოთ ხელი. ამ შემთხვევაში, ფულზე ნაკლებად ვამახვილებთ ყურადღებას. წარმოიდგინეთ — შეიძლება, სამუდამოდ შევრიგდეთ, მერე კი, ხალხი, როგორც ამ შერიგების ერთ-ერთ ორგანიზატორს, ყოველთვის გამიხსენებს...

— **რას ნიშნავს თქვენთვის პოპულარობა?**

— ფულს *(იცინის)*... მხოლოდ მე კი არა — ყველა ასე ფიქრობს. არ არსებობს ადამიანი, ვისაც ყურადღება არ სიამოვნებს, მაგრამ ძირითადი დატვირთვა მაინც ფულზეა.

— **თეატრალურში როცა აბარებდით, მაშინაც ფულზე ფიქრობდით?**

— ფულზე ფიქრი ჩემი ცხოვრების მეორე ეტაპია, რადგან წინა პლანზე ოჯახი მყავს დაყენებული... არ ვიცი თეატრალურში რატომ ჩავაბარე. უბრალოდ, ეს პროფესია ძალიან მომწონდა და გადავწყვიტე, ჩემი შესაძლებლობები მაყურებლისთვის დამენახვებინა. ჩემი თამაშით ხალხს რომ ვასიამოვნებ, მსახიობმა ამაზე მეტი სიკეთე რა უნდა გააკეთოს?! ამიტომ ვუყვარვართ ყველას. მეეჭვება, კორუმპირებული პოლიტიკოსი ხალხს უყვარდეს. ცხონებული ბაბუაჩემი მეტყობა ხოლმე: ბაბუ, არ დეიჯერო, რომ მთავრობა ხალხიზა იქნება, არ არსებობს ასეთი მთავრობა, რადგან ის ყოველთვის მისიზა და მისიანებიზა იქნებაო. ასე დამარიგა წლების წინ ჩემმა გურულმა ბაბუამ და ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ. ■



აი, იმ კლიპით კი, რომელზეც წელან გითხარით, გვინდა, აფხაზეთთან შერიგებას შევუწყოთ ხელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...კობა | ერთი პირის მიერ წარმოთქმული ტექსტი სცენაზე | ფეთქებადი ნივთიერება | საქონელს აქვს ნეტო ბრუტო და ... | სასტუმრო ოთახის სახელი დას. საქართველოში | პალმის ჯიში | სამზარეულო ჭურჭელი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონური ეროვნული სამოსი | ლოპესი ანუ ჯეი ... | ექსკურსიამძღოლი | ცვარი | ყვავილი | ურდული | დიდი ტალახი | სერიალი პეტა უილსონის მონაწილეობით | გამის ნოტი |

# რვა მომაკვდინებელი ცოდვის შესახებ

**წმინდა მამები მიუთითებენ რვა მომაკვდინებელ ცოდვაზე — „ჩვენი სულის რვა მთავარ ქრილობაზე, რვა ჩირქოვან წყლულზე, რომლებიც წამლავენ ჩვენს სულს; რვა გზაზე, რომელთაც ჯოჯოხეთში მივყავართ. ეს ცოდვებია: ამპარტავნება; ნაყროვანება; სიძვა; ვერცხლისმოყვარეობა ანუ ანგარება; მრისხანება; მოწყენილობა; სასოწარკვეთილება და ცუდმედიდობა“. ამ მომაკვდინებელ ცოდვებთან დაკავშირებულ საკითხებს წმინდა მამათა სწავლებების მიხედვით მიმოვიხილავთ.**

*შორენა მერკვილაძე*

*ამპარტავნება* — ეკლესიური სწავლებით, ცოდვათა ცოდვად ითვლება ამპარტავნება ანუ საკუთარი თავის ყველაზე მაღლა დაყენება; კადნიერება; თავდაჯერება; სხვათა დაცინვა და გაკვირვება საკუთარი თავით; ამპარტავანი ადამიანი, იმედს ამყარებს არა ღმერთის მოწყალებაზე, არამედ თავის საკუთარ ძალებზე. ამპარტავნების ცოდვაში მყოფმა ადამიანმა, შესაძლოა, ხშირად კეთილი საქმეებიც აკეთოს, მაგრამ ამას სჩადის არა ღმერთისთვის, არამედ სხვათა დასანახავად: „ამპარტავნება დედაა ყველა ვნებისა და ცოდვისა, ისე არაფერი განაშორებს ადამიანს ღმერთისგან, როგორც ამპარტავნება. ამ ვნების მზაკვრობა იმდენად მრავალფეროვანია, რომ თითქმის შეუძლებელია მისი ყველა ხერხის ამოცნობა“ — განმარტავს არქიმანდრიტი ლაზარე.

წმინდა მამათა სწავლებით, ამპარტავნების სახეცვლილებებია — პატივმოყვარეობა და გულზვიადობა; პატივმოყვარეობაა, როდესაც ადამიანი კმაყოფილია ღვთისგან ბოძებული დროებითი სიკეთით (სილამაზით, სიმდიდრით, გავლენით და სხვა) და ავიწყდება, რომ ეს ყოველივე წარმავალია. გულზვიადობა კი, ამპარტავნების უმაღლესი გამოხატულებაა, რომელიც ხშირად, უნებლიეთ ვლინდება გარეგან ნიშნებში: მედიდურად გამოხედვა, მაღლა შემართული, თავაწეული სიარული და ა.შ.

ამასთანავე ამპარტავნება ისეთი ცოდვაა, რომელიც ისე აშკარად არ ჩანს, როგორც, დავუშვათ, მრუშობა ან კაცის კვლა. შესაბამისად ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ ამპარტავნების მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის... წმინდა მამათა სწავლების თანახმად, ამპარტავნებას უნდა ვუწამლოთ სიმდაბლით, რომელსაც ერთბაშად თუ არა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივაღწიოთ.

*ნაყროვანება* — წმინდა ეპისკოპოს ეგნატე ბრიანჩანინოვის სწავლებით, ადამიანს ნაყროვანების ცოდვად ეთვლება: ზომაზე მეტად დანაყრება, გემოთმოყვარეობა (განსაკუთრებით გემრიელი საკვებით გატაცება), მემთვრალეობა, მარხვის დაუცველობა და მარხვის გატეხა, ფარულად ჭამა, უდროო დროს ტრაპეზობა: ასევე ისეთი საკვების მიღება, რომელიც მავნებელია ჯანმრთელობისთვის. „საკვები იმისათვის გვეძლევა, რომ განვამტკიცოთ ჩვენი სხეული და არა იმისათვის, რომ გავანადგუროთ იგი“, — ბრძანებს ბასილი დიდი. ზომაზე მეტად დანაყრებული ადამიანი ვერ მოახერხებს, შეიძინოს სულიერი სარგებელი.

ნაყროვანების ცოდვაში რომ არ ჩავვარდეთ, წმინდა მამები გვირჩევენ, დავადგინოთ, თუ რა რაოდენობის საკვები უნდა მივიღოთ: „აიღე იმდენი, რამდენსაც მიირთმევ კარგად დანაყრებამდე, გაყავი იგი სამ ნაწილად და მიირთვი ორი ნაწილი“, — ამ გზით, ადამიანს გაუადვილდება ის, რომ შეიკავოს თავი ზომაზე მეტი საკვების მიღებისგან. ზოგიერთი წმინდა მამა კი გვირჩევს, რომ ტრაპეზის დაწყების წინ, ვილოცოთ უფლის მიმართ, შემწეობა ვთხოვოთ ღმერთს, რათა განგვარიდოს ნაყროვანების ცოდვას და სუფრიდან ავდგეთ მაშინ, როდესაც შიმშილს მოვიკლავთ.

ნაყროვანების ცოდვის საპირისპირო სათნოებად ითვლება აკრძალულობა — ზედმეტი ჭამა-სმის, განსაკუთრებით ზედმეტი ღვინის სმისგან თავის შეკავება, ეკლესიის მიერ დაწესებული მარხვების დაცვა და სხვა.

*სიძვა* — სიძვა არის გაუთხოვარი ქალისა და დაუქორწინებელი მამაკაცის ხორციელი კავშირი. ოჯახის სიწმინდის ღალატს კი, მრუშობა ჰქვია. არსებობს ასევე სიძვის ცოდვის არაბუნებრივი ფორმები — ჩუკენობა (ონანიზმი), მამათმავლობა, ლესბოსელობა, პირუტყვთან დაცემა; ნათესავებს შორის ხორციელი კავშირი, რასაც სოდომურ ცოდვას უწოდებენ. გარდა ამისა, ადამიანს სიძვის ცოდვად ეთვლება ბილწსიტყვაობა, ეროტიკული ფილმებით და ლიტერატურით გატაცება და სხვა.

სიძვის ცოდვის საპირისპირო სათნოებად ითვლება უბიწოება — ვნებიანი საუბრებისა და ლიტერატურის კითხვისგან თავის შეკავება; სიძვისეული აზრებისა და ოცნებების უარყოფა; სიკვდილისა და ჯოჯოხეთის ხსოვნა: „დასაწყისი უბიწოებისა არის გონების შეუძვრელობა სიძვის აზრებისა და ოცნებებისაგან, სისრულე კი — ღმერთის მხედველი სიწმინდე“ — წერს წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი.

*ვერცხლისმოყვარეობა* — ვერცხლისმოყვარეობას ხშირად, ანგარებასაც უწოდებენ: „ვერცხლისმოყვარეობა — ეს არის სწრაფვა სიმდიდრისკენ, ძლიერი სურვილი იმისა, რომ შევიძინოთ სიმდიდრე, განსაკუთრებით ყოველგვარი სიმდიდრის წარმომადგენელი — ფული“ (წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი). ეგნატე ბრიანჩანინოვის სწავლებით, ადამიანს ვერცხლისმოყვარეობის ცოდვად ეთვლება: საერთოდ ფულისა და უძრავმოძრავი ქონების ძლიერი სიყვარული; გამდიდრების სურვილი; გამდიდრების გზებზე ფიქრი; ოცნება სიმდიდრეზე; სიძუნწე; ანგარება. ვერცხლისმოყვარეობით შეპყრობილი კაცი არ ენდობა ღმერთს, არ ამყარებს მასზე სასოებას. ვერცხლისმოყვარეობის ცოდვად ითვლება ასევე საჩუქრების სიყვარული; სხვისი ქონების მითვისება; მევახშეობა; ძარცვა; გლეჯა. სიმდიდრისკენ სწრაფვა შეიძლება ფარულიც იყოს: დავუშვათ, ვჩუქნით ვინმეს რაიმეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მან შესაძლოა, უფრო დიდი ღირებულების საჩუქარი მოგვიძღვნას; ან ბავშვს ვანათვლინებთ ისეთ ადამიანს, რომელსაც მატერიალური შესაძლებლობა აქვს — მდიდარი და გავლენიანია. ვერცხლისმოყვარეობა ხშირად, შობს სიხარბეს, სიძუნწეს. იუდა, რომელიც მაცხოვრის ყველა სასწაულს საკუთარი თვალით ხედავდა, ვერცხლისმოყვარეობამ ქრისტეს მკვლელად აქცია — მან ხომ ოცდაათი ვერცხლის გულისთვის გასცა მაცხოვარი. იოანე ოქროპირი წერს: „ეშმაკეულით შეპყრობილ ათას კაცთან მიჯობს საქმის დაჭერა, ვიდრე ერთ ვერცხლისმოყვარესთან, რადგანაც არც ერთ ეშმაკეულით შეპყრობილს არ გაუკეთებია ის, რაც გააკეთა იუდამ ფულის გულისთვის“.

ვერცხლისმოყვარეობის ცოდვის საპირისპირო სათნოებად ითვლება უპოვარობა — მხოლოდ აუცილებლით დაკმაყოფილება, ფუფუნებისა და განცხრომის მოძულება; ღმერთის განგებაზე სასოების დამყარება და სხვა.

*მრისხანება* — ადამიანს მრისხანების ცოდვად ეთვლება: სიფიცხე; უჯერო ყვირილი; კამათი; ლანძღვა-გინება; სასტიკი და გესლიანი სიტყვები; ხელის კვრა; სიძულვილი; მტრობა; შურისძიება; გალიზიანება; წყევლა და სხვა.

თეოდორე სტუდიელი, მრისხანებას უწოდებს ველურ ურთიერთობებს ადამიანებს შორის. მრისხანებას ხშირად მივყავართ მძვინვარებამდე, ზოგჯერ კი — გა-

ცოფებამდე. ასეთ დროს ადამიანს იმდენად იპყრობს ეშმაკი, რომ მზადაა, ყველაფერი გაანადგუროს, ადამიანიც კი მოკლას.

მრისხანების საპირისპირო სათნოებად ითვლება სიმშვიდე. წმინდა მამები გვირჩევენ – როდესაც ადამიანზე ვბრაზდებით, გავიხსენოთ ის სიკეთე, რომელიც მას ჩვენთვის გაუკეთებია, ვიფიქროთ ჩვენს სისუსტეებსა და ცოდვებზე და ვეცადოთ, გულში ვილოცოთ მასზე, ვინც გვაწყენინა. ასეთი გზით ადვილად მოვახერხებთ სიმშვიდის შენარჩუნებას.

*მოწყენილობა* – მოწყენილობას და გადაღლას ხშირად, ისეთი ვნებები ბადებს, როგორიცაა: ნაყროვანება, ვერცხლისმოყვარეობა, მრისხანება, სიძვა; იშოვა ადამიანმა ფული, დანაყრდა, მოსწყინდა მრუშობა, დაიღალა და მოიწყინა... ადამიანს, რომელსაც მოწყენილობა ეუფლება, აღარაფერი უხარია, რადგან მის სულში ადგილი აღარ დარჩა სულიწმიდისათვის. მას ავიწყდება ღმერთის არსებობა, ავიწყდება, რომ უფალი ყოველგვარ განსაცდელში შეგვეწევა. წმინდა მამები ბრძანებენ: არ შეიძლება ადამიანი იყოს მოწყენილი, როდესაც იცის, რომ არსებობს ღმერთი; მოწყენილობიდან სასოწარკვეთილებამდე ერთი ნაბიჯია. სასოწარკვეთილებაში მყოფ ადამიანთა დიდი ნაწილი კი, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს, რადგან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ჰგონია, რომ ყველაფერი დასრულდა და საშველი არსაიდანაა. მას ავიწყდება მთავარი – ღმერთის არსებობა! ასეთმა ადამიანმა არ იცის, რომ ღვთის განსაცდელის დამთმენნი სამუდამო სასუფეველს იმკვიდრებენ.

წმინდა მამები გვირჩევენ, რომ მოწყენილობის ჟამს, განუწყვეტლივ ვიმეოროთ ,,იესოს ლოცვა“ და ვიკითხოთ ,,ფსალმუნები“. მთავარია, ასეთ დროს, როგორმე ვძლიოთ ჩვენს თავს და მივიდეთ ეკლესიაში, ვესაუბროთ მოძღვარს, მერე კი, უფალი გვიჩვენებს ყველა გზას, რომლითაც სატანა დაიძლევა და განიდევნება ჩვენგან.

*ცუდმედიდობა* – წმინდა ეპისკოპოს ეგნატე ბრიანჩანინოვის სწავლებით, ადამიანს ცუდმედიდობის ცოდვად ეთვლება: კაცობრივი დიდების წყურვილი; თავის ქება; საკუთარი სილამაზით თუ სხვა ხორციელი თვისებებით ტკბობა. ცუდმედიდობაა, როდესაც ადამიანს ეუხერხულება საკუთარი ცოდვების აღიარება და არ ინანიებს მათ. ცუდმედიდობაა აგრეთვე, თავის მართლება; ფარისევლობა; მლიქვნელობა; შური; მოყვასის შეურაცხყოფა; ხასიათის ცვალებადობა; ეშმაკისეული ხასიათი და ცხოვრება.

წმინდა მამები, ცუდმედიდობის საპირისპირო სათნოებებად ასახელებენ სიმდაბლეს და სიყვარულს.

■



# მარიამ ციციშვილი – უკანასკნელი დედოფალი, 9 შვილის დედინაცვალი და კაცის მკვლელის იარლიყით დაღდასმული ემიგრანტი

**...ქართლ-კახეთის უკანასაკნელი დედოფლის საწოლ ოთახში შესული გენერალი ივან ლაზარევი უკან მკვდარი გამოიტანეს... ამ ამბავმა იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. თანამედროვეთა ერთმა ნაწილმა მარიამ ციციშვილი კაცის მკვლელად და ფსიქიკაშერყეულ ადამიანად შერაცხა, მეორე ნაწილმა კი — გმირად გამოაცხადა...**

*ნათია ფსუტური*

მარიამ ციციშვილი თავადების – ელენე გურამიშვილისა და სარდალ გიორგი ციციშვილის შვილი გახლდათ. 1782 წ. მშვენიერებით ქალთა შორის ბრწყინვალე თავადის ასული ცოლად შეირთო გიორგი ბატონიშვილმა (ერეკლე მეორის ძე). ახალგაზრდა წყვილმა, მეფე ერეკლეს კურთხევით, თბილისში იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი. მათი ქორწილი სამეფო კარისათვის დამახასიათებელ პომპეზურობას მოკლებული გახლდათ. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის გადმოცემით: ,,არა გამოჩენილი ქორწილი მეფის ძისა მოითხოვდა, რათა არა გამოჩენილადცა ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახალისა რძლისა“. ბაგრატიონთა სასახლეში მარიამ ციციშვილის უხმაურო და მიჩუმათებული მიღების მიზეზი კი, იმავე ისტორიკოსის თქმით, გიორგი ბატონიშვილის მეორედ ქორწინების საკითხისადმი ქართველ წარჩინებულთა უმეტესი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება იყო. საქმე ის გახლდათ, რომ გიორგიმ თავისი პირველი თანამეცხედრის – პაპუნა ანდრონიკაშვილის ასულის, ქეთევანის გარდაცვალებიდან 40 დღის გასვლისთანავე შეირთო მარიამ ციციშვილი. მემატიანე გადმოგვცემს: ,,...დიდად ზრახვიდენ მეფისა ძესა ესეთისა დაშურებისა და აჩქარებისათვის. ყოველგნით ჰგმობდენ უგრძნობელობისათვის, რომელ დაკარგა ცოლი პირველი მხნე და გონიერი, და დამბადებელი ძეთა და ასულთა და არა იგლოვა საკმაოდ...“

ბაგრატიონთა სასახლეში რძლად შესულ 14 წლის მარიამ ციციშვილს დარბაისელი და ჭკვიანი ქეთევან ანდრონიკაშვილის ადგილი უნდა დაეკავებინა. სრულიად ახალგაზრდა ასულისათვის ეს არცთუ ისე იოლი საქმე გახლდათ. მაგრამ სამეფო სახლი ხომ უმაღლესი და უკეთილშობილესი სკოლაც იყო ასეთი ნორჩი და გამოუცდელი ქალისათვის?!. მარიამმაც მალე შეითვისა სასახლეში დამკვიდრებული წესები და სულ მოკლე ხანში, ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანი გახდა. მეფე და მასთან დაახლოებულ წარჩინებულთა წრე განსაკუთრებით აფასებდა იმ მზრუნველობას, რომელსაც დედინაცვალი ცხრა(!) გერის მიმართ იჩენდა...


მარიამ ციციშვილი

ლაღი და ბედნიერი იყო მარიამის რძლობის პირველი წლები, მიუხედავად

იმისა, რომ ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ. სამეფოსა და ოჯახის მცველად ჯერ კვლავ ძლიერი მეფე ერეკლე II იდგა. ქართლ-კახეთის მმართველობის უმძიმესი უღელიც ძირითადად, მის მხრებს ეყრდნობოდა. 1798 წლის 11 იანვარს, ერეკლე II გარდაიცვალა, ტახტზე ქვეყნისათვის ამ უმძიმეს ხანაში, მამაზე გაცილებით სუსტი გიორგი ავიდა...

გიორგი მეფესა და მარიამ დედოფალს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგოთ: გაპარტახებული მეურნეობა, საუფლისწულოებად დაქუცმაცებული, შინაშუღლში გახვეული სამეფო, მწირი ხაზინა... ყოველივე ამას ზედ დაერთო გულმოცემული მტრები — ოსმალეთი და სპარსეთი და მათგან გაგულისებული ლეკები და ახალციხის საფაშო. ასეთ ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი სამეფოს წინამძღოლთ ისღა დარჩენოდათ, რომ ერეკლე მეორის მიერ გაკვალულ, რუსეთზე ორიენტირებულ კურსს დასდგომოდნენ. გიორგი მეფესა და მარიამ დედოფალს ქვეყნის შემდგომი განვითარების ერთადერთ საშუალებად ჩრდილოელ მეზობელთან კავშირის განმტკიცება და მაჰმადიანური სამყაროს გავლენისგან გათავისუფლება მიაჩნდათ.

დიდი იმპერია კი თავის ჭეშმარიტ ზრახვებს საგულდაგულოდ მალავდა და დასახული მიზნების მისაღწევად ხელსაყრელ დროს ელოდა. დროს, რომელიც მის სასარგებლოდ მუშაობდა...

მეფე-დედოფალი სამეფოს წინაშე არსებული საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებდა. გიორგი თანახმა იყო, თუნდაც თავისი სუვერენული უფლებების შეზღუდვის ხარჯზე, რუსეთისაგან სამხედრო და ფინანსური დახმარება მიეღო. თავის მხრივ, საიმპერატორო კარს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქართლ-კახეთის რეალური მდგომარეობა. ჩრდილოელი ქრისტიანი ქვეყნის მესვეურებმა იცოდნენ, რომ ჯანმრთელობაშერყეულ მეფეს სახელმწიფო საქმეთა სრულად გაძღოლის უნარი არ ჰქონდა.

გიორგი მეთორმეტის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. მარიამ დედოფალი თანამეცხედრეს გვერდიდან არ შორდებოდა, მოვლასა და მზრუნველობას არ აკლებდა. მისი გული მწუხრის მოახლოების მტანჯველ გრძნობას შეეპყრო. ჭეშმარიტად მორწმუნე, ღვთისმოშიში დედოფალი ყოველ დილით შესთხოვდა უფალს სნეული მეფის განკურნებას. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის თქმით, „დედოფალი მარიამ მხლებლებითა თვისითა ფეხშიშველი ვიდოდა ანჩისხატისა ეკლესიასა და წინაშე ხელთუქმელისა ხატისა დაჩოქვითა, ცხარითა ცრემლთა დინებითა... ევედრებოდა ღმერთს განეგრძოს დღე მეფისა...“

ავადმყოფობით დაუძლურებულ მეფეს საიმპერატორო კარი ვერაგულ მახეს უმზადებდა. პავლე პირველს კავკასიის ხაზზე მართლაც, შემოჰყავდა ჯარი, მაგრამ რუსეთის სამხედრო ნაწილები ქართველი მეფისთვის დახმარების გაწევას კი არ აპირებდნენ — მათ საიდუმლო დავალება ჰქონდათ მიღებული: გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემთხვევაში, ყოველი ღონე ეხმარათ, რათა დავით ბატონიშვილი (გიორგი მეთორმეტის ძე — ტახტის მემკვიდრე) მეფედ არ გამოცხადებულიყო. მარიამ დედოფალი ანგარიშგასაწევადაც არ მიაჩნდათ.

იმ იმედით, რომ გიორგი მეთორმეტის სიცოცხლის საათები იწურებოდა, რუსეთის იმპერატორმა მეფის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1800 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს, გუბერნიის უფლებით რუსეთთან შეერთების მანიფესტი გამოაქვეყნა. ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე — დავით ბატონიშვილი და ფაქტობრივად უკვე ცალუღლად დარჩენილი მარიამი არავის გახსენებია. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფე გიორგი გარდაიცვალა.

გამჭრიახი დედოფლისათვის ნათელი იყო, რომ სანამ მეფის ნეშტს მიწას არ მიაბარებდნენ, სამეფო გაუქმებულად ვერ ჩაითვლებოდა. ამიტომ მარიამ ციციშვილმა, სხვადასხვა მიზეზის მოშველიებით, მრავალჯერ გადადო თანამეცხედრის დაკრძალვა. გიორგი XII 1801 წლის 20 თებერვალს დაიკრძალა მცხეთაში, ბაგრატიონთა საგვარეულო სავანეში. მაგრამ არც პავლე პირველს დასცალდა 1800 წლის მანიფესტის განხორციელება: ის სასახლის შეთქმულების მსხვერპლი გახდა...

1801 წლის 12 სექტემბერს, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველოს რუსეთთან შეერთების ახალი, ვრცელი მანიფესტი გამოაქვეყნა. ის დაგვიანებით — მომდევნო წლის 12 აპრილს გამოცხადდა თბილისში, სიონის ტაძარში მოწვეულ ქართველ წარჩინებულთა კრებაზე. ამ შემზარავ მოვლენას გიორგი მეფის ჯალაბობაც დაასწრეს. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს, სიონი გარშემორტყმული იყო რუსთა სამხედრო ნაწილებით, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა სისხლში ჩაეხშოთ.

ამ აქტიდან მოკლე ხანში, საიდუმლო ინსტრუქციით, რუსეთის იმპერატორმა აღმოსავლეთ საქართველოს უზენაეს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალს (მთავარმართებელს), გენერალ კნორინგს დაევალა, სათანადო ზომები მიეღო ქართული სამეფო ოჯახის რუსეთში გადასახლების საქმის მოსაგვარებლად. ამ მზაკვრული გეგმის განხორციელება დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ 1801 წლის მაისიდან დანიშნულ გენერალ ივან ლაზარევს დაეკისრა. ლაზარევს იმ დროისათვის, საქართველოში მუშაობის ორი წლის გამოცდილება ჰქონდა: 1799 წელს, ის რუსული ლეგიონის სარდლად მოევლინა ქართველ ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მეფე მრავალგვარი საშუალებით ცდილობდა ლაზარევის გულის მოგებას, დედოფალი მარიამი კი მისი ასულის მიმქმელი (ადამიანი, რომელიც ბავშვის გაჩენისთანავე, პირველი აიყვანს მას ხელში) გახლდათ, თავად გენერალი ბაგრატიონებისადმი პატივისცემით არასოდეს გამოირჩეოდა. გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ კი, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მეფის ჯალაბობას. ლაზარევმა მიზანში დედოფალი მარიამი ამოიღო.

მეფის ქვრივს საკმაოდ შემოსავლიანი მიწები ჰქონდა თანამეცხედრისაგან დარჩენილი. მათ შორის, ერეკლე მეორისაგან




**საქართველოს უკანასკნელი მეფე. გიორგი XII**



**გენერალი კნორინგი**

დარეჯან დედოფლისადმი ბოძებული სოფლებიც იყო, რომლებიც გიორგი მეფემ, მისდამი მტრული საქმიანობის გამო, 1800 წლის 30 აპრილს დედინაცვალს ჩამოართვა და თავის მეუღლეს დაუმტკიცა...

გენერალმა ლაზარევმა მარიამ დედოფალს ყოველგვარი საარსებო საშუალება, უბრალო წისქვილიც კი არ დაუტოვა, რათა იძულებული გაეხადა, „საკუთარი ნებით“ წასულიყო რუსეთში. ამის შედეგად დედოფლისათვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ რუსეთთან დადებული მეგობრული ხელშეკრულება და ძლიერი ქრისტიანული ქვეყნის მიერ საქართველოსადმი ნაკისრი ვალდებულებები „ყინულზე დაწერილი“ აღმოჩნდა.

ჩვენს სამკვიდროში რუსული მმართველობის დამყარებიდან (1801 წ.) ერთ წელსაც არ გაევლო, რომ ყველამ ცხადად დაინახა საიმპერატორო კარის ჭეშმარიტი — იმპერიალისტური მისწრაფებანი. ბუნებრივია, ეს ქართველ პატრიოტთა წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ასეც მოხდა.

1802 წელს, ანტირუსულ აჯანყებას ბაგრატიონთა ერთიანი ფრონტი ჩაუდგა სათავეში. ამბოხების აქტიურ მონაწილეებს შორის, მარიამ და დარეჯან დედოფლებიც იყვნენ. მაგრამ საუბედუროდ, შეთქმულების მზადების შესახებ ლაზარევმა შეიტყო. ის აჯანყების თაობაზე პეტერბურგს ატყობინებდა: „თვით მარიამ დედოფალი მათთან *(აჯანყებულებთან. — ავტ.)* არის და რუსეთის ერთგულთ ყოველგვარად სდევნის“.

საიმპერატორო კარმა შეთქმულების აღკვეთა გენერალ ლაზარევს დაავალა და ამ უკანასკნელმაც ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო აჯანყება.

რუსეთის ხელისუფლებამ დარეჯან და მარიამ დედოფლების, საიმპერატორო კარზე მიპატიჟებას მოუხშირა. საქმე არც ისე მარტივად იყო, როგორც ალექსანდრე პირველსა და მის მოხელეებს ეგონათ. ის ფუფუნება, დიდი პენსიები და უზრუნველყოფილი ცხოვრება, რომელსაც იმპერატორი ბაგრატიონებს სთავაზობდა, ქართველებში ზიზღსა და აგრესიას იწვევდა.

ალექსანდრე პირველის წინადადებას, ეცხოვრათ პეტერბურგსა ან მოსკოვში, ქართული სამეფო ოჯახის წარმომადგენლები ცივი უარით პასუხობდნენ. ამის შესახებ გენერალი კნორინგი იმპერატორს მოახსენებდა: „დედოფლები არასგზით აქედან *(საქართველოდან. — ავტ.)* დაძვრას არ აპირებენ. დარია *(დარეჯან დედოფალი. — ავტ.)* იმიტომ, რომ მოხუცი ვარო, ხოლო მარიამს კი არ სურს კავშირი გაწყვიტოს თავის ახლობლებთან, თავის სამშობლოსთანო; ურჩევნიათ გაჭირვებაში დალიონ სული საქართველოში, ვიდრე ფუფუნებაში ცხოვრება უცხო მხარეში“.

გენერალმა კნორინგმა ალექსანდრე პირველს იმედები ვერ გაუმართლა. იმპერატორმა მის ნაცვლად, საქართველოს მთავარმართებლად პავლე ციციანოვი (ციციშვილი) — ქართული გვარისა და რუსული სულის ადამიანი — დანიშნა. თბილისში მისი ჩამოსვლით ბაგრატიონთა მიმართ გაასკეცებულად უხეში და ტლანქი ღონისძიებების გატარება დაიწყო.

1803 წლის დამდეგს, ციციანოვმა წერილით აცნობა მარიამ დედოფალს, მცირეწლოვანი შვილების თანხლებით დაუყოვნებლად რუსეთს გამგზავრების აუცილებლობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან მარიამის გადასახლების საქმეში გარკვეული როლი დაბეზღებამაც ითამაშა. გიორგი მეთორმეტის ქვრივის მტრებმა ციციანოვს აცნობეს, რომ ის რუსული პოლიტიკით უკმაყოფილო ძალებს საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აქეზებდა და ამასთანავე, მას საიდუმლო კავშირი ჰქონდა მთიელებთან... ამ ცნობამ ციციანოვი განარისხა. მან კვლავ გაუგზავნა წერილი მარიამ დედოფალს და მას, შვილების თანხლებით რუსეთისკენ დაუყოვნებლივ გამგზავრება მოსთხოვა. მთავარმართებლის გულისნადები დედოფლისათვის ცნობილი იყო, მაგრამ კატეგორიული ტონით დაწერილი ბარათის მიღებამ ის სულით ხორცამდე შეძრა. მიუხედავად ამისა,მალალგონიერებითა და დიპლომატიურობით დაჯილდოებული დედოფალი არ დაბნეულა. მან სასწრაფოდ გაუგზავნა ციციანოვს საპასუხო წერილი, რომელშიც რუსეთის მმართველ წრეებს შეახსენებდა, იმპერიის მფარველობაში საქართველოს შესვლის პირობებს, ხაზს უსვამდა ჩრდილოელი ქრისტიანული ქვეყნის მიერ 1783 წლის ტრაქტატის შედეგად ნაკისრ ვალდებულებათა რუსეთის მხრიდან დარღვევის ფაქტებს. ამასთანავე, მარიამ დედოფალი ცდილობდა, დაერწმუნებინა საიმპერატორო კარი ანტირუსული აჯანყების მოწყობის საქმეში საკუთარ უცოდველობაში.

ამ წერილს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. გიორგი მეთორმეტის ოჯახის ბედი „მფარველ“ იმპერატორს გადაწყვეტილი ჰქონდა. სულ მალე, მარიამ დედოფლისათვის ნათელი გახდა, რომ ბაგრატიონთა მიერ რუსეთის საიმპერატორო კართან წარმოებული დიპლომატიური ურთიერთობა ჩიხში იყო შესული. საჭირო გახდა ტაქტიკის შეცვლა.

მიხეილ გონიკიშვილი გადმოგვცემს: „უმწეო დედოფალს აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა და საბოლოოდ გადაწყვიტა, რუსეთისადმი მტრულად განწყობილი თაგაურის *(ოსეთში მოსახლე ერთ-ერთი გვარი. — ავტ.)* მამასახლისები მოესყიდა, რათა გზა გადაეკეტათ და დედოფალი მარიამ გამცილებლებთან ერთად არ გაეშვათ *(რუსეთში. — ავტ.)*. ამის გასამრჯელოდ დედოფალმა თაგაურელ მამასახლისებს წინასწარ 1.000 მანეთი გაუგზავნა და სხვა საჩუქრებსაც შეჰპირდა“.

მოღალატეთა გამო, მარიამ ციციშვილის ჩანაფიქრი ცნობილი გახდა მთავარმართებლისათვის და მან სასწრაფო, გადამჭრელ ზომებს მიმართა.

1803 წლის 19 აპრილს, პავლე ციციანოვის დავალებითა და სამხედრო რაზმის თანხლებით, დედოფალ მარიამთან გენერალი ივან ლაზარევი მივიდა. სასახლეში მისი ვიზიტის მიზანი, გიორგი მეთორმეტის ოჯახის რუსეთში გადასახლება იყო. ამ დავალების შესრულება მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ბაგრატიონთა სასახლეში შესული გენერალი მკვდარი გამოიტანეს.

ამ ფაქტიდან მოყოლებული, როგორც მარიამ ციციშვილის თანამედროვეთა გარკვეული ნაწილისათვის, ასევე შემდგომში, ისტორიკოს-მკვლევართათვის ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის პიროვნებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა...

*დასასრული შემდეგ ნომერში*

# საფეხბურთო გენიოსიც, რომის პრინციც, გონებაჩლუნგიც...

## ანუ უბრალოდ TUTTI TOTTI





**მინიდოსიე:**

**დაბადების თარიღი:** 1976 წლის 27 სექტემბერი

**დაბადების ადგილი:** რომი

**სიმაღლე:** 180 სმ

**წონა:** 80 კგ

**კლუბი:** „რომა“ (1992 წლიდან დღემდე)

**დებიუტი სერია A-ში:** 1993 წლის 28 მარტს „ბრეშიასთან“ მატჩში

**ტიტულები:** Primavera-ს თასის (1992-93), სკუდეტოსა (2000-01) და იტალიის სუპერთასის (2001) მფლობელი. „ევრო-2000“-ის ვერცხლის პრიზიორი; იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი 2000 წელს.

ფრანჩესკო ტოტი თანამედროვე ევროპულ საფეხბურთო არენაზე ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატია, რომელიც ნებისმიერი სუპერკლუბისთვის უძვირფასესი შენაძენი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, უკვე 11 წელია, რაც იგი „რომას“ ღირსებას იცავს და ძალისხმევას არ იშურებს იმისთვისაც, რათა მშობლიურ გუნდთან ერთად წარმატებებს მიაღწიოს. თუმცა ყველაზე სერიოზული ტიტული, რომელიც ფრანჩესკოს დღემდე მოუპოვებია, სკუდეტოა. სწორედ ეს გარემოება ფეხბურთის სპეციალისტებს და გულშემატკივრებს იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ ტოტი „რომაზე“ გაცილებით უფრო სახელოვან კლუბში თამაშს იმსახურებს.

ფრანჩესკო ტოტის საფეხბურთო კარიერაში დღემდე ყველაზე წარმატებულად 2000 და 2001 წლები ითვლება. ოთხი წლის წინ ბელგია-ჰოლანდიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ფრანჩესკო „სკუადრა აძურასთან“ ერთად ვერცხლის პრიზიორი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი, იგი იტალიის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა და სერია A-ს საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს. სწორედ „ევრო-2000“-ზე მისმა გამოჩენამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა იტალიელი ტიფოზები. ისინი ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ თამაშობდა ალესანდრო დელ პიეროს მაგივრად ფრანჩესკო ტოტი. გაკვირვებულნი იყვნენ ფეხბურთის სპეციალისტები და მიმომხილველებიც: მათ ვერ გაეგოთ, რომელ პოზიციაზე იმყოფებოდა ფრანჩესკო. ის ხომ ხან ფორვარდის ფუნქციას ასრულებდა, ხან გამთამაშებლისას და არც საყრდენი ნახევარმცველისა და მცველის „შავი სამუშაოს“ შესრულებას არიდებდა თავს. მოგვიანებით კი, ყველამ აღიარა, რომ ტოტის სახით საფეხბურთო სამყაროს ახალი, უნივერსალური მოთამაშე მოევლინა.

ფრანჩესკო ტოტი პორტა მეტრონიაში იზრდებოდა. იგი ამჟამადაც მშობლებთან – ლორენცოსთან და ფიორელასთან ერთად ცხოვრობს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ვაჟიშვილის სპორტულ წარმატებაში. ისე კი, თავიდან ლორენცოც და ფიორელაც იმაზე ოცნებობდნენ, რომ ფრანჩესკოს კარგი სწავლა-განათლება მიეღო და კომერციული სკოლის დიპლომს დაუფლებოდა. დღეს, როდესაც ტოტი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია, დედამისი ხშირად იხსენებს, რომ მან თავის ვაჟიშვილში განსაკუთრებული საფეხბურთო ნიჭი ჯერ კიდევ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც ეს უკანასკნელი მხოლოდ 10 თვის იყო. „თუ სხვა ბავშვები ამაოდ ცდილობდნენ ბურთისთვის ფეხის მორტყმას, ფრანჩესკო უკვე დრიბლინგსაც ახორციელებდა“, – ამბობს სინიორა ფიორელა.

ფრანჩესკო ტოტის ერთ-ერთი პირველი საჩუქარიც სწორედ ბურთი გახლდათ. სულ ცოტა ხნის შემდეგ კი, ფეხბურთი მის მთავარ გატაცებად იქცა. პატარა ტოტი თავის „ტყავის მეგობარს“ მაშინაც არ იშორებდა, როდესაც დასაძინებლად წვებოდა. „რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, სახლში ჩემი ბიჭუნა ბურთაობისას არასოდეს არაფერს ამტვრევდა“, – იხსენებს ბედნიერი ფიორელა.

ხუთი წლის იყო ფრანჩესკო, როდესაც იგი მამამ საფეხბურთო სკოლაში შეიყვანა. თავიდან, „რომას“ მომავალ ვარსკვლავს სათადარიგოთა სკამზეც კი არ სვამდნენ. ხშირად ტოტის თანაგუნდელები დასცინოდნენ კიდეც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვუნდერკინდმა ერთ-ერთი საბავშვო მატჩის ბოლო წუთზე ორი გოლი გაიტანა, ამ უკანასკნელისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ფრანჩესკოზე ნადირობა სხვა ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელებმაც დაიწყეს. მან მალე გაითქვა სახელი, როგორც ტექნიკურმა და პერსპექტიულმა ფეხბურთელმა, რომელიც ლიდერად იყო დაბადებული.

ფრანჩესკოს პირველი გუნდი „ფორტიტუდა“ გახლდათ. შემდეგ კი მან „სმიტ ტრასტევარესა“ და „ლოდიჟანის“ მაისურებიც მოირგო, რომელთა შემადგენლობებში თამაშის დროს რომაელი ვუნდერკინდი თანდათან ხვეწდა თავის ოსტატობას და ყველას უმტკიცებდა, რომ უდიდესი საფეხბურთო მომავალი ჰქონდა.

13 წლის ასაკში ტოტი პირველად აღმოჩნდა „რომას“ საწვრთნელ ბაზაზე. თავიდან იგი ახალგაზრდული გუნდის ღირსებას იცავდა. მაგრამ მალე წითელყვითელმაისურიანთა მეორე შემადგენლობაში მოხვდა. ფრანჩესკო ჯუზეპე ჯანი-



ნის თაყვანისმცემელი გახლდათ, რომელთანაც პირველად შეხვედრის დროს იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი თურმე მეტისმეტად ღელავდა, მაგრამ მალე თავის კერპს დაუმეგობრდა კიდეც. „რომას“ იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ვიოლამ კი 15 წლის ტოტის დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. „მალე შენ სერია A-ში ითამაშებ“, — უთქვამს ვიოლას ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის და არც შემცდარა.

16 წლის იყო ფრანჩესკო ტოტი, როდესაც მან პირველად ითამაშა სერია A-ში. იმხანად წითელ-ყვითელმაისურიანებს ვუადინ ბოშკოვი წვრთნიდა. სწორედ მან მიიწვია ფეხბურთელი „რომას“ მთავარ გუნდში, თუმცა ბევრი მიიჩნევდა, რომ ფრანჩესკო თავს ვერ დაიმკვიდრებდა ისეთი ოსტატების კომპანიაში, როგორიც მუცი, რიციტელი და კარნევალე იყვნენ. კლუბი კი, დამაჯერებლად მიიწევდა იტალიის თასის ფინალისკენ. „რომაელები“ „ბრეშიას“ ხვდებოდნენ. პირველი ტაიმის შემდეგ წითელ-ყვითელმაისურიანები კანიჯას მიერ გატანილი გოლის წყალობით 1:0 იგებდნენ. მალე მიხაილოვიჩმაც გამოიჩინა თავი. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ბოშკოვს ტოტისათვის მიუმართავს: „ადექი და გახურდი“. იმ მომენტს ფრანჩესკო დღესაც დიდი მღელვარებით იხსენებს: „დარწმუნებული ვიყავი, რომ შეცვლაზე მუცის შეიყვანდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვუადინმა მითხრა — მოთელვა ჩაატარეო, სიხარულისგან კინაღამ გული გამისკდა! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორ ვნერვიულობდი იმ წუთში...“

ერთი სიტყვით, 1993 წლის 28 მარტს ტოტიმ პირველად ითამაშა სერია A-ს



მატჩში და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ღელავდა, მაინც დამაჯერებლად მოქმედებდა მოედანზე. მას შემდეგ ფრანჩესკო „რომას“ ღირსებას იცავს.

1993 წლის ზაფხულში რომაული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი კარლო მაცონემ დაიკავა, რომელიც შემდგომში ტოტიმ თავის „მეორე მამად“ მოიხსენია. სწორედ მაცონეს დახმარებით ახალგაზრდა ფრანჩესკო კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდა ფეხბურთის საიდუმლოებებს, გაიგო სპორტული წარმატებებისა თუ იმედგაცრუების გემო. ახლოვდებოდა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩი, რომელშიც „რომას“ მეტოქე „სამპდორია“ გახლდათ. კარლო მაცონეს კი დიდი პრობლემები ჰქონდა გუნდის შემადგენლობასთან დაკავშირებით, რადგან ტრავმირებული იყვნენ რიციტელი და ბალბო. ტოტისთვის უფრო სერიოზული დებიუტის დღე დადგა. იგი მოედანზე სასტარტო შემადგენლობაში უნდა გაეყვანათ. ფრანჩესკოს ძლიერი გუნდის წინააღმდეგ მატჩის პირველი წუთებიდანვე უნდა ეთამაშა, თანაც გამოცდილი თანაკლუბელები უნდა შეეცვალა, რაც ცხადია, მასზე ფსიქოლოგიურად დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენდა. ამ გარემოებამ ახალგაზრდა ფორვარდზე მართლაც უარყოფითად იმოქმედა. მან შეხვედრა არცთუ ისე მაღალ დონეზე ჩაატარა. „ჩემი ბიჭუნას თამაშის გამო ასე არასოდეს მინერვიულია“, — უთქვამს სინიორა ფიორელას „რომა“—„სამპდორიას“ მატჩის შემდეგ. იმ შეხვედრაში ტოტიმ მოედანზე 83 წუთი დაყო. შემდეგ იგი შეცვალეს, თუმცა რომაელებმა მაინც გაიმარჯვეს (2:1). „რომას“ იმჟამინდელი თავკაცი, კარლო მაცონე კი, რამდენიმე დღის განმავლობაში ამშვიდებდა იმედგაცრუებულ ახალგაზრდა ფეხბურთელს. შემდგომში ტოტის არაერთხელ აღუნიშნავს, რომ რთულ პერიოდებში მაცონე მას ყოველთვის გვერდში ედგა.

„რომადან“ მაცონეს წასვლის შემდეგ, გუნდი უფრო და უფრო ქვეითდებოდა სატურნირო ცხრილში. ფრანჩესკოსაც მძიმე დღეები დაუდგა. „მილანთან“, „ინტერთან“, „ლაციოსთან“ წაგებული მატჩების შემდეგ იგი თავჩაქინდრული და თვალებზე ცრემლმომდგარი ტოვებდა მოედანს. „მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც მე რომაელთა ღირსებას ვიცავ, მხოლოდ ერთხელ შევძელით ტიტულის მოპოვება. ახლა უფრო კარგად მესმის, თუ რამდენად შეუბრალებელი და სასტიკი შეიძლება იყოს ფეხბურთი“, — უთქვამს „ლაციოსთან“ წაგებული დერბის შემდეგ იტალიელ ვარსკვლავს, როდესაც „რომა“ სერია A-დან გასავარდნ ზონაში იმყოფებოდა.

არ უმართლებდა „რომას“, სრულად ვერ ავლენდა თავის შესაძლებლობებსა და ნიჭს ფრანჩესკო ტოტი, მაგრამ ამ უკანასკნელს ფეხბურთის სპეციალისტები და ქომაგები მაინც გუნდის მომავალ ლიდერად მიიჩნევდნენ. თუმცა იყვნენ ფეხბურთელის არაკეთილისმსურველნიც, რომლებიც მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ და ფორვარდისგან ყოველ მატჩში გოლს მოითხოვდნენ.

ფრანჩესკოს საფეხბურთო კრიზისი დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ-ერთ საპასუხისმგებლო მატჩში მან გოლი გაიტანა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოაპოვებინა. „ის გოლი ტელევიზორშიც არ მინახავს. მახსოვს ძალიან დაღლილი და მშიერი ვიყავი,





ამიტომ ჩვენი მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის ნაცვლად, ძმასთან ერთად ნაყინის საჭმელად წავედი", — იხსენებს ტოტი, რომელსაც მალე მეორე სუნთქვა გაეხსნა. ამომავალმა ვარსკვლავმა იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატში გაიმარჯვა და გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მას შემდეგ ფრანჩესკოს რომში უამრავი მეგობარი გაუჩნდა. მათ შორის იყვნენ ბალბო და ფონსეკაც, რომლებიც ტოტის დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში ეხმარებოდნენ. ეს მისი დიდების დასაწყისია. ტოტის ყველაფერი წინ აქვს. ზუსტად ვიცი, რომ გუნდიდან ჩემი წასვლის შემდეგ, ქომაგები მისი დიდებული, შეუდარებელი თამაშის საყურებლად შეიძენენ ბილეთებს," — ამბობდა წლების წინ „რომაელი" სუპერფორვარდის შესახებ ფონსეკა.

ფრანჩესკო ტოტის სანაკრებო დებიუტი 1999 წელს შედგა, როდესაც „სკუადრა აძურა" ანკონაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში, ბელორუსიის ნაკრებს ხვდებოდა. ამ შეხვედრაში „რომაელმა" ფორვარდმა წარუმატებლად იასპარეზა, რისთვისაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, დინო ძოფმა იგი პირველი ტაიმის დასასრულამდე შეცვალა. ამან ტოტი ისე გააღიზიანა, რომ სათადარიგოთა სკამზე დაჯდომაც აღარ ისურვა და საშხაპისაკენ საფინალო სასტვენამდე გაეშურა. მიუხედავად ამისა, ძოფმა იგი მაინც წაიყვანა ევროპის 2000 წლის პირველობაზე. იტალიელთა თავკაცი არც შემცდარა, ფორვარდმა ბელგია-ჰოლანდიაში გამართულ ტურნირზე ჩინებულად იასპარეზა. ჰოლანდიის ნაკრებთან გამართული ნახევარფინალური მატჩის პენალტების სერიაში ტოტიმ თავისი „საფირმო დარტყმით" გაუტანა გოლი ვან დერ საარს — სწორედ ისე, როგორც მის ვირტუალურ ორეულს გააქვს ხოლმე კომპიუტერულ თამაშებში. თერთმეტმეტრიანის შესრულებამდე კი, ფრანჩესკოს თავისი განზრახვის შესახებ მოედნის ცენტრში მალდინისა და დი ბიაჯოსათვის მოუხსენებია. „შენ რა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?! დაარტყი ისე, როგორც საჭიროა — ეს ნახევარფინალია", — აღშფოთებულან ფრანჩესკოს თანაგუნდელები, თუმცა მას მაინც არ შეუცვლია გადაწყვეტილება...

ფრანჩესკო ტოტი 12 წლის ასაკიდან მეგობრობს ცნობილ იტალიელ მცველთან, ალესანდრო ნესტასთან, თუმცა ფეხბურთელებს ეს გარემოება ხელს სულაც არ უშლის იმაში, რომ ისინი მოედანზე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ტოტისა და ნესტას პაექრობა ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. გარდა ამისა, ფრანჩესკო და ალესანდრო ყველა ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდნენ. მათ 1996 წელს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში გაიმარჯვეს, 2000 წელს კი, „სკუადრა აძურასთან" ერთად ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. ამასთან, პრინციპული მეტოქეები მოედანზე თუ საბილიარდოში ერთმანეთს არაფერს უთმობენ. ორივე მათგანი ხომ ბილიარდის დიდი მოყვარულია.

ფრანჩესკო ტოტი ერთნაირად კარგად ხმარობს ორივე ფეხს. იგი იშვიათად იმარჯვებს სპრინტერულ დუელებში, თუმცა გამოირჩევა ჩინებული დრიბლინგით და საოცრად სწრაფია ბურთთან ერთად მოძრაობისას. ფრანჩესკო გუნდის ნამდვილი ლიდერია, ჩინებულად ხედავს მოედანს და მას ბურთთან ერთი შეხებით შეუძლია თანაგუნდელისათვის საგოლე პასის მიწოდება. "Tutti Totti" (ყველგან ტოტი) — ამ ფრაზას ხშირად ხმარობენ ტიფოზები ტოტის მისამართით. მართლაც „რომას" ვარსკვლავს თამაშის დროს ყველა ამპლუაში იხილავთ — ის ერთნაირად წარმატებულად მოქმედებს დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და იერიშის დროსაც. გარდა ამისა, ფრანჩესკოს სხვა მეტსახელებითაც მოიხსენიებენ: რომაელი პრინცი, ოქროს ბიჭუნა, ოქროს ღმერთი...

შეიძლება ითქვას, რომ ტოტი საკმაოდ არაორდინარული ადამიანია. ერთის მხრივ იგი დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ მეორეს მხრივ ხშირად ლაპარაკობენ მის არაინტელექტუალურობაზე. სწორედ ამ გარემოების შედეგად ფეხბურთელის შესახებ ბოლო წლებში უამრავი სალაღობო ამბავი და ანეკდოტივრცელდება. ცოტა ხნის წინ კი, სპეციალური წიგნიც გამოიცა სახელწოდებით „ტოტის" ყველა ხუმრობა". სხვათა შორის, ამ წიგნის ავტორებს „ხოხმების" შეგროვებაში თავად ფრანჩესკომ გაუწია დახმარება. ამბობენ, რომ „რომას" ვარსკვლავს თავიდან ძალიან აღიზიანებდა მისი პიროვნების მიმართ ჟურნალისტთა და ქომაგთა მიერ ამ კუთხით გამოჩენილი ინტერესი, თუმცა შემდეგ ყველაფერს იუმორით მიუდგა და ამჟღერად საკუთარ თავზე თვითონაც გულიანად იცინის ხოლმე. აი, ზოგიერთი ანეკდოტი (თუ ნამდვილი ამბავი), რომლებიც „ტოტის ყველა ხუმრობაშია" შესული:

„ტრაგიკული ცნობა გაზეთში: ტოტის ბიბლიოთეკა — ორი წიგნი — სრულიად დაიწვა. ფრანჩესკოს ვერ ამშვიდებენ. „არა! მე ხომ მეორე წიგნის ბოლომდე გაფერადება არ დამისრულებია" — სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა ფეხბურთელი"...

„რომელი სამი წელი იყო ტოტისთვის ყველაზე რთული?.. პირველი კლასი დაწყებით სკოლაში".

„ტოტი მოზაიკა-სურათის აწყობას ცდილობს. ოთხთვიანი დაუღალავი შრომის შემდეგ მან სურათის აწყობა დაასრულა, შემდეგ ყუთი გადააბრუნა და რის ვაი-ვაიგლახით წაიკითხა: 2-3 წლის ბავშვებისთვის... „მაშინ მე გენიოსი ვარ" — აღმოხდა კმაყოფილ ფრანჩესკოს!"

„ტოტი სმოკინგში გამოეწყო და ალესანდრო ნესტასთან ერთად საბილიარდოში გაეშურა. No smoking — წერია საბილიარდოს შესასვლელში... „ოოო, აქ მე არ შემიშვებენ, — ეუბნება შეცბუნებული ფრანჩესკო მეგობარს".

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის გაყიდვიდან შეგროვილი მთელი თანხა იუნისეფის პროექტის განსახორციელებლად დაიხარჯება, რომელიც კონგოში უსახლკარო ბავშვების დახმარებას ითვალისწინებს. გასულ წელს კი, ფრანჩესკო ტოტი გაეროს საბავშვო ფონდის ელჩი გახდა. „არავინ მოელოდა, რომ ამ ხუმრობებზე ტოტის ასეთი რეაქცია ექნებოდა, — ამბობს იუნისეფის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მეთაური, დონატა ლოდი, — ყველას ეგონა, რომ ფრანჩესკოს ნეგატიური რეაქცია ექნებოდა. მან კი, თავად მიიღო მონაწილეობა ანეკდოტების შეგროვებაში".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკვე 11 წელია, რაც ფრანჩესკო ტოტი „რომას" ღირსებას იცავს, თუმცა ამ კლუბთან ერთად მხოლოდ ერთხელ შეძლო იტალიის ჩემპიონატში გამარჯვება. იტალიელ ვარსკვლავს „ოქროს ბურთის" დაუფლების დიდი სურვილი აქვს, მაგრამ აცხადებს, რომ ამ მიზნის მისაღწევად „რომაზე" გაცილებით უფრო ტიტულოვან კლუბში თამაშია საჭირო. ამიტომ, შესაძლოა იგი მომავალ საფეხბურთო სეზონში სხვა რომელიმე ევროპულ გრანდში ვიხილოთ. ■

## ეროტიკა და ფეხბურთი ახალ გერმანულ ტელეშოუში



მალე ერთ-ერთ გერმანულ ტელეარხზე ახალი საფეხბურთო შოუ გავა, რომელიც მისივე პროდიუსერების ვარაუდით, ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სპორტულ პროექტად უნდა იქცეს. ამის თქმის საფუძველს გადაცემის ავტორებს წამყვანის, მონიკა ლირჰაუსის დიდი პოპულარობა აძლევს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი, ტელემაყურებელთა ყურადღების მიპყრობას „უჩვეულო“ ხერხით აპირებს. მონიკა თითოეული გადაცემის გადაღებაზე საკმაოდ სექსუალურად ჩაცმული მივა, რაც მას ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან ურთიერთობას გაუადვილებს. „დიახ, მე მომწონს სექსუალური ტანისამოსი, — ამბობს 33 წლის ტელევარსკვლავი, — რატომ არ უნდა გამოვიყენო ის სამსახურში? მე ხომ გაშიშვლებას არ ვაპირებ“. პროდიუსერები მიიჩნევენ, რომ მათ შემოქმედებით პირმშოს რვა მილიონამდე ტელემაყურებელი ეყოლება, მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს ფრაუ ლირჰაუსი გაშიშვლებასაც გადაწყვეტს, ახალი გერმანული საფეხბურთო-ეროტიკული შოუს პოპულარობა უთუოდ გასცდება ქვეყნის საზღვრებს. ■

## სინკლერს ქალი გაუპატიურებია

„ლესტერის“ მოთამაშის ფრენკ სინკლერის ცოლისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მისი მეუღლე ესპანეთის ციხეში სექსუალური ძალადობის ბრალდებით მოხვდა. იმავე დღეს ნიკოლა უილინსმა თავის ორ შვილს ხელი მოჰკიდა და ფეხბურთელის კუთვნილი ბინიდან წავიდა. „ამ საკითხზე არაფრის თქმის სურვილი არ მაქვს, — ამბობს 34 წლის ნიკოლა, — ყველა შეკითხვაზე ფრენკი გიპასუხებთ“. The Sun-ის მონაცემებით, თავად ფეხბურთელს უთქვამს, რომ მას ბრალმდებელი ქალბატონის მიმართ ძალადობა არ უხმარია და მხოლოდ ორალური სექსით შემოიფარგლა, რითიც არცთუ ისე კმაყოფილი დარჩა. ფაქტობრივად იგივე განაცხადა ორმა მისმა თანამზრახველმაც. მოთამაშეები ქალაქ ალიკანტეს აეროპორტში მას შემდეგ დააკავეს, რაც სამმა შავკანიანმა ქალბატონმა პოლიციას მიმართა და მათ გაუპატიურებაში დასდო ბრალი. აფრიკელი მანდილოსნები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელები ძალით შეიჭრნენ მათ ნომერში და მათზე ძალა იხმარეს. რამდენიმე დღის წინ, გამოსასყიდის სახით 228 ათასი ევროს გადახდის შემდეგ, ფეხბურთელები შინ გაუშვეს. თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულებულა და მალე ისინი ესპანეთში დაბრუნდებიან, რათა სასამართლოს წინაშე წარდგნენ. ■



## ბექჰს ქალის ტვინი ჰქონია



კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიკვლიეს, თუ რატომ უყვარს ბექჰემს ფრჩხილების ვარდისფერი ლაქით შეღებვა და ქალური ელფერის მქონე ტანისამოსის ტარება. საქმე ის ყოფილა, რომ თურმე ინგლისელ სუპერვარსკვლავს „ქალის ტვინი“ აქვს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ყოველი მეხუთე მამაკაცი სწორედ „ქალის ტვინის“ მატარებელია, მაგრამ თავად სუსტი სქესის წარმომადგენლებში ანალოგიური პარადოქსის მაჩვენებელი უფრო დაბალია. „მამაკაცის ტვინის“ მქონე ქალთა რაოდენობა მხოლოდ 10% ყოფილა. მკვლევართა თქმით, ბექჰემი განსაკუთრებული ქცევით გამოირჩევა, რომელიც ქალებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ის ყოველთვის უკანასკნელ მოდაზეა ჩაცმული და არც ოჯახისადმი განსაკუთრებული ერთგულებისა და სიყვარულის საჯაროდ გამოხატვას არიდებს თავს. გამოკვლევების შედეგების თანახმად, „ქალის ტვინის“ მქონე მამაკაცები აქტიურობით გამოირჩევიან, ხშირად არამოტივირებულ გადაწყვეტილებას იღებენ და ჭორებისა და ყველაფერი მოდურისადმი მიდრეკილება აქვთ. აი, „მამაკაცური ტვინი“ კი, ანალიტიკური აზროვნებით არის ცნობილი. ასეთ ადამიანებს მათემატიკის ნიჭი აქვთ და სიცრუისადმი არიან მიდრეკილნი. ტვინის სქესი საშვილოსნოს ქიმიურ შემადგენლობაზე ყოფილა დამოკიდებული. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ იმ მანდილოსნების — რომლებსაც მშობიარობამდე საშვილოსნოში ტესტოსტერონი აქვთ მომატებული — შვილები „ქალის ტვინით“ იბადებიან.

როგორც ცნობილია, ტესტოსტერონი აკრძალულ დოპინგპრეპარატად ითვლება. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს თითქმის ყველა პროფესიონალი სპორტსმენი იყენებს სპეციალურ სამედიცინო სტიმულატორს, შეგვიძლია ვივარაუდოთ: ბექჰემი „ქალის ტვინით“ სულაც არ დაბადებულა და მისმა ფსიქიკამ ცვლილებები შემდგომში განიცადა... ■

## მოკრივისა და როკმენის სადომაზოხისტური დუეტი



27 წლის გერმანელმა მოკრივე ქალმა, რეგინა ჰალმიკმა გოთიკური როკჯგუფის Umbra et Imago-ს სოლისტთან, მოცარტთან ერთად სიმღერა შეასრულა. მათი ერთობლივი კომპოზიცია Schlag mich disk Memento Mori-ში შევიდა. სიმღერის დასახელებით („დამარტყი“) თუ ვიმსჯელებთ, იგი მაინცდამაინც კრივს არ უნდა ეხებოდეს. „უკვე რამდენიმე წელია, რაც რეგინა ჩემს სადომაზოხისტურ საღამოებზე დადის, რომლებსაც Painball-ს ვუწოდებ. ცოტა ხნის წინ კი, ერთად სიმღერაც გადავწყვიტეთ“, — ამბობს მოცარტი.

ამ კომპოზიციის ჩაწერას კი წინ უსწრებდა ფოტოგადაღებები, რომლის შედეგი მალე საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. „ეს დაუფიქრებლობით მომივიდა, — ამბობს იმედგაცრუებული რეგინა, — არ უნდა დამეშვა, რომ მოცარტთან ერთად სადომაზოხისტურ საღამოზე გადაღებული ფოტოები ჟურნალში გამოექვეყნებინათ.“ ■



(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-12)

რუსუდან ბერიძე

# თავისუფალი თემა

მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი გამოცდას გამოცდაზე უწყობს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, 9 აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. მამა ამ უბედურებას ვერ გაუძლებს და ოჯახს მიატოვებს. გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუის იმედადღა დარჩებიან. გვანცას პირველი სერიოზული გრძნობაც სკოლაშივე ეწვევა. თავიდან ის თანაკლასელ ლუკა ჩადუნელითაა გატაცებული, მაგრამ შემდეგ, მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი — ირაკლი იაშვილი შეუყვარდება და დაუახლოვდება. ირაკლი გვანცას ცოლად მოყვანას ჰპირდება, მაგრამ ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი ომში წავა და უგზო-უკვლოდ დაიკარგება. ამით დამწუხრებული გვანცა მალე აღმოაჩენს, რომ ფეხმძიმედაა. გვანცას ბებია-ბაბუას ბავშვის მამა ლუკა ჰგონიათ. მისდა გასაკვირად, ამას არც ლუკა უარყოფს. თუმცა, ბავშვის გაჩენამდე ცოტა ხნით ადრე, აფხაზეთის ომში მიდის და გვანცას ეუბნება — არ დამელოდოო. გვანცას ბიჭი შეეძინება და ბებია-ბაბუის დაჟინებული თხოვნით, ლუკას დაარქმევს...

მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ძებნაში, არაერთ ჩინოვნიკს მიაკითხავს. მათ შორის ირაკლის ნახევარძმაც აღმოჩნდება, რომელიც გვანცას გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაეხმარება. იქ მას ახალი უბედურება დაატყდება თავს: მას და მის ორ მეგობარ გოგონას თურქი ალი თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში.

გვანცა საშინლად დაუნდობელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის არალეგალურ სამფლობელოში აღმოჩნდება. ზეინაბ-ხანუმი მის ხელში ჩავარდნილ ქალებს ნამდვილი მონათმფლობელივით ექცევა: ლამაზ გოგონებს ჯერ სხეულით ვაჭრობას აიძულებს, შემდეგ კი, როცა ისინი კლიენტებს თვალში აღარ მოსდით, თავის უზარმაზარ სამღებროში სამუშაოდ უკრავს თავს. ზეინაბ-ხანუმი გვანცასაც იმავეს დაუპირებს, მაგრამ რომ შეიტყობს, ქართველია, დაინდობს და ხელზე მოსამსახურედ დაიყენებს. მალე გვანცა ზეინაბ-ხანუმის ნდობას იმდენად მოიპოვებს, რომ ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ანკარაშიც ჩაიყვანს. ანკარაში ზეინაბ-ხანუმს ხეიბარი ძმა — უმარი ჰყავს, რომელსაც მშობლების დანატოვარი ქონების დიდი ნაწილი ეკუთვნის. გაქნილი ზეინაბ-ხანუმი უმარს შესთავაზებს — ჩემს ქართველ მოსამსახურეს დროებით დაგიტოვებ, შენ კი, რაღაც დოკუმენტებზე მომიწერე ხელიო. უმარს გოგონა შეებრალება და მართლაც, დაიტოვებს. მალე გვანცა გაიგებს, რომ უმარი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად...

უმართან საუბრისას ისიც გაირკვევა, რომ ის, ზეინაბ-ხანუმის ბნელი ბიზნესის სამხელად, კომპრომატებს აგროვებს და გვანცასაც სთხოვს — როცა საქმე სასამართლომდე მივა, მოწმედ დამიდექიო. გვანცა ჯერ დათანხმდება, მაგრამ როცა შეიტყობს, რომ სასამართლო შეიძლება, წლების შემდეგ შედგეს, უმარს მუხლებში ჩაუვარდება და შეევედრება, გამიშვიო. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, უმარი გვანცას გაქცევაში დაეხმარება.

საქართველოს საკონსულოს სერიოზული ჩარევის შემდეგ, თბილისში რის ვაი-ვაგლახით დაბრუნებული გვანცა კარგა ხანს გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს. დღისით, წლების უნახავი ახლობლების გარემოცვაში, სული ნელ-ნელა უთბება, ღამეებს კი გულისკანკალით ელოდება, რადგან ბალიშზე თავის დადება და ზეინაბ-ხანუმის კლანჭებში ჩავარდნა ერთი ხდება...

მაგრამ გამოხდება ხანი და გვანცა წარსულის მოგონებებს თავს მაინც დააღწევს. ერთ დღეს კი საგანგებოდაც გამოეწყობა და პარლამენტარ ლაშა რჩეულიშვილს მიაკითხავს. გვანცა ლაშას, ერთგვარად, საკუთარ უბედურებაშიც ადანაშაულებს. ლაშა კი მის ბრალდებებს მშვიდად მოისმენს და, სანაცვლოდ, უნივერსიტეტში აღდგენას, კარგ სამსახურსა და დიდ მომავალსაც ჰპირდება.

ლაშასგან წამოსვლისას გვანცა ირაკლის ახსენებს და იმაზეც არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ პატარა ლუკა ირაკლის შვილია.

— მოიცა! — მაშინვე გვანცასთან გაჩნდა ლაშა, მაგრამ სწორედ იმწუთას კარს გარედან ვიღაც მთელი ძალით მოაწვა.

გვანცამ კარს ხელი უშვა და განზე გადგა. კარი მაშინვე ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ლაშას პირადი მდივანი გამოჩნდა:

— ბატონო ლაშა, ბოდიშს გიხდით, მაგრამ თავმჯდომარემ დარეკა, სასწრაფოდ აქ გაჩნდესო... — მაშინვე

„ჩაირთო“ იგი.

— მერე? — თვალები დაუბრიალა ლაშამ. — ტელეფონი რისთვის არსებობს? ჯერ დაგერეკა და კარი მერე შემოგენგრია!..

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს... — ძლივსღა ამოილუღლუღა ლაშას უხეშობით აშკარად დაბნეულმა მდივანმა და გვანცას ბოროტი მზერა ესროლა.

თავად გვანცამ კი შექმნილი სიტუაციით ისარგებლა, ლაშასა და მის მდივანს გვერდი მოხერხებულად აუარა და ოთახიდან გაუჩინარდა...

საღამოს ლაშამ გვანცას შინ დაურეკა და პარლამენტში კიდევ ერთხელ მისვლა სთხოვა. გვანცასაც თავპატიჟი აღარ დაუდვია და მეორე დილით თავი ისევ ლაშას მისაღებში ამოყო. გვანცას გასაკვირად, ლაშას პირადმა მდივანმა ის ხაზგასით თავაზიანად მიიღო და კაბინეტის კარიც მოწიწებით გაუღო.

კარის ხმაურზე ფანჯარასთან მდგარმა ლაშამ მაშინვე მოიხედა და სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა:

— უკვე მოხვედი?.. ძალიან კარგი... შემოდი და დაჯექი...

გვანცამ კარი ნელა მიხურა:

— დღეს შენი მდივანი აშკარად მარჯვენა ფეხზეა ამდგარი. — გამარჯობის მაგივრად დაიწყო მან და ლაშას ხელი გაუწოდა.

ლაშამ ამჯერადაც ორივე ხელი ჩამოართვა და ისე ჰკითხა:

— მარჯვენაზე თუ მარცხენაზე?

— არა, ნამდვილად მარჯვენაზე, იმიტომ, რომ გუშინ კინაღამ თვალები ამომჩიჩქნა, დღეს კი ჩემს დანახვაზე თავაზიანობად დაიღვარა...

— არ დაიღვრებოდა და მაგისი აჯობებდა! — ხმაში მუქარა გამოურია ლაშამ. — გუშინ შენ რომ წახვედი, ერთი კარგად შევჯორე...

— ეტყობა, კარგადაც გაჭრა. — გაეღიმა გვანცას.

— არ გაჭრიდა და... — ისევ მუქარას აგრძელებდა ლაშა. — თუმცა, მაგის საქმე მაინც წასულია... — ხელი ჩაიქნია მან შემდეგ.

— რატომ? რამე უფრო სერიოზულიც ხომ არ დააშავა?

— არა, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა ლაშამ და თან გვანცას სავარძელი შესთავაზა: მოდი რა, დაჯექი და ჯერ ჩემს პირად მდივანს შევეშვათ, მე შენთან ბევრად უფრო სერიოზული საქმე მაქვს..

— კი, ბატონო, შევეშვათ და გისმენ. — გვანცა სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და სმენად იქცა.

მოპირდაპირე სავარძელში ჩამჯდარმა ლაშამ ჯერ ერთი უხერხულად ჩაახველა, შემდეგ გვანცას თვალი თვალში გაუყარა და ისე ჰკითხა:

— პირდაპირ მითხარი, ბავშვი ირაკლისგან გყავს?

— პირდაპირ გეუბნები: ირაკლისგან მყავს. — თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა გვანცამ.

— კი, მაგრამ... — ხელები გაოცებით გაშალა ლაშამ. — ამდენ ხანს რატომ მიმალავდი?

— მაინც, რამდენ ხანს? — კითხვა შეუბრუნა გვანცამ.

— როგორ?.. აღარ გახსოვს, ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ჩამოგიგდე ამაზე სიტყვა და მაშინვე ცივი უარი მტკიცე?

— მახსოვს... მაგრამ მაშინ ისე იყო საჭირო.

— როგორც ჩანს, ამ სამ წელიწადში ამ მხრივაც რაღაც განსაკუთრებული მოხდა, რომ...

— მართალი ხარ... — გააწყვეტინა გვანცამ. — ბევრი რამ მოხდა და სერიოზულადაც გადავაფასე... თანაც, ამ სამ წელიწადში იმდენჯერ ვიცრუე, თავის გადასარჩენად იმდენი დიდი და პატარა ტყუილი ვთქვი, რომ ამის გაკეთების ყველანაირი სურვილი საბოლოოდ გამიქრა...

ლაშა გვანცას ცოტა ხანს აღტაცებული ათვალიერებდა, შემდეგ უცბად ფეხზე წამოიჭრა, გოგონა ხელში აიტაცა, ჰაერში რამდენჯერმე დაატრიალა და თან, მხიარულად შესძახა:

— რომ იცოდე, როგორ გამახარე, როგორ?!.

გვანცა ლაშას ასეთ რეაქციას ნამდვილად არ ელოდა, ამიტომ როგორც კი ამ უკანასკნელმა ძირს დასვა, მაშინვე დამფრთხალი ნადირივით განზე გახტა და თან, ტანსაცმელი ნერვიულად გაისწორა:

— იცოდე, მეორედ ასეთი რამე აღარ გააკეთო... — ძლივს ამოილუღლუღა მან.

— მეორედ ამას მხოლოდ მაშინ გავაკეთებ, როცა მეორე ძმისშვილს გამიჩენ! — აღტაცებას ძველებურად ვერ ფარავდა ლაშა.

— აი, მაგას კი ნადვილად ვერ შეგპირდები... — როგორც იქნა, სული მოითქვა გვანცამ და ისევ სავარძელში ჩაჯდა.

— ვითომ რატომაო? — მაშინვე მის პირდაპირ მოკალათდა კმაყოფილი ლაშა და ფეხი ფეხზეც არხეინად გადაიდო. — ხომ იცი, რომ ირაკლი ცოცხალია?..

— ვიცი! — სათქმელი აღარ დაასრულებინა გვანცამ. — მაგრამ მერე მე — რა? გერმანიაში მთლად ყურისძირში რომ ვყავდი, იქაც კი არ მოვუკითხივარ და ახლა აქ საიდან მომწვდება?..

— რა არის, იცი?.. — დაიწყო ლაშამ და თან, თავი ხელებში ჩარგო. — სხვა შემთხვევაში, ალბათ, სხვანაირად მოვიქცეოდი, მაგრამ ახლა ტყუილის თქმის უფლება აღარც მე მაქვს. სიმართლე კი ისაა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ირაკლი გერმანიაში კი არა, შვეიცარიაში ცხოვრობდა....

— შვეიცარიაში? — თვალები გაუფართოვდა გვანცას. — აბა, შენ რომ მითხარი, გერმანიიდან დამირეკაო?..

— კი. ნამდვილად ეგრე გითხარი, მაგრამ გერმანიიდან ირაკლიმ კი არა, მისმა ძმაკაცმა დამირეკა...

— გამოდის, რომ...

— ჰო, იმან მე მომატყუა, მე კიდევ — შენ...

— რა ადვილად ამბობ, მომატყუაო? — ხმას აუწია გვანცამ. — ეგ შენი, ერთი შეხედვით უწყინარი ტყუილი მე ხომ კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა?! იცი, რომ გერმანიაში სასწავლებლად წასვლა მარტო იმიტომ გადავწყვიტე, რომ იქ ირაკლი მეგულებოდა?..

— ვიცი, — ამოიოხრა ლაშამ. — მაგრამ ხომ გეუბნები, რომ მეც მომატყუეს-მეთქი...

— ახლა?

— რა ახლა?

— იქნებ, ახლაც გატყუებენ და ირაკლი არც შვეიცარიაშია?

— არა, რას ამბობ?! ახლა ირაკლი თვითონ მელაპარაკა და აბა, როგორ მომატყუებდა? თანაც, ისიც ვუსაყვედურე, შენს ძმაკაცს ასეთი ტყუილი რაში დასჭირდა-მეთქი... ეტყობა, ბოლომდე ვერ გენდოო, მომიბოდიშა... ცოტა კი ეწყინა, მაგრამ რას იზამ!..

— ვითომ, ირაკლი კი გენდობა ბოლომდე? — ბოღმიანად ჰკითხა გვანცამ.

— არ გინდა, რა... — გაღიზიანდა ლაშა — უნდობლობამ და გაუტანლობამ ერთი ძმა უკვე დამაკარგვინა...

— რას გულისხმობ? — უცბად ვერ მიხვდა გვანცა.

— გიორგის სიკვდილს.

— რამდენადაც ვიცი, გიორგი შენი ძმა არ ყოფილა...

— ძმაზე მეტი იყო — ხმა აუკანკალდა ლაშას.

— კარგი... ბოდიშს გიხდი... — შეცბა გვანცა. — გიორგის სიკვდილი მეც ძალიან განვიცადე...

— კარგად იცნობდი? — დაინტერესდა ლაშა.

— არა. ერთადერთხელ ვნახე... მთავრობის სახლში ირაკლის რომ შევყევი, მაშინ... ძალიან ლამაზი ბიჭი იყო...

— ჰო... — ამოიოხრა ლაშამ. — მზეჭაბუკივით ლამაზი... მაგრამ მოვეშვათ სევდიან მოგონებებს... — წელში გასწორდა ის შემდეგ. — მოდი, ახლა ის მითხარი, ძმისშვილი როდის უნდა გამაცნო?

— როცა მოისურვებ. — მშვიდად მიუგო გვანცამ.

— ძალიან კარგი... — ხელები საქმიანად მოიფშვნიტა ლაშამ. — მაშ ასე: ამ კვირის ბოლომდე საკმაოდ დაკავებული ვარ, უცხოურ დელეგაციებს ვმასპინძლობ. მოდი, ეს საქმე მომავალი კვირისთვის გადავდოთ, კარგი?

— კი, ბატონო, — მხრები აიჩეჩა გვანცამ. — თავად რომ არ დაგერეკა, მე შენთან მოსვლას ისედაც ერთი კვირის შემდეგ ვაპირებდი. გუშინ ასე არ შევთანხმდით?

— ჰო, მაგრამ წასვლისას ისე დამაინტრიგე, რომ ერთი კვირა რა მომათმენინებდა?! სიმართლე ხომ უნდა გამეგო? — აღიარა ლაშამ.

— ხომ გაიგე და დამშვიდდი. ახლა კი წავალ. — სავარძლიდან წამოიწია გვანცამ.

— მოიცა! — კვლავ შეაჩერა ის ლაშამ. — ხარჯი ხარჯია და ბარემ შენი სამუშაოს ამბავიც გადავწყვიტოთ.

— მერე დანარჩენები?

— ვინ დანარჩენები?

— გუშინ არ მითხარი, ჯერ დანარჩენებსაც უნდა მოველაპარაკოო?

— ეგ გუშინ იყო. — ეშმაკურად გაეღიმა ლაშას. — დღეს კი უკვე ლამის ოჯახის წევრი ხარ და მთელი კვირა როგორ გაცდევინებ?.. ასე რომ, შეგიძლია სამუშაოზე ხვალვე გამოხვიდე.

— ხვალვე? — დაიბნა გვანცა. — კი, მაგრამ ხვალ რა უნდა გავაკეთო?

— იგივე, რაც ზეგ და მაზეგ... მაიკოს უკვე ველაპარაკე...

— მაიკო ვინღაა? — საბოლოოდ დაიბნა გვანცა.

— ჩემი პირადი მდივანი სამსახურიდან უკვე დავითხოვე, ბრძანებაღაა დასაწერი, მის ადგილზე კი შენ მიგიღებ. — ამაყად გამოუცხადა მას ლაშამ.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ. — ესე იგი, ხვალიდან ბატონი ლაშა რჩეულიშვილის პირადი მდივანი გავხდები...

— ჩემი ბატონობისა რა მოგახსენო, მაგრამ შენ კი ნამდვილად მდივანი იქნები.

— შენს მისაღებში დავჯდები, ტელეფონებს ვუპასუხებ, ფრჩხილებს შევიღებავ და ყავას მოგიდუღებ ხოლმე, ხომ? — კითხვების დასმას განაგრძობდა გვანცა.

— ნუ... ახლა... — უხერხულად გაეღიმა ლაშას. — ყავის მოდუღება თუ „გიტყდება“, ნუ მომიდუღებ...

— არა, რატომ?.. — ხმას დაუწია გვანცამ. — სამი წელი ვიღაც ამაზრზენ დედაკაცს ხელზე მოსამსახურედ ვედექი და ახლა პარლამენტარისთვის ყავის მოდუღება რა ბედენაა? ცხადია, მოგიდუღებ, მაგრამ...

— აბა, რაღა „მაგრამ“?.. რა არ მოგწონს?.. — გაღიზიანდა ლაშა. — ასე უცბად მეტი რა შემოგთავაზო?.. ჯერ უნივერსიტეტშიც კი არ ხარ აღდგენილი... თანაც, ისიც ხომ იცი, რომ...

— ვიცი. — გააწყვეტინა გვანცამ. — ყველაფერი ვიცი და მახსოვს. არ იფიქრო, რომ რამეს ვთაკილობდე, მაგრამ მაინც უარი უნდა გითხრა..

— რატომ?.. წესიერად ამიხსენი ყველაფერი!

— ასახსნელი ბევრი არაფერია... უბრალოდ, მე სხვა საქმის გაკეთება უფრო მინდა და იმასაც ვფიქრობ, რომ უკეთესადაც გამომივა.

— მაინც?.. რა საქმეა ასეთი? მითხარი, იქნებ, მაგაშიც დაგეხმარო!

— კარგი, გეტყვი, ოღონდ, იცოდე, ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

— ნამდვილი სამარე ვარ! — კინაღამ სიცილი წასკდა ლაშას.

— ტყუილად გეცინება. — იწყინა გვანცამ. — გუშინაც გითხარი, რომ შვილი დავიფიცე, არაფერს ვიტყვი-მეთქი...

— ა-ა?.. ისევ იმ იდუმალ მხსნელს მივადექით, ხომ?.. — კიდევ უფრო გამხიარულდა ლაშა. — მაშინ მართლაც მთელი გულისყურით გისმენ, მითხარი ერთი, ვინ ბრძანდება ის ვაჟბატონი და ჩემს რძალთან რა ხელი ჰქონდა?

— ნუ ანგლობ, რა! — გაღიზიანდა გვანცა. — იმ კაცმა მე მონობისგან მიხსნა.

— კარგი, კარგი. — როგორც იქნა, დასერიოზულდა ლაშა. — გისმენ.

— ის კაცი ზეინაბ-ხანუმის ძმაა, — დაიწყო გვანცამ. — თუმცა დის საშინელ ბიზნესთან არავითარი კავშირი არა აქვს. უფრო ზუსტად კი ამ ბიზნესის დანგრევა აქვს გადაწყვეტილი...

— ო-ო!.. — ყურები ცქვიტა ლაშამ. — აი, ეგ კი მართლა საინტერესოა. მერე? არ გითხრა, ამის გაკეთებას როგორ ვაპირებო?

— კი, მითხრა. მოწმედ გამოსვლაც მთხოვა, მაგრამ იძულებული ვიყავი, უარი მეთქვა, რადგან გამოძიება შეიძლება, წლობით გაგრძელებულიყო... სიტყვა „ტრეფიკინგიც“ პირველად მისგან გავიგე...

— ეგ რაღაა? საჭმელია თუ სასმელი? — ისევ გახუმრება სცადა ლაშამ.

— უკვე გითხარი, ნუ ანგლობ-მეთქი! — ხმას აუწია გვანცამ. — ძალიან კარგად იცი, რაც არის. მისი ერთ-ერთი მსხვერპლი კი შენ წინ ზის. აბა, კარგად შემომხედე! აქამდე ხომ ცოცხალი მონა არ გინახავს?..

— კარგი, კარგი, ჰო! — დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია ლაშამ. — ამ ყველაფერზე თავიდან მე თვითონ არ ჩამოგიგდე სიტყვა?.. მაგრამ მე, უბრალოდ, იმ ორი გოგონას დახმარება მინდოდა, შენთან ერთად რომ ჩაიტყუეს თურქეთში. შენ კი, თურმე, საკითხის სიღრმისეული კვლევა გადაგიწყვეტია. — სიტყვა „სიღრმისეულს“ ხაზი მაინც ირონიულად გაუსვა ლაშამ.

— მერე რა არის ამაში მიუღებელი? — არაფერი შეიმჩნია გვანცამ.

— ის არის, ჩემო კარგო, რომ ღვთის მადლით, ეს საკითხი საქართველოსთვის აქტუალური არ არის.

— ეგ შენ გგონია, რომ აქტუალური არ არის! — აენთო გვანცა. — იცი, რომ საქართველოდან ქართველი გოგონები თურქეთში, პერიოდულად, მოტყუებით გაჰყავთ და შემდეგ ბორდელებში ყიდიან?

— ეგ საიდან მოიტანე? — შუბლი შეიკრა ლაშამ.

— მე არაფერიც არ მომიტანია! — განაგრძო გვანცამ. — სხვათა შორის, მე ისიც ვიცი, რომ ამ საქმეში ზოგი-



ერთი ქართველი მაღალჩინოსნის და პარლამენტარის ხელიც ურევია!

— მაპატიე, ჩემო კარგო, მაგრამ ეს უკვე ისეთი აბსურდული და უსაფუძვლო ბრალდებაა, რომ... იმედია, ამას სხვასთან აღარ გაიმეორებ... ვიცი... მესმის, რაც გადაიტანე, მაგრამ...

— რაც მე გადავიტანე, ნამდვილი სამოთხეა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიც ზეინაბ-ხანუმს დანარჩენი ქალები ჰყავს! — მაინც, თავისას განაგრძობდა გვანცა. — სხვათა შორის, ჩემს გამოქცევამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, თურქეთში ბათუმიდან ქართველი გოგონების მთელი ჯგუფი გადმოიყვანეს და შეიძლება, რამდენიმე მათგანი ზეინაბ-ხანუმის ხელშიც მოხვდა...

ლაშამ გვანცას ცოტა ხანს უსიტყვოდ უსმინა, შემდეგ ფეხზე წამოდგა, ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა და თავისთვის ჩაიბურდღუნა:

— გადამრევს ეს გოგო!.. ნამდვილად გადამრევს!..

— კარგი. — ფეხზე წამოდგა გვანცაც. — მართლა რომ არ გადაირიო, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს და დავივიწყოთ ყველაფერი. ანუ, როგორც შენ გიყვარს თქმა, შენც — სუ და მეც — სუ!

— საქმეც ისაა, რომ ვეღარ დავივიწყებთ... — ამოიოხრა ლაშამ. — ამიტომ მოდი, ასე შევთანხმდეთ. ოფიციალურად მე შენ ჩემს პირად მდივნად გნიშნავ, რომლის მოვალეობაშიც, სხვათა შორის, საკმაოდ ბევრი რამ შედის. დღის მანძილზე იცი, მარტო რამდენი წერილი და სხვა დოკუმენტაცია უნდა დაახარისხო?.. ერთი სიტყვით, აქ მდივნად იმუშავებ, საქმიდან თავისუფალ დროს კი გინდა, მონობის საკითხი იკვლიე და გინდა, ბატონყმობის. შევთანხმდით?

— შევთანხმდით... — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ უპასუხა მას გვანცამ. — ოღონდ...

— არავითარი ოღონდ! — პატარა ბავშვივით დაუქნია თითი მას ლაშამ. — როგორც ახლობელს, ისე გეუბნები: მე აქ საკმაოდ თბილად ვზივარ და ზედმეტი პრობლემები ნამდვილად არ მჭირდება! გასაგებია?

— გასაგებია. — უპასუხა გვანცამ. — მაგრამ მეც, როგორც ახლობელს, ისე გეუბნები, რომ ჩემგან პრობლემები ნამდვილად არ აგცდება. იმიტომ, რომ როგორც ბებიაჩემი ამბობს, მე თვითონ ვარ მოსიარულე პრობლემა... ჰო, მართლა, მაიკოს რა ეშველება?.. უმუშევარი ხომ არ დარჩება?..

— დარდი ნუ გაქვს, მაიკო ისეთი მოხერხებული გოგოა, რომ ხვალვე ჩემზე უკეთს უფროსს იპოვის. — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ლაშამ.

გვანცამ სამუშაოს ალღო სწრაფად აუღო, თუმცა ურიგოდ არც ყავის მოდუღება გამოსდიოდა, რითიც მარტო ლაშასი კი არა, ფრაქციის დანარჩენი წევრების გულებიც უცბად მოიგო. ერთი კვირის შემდეგ კი, შეთანხმებისამებრ, სამსახურში საგანგებოდ გამოპრანჭულ პატარა ლუკასთან ერთად გამოცხადდა.

უცნობი ადამიანებით გარშემორტყმული ლუკა თავიდან მოიბუზა, მაგრამ მალევე მოშინაურდა და ფრაქციის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა და ანც წევრს — მიშიკოს, ხელის გადაწევაშიც მონდომებით გაეჯიბრა. ხელის გადაწევას დამალობანა მოჰყვა და მალე ოთახი უფროსების აღტაცებული შეძახილებითა და ლუკას მხიარული კისკისით აივსო.

ლაშამ თანამშრომლებს იმ დროს შემოუსწრო, ოთახის კუთხეში მდგარი სახეზე ხელებაფარებული მიშიკო დათვლით რომ იყო გართული, ლუკა მაგიდის ქვეშ დასამალად მიძვრებოდა, დანარჩენები კი მხიარულად ხარხარებდნენ.

ლაშას გამოჩენისთანავე ხარხარი შეწყდა. მიშიკოც მაშინვე შემობრუნდა:

— ა-ა?.. ბატონო ლაშა, უკვე მოხვედით? — გულუბრყვილოდ იკითხა მან.

— შენ წარმოიდგინე, მოვედი... — ხმა ძალით გაიმკაცრა ლაშამ და თან, მიშიკოს თვალი ჩაუკრა. — რა ხდება აქ?

— რა ხდება, ბატონო ლაშა და ნამდვილი დევგმირი გვყავს სტუმრად... — მაშინვე აჰყვა ლაშას მიშიკო. — მართლა, მართლა! სულ ბდღვირი მადინა! პატარა კია, მაგრამ იცით, რა ღონე აქვს?!. რომ მოინდომოს, ყველას ერთმანეთზე მიგვაწყობს...

— რას მეუბნები?! — გაიკვირვა ლაშამ. — აბა, ერთი მაჩვენეთ, სად ბრძანდება თქვენი დევგმირი.

— ახლავე! — სასწრაფოდ მაგიდასთან მიიჭრა მიშიკო და ენერგიულად დაუკაკუნა. — ლუკა, ბიჭო, გამოდი და იცოდე, არ შემარცხვინო.

მაგიდის ქვეშ ჯერ ფხაკაფხუკი ატყდა, შემდეგ კი იქიდან დამფრთხალი ლუკაც გამოძვრა, მაშინვე დედასთან მიირბინა და თავი მის კალთაში ჩარგო.

— ეს არის თქვენი დევგმირი? — მკაცრად იკითხა ლაშამ.

— კი. ეს არის. — დაუდასტურა მიშიკომ. — ლუკა, ბიჭო, გამოიხედე, თავი ნუ მომჭერი! — მიუბრუნდა ის შემდეგ ლუკას.

გვანცას კალთას ჩაფრენილმა ლუკამ, როგორც იქნა, მოიხედა და ლაშას შიშით გაფართოებული თვალები შეანათა. ლაშას კი გულში მაშინვე სითბო ჩაეღვარა: პატარა ლუკას ირაკლის ბრიალა თვალები ჰქონდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## ტელესერიალის გმირების ტანსაცმელი აუქციონით გაიყიდა

როგორც ცნობილია, დასრულდა სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“. ნიუ-იორკის მაღაზიასთან ასობით ქალბატონმა დაიკავა რიგი, რათა ლეგენდარული სერიალის გმირების სამოსისაგან რაიმე მაინც შეხვედროდათ.

როგორც მაღალ თანამდებობებზე მომუშავე ქალბატონებმა, ისე უბრალო გოგონებმა, რომლებსაც შესანიშნავი ოთხეულის — კერის, სამანტას, შარლოტასა და მირანდას რომანტიკული ავანტიურის წყალობით სექსში თვითდაჯერებულობა შეემატათ, სასწრაფოდ მიატოვეს სამსახურები და სამოსელის შესაძენად გაეშურნენ. მაღაზიის მფლობელის თქმით, ისეთი მყიდველებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ათას დოლარს იხდიდნენ იმაში, რომ გაყიდვამდე ერთი დღით ადრე ჩასულიყვნენ და ისე შეეძინათ ტანსაცმელი.

წამყვანი დიზაინერის მიერ შექმნილ კოსტიუმთა ნაწილი, ადრევე მოიპოვეს გადამღები ჯგუფის წარმომადგენლებმა. სხვა მდიდრული სამოსელი კი ქველმოქმედებისთვის HBO-ს აუქციონზე გაიყიდა. იყო ისეთი შესამოსელებიც, რომლებიც გმირებს საერთოდ არ სცმიათ. ისინი სერიალის კოსტიუმერებმა შეიძინეს. ■



## ჯორჯ მაიკლი ფულზე უარს აცხადებს



როგორც ცნობილია, მომღერალმა ჯორჯ მაიკლმა განაცხადა, ხმის ჩამწერ ინდუსტრიას თავს ანებებს და თავის სიმღერებს უფასოდ გაავრცელებს ინტერნეტის საშუალებით. მულტიმილიონერი მუსიკოსის თქმით, ის აღარ ჩაწერს არც ერთ ალბომს, ვინაიდან ამიერიდან არც ფული და არც დიდება აღარ იზიდავს. თუმცა, მისივე მოსაზრებით, თუკი ფანატებს ინტერნატიდან მუსიკოსის სიმღერების ამოღების სურვილი გაუჩნდებათ, შეუძლიათ შემოწირულობები დატოვონ, რომელიც შემდგომ ქველმოქმედებას მოხმარდება. ახლა 40 წლის მომღერალი მსმენელს თავის ახალ ბოლო ალბომს Patience-ს სთავაზობს. ჯორჯ მაიკლმა ისიც აღნიშნა, რომ პოპულარობის დაკარგვასთან ერთად, პრესაც მალე დაივიწყებს, სამაგიეროდ, იგი უანგაროდ გასცემს თავის მუსიკას, რის გამოც გაცილებით ბედნიერი ადამიანი გახდება. ■

## კიდმანი და ლოპესი ერთად იმღერებენ





ნიკოლ კიდმანი და ჯენიფერ ლოპესი XX ს-ის 30-40-იანი წლების ეპოქაზე შექმნილ ახალ ფილმში (**American Darlings**) მთავარ როლებს შეასრულებენ. სურათის პროდიუსერისა და მსახიობის ამპლუაში ყოფნა „მულენ რუჟის“ ვარსკვლავის დიდი ხნის სურვილი გახლავთ.

ფილმი ქალთა ორ გუნდზე — თეთრსა და შავკანიან და ესპანური წარმოშობის გოგონებზე მოგვითხრობს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს, იძულებულნი ხდებიან, გაერთიანდნენ.

იმ პერიოდში კლუბებში, სადაც მამაკაცები იკრიბებოდნენ, ქალებს ეკრძალებოდათ დაკვრა. სქესობრივი დისკრედიტაცია მას შემდეგ იქნა ლიკვიდირებული, რაც რუზველტმა იაპონიას ომი გამოუცხადა. ქალებმა, ამერიკის მასშტაბით, წამყვან საკლუბო სცენებზე დაიწყეს დაკვრა. ფილმი უფრო დრამატული ხასიათის იქნება, ვიდრე მიუზიკლი. თუმცა მასში უხვად გაჟღერდება მუსიკა. რაც შეეხება კიდმანს და ლოპესს, ისინი არაერთხელ იმღერებენ. ■

## პამელა ანდერსონმა პირველი კოლექცია წარმოადგინა

პამელა ანდერსონის ტანსაცმლის პირველი კოლექციის The Pamela Collection-ის ჩვენება ლას-ვეგასში შედგა. როგორც 36 წლის პამელამ აღნიშნა, ამ დღეს 5 წელი ელოდა. „მსურდა ისეთი მოდელები შემექმნა, რომლებსაც მეც და ჩემი მეგობრებიც სიამოვნებით ჩავიცვამთ“. კოლექციაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვაგვარი ფეხსაცმელი, სპორტული ტანსაცმელი და საცვლები.



როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, ტანსაცმლის წარმოებისას, არც ერთი ცხოველი არ დაზარალებულა. ■

# შვარცენეგერმა დამოუკიდებელ კინოფესტივალზე ჯილდო მიიღო

კალიფორნიულმა კინოფესტივალმა Cinequest-მა არნოლდ შვარცენეგერს კინოხელოვნებაში წვლილის შეტანისთვის ჯილდო მიანიჭა. Maverick Spirit-ს იმ



გამორჩენილ რეჟისორებს, მსახიობებს, პროდიუსერებსა და კინოს სხვა მოღვაწეებს ანიჭებენ, რომლებიც კრიტიკის მიუხედავად, საყოველთაოდ აღიარებული წესების დარღვევით ცხოვრობენ და ხელოვნებაში თავის მიზნებს აღწევენ.

მსგავსი ჯილდოები მიღებული აქვთ: ალეკ ბოლდუინს, აიენ მაკქელენს, სპაიკ ლის, კევინ სპეისს, ჯეკი ჩანსა და სხვა მრავალს. ფესტივალი წელს მეთოთხმეტეჯერ გაიმართა. იგი დამოუკიდებელი ფესტივალების იმ რიგს განეკუთვნება, რომლებზეც დამწყებ რეჟისორებს თავიანთი ნამუშევრების ჩვენების საშუალება ეძლევათ. ■

# სლეიტერი აფლეკზე ფილმს იღებს



ალბათ, ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის რომანის – „სისხლგამყინავი“ ამბავი არც ისე მალე მიეცემა დავიწყებას. სიტუაციის გამოსაყენებლად ბენის მეგობრებიც კი არ კარგავენ ხელსაყრელ მომენტს. მაგალითად, საიტის – **The Scoop**-ის ინფორმაციით, კრისტიან სლეიტერს სურვილი აქვს, იმ ნავსიანი სკანდალის გარშემო, რომელიც ბენთან ერთად სტრიპკლუბში შეემთხვა, ფილმი გადაიღოს. მაშინ ჯენიფერმა თავის მეუღლეს დიდი სკანდალი მოუწყო, რაც „ყვითელი“ პრესით ინტენსიურად შუქდებოდა.

რაც შეეხება სლეიტერს, ის საოცრად გაერთო ამ ამბით და გადაწყვიტა, სცენარიც შექმნას, თუმცა პროექტზე მომუშავე სცენარისტის, ელან მასტაის თქმით, ფილმის სიუჟეტი საგრძნობლად განსხვავებული იქნება რეალურისაგან. ■



# ლეგენდარული ექსბიტლზის ვაჟი Oasis–ს შეუერთდა

ბრიტანული ჯგუფი Oasis ექსბიტლზის, რინგო სტარის ვაჟიშვილთან მუშაობს. ზაკ სტარკი მამის კვალს გაჰყვა და დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს. ამ ზაფხულს იგი ჯგუფ The Who-სთან ერთად გასტროლებზე მიემგზავრება. გარდა ამისა, ზაკი Oasis-ის მუსიკოსებსაც შეუერთდება, რათა ნოელ და ლაემ გალაჰერებთან ერთად საქველმოქმედო კონცერტი გამართოს. Oasis-ში, სადაც „ბიტლზის“ ცნობილი ფანატები მოღვაწეობენ, აღფრთოვანებულნი არიან, რომ ლეგენდარული ოთხეულის ერთ-ერთი მუსიკოსის ვაჟთან უწევთ თანამშრომლობა. თავის მხრივ, ზაკიც მოხარულია მათთან მუშაობით. როგორც Sky News იუწყება, Oasis „ბიტლზის“ ფანატები არიან, ხოლო სტარკი – მათი. ასე რომ, ყველა ბედნიერია. ■

# ჯუდი ლოუს ახალი რომანი

როგორც ჩანს, ჯუდი ლოუსა და სიენა მილერის რომანი დასასრულს მიუახლოვდა. ახლა ლოუ ნატალი პორტმანითაა გატაცებული. მათ ერთმანეთი ფილმ „ცივი მთის“ გადაღებისას გაიცნეს, სადაც ლოუ მთავარს, ხოლო ნატალი – ერთ-ერთ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, მაგრამ მათი რომანი მაშინ არ დაწყებულა. ჯერ ერთი, ლოუ იმ დროს გაყრის პროცესში იყო, მეორეც, ფილმში ნიკოლ კიდმანი თამაშობდა – ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მის გვერდით ყველა ქალი დაიჩრდილებოდა. თუმცა ბედმა გადასაღებ მოედანზე ლოუ და პორტმანი კვლავ შეახვედრა ერთმანეთს, სადაც კიდმანი აღარ იყო (მართალია, ჯულია რობერტსი იყო, მაგრამ ის პორტმანის მეტოქე არ არის). სცენარის მიხედვით, ჯუდი და ნატალი საყვარლებს ასახიერებდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი იქამდე მიდიოდა, რომ რომანი დაწყებულიყო – ასეც მოხდა. როგორც მსახიობების მეგობრები აღნიშნავენ, ნატალი და ჯუდი ერთმანეთზე დიდი პატივისცემით ლაპარაკობენ. ■





# New Beetle-ის ახალი შტრიხები

ლეგენდარული „ხოჭოს“ რიმეიკმა – Volkswagen New Beetle-მა სულ მოკლე ხანში დაიპყრო ავტომოყვარულთა გულები, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკაში. როგორც ცნობილია, მას გერმანული კონცერნის მექსიკურ ფილიალში აწარმოებენ და აშშ-ში, ევროპასა და სხვა ქვეყნებში ყიდიან. მიმდინარე წლის დასაწყისში, ბაზარზე ამ მანქანის თავახდილი ვარიანტი გამოჩნდა. იგი 1,8 ლ სამუშაო მოცულობის, ტურბოდაბერვიანი ძრავათია აღჭურვილი და ჩინებული ტექნიკური მახასიათებლებით გამოირჩევა: 202 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარე აქვს, 100 კმ/სთ სიჩქარეს 9 წმ-ში ავითარებს.

მექსიკური ქარხანა მომხმარებელს New Beetle-ის ოჯახის კიდევ ერთ – დახურულ ვარიანტს – Kit-ს სთავაზობს, რომელიც ზემოთ აღნიშნულზე მეტი სიმძლავრით გამოირჩევა. ის აღჭურვილია 2 ლ-იანი ბენზინის აგრეგატით, რომელიც 115 ცხ.ძ-ს ავითარებს; არსებობს აგრეთვე დიზელისძრავიანი მოდიფიკაცია, რომლის სამუშაო მოცულობა 1,9 ლ-ს, სიმძლავრე კი 100 ცხ.ძ-ს შეადგენს. Kit აღჭურვილია 17-დუიმიანი საბორბლე დისკებით, კლიმატკონტროლიანი კონდიციონერით, სპორტული სავარძლებით, წვიმის სენსორებით, რომლებიც პირველი წვეთის დავარდნისთანავე ჩართავს მინის საწმენდებს და ე.წ. სადგომის ასისტენტით – ელექტრონული ბლოკით, რომელიც უკუსვლით მანევრირებისას ეხმარება მძღოლს. მანქანას თან ერთვის აგრეთვე აუდიოსისტემა და კომპაქტდისკიანი ფირსაკრავი. სხვა მოდელებისთვის ყველა ამ ოპციის შეკვეთა მომხმარებელს 2.000 ევრომდე დაუჯდება, Kit-ს ისინი საბაზო კომპლექტაციაში ახლავს თან. გერმანიაში ბენზინისძრავიანი New Beetle Kit 22.975 ევრო ღირს, დიზელისძრავიანი – 23.300 ევრო. რაც შეეხება თავლია New Beetle Cabriolet-ს – მისი მინიმალური ფასია 24.000 ევრო. ■



# Colt-ის სისტემის Mitsubishi

კომპაქტური მოდელი Colt იაპონური ავტოგიგანტის კიდევ ერთი სიახლეა, რომელიც პირველად, ჟენევის ავტოსალონზე გამოამზეურეს. საინტერესოა, რომ ის იაპონელი ინჟინრებისა და კორპორაცია DaimlerChrysler-ის სპეციალისტთა ერთობლივი შემოქმედების პირველი ნაყოფია. მომცრო მანქანა ოთხადგილიანი Smart Forfour-ის ბაზაზეა აგებული. ახალი „კოლტი“ საგრძნობლად განსხვავდება ანალოგიური მოდელისაგან, რომელიც იაპონურ ბაზარზე 2002 წლის ნოემბრიდან იყიდება. მისი სიგრძე 3,87 მ-ს შეადგენს, სალონი ფუნქციონალობით გამოირჩევა: სავარძლები შეგიძლიათ მთლიანად ან ნაწილობრივ დაკეცოთ, ან ამოიღოთ კიდეც. სალონში მომხმარებელი უამრავ სასიამოვნო „წვრილმანს“ შეხვდება – მაგალითად, საბარგო განყოფილებაში მოთავსებულ მინიატურულ მაცივარს და წინა პანელში ჩამონტაჟებულ კომპაქტდისკების ფირსაკრავს.

მყიდველს საშუალება ექნება, საკუთარი სურვილით აირჩიოს სამიდან ერთი ძრავა: 1,1 ლ, 1,3 ლ და 1,5 ლ სამუშაო მოცულობისა; სამივეს, გერმანიის ქალაქ კელედაში მდებარე, „მიცუბიშისა“ და „დაიმლერ კრაისლერის“ ერთობლივი საწარმო უშვებს. ავტომანქანის სტანდარტულ აღჭურვილობაში შედის: უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშები, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, სტაბილიზაციის ელექტრონული კონტროლი MASC (Mitsubishi Active Stability Control). თუმცა, ამ უკანასკნელს, ევროპელ მყიდველებს მხოლოდ ოპციის სახით შესთავაზებენ. ევროპის ავტოსალონები Mitsubishi Colt მაისში მიიღებენ. რაც შეეხება მის ფასს, ის ჯერ გამოცხადებული არაა, მაგრამ სპეციალისტთათვის ნათელია, რომ „კოლტი“ ამ პარამეტრითაც გაუწევს კონკურენციას ისეთ მანქანებს, როგორებიცაა: Volkswagen Polo, Peugeot 206, Renault Clio, Skoda Fabia. ახალ მანქანას წარმატების ყველა შანსი აქვს: ევროპაში იაპონური ავტომობილები ტრადიციულად, პოპულარობით სარგებლობს. ■



# ტერნუვის ციხე-დარბაზის აჩრდილი



**პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ტერნუვის ძველი ციხე-დარბაზის პირქუში ნანგრევები ბევრ საიდუმლოს ფარავს. ოდესღაც ბრწყინვალე ციხე-დარბაზის მფლობელი ცნობილი თავადი იერემია ვიშნევეცკი (1612-1651 წწ.) გახლდათ. პოლონეთისა და უკრაინის სოფლებში დღესაც მოისმენთ ხალხში გავრცელებულ თქმულებებს პათოლოგიური სისასტიკით სახელგანთქმულ თავადზე.**

## იოლი გზით გამდიდრების მსურველნი

ეს ამბავი 1998 წლის 17 ივლისს დაიწყო: ცხელი ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ტერნუვის ციხე-დარბაზის მახლობლად მდებარე ამავე დასახელების დაბაში მცხოვრებმა ორმა ყმაწვილმა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება საკმაოდ უცნაური მეთოდით გადაწყვიტა. იანუშ კემპინსკისა და თადეუშ მირსკის მთელ ტერნუვში უსაქმურების სახელი ჰქონდათ გავარდნილი. მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილების მშობლები მთელი ცხოვრება სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, მეგობრები პროვინციულ ყოფასა და სოფლის საქმის კეთებას უკადრისობდნენ. ,,ახალ“ კაპიტალისტურ პოლონეთში კი, უამრავი გასართობი არსებობდა, რისთვისაც მეგობრებს აუცილებლად სჭირდებოდათ ფული.

იანუშმა და თადეუშმა ბევრი იფიქრეს, თუ როგორ ეშოვათ ფული იოლი გზით; ბოლოს, მირსკის ერთი იდეა მოუვიდა: მეგობარს შესთავაზა, რომ შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის მიწისქვეშეთში ეწარმოებინათ გათხრები. ამ წამოწყებას კემპინსკიმაც ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი. საქმე ის გახლავთ, რომ თქმულებები ტერნუვის ციხე-დარბაზში თავად ვიშნევეცკის მიერ ჩამარხული განძის შესახებ, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მეტ მისტიკურობასა და იდუმალებას იძენდა. თუმცა ხალხში გავრცელებული ამბების ნაწილს ისტორიული ფაქტები ედო საფუძვლად: ეს ეხებოდა იმ დროს, როცა რეჩ პოსპოლიტა (XV-XVIII საუკუნეების პოლონეთის სახელმწიფოს ტრადიციული სახელწოდება) დაძაბულ ბრძოლას აწარმოებდა პოლონელი მჩაგვრელების წინააღმდეგ აჯანყებულ კაზაკებთან, რომლებსაც ბოგდან ხმელნიცკი ხელმძღვანელობდა.

## ოქროს ციებ-ცხელება

XVIII ს-ის 40-იანი წლების ბოლოსათვის იერემია ვიშნევეცკი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და გავლენიანი პოლონელი მაგნატი გახლდათ, ვინც პრაქტიკულად არ ემორჩილებოდა პოლონეთის მეფის ბრძანებას და ზაპოროჟიელ კაზაკებს საკუთარი ძალებით ებრძოდა. საქმე ის გახლავთ, რომ თავადის მიწების ძირითადი ნაწილი, სწორედ უკრაინაში მდებარეობდა და ამ ომში იერემია სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა საკუთარი ფეოდალური სამფლობელოს მთლიანობის შენარჩუნებას აყენებდა.

იერემია ვიშნევეცკის ძალზე ფიცხი და ჭირვეული ხასიათი ჰქონდა, ის ორჭოფული მდგომარეობა კი, რომელშიც თავად იმყოფებოდა, კიდევ უფრო ამძაფრებდა მის ამ თვისებებს, რასაც ზედ ერთვოდა მისი დაუნდობელი და სასტიკი ხასიათი. პოლონელი დიდებული წარმოშობით რუსი გახლდათ, მისი წინაპრები რუსეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ (კერძოდ, ივანე მრისხანეს) და მათ ლაშქრობებშიც მონაწილეობდნენ.

თავად იერემია ვიშნევეცკიმ პოლონეთის მეფეს შეჰფიცა ერთგულება. მიუხედავად ამისა, გარკვეული ხნის მანძილზე ის მართლმადიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც კათოლიკობა მიიღო. მას შემდეგ, ერთი წელიც არ იყო გასული და პოლონე-

თის არმიის რიგებში მყოფმა იერემიამ რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრა (1632-1634 წწ. პოლონეთის ჯარმა ალყაში მოაქცია სმოლენსკი). აქედან მოყოლებული, თავადი გამუდმებით იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ „რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე გახლდათ“. მოკლედ, ვიშნევეცკი იყო ის ადამიანი, რომლის შესახებაც ბოგდან ხმელნიცკი ამბობდა: „ის ორგზის მოღალატეა, რამეთუ არა მარტო საკუთარ ხალხს უღალატა, არამედ — სარწმუნოებასაც“.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გარდა, იერემიას არაერთი ღირსებაც ჰქონდა. მას ბრძოლის ველზე სიმამაცით ვერავინ შეედრებოდა, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე გახლდათ და მხედართმთავრის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მიუხედავად იმისა, რომ თავადს კაზაკებთან ბრძოლის დროს ხშირად არ წყალობდა ბედი, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს მუდმივად პოულობდა: მას არაერთგზის დაუღწევია თავი ალყისათვის, რაღაც სასწაულებრივად მტრის ტყვიაც ყოველთვის გვერდს უვლიდა. ერთადერთი, რაშიც ვიშნევეცკი ხშირად მარცხდებოდა ხოლმე, ფინანსური პრობლემები გახლდათ.

ვინაიდან თავადი თვითნებურად აწარმოებდა ბრძოლას, ლაშქრის შენახვაც საკუთარი ხარჯებით უხდებოდა. მისი მებრძოლების ძირითად ნაწილს დაქირავებული გერმანელი ჯარისკაცები შეადგენდნენ. როცა ღრმად მისტიკური ნატურის ვიშნევეცკი გაუთავებელ ფინანსურ პრობლემებს ველარ აუვიდა, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და მისთვის აუცილებელი ოქროს მოპოვება ალქიმიის მეშვეობით გადაწყვიტა. იმხანად ევროპაში ფილოსოფიური ქვის ძიება ძალზე პოპულარულ საქმედ მიიჩნეოდა. ამასთან ერთად, ევროპის არაერთ ქვეყანაში არსებობდა საიდუმლო ლაბორატორიები, სადაც ათწლეულების მანძილზე უშედეგოდ მიმდინარეობდა სამუშაოები ხელოვნური ოქროს მოსაპოვებლად. სხვების წარუმატებლობის მიუხედავად, იერემია დარწმუნებული იყო, რომ ხელოვნური ოქროს მიღების ხერხის საიდუმლოს არსში ჩაწვდომას თავად აუცილებლად მოახერხებდა. ამ რწმენას მას უმტკიცებდა წინასწარმეტყველება: ერთმა ცნობილმა ასტროლოგმა წლების წინ უწინასწარმეტყველა მას, რომ უდიდეს წარმატებას მიაღწევდა და „პოლონეთს მხსნელად მოევლინებოდა“.

1649 წლის შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს ვიშნევეცკის ბრძანებით, ტერნუვის ციხე-დარბაზის მიწისქვეშეთში ყველა აუცილებელი ქიმიური, ასტროლოგიური და მაგიური ინგრედიენტი მიიტანეს. მალე ღუმლებსა და ტიგელების ქვეშ ცეცხლიც დაინთო და მუშაობაც გაჩაღდა.

დღე დღეს მისდევდა, მაგრამ „მაგიური ოქროს დაბადების“ საიდუმლოს წვდომას თავადი ვერა და ვერ ახერხებდა. ვიშნევეცკი გერმანელ ალქიმიკოს ბერთან — ფრიდრიხ ზაინესთან (რომელიც მან სპეციალურად გამოიწერა მიუნხენიდან) ერთად მთელ ღამეებს ლაბორატორიაში ათენებდა, სადაც ქურაში ბეჭდებს, სამაჯურებს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ოქროს მონეტებსა და თვით რომის პაპის მიერ ნაკურთხ ძვირფას ჯვარსაც კი არაერთგზის ადნობდნენ და ათასგვარ ბალახეულ თუ ქიმიურ ფხვნილს ურევდნენ, მაგრამ სპილენძი, რომელიც გაიძვერა გერმანელის მტკიცებით კეთილშობილ ლითონად უნდა ქცეულიყო, ისევ და ისევ სპილენძად რჩებოდა.

იერემიას ზოგჯერ ეჩვენებოდა, მიზანთან იმდენად ახლოს იყო, რომ საცაა საიდუმლოს ჩასწვდებოდა: ასეთ დროს, საერთოდ სიტყვაძუნწი თავადი ენად გაიკრიფებოდა ხოლმე და ფრიდრიხს საჩუქრებით ავსებდა. მოსალოდნელი წარმატების შესახებ კი, დიდებულებს „საიდუმლოდ“ ატყობინებდა და იმასაც დასძენდა, რომ სულ მალე, დაქირავებული ჯარისკაცების პოლკები ეყოლებოდა, მაგრამ როცა დარჩენილი ერთადერთი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა, ვიშნევეცკის იმედები ემსხვრეოდა, იქუფრებოდა და ციხე-კოშკის დარბაზებში ხმაამოუღებლივ მიმოდიოდა. ასეთ მომენტებში მის სიახლოვეს ყოფნა მართლაც სახიფათო იყო...

ხალხში გარცელებული ლეგენდების თანახმად, სასოწარკვეთილმა იერემია ვიშნევეცკიმ ერთ-ერთ ასეთ ღამეს სული ეშმაკს მიაბარა!..

## ტერნუვის აჩრდილი

ახლა კი, კვლავ ჩვენი თხრობის საწყის ამბავს დავუბრუნდეთ, რათა შევიტყოთ, თუ რა ბედი ეწიათ ციხე-დარბაზის მიწისქვეშეთში მოხვედრილ მეგობრებს. მოგვიანებით, ამ თემაზე არაერთი პოლონური გაზეთი წერდა.

ადგილობრივი ლეგენდების წინააღმდეგობრივი შინაარსის მიუხედავად, ერთ საკითხში, ყოველ მათგანში არსებობდა თანხმობა: გადმოცემის მიხედვით, თავად ვიშნევეცკის ლაბორატორია ციხე-დარბაზში სამლოცველოს იატაკის ქვეშ მდებარეობდა, ხოლო საიდუმლო შესასვლელი კარი კი, საკურთხევლის უკან იყო მოთავსებული. თუმცა, შენობის მიწისქვეშეთში მოხვედრა იქ არსებული ხერგილების გამო საკმაოდ რთული გახლდათ: მეორე მსოფლიო ომის დროს ციხე-დარბაზი საბჭოთა ავიაციას დაუბომბავს და საფუძვლიანადაც დაუზიანებია. იანუში და თადეუში ფიზიკურად ძლიერი ბიჭები იყვნენ, ასე რომ, ძალაყინებით, წერაქვებითა და ნიჩბებით შეიარაღებულ ყმაწვილებს ნანგრევებში გზის გაკვალვა არ გასჭირვებიათ. ერთი ის იყო, რომ საკურთხევლამდე მისასვლელად მათ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ — ბიჭებმა მუშაობა დილაადრიან დაიწყეს და საკურთხეველს მხოლოდ მზის ჩასვლისას მიაღწიეს. მთელი დღის მანძილზე ისინი ხის მოზრდილ ძელებს, აგურებსა და სხვა სამშენებლო ნარჩენებს ეზიდებოდნენ, მაგრამ დაღლილობას ვერ გრძნობდნენ: თავგადასავლის მაძიებლებს რაღაც ფასეულის პოვნის იმედი ძალას მატებდა. ბოლოს და ბოლოს, მათ სამუშაოს ყველაზე შრომატევადი ნაწილი გააკეთეს, მაგრამ სანუკვარ საიდუმლო კარს ვერსად მიაგნეს. მაშინ, იმის იმედით, რომ სიცარიელეს აღმოაჩენდნენ, ბიჭებმა ქვის იატაკის ფილებზე ფრთხილად კაკუნს მიჰყვეს ხელი. საოცარია, მაგრამ სიცარიელის აღმოჩენა ბიჭებმა თითქმის მაშინვე მოახერხეს. კიდევ რამდენიმე წუთი ყრუ ხმის მქონე ფილის ძალაყინით ამოგდებას მოანდომეს — როცა ფილა ბუდიდან ამოვარდა, მათ წინ კვადრატული ფორმის ხვრელი გამოჩნდა, რომლის მიღმაც უკუნ სიბნელეს დაესადგურებინა. წინდახედულ მირსკის არც კაპრონის თოკის წამოღება დავიწყებოდა, რომლის მეშვეობითაც განძის მაძიებლები მიწისქვეშეთში აღმოჩნდნენ. სარდაფში პირველი თადეუში ჩავიდა, თან პატარა ფარანიც ჩაიტანა. წუთიც არ იყო გასული, როცა სარდაფის იატაკზე დადგა ფეხი და ამის შესახებ მაშინვე კემპინსკის ამცნო. თვალის დახამხამებაში იანუშიც სარდაფში გაჩნდა და თავის დროზე მისთვის ერთი ნაცნობის მიერ ნაჩუქარი ძლიერი, სპელეოლოგიური ფარანიც ჩართო. საკუთარი აღმოჩენით აფორიაქებულმა მეგობრებმა იქაურობა გაანათეს, მაგრამ ერთი შეხედვით, საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინეს.

ფარნის მკვეთრ შუქზე აგურის კამაროვანჭერიანი ფართო ოთახი გამოჩნდა. მუხის ხის მასიურ მაგიდებზე კოლბები და სქელი შუშის რეტორტები (ლათ. retorta — მსხლის ფორმის, სითხის გამოსახდელი ხელსაწყო) ეწყო. ყველაფერი მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული. აშკარა გახლდათ, რომ ძალიან დიდი ხნის მანძილზე საიდუმლო ლაბორატორიაში არავის დაედგა ფეხი.

მეგობრები ცოტა დაწყნარდნენ და

სარდაფის დეტალურად დათვალიერება შეუდგნენ. თუმცა, რაიმე ფასეულის პოვნის იმედი მალევე გადაეწურათ — სანუკვარი ოქრო და ძვირფასეულობა არსად ჩანდა. ბიჭებმა მხოლოდ კოლბები, რეტორტები, ბრინჯაოს როდინები, შემთხვევით ვიღაცის მიერ დაკარგული ვერცხლის მონეტა და გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე უცნაური ნივთი აღმოაჩინეს.

იმედგაცრუებულმა განძის მაძიებლებმა შინ დაბრუნება გადაწყვიტეს: სამახსოვროდ კი, ვერცხლის მონეტისა და ბრინჯაოს თითო როდინის წაღება დააპირეს. ის იყო, მეგობრები ზემოდან ჩამოშვებულ თოკთან მივიდნენ, რომ მოვლენები მათთვის სრულიად მოულოდნელად წარიმართა...

მოგვიანებით კემპინსკი იხსენებდა, რომ თავდაპირველად, მათ ზურგს უკან ძნელად შესამჩნევი მოძრაობა იგრძნეს, ამას თითქოს სიცარიელიდან მომავალი რაღაც გაურკვეველი ხმაური მოჰყვა, შემდეგ კი, კვნესაც გაისმა და ბიჭებმა აშკარად გაიგონეს ჩახლეჩილი ხმით ნათქვამი სიტყვა: „ჰილფე, ჰილფე!“ თადეუში და იანუში მოულოდნელობისაგან შეკრთნენ, მკვეთრად მიტრიალდნენ და ფარნის შუქი იქითკენ მიმართეს, საიდანაც ხმა მოესმათ. აი, ის კი, რაც მათ ფარნების მკვეთრ შუქზე საკუთარი თვალით დაინახეს, სრულიად წარმოუდგენელი იყო...

უიღბლო განძის მაძიებლების თვალწინ, სარდაფის განათებულ კედელთან ადამიანის ნახევრად გახრწნილი ფიგურა წამოიმართა — ჩონჩხს შავი სუტანა ემოსა და თავზე კაპიუშონი ჰქონდა წამოხურული. შიშისაგან გაშეშებულ ყმაწვილებს პირქუში აჩრდილი ნელნელა, კვნესა-კვნესით უახლოვდებოდა და მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა — „ჰილფე“. შემზარავი არსება ბოლოს და ბოლოს, ყმაწვილებს მიუახლოვდა და ხელი მათკენ გაიშვირა...

### უგზო-უკვლოდ გამქრალი

ახლობლებმა მირსკი და კემპინსკი მხოლოდ მეორე დღეს მოისაკლისეს. ღამით მათი შინ არყოფნა არავის გაჰკვირვებია, რადგან ბიჭები ხშირად სტუმრობდნენ მეგობარ გოგონებს და დილამდე მათთან რჩებოდნენ. მირსკის დედა მხოლოდ მაშინ შეშფოთდა, როცა თადეუში მეორე დღეს, სადილზეც არ გამოჩნდა. მან სასწრაფოდ ნაცნობ-მეგობრებში მოიკითხა შვილი, მაგრამ ვერსად მიაგნო. მასთან ერთად იანუშ კემპინსკიც გამქრალიყო. ის ფაქტი, რომ მეგობრები ტერნუვის ციხე-დარბაზის ნანგრევების მონახულებას აპირებდნენ, მათი მშობლებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა და მალე რამდენიმე პოლიციელი უკვე ციხე-დარბაზის ტერიტორიას ჩხრეკდა.

ბიჭების მიერ გაწმენდილი ნანგრევების მიგნება კანონის დამცველებს არ გასჭირვებიათ. ისინი კვალს გაჰყვნენ, საკურთხევლის იატაკზე კვადრატულ ხვრელს მიადგნენ და მასში ჩაშვებული თოკიც დააფიქსირეს. ერთ-ერთმა პოლიციელმა თოკი მოქაჩა და ამ დროს მიწისქვეშეთიდან მძიმე კვნესა მოისმა. შექმნილი სიტუაცია ვახმისტრმა სათანადოდ შეაფასა და სასწრაფოდ სარდაფში ჩაეშვა. სულ მალე იანუშ კემპინსკი ზევით ამოიყვანეს.

შემთხვევის ადგილზე მოგვიანებით მისულმა ექიმმა განაცხადა, რომ ყმაწვილი ღრმა შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სუსტად რეაგირებდა მის გარშემო მომხდარ მოვლენებზე. დაზარალებული დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც საძილე აბები დაალევინეს და შპრიცით დამამშვიდებელიც გაუკეთეს.

კემპინსკიმ გადატანილ სტრესთან გამკლავება, საბოლოოდ, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოახერხა და მეტ-ნაკლებად მკაფიო ჩვენებაც მაშინ მისცა პოლიციას. იანუში დაწვრილებით მოჰყვა ყველაფერს, შემზარავი აჩრდილის გამოჩენის ჩათვლით, მაგრამ რა მოხდა ყმაწვილებთან მისი მიახლების შემდეგ, მან თავადაც არ იცოდა. თადეუშ მირსკი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა — პოლიციის დამატებითმა ძალებმა ციხე-დარბაზის მიმდებარე ტერიტორია და მის მახლობლად მდებარე ტყე საგულდაგულოდ მოჩხრიკეს, მაგრამ მის სხეულს ვერსად მიაგნეს.

პოლონური პრესის მასალებიდან ცნობილი ხდება, რომ ამ შემთხვევის გახმაურების შემდეგ, გარკვეული ხნის მანძილზე დაბა ტერნუვი პარანორმალური მოვლენების მოყვარულთა და ექსტრასენსთა ინტერესის საგნად იქცა. მომხდარის ახსნას ყოველი მათგანი ცდილობდა და ამის თაობაზე გაზეთის ფურცლებზეც აკეთებდნენ განცხადებებს. რაც შეეხება კემპინსკის მიერ აღწერილ აჩრდილს, მკვლევარებს ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი აზრი აქვთ. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ მიწისქვეშეთში ახალგაზრდები ხორციელ ადამიანს კი არა, თავად ვიშნევეცკის ალქიმიკოსის — ფრიდრიხ ზაინეს აჩრდილს გადაეყარნენ, რომელიც, როგორც ჩანს, საკუთარი პატრონის რისხვას ემსხვერპლა და სამუდამო განსასვენებელიც სწორედ სამრეკლოს ქვეშ მდებარე ლაბორატორიაში პოვა. გერმანულად სიტყვა „ჰილფე“ ნიშნავს — „მიშველეთ!“

■



## მხატვარმა საკუთარ თავზე იქორწინა

უცნაურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ჰოლანდიის ქალაქ ჰაარლემში. ამ ქალაქის 29 წლის მკვიდრმა, ჯენიფერ ჰიუზმა, რომელსაც ახლობლების თქმით, საქმრო არასდროს ჰყოლია, ყველასთვის მოულოდნელად საქორწინო კაბა შეიძინა. სადღესასწაულო სამოსში გამოწყობილი მხატვარი ქალი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში გამოცხადდა და განაცხადა, რომ იქ დასაქორწინებლად იყო მისული. როცა მუნიციპალიტეტის მოხელემ საქმრო მოიკითხა, ჯენიფერმა უპასუხა, რომ საკუთარ თავზე აპირებდა დაქორწინებას.

ეს უცნაური გადაწყვეტილება მხატვარმა იმით ახსნა, რომ თურმე ის კარგა ხნის მანძილზე პიროვნების გაორებით იყო დაავადებული. როგორც „გაირკვა“, მისი მეორე „მე“ ახალგაზრდა მამაკაცი იყო, რომელსაც ვილი ერქვა. თურმე ჯენიფერი მის გარდა ვინმეს რომ გაჰყოლოდა ცოლად, ვილი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ამიტომ სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდის მოსაპოვებლად, ჯენიფერს მისი მეორე „მეს“ მოთხოვნის შესრულება გადაუწყვეტია.

ვინაიდან, ჰოლანდიაში მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს ნება აკეთოს ის, რასაც საჭიროდ ჩათვლის, მუნიციპალიტეტში გაგებით შეხვდნენ ჰიუზის თხოვნას და უცნაური საქორწინო ცერემონიის ჩატარებაზე დათანხმდნენ. მაგრამ მხატვარი ქალის მეორე „მემ“ ამის შემდეგ დაბეჯითებით მოითხოვა, რომ ჯენიფერს მათი ქორწინება ოფიციალურად გაეტარებინა რეგისტრაციაში. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ქორწინების დოკუმენტალურად გაფორმებაზე ჯერჯერობით უარს აცხადებენ, მაგრამ ახალგამომცხვარი „ცოლი“ იმედს არ კარგავს, რომ თავის ქორწინებას მალე იურიდიულადაც გააფორმებს.

■





**რა გველის უახლოესი ერთი თვის განმავლობაში? როგორ გავლენას მოახდენს ჩვენზე პლანეტების გადაადგილება, მთვარის ცვალებადობა? ჰოროსკოპის რომელი ნიშნებისთვის იქნება ვერძის ზოდიაქო წარმატების მომტანი და რომელი ნიშნებისთვის — უსიამოვნებებისა და წინააღმდეგობების. ამ კითხვებს ასტროლოგი მარინა ბაბ-უშანა უპასუხებს:**

# „განშორების შემდეგ ორივეს გამუდმებით ექნება ერთურთისადმი ლტოლვა...“

ლელა ჭანკოტაძე

– როდესაც მზე 21 მარტს ვერძის ნიშანში შევა, ნამდვილი გაზაფხული დაიწყება. ეს არის ბუნებისთვის ახალი წელი – ბუნება ნამდვილად იღვიძებს და იწყება ახალი ცხოვრებისეული წრე. ბუნებასთან ერთად იღვიძებს ადამიანის ორგანიზმიც. უწინ რომაელები, სკიფები, სომხები, რუსები და სხვა ხალხები ახალ წელს სწორედ ამ დღეს აღნიშნავდნენ. ასირიელები ახალ წელს ახლაც პირველ აპრილს ზეიმობენ. ეს დღე არის ასტრონომიული ახალი წლის დასაწყისი, რადგან სწორედ მაშინ კვეცს მზე ზეცის ეკვატორის ხაზს... ამიტომაც გველოდება უამრავი სიახლე. ბუნება ბევრ მოულოდნელობას გვპირდება. ადამიანები კი, ცვლილებების სურვილით იქნებიან შეპყრობილები. ვერძი არის პირველი ნიშანი, რომელიც ზოდიაქოს წრეს ხსნის. მზე ვერძის ზოდიაქოში 20 მარტიდან 20 აპრილამდე იმყოფება. ვერძის ნიშნის მფარველი პლანეტებია მარსი და პლუტონი. ვერძის ზოდიაქოში მზეც ძლიერია. მისი ფუნქცია ძლიერდება. როდესაც მზე ამ ნიშანში იმყოფება, ენერგიის მკვეთრი მატება იგრძნობა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს აქტიური პერიოდია. მღელვარე და ნაყოფიერი მოქმედებების, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტების დასაწყებად ხელსაყრელი დრო დგება.

— **შეგიძლიათ დაასახელოთ ვერძის ზოდიაქოსთვის ყველაზე რთული დღეები?**

– 21-31 მარტი რთული და დაძაბული დეკადაა. ნერვიული, იმპულსური დღეები გველის. გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე მოიმატებს დეპრესიებისა და ნერვული სტრესების, ინფარქტებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რიცხვი, გახშირდება ავტოავარიები. მსოფლიოში ბევრი ტერორისტული აქტი განხორციელდება. შესაბამისად, დიდი იქნება მსხვერპლი. კონსერვატორები შეუტევენ ნოვატორებს. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტ ვნებათაღელვას აჭარაში გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობა გამოიწვევს. პრობლემა ახალი ძალით იფეთქებს, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე, 18 აპრილიდან 5 მაისამდე პერიოდი იქნება, როდესაც ორჯერ ზედიზედ მოხდება მზისა და მთვარის დაბნელება. ამ დროს ნერვული სტრესის შემთხვევები მოიმატებს, გაიზრდება თვითმკვლელობათა რაოდენობა.

— **კარგს რას მოგვიტანს აპრილი?**

– მძიმე თვეა. საბოლოო ჯამში, შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, თუმცა კულტურის სფეროს მუშაკებისთვის ურიგო არ იქნება. მათთვის ნაყოფიერი მოღვაწეობის დღეები იწყება. ხელსაყრელი პერიოდია სიყვარულისთვის. ვნებიანი, გულწრფელი სიყვარული ყველაზე უკეთეს დამცავ მექანიზმად გამოდგება ნებისმიერი ადამიანისთვის. ამიტომ გირჩევთ, ამ თვეში გრძნობებს აჰყვეთ და გასაქანი მისცეთ ყველაზე ორიგინალურ იდეებსაც კი, რათა თავი დაიცვათ ნეგატიური დღეების უარყოფითი ზემოქმედებისგან, რაც ძირითადად ფსიქიკის მოშლით გამოვლინდება.

— **სხვას რას ურჩევთ ადამიანებს? რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ სირთულეებს მომზადებულები შეხვდნენ?**

– პირველ რიგში, სხეულის გასაკაჟებლად უნდა ვიზრუნოთ. ეს აუცილებელია, მოსალოდნელი ვირუსების თავიდან ასაცილებლად. მიიღეთ ბევრი წყალი – დღეში 7-8 ჭიქა. ამასთანავე, აუცილებელია თითოეულმა ჩვენგანმა დაიწყოს პრობლემების გადაწყვეტის ახლებური გზების ძიება. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ მძიმე იქნება მარტის ბოლო. მოგეხსენებათ, 20 მარტს დღე და ღამე გაუტოლდა ერთმანეთს, 21 მარტს დაიწყო ახალმთვარეობა. ამასთან, მზე თევზების (წყლის სტიქია) ზოდიაქოდან, ვერძის (ცეცხლის სტიქია) ზოდიაქოში გადავიდა. ყოველივე ამის გამო ნეგატიური იქნება მარტის ბოლო. ხელისუფლება ვერ გაექცევა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს. გასამმაგდება კონფლიქტების რაოდენობა.

— **თუ შეგიძლიათ, ზოდიაქოს ნიშნებზე ცალ-ცალკე ისაუბროთ?**

– სასწორის, ღრიანკლის, თხის რქის, მერწყულის, ვერძის, ტყუპის, კირჩხიბისა და ლომისთვის ახალი გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისთვის ხელსაყრელი პერიოდი დგება, თუკი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს. თუმცა, ამ ნიშნებს შორის შედარებით იღბლიანები გამოირჩევიან – მაგალითად, ვერძი, რომელიც ენერგიის მოზღვავებას იგრძნობს და მთელი თვის მანძილზე მას გადაღლა არ დაემუქრება.

რთული დღეები ელით თევზებს: მელანქოლიურ-დეპრესიული მდგომარეობა მარტის ბოლოს; აპრილიც მათთვის აუტანელი იქნება. დასუსტდება ქალწულის სასიცოცხლო პოტენციალიც. მას კრიტიკა და შესაბამისად, იმედგაცრუება არ ასცდება. სტრესულ მდგომარეობაში აღმოჩნდება კუროც. მშვილდოსანს ვურჩევ, თავი შეიკავოს ნებისმიერი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისგან.

— **როგორები არიან აპრილში დაბადებული ადამიანები და როგორ უნდა მოვაწესრიგოთ მათთან ურთიერთობა?**

— ვერძები ძირითადად, ენერგიული, იმპულსური, გამბედავი ხალხია. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი „მეს“ რეალიზაცია — როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. ცხოვრების ბოლომდე, ვერძები ბავშვურ თვისებებს — უშუალობასა და გულწრფელობას ინარჩუნებენ. მათ არ ახასიათებს ეშმაკობა და ვერაგობა. ამ ნიშნის შესაშური თვისებებია — უანგარობა, რაინდობა, უარყოფითი თვისებაა — ზედმეტი თავდაჯერებულობა. ვერძს არ უყვარს ტყუილი. ყოველთვის უნდა, რომ ჰყავდეს იდეალი. ე.ი. მასთან ურთიერთობისას მთავარია, აღიაროთ მისი ორიგინალობა და აჩვენოთ, რომ გიყვართ.

— **თუ აქვთ ვერძებს ისეთი თავისებურება, რაც მხოლოდ პროფესიონალი ასტროლოგებისთვისაა ცნობილი?**

— ვერძს სიყვარული არ შეუძლია. ის შეიძლება საკუთარ თავსაც კი უმტკიცებდეს, რომ შეყვარებულია, მაგრამ ეს სიმართლე არ იქნება. შეიძლება ვერძი იდეალური ადამიანით გატაცებული იყოს, მაგრამ მისი გრძნობა მაინც ზედაპირული იქნება; თუმცა საქმით დაამტკიცებს, რომ შეყვარებულია, გულის სიღრმეში არავის ჩაახედებს. ვერძებს ბედი არ წყალობს, მათი უმეტესობა უიღბლოა. ეს ერთადერთი ნიშანია, რომელიც ცხოვრებისგან ყველაზე მოულოდნელ მწარე დარტყმას განიცდის ხოლმე. ვერძები ყველასგან გამორჩეულები არიან თავიანთი ბედითა და უბედობით.

— **ასტროლოგიურ ლიტერატურაში ვერ აღმოვაჩინე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად იღბლიანი შეიძლება იყოს ორი ვერძის ქორწინება. რითი მთავრდება ვერძების სიყვარული?**

— ისინი ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ, მაგრამ ვერძს არ სურს იმის დაჯერება, რომ სამყაროში მისი მსგავსი მეორე არ არსებობს, ამიტომ მათი კავშირი მარცხით სრულდება ხოლმე. ერთმანეთს მაშინაც ვერ გააბედნიერებენ, როცა საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებენ. მიტოვებულ და იმედგაცრუებულ ვერძებს შემიძლია ვუთხრა, რომ მათი ძველი პარტნიორი ვერძისთვის დაუვიწყარნი დარჩებიან. ვერძი ვერძს დასცილდება, მაგრამ ერთმანეთთან გატარებული ყოველი წუთი ორივეს, სამუდამოდ დარჩება მეხსიერებაში. ვერძი ერთადერთი ნიშანია, რომელიც თავისივე ნიშნის პარტნიორთან ურთიერთობის შემდეგ, ტრავმირებული რჩება. განშორების შედეგად, ორივეს გამუდმებით ექნება ერთურთისადმი ლტოლვა, მაგრამ ერთმანეთის დასაბრუნებლად თითსაც არ გაანძრევენ. ასეთები არიან ვერძები.

— **რას ურჩევთ ადამიანებს, რომლებიც ვერძზე დაქორწინებას აპირებენ?**

— 26-30 მარტის პერიოდში დაბადებულ ადამიანთა გვერდით შეგიძლიათ ბედნიერება იპოვოთ, მყუდრო გარემო შეიქმნათ და ცხოვრებით ტკბობა ისწავლოთ. ამ ადამიანებთან ოჯახის შექმნას თუ აპირებთ, დიდხანს ნუ იფიქრებთ — ისინი არაჩვეულებრივი მეუღლეები არიან. 4-10 აპრილის პერიოდში დაბადებული მამაკაცები თავიანთი გარეგნობით თითქმის მაგიურ ზემოქმედებას ახდენენ პარტნიორებზე. მათ შეუძლიათ, ამოიცნონ თავიანთი პარტნიორების ყველაზე დაფარული ფიქრები. სიყვარულში შეუძლიათ გამოიჩინონ თავგანწირვა, მაგრამ ამავე დროს პარტნიორის გაწამებაც სჩვევიათ. თუ რისკიანი ხართ, აჰყვებით მათ ნებას და შეიყვარებთ, ამით თქვენი ცხოვრება ორიგინალური გახდება...

— **როგორ უნდა მოვხიბლოთ მამაკაცი ვერძები?**

— ჩაიცვით ჟოლოსფერი ან ოქროსფერი კაბა, თუ გსურთ, თავი მოაწონოთ 22-30 მარტის პერიოდში დაბადებულ მამაკაცებს. არ იაქტიუროთ და ნუ შეაშინებთ მათ თავდაჯერებულობით. ეპირფერეთ და უთხარით, რომ მხოლოდ მასთან გრძნობთ თავს მყუდროდ და ბედნიერად. 1-15 აპრილის პერიოდში დაბადებული მამაკაცების მოსახიბლად, თმა ალუბლისფრად შეიღებეთ და შავი კაბით შეიმოსეთ. გამოიჩინეთ ყურადღება და იყავით პუნქტუალურები. 16-20 აპრილის პერიოდში დაბადებული მამაკაცების მოსაჯადოებლად ნამდვილი პოეტი ქალი უნდა იყოთ... რაც შეეხება ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს — მათ მამაკაცებისგან ერთადერთი რამ სჭირდებათ — ოჯახური სიმყუდროვე. თუ მამაკაცი დააჯერებს, რომ თბილ კერას და მყუდრო გარემოს შეუქმნის, ქალი ვერძი ქორწინებაზე უპრობლემოდ დათანხმდება.

■

ტესტი

# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

***1. რა ერქვა აკაკი წერეთლის მეუღლეს?***



ა) ნატალია ბაზილევსკაია;
ბ) ნატალია სკოროხოდოვა;
გ) ნატალია ვორონცოვა.

***2. რომელ წელს აკრძალა ფიფამ ფეხბურთის ფეხშიშველა თამაში?***



ა) 1921;
ბ) 1971;
გ) 1950.

***3. იტალიელთა აზრით, რომელი პროფესია მოითხოვს ყველაზე მეტად მჭევრმეტყველებას?***



ა) პოლიტიკოსობა;
ბ) პედაგოგობა;
გ) გიდობა.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

**კეტრინ ზეტა-ჯონსს ჟურნალისტები „ეკრანის დედოფლის“ სახელით მოიხსენიებენ. პრესის მუშაკები ხშირად მას ლეგენდარულ გრეის კელისა და ავა გარდნერსაც ადარებენ. თანამედროვე კინოვარსკვლავებს შორის ის ერთადერთია, ვინც 2002 წლის მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების ათეულში მოხვდა.**



# ქეთრინ ზეტა-ჯონსის თერთმეტი საიდუმლო

1) *შარშან მარტში კეტრინს დიდი ხნის ნანატრი ოცნება აუსრულდა — მას ამერიკის კინოაკადემიის აღიარება ხვდა წილად:* მიუზიკლ „ჩიკაგოს“ კინემატოგრაფიულ ვერსიაში მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისათვის ის „ოსკარით“ დაჯილდოვდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯილდოს გარეშეც პუბლიკის სიყვარული მსახიობს ნამდვილად არ აკლდა. მან უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მას შემდეგ, რაც ეკრანებზე გამოვიდა ფილმი — „ზოროს ნიღაბი“. კრიტიკოსების აზრით, მსახიობმა ამ სურათში უპრობლემოდ დაჩრდილა ისეთი ცნობილი პარტნიორები, როგორებიც არიან: ანტონიო ბანდერასი და ენტონი ჰოპკინსი.

2) *არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ლამაზმანის ბადეში გაეხვა ისეთი გამოცდილი და ცნობილი ქალთა გულთამპყრობელი, როგორიც მაიკლ დუგლასია.* აგერ უკვე მეოთხე წელიწადია, რაც ქორწინებაში წყვილი ბედნიერად გრძნობს თავს.

მსახიობის თქმით, მას სურს, რომ საყვარელი მამაკაცი დღეში 24-ჯერ მაინც გამოუტყდეს სიყვარულში და დილაობით კოცნით გააღვიძოს ის. ამასთან კეტრინი თვალყურს ადევნებს იმას, რომ მისმა მეუღლემ დიდი რაოდენობით არ მიირთვას ტკბილეული და კალორიული პროდუქტები და არ დაავიწყდეს ბალახეული ჩაის დალევა.

3) *თავის მხრივ, ცოლის მიმართ მზრუნველობას მაიკლიც იჩენს, ოღონდ სხვა სფეროში* — ეს ზნეობის სფერო გახლავთ. მკაცრმა მეუღლემ, ქვედა საცვლის სარეკლამო, ძალზე ხელსაყრელ კონტრაქტზე ხელის მოწერის უფლება არ მისცა ცოლს. ვინაიდან ეს ხელშეკრულება უხამსად მიიჩნია. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინციდენტი გახმაურდა, ამას „ვარსკვლავურ“ ოჯახში კრიზისი არ გამოუწვევია. აი, ჩვილი ბავშვების ტანსაცმლის ხაზის გახსნის გადაწყვეტილებას კი, მაიკლის მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია; პირიქით, ცოლის ამ ინიციატივამ დუგლასის კეთილგანწყობა გამოიწვია.

4) *მთელი შეერთებული შტატები აღიარებს, რომ თავისი ელეგანტურობით, დახვეწილობითა და განსაკუთრებული ბრწყინვალებით კეტრინი მსახიობთა გარემოში აშკარად გამოირჩევა.* „მიმაჩნია, რომ ქალი ნებისმიერ სიტუაციაში ქალურად უნდა გამოიყურებოდეს“, — ამბობს მსახიობი. სწორედ ამიტომაა, რომ კეტრინი ცდილობს, ირგვლივმყოფთა თვალში ყოველთვის მიმზიდველად და ესთეტიკურად გამოიყურებოდეს. ამასთან ის დარწმუნებულია, იმისათვის, რომ სექსუალურად გამოიყურებოდე, სულაც არ არის საჭირო საზოგადოებაში ნახევრად შიშველი გამოხვიდე.

5) *კეტრინის დახვეწილ-რომანტიკულ სტილს,* რომელიც საოცარ კონტრასტს ქმნის სხვა ახალგაზრდა კინოვარსკვლავების დაუდევარ და მოუწესრიგებელ ჩაცმულობასთან, ჟურნალისტები მისი წარმომავლობითა და აღზრდით ხსნიან: მსახიობი დაიბადა და აღიზარდა პურიტანულ ბრიტანეთში, კერძოდ, უელსში. სხვათა შორის, ზედმიწევნით მოვლილი უმშვენიერესი ქალბატონის დანახვისას, ხანში შესულ ამერიკელებს ძველი ჰოლივუდის მონატრება ეძალებათ.

6) *„მგონია, რომ კოსმეტიკის ხმარება, ჯერ კიდევ დედის საშოში დავიწყე“,* — ხუმრობს კეტრინი და იხსენებს, თუ სკოლაში ყოფნის დროს, როგორ ისჯებოდა ის ამის გულისთვის. თუმცა, რაც არ უნდა იყოს, ჰოლივუდის ბევრი სხვა ვარსკვლავისაგან განსხვავებით, ზეტა-ჯონსი ვიზაჟისტის ხელოვნებას პროფესიონალურ



„ზოროს ნიღაბი“

დონეზე ფლობს. კარგი მაკიაჟის წყალობით ის ზედმიწევნით კარგად ახერხებს თავისი სახის მკვეთრი ნაკვთების შერბილებას. შინიდან ყოველი გასვლის წინ, კეტრინი ისე საფუძვლიანად იკეთებს გრიმს, გეგონებათ, „ოსკარით“ დაჯილდოებაზე მიდისო.

7) *კეტრინის საყვარელი ტუჩის საცხი მკვეთრი წითელი ფერისაა; აი, თვალის ჩრდილს კი, სხვადასხვა ტონალობის ქლიავისფერს ამჯობინებს:* მსახიობის აზრით, სწორედ ეს აძლევს მის მუქ თაფლისფერ თვალებს უჩვეულო შეფერილობას. კინოვარსკვლავი მზის სხივებისგან დამცავ კრემს მთელი წლის განმავლობაში იყენებს და წამწამებსაც სისტემატურად იპრეხს სპეციალური ხელსაწყოთი.

8) *ყველანი აღნიშნავენ, რომ კეტრინს ვარცხნილობა ყოველთვის იდეალურ წესრიგში აქვს:* მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაოდ ხშირი, გრძელი და დაუმორჩილებელი თმა აქვს. თუმცა, მისი თქმით, ის ამისათვის განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს — მხოლოდ კარგი შამპუნით იბანს. არის კიდევ ერთი, პატარა ეშმაკობა: როგორც კი გარკვეული ხარისხის შამპუნს ეჩვევა თმა და იმდენად კარგად აღარ გამოიყურება, კეტრინი სხვა შამპუნის ხმარებას იწყებს.

9) *მსახიობი ჩაცმულობის კლასიკურ სტილს ამჯობინებს:* უჩვეულო აქსესუარებით კი, საოცარ მრავალფეროვნებას აღწევს. ამ მიზნით, ის ხშირად ეფექტურ ბიჟუტერიას, ორიგინალური ფორმის თმის სამაგრებსა და სხვადასხვაგვარ შარფს იყენებს. „ვაღიარებ, რომ კონსერვატორი არ ვარ, უბრალოდ, ისეთი ლამაზი რამეები მიყვარს, რაშიც თავს კარგად ვგრძნობ, — ამბობს კეტრინი. — თანაც, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ტანსაცმელი მაინცდამაინც ძვირად ღირებული იყოს“.

10) *კეტრინი ბრილიანტებსაც სიამოვნებით ატარებს.* ოღონდ, ჟურნალისტებთან საუბრისას ყოველთვის აღნიშნავს, რომ სამკაულები, მძიმე შრომის შედეგად, საკუთარი ჰონორარებით აქვს შეძენილი. თუმცა, მის ზარდახშაში ქმრის მიერ ნაჩუქარი ძვირად ღირებული სამკაულიც დევს — კელტური ჯვარი, რომელსაც ექვსი ყვითელი ბრილიანტი ამკობს.

11) *საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რაც არ უნდა ეცვას კეტრინს* — მკაცრი სტილის, მუქი ფერის კოსტიუმი, ბრწყინვალე საღამოს კაბა თუ საზაფხულო სარაფანი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მისი სამოსის ყველა დეტალი უზადო გემოვნებით იქნება შეხამებული. ■

# აი, როგორი ხართ თქვენ!

იმის მიხედვით, თუ როგორ წევხართ ან დგახართ, თქვენი ხასიათის გამოცნობა შეიძლება. მაგალითად, თუ ძილის დროს ხშირად წევხართ მუცელზე, ეს ნიშნავს, რომ თქვენ უკმაყოფილო ხართ არჩეული პროფესიით. ზურგზე წოლის მოყვარულებს კი, შეუძლიათ თქვან, რომ ძლიერი პიროვნებები არიან. ისინი, როგორც წესი, თავისი ცხოვრების სტილით კმაყოფილნი არიან. თუ თქვენ საწოლში რკალივით იხრებით, ან მკერდში ჩახუტებული ბალიშით გძინავთ, ე.ი. ნაღვლიანი ადამიანი ხართ და გჭირდებათ მამაკაცი, რომელიც თქვენზე იზრუნებს. ზედმეტად თავის თავში ჩაკეტილი, მარტოსული და პესიმისტურად განწყობილი ადამიანები, თავზეც კი იფარებენ საბანს.

თუ თქვენი დგომის მანერა ჰგავს სალუდე ფუნდუკში შესული კოვბოის დგომას (ეყრდნობით ერთ ფეხს და მეორე ფეხის ქუსლს) ე.ი. თქვენ უილბლო ადამიანი ხართ. თუმცა, ბევრი კარგი თვისება გაქვთ, ხართ გულღია, მხიარული, კომუნიკაბელური, მაგრამ გარშემომყოფნი თქვენით ადვილად ღიზიანდებიან და თუ ზედმეტს მოინდომებთ და თქვენს ნება-სურვილს მათ თავზე მოახვევთ, შეიძლება ეს რომელიმე მათგანს ჭკუაში არ დაუჯდეს და... პრობლემებს თავი ვერ დააღწიოთ.

მამაკაცს ყოველთვის უჩნდება სურვილი, იმ ქალს, რომელსაც კოვბოური დგომის მანერა აქვს, „ჭკუა ასწავლოს“ და თუ თქვენ „კოვბოური“ დგომის მანერა გაქვთ, გაფრთხილდით, შეიძლება ხშირად აღმოჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, რომ ამერიკული ვესტერნიდან მძაფრსიუჟეტიანი კადრები გაგახსენდეთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ მამაკაცის შემთხვევაში, დგომის ასეთი მანერა მერყევი ხასიათის ნიშანია. არადა, ამით ისინი ყოველთვის ცდილობენ, დამოუკიდებელი და ძლიერი მამაკაცის შთაბეჭდილება დატოვონ.

გადაჯვარედინებული ფეხებით დგომა, როცა მთელი სიმძიმე ერთ ფეხზე გადაგაქვთ, მეორე ფეხისას კი მხოლოდ თითებს ეყრდნობით, მიუთითებს, რომ თქვენ არ ხართ თავდაჯერებული ადამიანი, გეშინიათ ცხოვრებისეული წინააღმდეგობების და სიამოვნებით ემორჩილებით თქვენზე ძლიერებს. თქვენი დამახასიათებელი თვისებებია სიფხიზლე და დაკვირვების უნარი. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ვერც სამსახურში, ვერც ოჯახში და ვერც მეგობრებთან საერთო ენას ადვილად ვერ პოულობენ.

თუ თქვენი დგომის მანერა ასეთია „ფეხის თითები ერთად, ქუსლები განზე“, მაშინ თქვენ ესთეტიკის მიმდევარი ხართ. თქვენნაირი ადამიანები გამოირჩევიან პირველყოფილი უბრალოებით და დამყოლი ხასიათით.

თუ საწინააღმდეგო დგომის მანერა გაქვთ — ფეხის ქუსლები ერთად, თითები განზე, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქმიანი ქალბატონი, რეალისტი ადამიანი ხართ, რომელსაც შეიძლება ვენდოთ და დავეყრდნოთ. თქვენში არ არის არანაირი ეგზოტიკა და რომანტიკა. გადაწყვეტილებებს იოლად იღებთ, თავის დაცვაც შეგიძლიათ და მოპაექრისთვის პასუხის დასაბრუნებლად სიტყვებს ჯიბეში არ ეძებთ.

ფიზკულტურის გაკვეთილებიდან ალბათ გახსოვთ დგომა „ფეხები მხრების სიგანეზე“. ყოველდღიურ ცხოვრებაში, დგომის ასეთი მანერა თქვენს სპორტულ მონაცემებზე კი არ მიანიშნებს, არამედ იმაზე, რომ ცხოვრებასთან ჭიდილმა დაგღალათ. იმასაც კი აღარა აქვს თქვენთვის მნიშვნელობა, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენთ ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე. სხვაგვარად ამ „ფემინისტის პოზის“ ახსნა შეუძლებელია. ■


სტომატოლოგიური კლინიკა



1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-ა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედპერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №4ა
(ახლადშეკეთებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

# რას გვეუბნება თვალები? — მოვუსმინოთ მათ!



*თვალები რომ სულის სარკეა — ეს თითოეულმა ჩვენგანმა დიდი ხანია იცის, მაგრამ თუ როგორ განსაზღვრავს თვალისა და კანის ფერი ადამიანის ხასიათს, ეს ფსიქოლოგებმა ახლახან დაადგინეს და სასარგებლო რჩევებით სავსე ბროშურებიც გამოსცეს. მაშ ასე, რა უნდა იცოდეს მან, ვისაც უნდა, რომ საპირისპირო სქესის შინაგან სამყაროს მანამდე ჩასწვდეს, სანამ ის პირს გააღებდეს? ჩვენ ფსიქოლოგთა „რეცეპტს“ შემოგთავაზებთ, თქვენ კი შეგიძლიათ, თქვენს ახლობლებს კიდევ ერთხელ ჩახედოთ თვალებში და შეამოწმოთ, შეეფერება თუ არა სინამდვილეს მეცნიერთა ნააზრევი.*

*შავგვრემანი, შავ ან თაფლისფერთვალება მამაკაცები:* ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ასეთ მამაკაცებს მძიმე, კონსერვატიული ხასიათი აქვთ. ეჭვიანები და უკმეხები არიან. იოლად კარგავენ წონასწორობას და ჩხუბის წამოსაწყებადაც უმნიშვნელო მიზეზი ჰყოფნით. მანდილოსნებზე ძველმოდური შეხედულება აქვთ — მიაჩნიათ, რომ მათი ადგილი საძინებელში და სამზარეულოშია. თუმცა, ძლიერი სიყვარული და ერთგულებაც შეუძლიათ. პარტნიორისგანაც იმავეს მოითხოვენ, მაგრამ თვითონ თითქმის არასდროს ენდობიან ბოლომდე ყველაზე ახლობელ ადამიანსაც კი. საქმისადმი გულმოდგინებით გამოირჩევიან და ალბათ სწორედ ამიტომ მოიკოჭლებენ ბიზნესში.

*შავგვრემანი, მწვანე ან ცისფერთვალება მამაკაცები:* ასეთებს არცთუ ისე ხშირად შეხვდებით. ქალთა უმეტესობა „ჭკუას კარგავს“ მათზე. როგორც წესი, ასეთი მამაკაცები სიმშვიდით გამოირჩევიან, ცოტა გულგრილობაც ახასიათებთ და სიზარმაცისკენაც აქვთ მიდრეკილება. ერთგულება მათთვის უცხო ხილია. თავს პატივს სცემენ და არასოდეს თანხმდებიან ე.წ. „ვირულ“ სამუშაოზე. უყვართ თავის გამოჩენა და წარმატებასაც იოლად აღწევენ. ქალთა საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობენ და როცა მათი მოხიბვლა უნდათ, დენდებივით იქცევიან.

*ქერა, თაფლისფერ ან მწვანეთვალება მამაკაცები:* სერიოზული, ენერგიული, დინჯი, მომთმენი, შინაგანად მოწესრიგებული, ადამიანები არიან, კარგი იუმორის გრძნობით, პრაქტიკული ჭკუითა და ლოგიკური აზროვნების უნარით გამოირჩევიან. სხვებს არასოდეს ახვევენ თავზე საკუთარ პრობლემებს. არადა, მათ გვერდით ყოფნისას ყველას გულის გადაშლისა და საკუთარ თავზე საუბრის სურვილი უჩნდება.

*ხორბლისფერკანიანი ცისფერთვალება მამაკაცები:* ჭკუამხიარული, მომლხენი ადამიანები არიან. ისინი არც წინ უსწრებენ და არც ჩამორჩებიან ცხოვრებას. განსაკუთრებით კარგად გრძნობენ თავს მანდილოსანთა გარემოცვაში. იციან სიყვარულის ფასი, შესანიშნავი მეუღლეები და საყვარლები არიან. მუშაობით მაინცდამაინც არ იწუხებენ თავს და თუ ქალის ხარჯზე ცხოვრება მოუწევთ, ამის გამო თავს უხერხულად ნამდვილად არ იგრძნობენ.

*წაბლისფერთმიანი, შავ ან თაფლისფერთვალება მამაკაცები:* გამჭრიახი, ჭკვიანი ადამიანები არიან. ცოტა უხეშები, მაგრამ ძალიან ვაჟკაცურები. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან იოლად პოულობენ გამოსავალს. მათთვის უცხოა დეპრესია და უიმედობა. ბიზნესში წარმატებას აღწევენ. ქალის მოხიბვლაც ეხერხებათ და ფლირტშიც შეუდარებელნი არიან.

*ქერა, შავთვალება ქალები:* ასეთები მსოფლიოში ბევრნი არ არიან. მათი დამახასიათებელი თვისებაა: მერყევი ხასიათი, სუსტი ნებისყოფა, საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა. მეგობრობენ მხოლოდ მაღალი წრის ადამიანებთან, იოლად ბრაზდებიან, თუმცა ბოლმის გულში ჩადება არ სჩვევიათ.

*ქერა, ცისფერთვალება ქალები:* გამორჩეულად სუსტები არიან. მათზე დაყრდნობა ძნელია. იოლად გამოხატავენ ნებისმიერ უარყოფით ემოციას: შურს, ღვარძლს, სიძულვილს. არიან ირონიულები და ინტრიგების ხლართვის დიდოსტატები. არ უჭირთ მამაკაცთა მოხიბვლა. უყვართ ფული და ფუფუნება.

*შავგვრემანი, მწვანეთვალება ქალები:* იშვიათობას წარმოადგენენ, როგორც ფიზიკური, ისე შინაგანი მონაცემებით. საოცარი მომხიბვლელობით გამოირჩევიან. თუმცა დიდი ჭკუით ვერ დაიკვეხნიან.

*ქერა, თაფლისფერთვალება ქალები:* ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული მანდილოსნები არიან. ასეთები არც ზედმეტად უყვართ და არც ზედმეტად სძულთ. არც პირველები არიან და არც უკანასკნელები — ყოველთვის შუალედურ პოზიციაზე იმყოფებიან და ხშირად შეუმჩნეველნი რჩებიან.

*წაბლისფერთმიანი, თაფლისფერთვალება ქალები:* პრაქტიკული, მოწესრიგებული, მომთმენი და საქმისთვის დაბადებული ადამიანები არიან. ყველას და ყველაფერს შესაფერის სახელს არქმევენ. ძალდაუტანებლად გამოხატავენ კეთილგანწყობას. მათ გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ მოსიყვარულე ცოლები და „გიჟი“ დედები არიან. საყვარელ მამაკაცსაც ისე ეპყრობიან, როგორც ჩვილს, რომელზეც გამუდმებით უნდა იზრუნონ. უყვართ ხუმრობა. ძალიან ემოციურები არიან და ხშირად ვარდებიან დეპრესიაში.

*შავგვრემანი, შავთვალება ქალები:* ვაჟკაცური ბუნების მანდილოსნები არიან. იოლად პოულობენ საერთო ენას მამაკაცებთან, თუმცა ქალებთან ამის მიღწევა უჭირთ. კარგი მეგობრობის გაწევა შეუძლიათ. ჭკვიანებიც არიან, მაგრამ მათი უმეტესობა მაინც დაუფიქრებელი და დაუდევარია. ზერელე დამოკიდებულებას იჩენენ იმ სოციალური ინსტიტუტების მიმართ (ოჯახის, სამსახურის და ა.შ.), რომლის წინაშეც მოვალეობის გრძნობა უნდა ჰქონდეთ. სხვის ხარჯზე ცდილობენ საკუთარი პრობლემების მოგვარებას. იოლად ანგრევენ ოჯახს. თუ გაბოროტდნენ, მათგან დანდობას ნუ ელით.

*წაბლისფერთმიანი, მწვანე ან ცისფერთვალება ქალები:* უმეტესად, სერიოზულები, სიტყვაძუნწები და ამბიციურები არიან. უყვართ საკუთარი თავი. ბევრი მათგანი კარიერიზმის სენითაა შეპყრობილი. მიზნის მისაღწევად იყენებენ, როგორც გარეგნულ მომხიბვლელობას, ასევე შინაგან ინტელექტს, რომლითაც მათ უხვად აჯილდოებს ბუნება.

■

## კითხვა პასუხი



**კითხვა: რას ნიშნავს ოლიგოსპერმია და რამ შეიძლება გამოიწვიოს იგი? ემუქრება თუ არა მამაკაცს უშვილობა ასეთ შემთხვევაში?**

**პასუხი:** სპერმაში სპერმატოზოიდების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას ეწოდება ოლიგოსპერმია. საერთო რაოდენობასთან ერთად მცირდება მოძრავი სპერმატოზოიდების რაოდენობაც. მოხუცებში ოლიგოსპერმია ქრონიკულია, ახალგაზრდებში კი, აღინიშნება განმეორებითი სქესობრივი აქტის დროს და ეს ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მოვლენად ითვლება. პათოლოგიური ოლიგოსპერმია გვხვდება იმ მამაკაცებში, რომლებმაც გადაიტანეს პროსტატიტი (წინამდებარე ჯირკვლის ანთება), სათესლე ბუშტუკების ან სათესლეების ანთება. ოლიგოსპერმიის დროს, ქვეითდება შვილოსნობის უნარი. თუმცა, ეს პროცესი შეიძლება შექცევადი იყოს — იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს დაავადება, რომელმაც ოლიგოსპერმია გამოიწვია.

**კითხვა: რა შეიძლება იყოს ბავშვის უმადობის მიზეზი? როგორ ავღუდგინოთ მადა და როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებას?**

**პასუხი:** ბავშვის უმადობა ბევრი მშობლის პრობლემაა. მას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. უმადობა საკმაოდ ხშირია ემოციურ, ნერვიულ ბავშვებში; ამ სიმპტომს აგრეთვე ხშირად იწვევს ჭიებით ინვაზია, ქრონიკული ინტოქსიკაცია (მაგალითად, ნუშურა ჯირკვლების ქრონიკული ანთება), კუჭ-ნაწლავის ფუნქციური დარღვევები (დისბაქტერიოზი, ენტეროკოლიტი — ნაწლავების ანთება) და სხვა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პედიატრის მიერ ბავშვის ზოგად გამოკვლევას, მისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის დასადგენად. უმადობისას საკმაოდ კარგ ეფექტს გვაძლევს ხოლმე ვიტამინების (მულტივიტამინის — ვიტამინთა კომპლექსის) დანიშვნა პროფილაქტიკის მიზნით, მით უმეტეს, რომ ახლა გაზაფხულია და კვების პროდუქტები გამოფიტული და ვიტამინებით ღარიბია.

გარდა ამისა, მოზარდ ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის აუცილებელი მიკროელემენტია კალციუმი, რომელიც ამავდროულად მადის მომატებას უწყობს ხელს.

აქვე უნდა გირჩიოთ: ნუ დააძალებთ პატარას საჭმელს — მან უნდა ჭამოს იმდენი, რამდენიც სურს. ხოლო თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დღიურ რაციონში საჭიროზე გაცილებით ნაკლებ კალორიებს იღებს, მაშინ უნდა დაადგინოთ უმადობის მიზეზი და უმკურნალოთ.

**კითხვა: დამიდგინეს ქლამიდიოზის დიაგნოზი. ჩავიტარე მკურნალობა. მაშინ მითხრეს, რომ განვიკურნე, მაგრამ ახლახან აღმოჩნდა, რომ ისევ დაავადებული ვარ. როგორ შეიძლება აიხსნას ეს ყველაფერი?**

**პასუხი:** სავარაუდოა, რომ თქვენ არ ჩაიტარეთ მკურნალობის სრულყოფილი კურსი, რის გამოც არ მოხდა სრული განკურნება. არაზუსტი პასუხი თქვენი განკურნების შესახებ გამოწვეული იყო არა ვინმეს უვიცობით, არამედ კვლევის მეთოდის დაბალი სიზუსტით. დღემდე არსებული კვლევის მეთოდები (ნაცხის გამოკვლევა და სისხლში ანტისხეულების აღმოჩენა) არ იძლეოდა ზუსტი დიაგნოსტირების საშუალებას. დღეს კი, უკვე არსებობს ე.წ. დნმ-დიაგნოსტიკა, რომელიც 98%-ში იძლევა სწორ პასუხს. თუმცა, იგი საკმაოდ ძვირად ღირებულიცაა. ■

# სამკურნალო მცენარეები

## ძირა

ძირა ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს გლუვი ღერო, დაკბილული, ბუმბულისმაგვარი ფოთლები, წვრილი, ხუთფურცლიანი, მოთეთრო ფერის ყვავილები, რომლებიც ქოლგისებურ თანაყვავილედს ქმნის. ნაყოფი არომატულია, გამოირჩევა მომწარო გემოთი. სამკურნალო მნიშვნელობა სწორედ ძირას ნაყოფს აქვს.

ძირა კარგად ხარობს შავმიწა ნიადაგზე. მას იღებენ ივლისში, როდესაც ნაყოფი რუხი ფერის ხდება და მისთვის დამახასიათებელ არომატს იძენს.

ძირას ნაყოფი 3-8% ეთერზეთებს შეიცავს. მასში აგრეთვე ბევრია ცილა, ცხიმი, ფლავონოიდი და ლორწოვანის შემომსრგველი (ამომფენი) ნივთიერება.

### ფარმაკოლოგიური თვისებები

ძირას ნაყოფს, როგორც ყველა სანელებელს, აქვს მადის აღმძვრელი მოქმედება. აძლიერებს კუჭის სეკრეტორულ (წვენის გამომყოფ) და მოტორულ ფუნქციებს, ააქტიურებს ნაღვლის გამოყოფას. თუმცა, მცენარის ძირითადი ფარმაკოლოგიური ეფექტი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გლუვ კუნთებზე სპაზმების მომხსნელი მოქმედება და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს ფერმენტული პროცესების ინჰიბრების (შეფერხების) უნარია. გარდა ამისა, ძირას ნაყოფს აქვს დიურეზული (შარდმდენი) და ლაქტოგენური (მეძუძურ ქალებში აძლიერებს რძის გამოყოფას) ეფექტი. ხელს უწყობს ლორწოსა და ნახველის გამოყოფას.

### გამოყენება მედიცინაში

● ძირასგან მომზადებული პრეპარატები გამოიყენება ნაწლავების სპაზმური მდგომარეობისა და ფუნქციური მოშლილობის (ენტერიტების, კოლიტების, ყაბზობის, დისპეფსიების) დროს.

● ძირას ნაყოფი აუმჯობესებს ნაღვლის, კუჭის წვენისა და პანკრეასის წვენის გამოყოფას. ამიტომ მას ნიშნავენ გასტრიტის, ქოლეცისტიტის, პანკრეატიტის დროს.

● ძირას იყენებენ სასუნთქი გზების ანთების დროსაც. ჩვეულებრივ, მას სხვა მცენარეებთან კომბინირებულად ნიშნავენ.

● ძირა ფართოდ გამოიყენება კულინარიულ და საკონდიტრო წარმოებაში.

ძირას ნაყოფის ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 2 ს/კ ნედლეული ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მგ მდუღარე წყალი, დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ, შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ ოთახის ტემპერატურამდე, გადაწურეთ და ნაყენი 200 მლ-მდე შეავსეთ მდუღარე წყლით. მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

მზა პრეპარატების სახით აფთიაქებში იყიდება ძირას ზეთი, რომლის 1-3 წვეთს შაქარზე აწვეთებენ და იღებენ დღეში რამდენჯერმე; აგრეთვე — ძირას წყალი, რომელსაც ბავშვებს აძლევენ ნაწლავური კოლიკების დროს (თითო ჩ/კ 2-ჯერ დღეში). ■

# მედიცინის სიახლეები



## ბოლო ბრძოლა ტანადობისათვის

კლიმაქსის დაწყების წინ ბევრი ქალი შიშობს, რომ ბოლო მოეღება მის მიმზიდველობას. ამიტომ იწყებს თავდაუზოგავ ბრძოლას ჭარბ წონასთან. მაგრამ ეს ბრძოლა თითქმის ყოველთვის ქალურობის წინააღმდეგ ომის სახეს ღებულობს. საუკეთესო გამოსავალი ამ მდგომარეობიდან საკუთარ წონასთან „დიპლომატიური ურთიერთობის" დამყარებაა.

## მოდით, გავერკვეთ

40 წლის შემდეგ, ზედმეტი მასა თეძოებზე ყველას უგროვდება, – მათაც კი, ვისაც მემკვიდრულად სიგამხდრე არგუნა ბედმა. ამ მასასთან ბრძოლა უშედეგოა: ცხიმოვანი ქსოვილი ამ ასაკში საკვერცხეების ზოგიერთ ფუნქციას იღებს საკუთარ თავზე: იგი იწყებს იმ ესტროგენის მაგვარი ჰორმონების გამომუშავებას, რომლებიც საჭიროა კანისათვის (მათ გარეშე იგი სწრაფად დანაოჭდება), სისხლძარღვებისა და გულის მუშაობისთვის და საერთოდ, მთელი ორგანიზმისთვის. ტყუილად ხომ არ უწოდებენ ესტროგენებს ახალგაზრდობის ჰორმონებს? ასე რომ, ამ ასაკში ცხიმის უმნიშვნელო სიჭარბე საჭიროცაა და აუცილებელიც.

ქალები, რომლებიც არ არიან მიდრეკილნი სიმსუქნისაკენ, ჩვენში სულ – 1-2%-ს შეადგენენ. ქართველი ქალების უმრავლესობა კლიმაქსის პერიოდს მსხლისებური ფიგურით და ათეულობით ჭარბი კილოგრამით ხვდება. მათი დაკლების მცდელობა, ისევე, როგორც გახდომა ორსულობისას, საშიშიც კია. ამ პერიოდში, ქალმა უნდა განსაზღვროს საკუთარი ფსიქოლოგიური ტიპი და თავიდან აიცილოს შეცდომები.

## პანიკიორი

აცყობთ, რომ წლების მატებასთან ერთად, წონის კონტროლირება სულ უფრო ძნელდება – წინ გელით კლიმაქსი, მისი თანამდევი ცხიმგროვებით – ვარდებით პანიკაში და იწყებთ შიმშილობას.

ეს ყველაზე დიდი საძაგლობაა, რაც შეიძლება ქალმა საკუთარ თავს გაუკეთოს – უარესი მხოლოდ გაუმაძღრობაა. შიმშილობის წყალობით თქვენ გარანტირებული გაქვთ ათეულობით კილოგრამის მომატება. კლიმაქსის წინა პერიოდში ორგანიზმი განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამს შიმშილს, როგორც საშიშ სიგნალს და კიდევ უფრო ინტენსიურად იწყებს მიღებული საკვების მარაგში დაგროვებას.

შიმშილი შეიძლება მხოლოდ ექიმმა დაგინიშნოთ და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში.

***გამოსავალი:***

● შეზღუდეთ რაციონის კალორიულობა, მაგრამ არანაკლებ 1200 კკალისა დღეში და არა მონოდიეტის ხარჯზე.

● ნუ პანიკიორობთ იმის გამო, რომ ნაკლებს ჭამთ და მეტს იმატებთ წონაში. მიიღეთ ეს, როგორც ფაქტი და დამშვიდდით – ხდება წონის კლიმაქსური მატება. ჩაცხრება ჰორმონული ქარიშხალი და შემდგომ უფრო იოლი იქნება გახდომა.

## ექსპერიმენტატორი

თქვენ საკუთარ თავზე ცდით მოდური დიეტების ეფექტურობას და გჯერათ სასწაულმოქმედი მეთოდებისა.

სამწუხაროდ, ასეთ დროს სასწაულები არ ხდება. გასახდომი აბები მხოლოდ დროებით თრგუნავს მადას. უსარგებლოა ე.წ. უქოლესტერინო დიეტაც, რომელიც აჩქარებს კლიმაქსის დაწყებას. ქოლესტერინი ხომ სტეროიდული (მათ შორის სასქესო) ჰორმონების წარმოქმნისათვის საჭირო ნედლეულს წარმოადგენს. მისი დეფიციტისას კი ქალს უქრება ინტერესი სექსისადმი და ზოგჯერ მენსტრუაციაც.

არ ღირს ნახშირწყლების მთლიანად გამორიცხვაც რაციონიდან. 40 წლის შემდეგ გული და თირკმლები ზედმეტად იტვირთება ცილოვანი დიეტით.

***გამოსავალი:***

● კვებითი ექსპერიმენტები უნდა შემოიფარგლოს კვირაში ერთი განტვირთვის დღით. მისი გადატანა იოლია.

● რაციონში შეამცირეთ ქოლესტერინი და ტკბილეულობა (მაგრამ არ აკრძალოთ).

● თევზეული კი უნდა შეიყვაროთ. ხორცისგან განსხვავებით იგი არ არის გაჯერებული ჰორმონებით და მდიდარია სასარგებლო ცხიმოვანი მჟავებით.

## შეწუხებული

თქვენ გგონიათ, რომ რაც უფრო მეტად გამოამჟღავნებთ წუხილს საკუთარი ფიგურის გამო, მით მეტ პატივისცემას დაიმსახურებთ გაშემომყოფების თვალში.

ასეთ ქცევას უარყოფითი ეფექტი მოაქვს: როგორც კი ქალი იტყვის, რომ დიეტაზეა, მაშინვე ყველა შეამჩნევს მის ჭარბ კილოგრამებს, მამაკაცებს კი არ უყვართ ათასგვარი დიეტით გატაცებული ქალები.

***გამოსავალი:***

● გასახდომად მისაღები ზომები ყველასგან უჩუმრად (ქმრისგანაც კი) მიიღეთ. ნუ მოიმზადებთ, თქვენთვის ცალკე, ჩაშუშულ სტაფილოსა და კომბოსტოს. მიირთვით ის, რასაც მეუღლე ჭამს, მაგრამ 2-3-ჯერ უფრო ცოტა.

● არავითარ შემთხვევაში არ შექმნათ ტრაგედია ჭარბი წონისგან: ყველას დაანახვეთ, რომ ამ ამბავს იუმორით აღიქვამთ.



*მოამზადა*
*თამარ მამაცაშვილმა*

# გამორჩეული ადამიანების მოსწრებული გამონათქვამები



## გვირგვინოსანი მსმენელები

სახელგანთქმული უნგრელი პიანისტი და კომპოზიტორი ფერენც ლისტი ერთხელ ტიტულოვანი პერსონებისათვის უკრავდა.

ინგლისის დედოფალი კონცერტზე დაგვიანებით მივიდა. იგი თავისი ამალით დიდხანს მოუნდა ლოჟაში მოწყობას. შრიალებდა სეფექალთა კაბები, დედოფალი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

ლისტმა დემონსტრაციულად შეწყვიტა დაკვრა.

— ეტყობა, თქვენი ფანტაზია ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა, — უთხრა ერთმა დამსწრე დიდებულთაგანმა.

— შემეშინდა, მის აღმატებულებას დედოფალ ვიქტორიას ხელი არ შევუშალო-მეთქი. — მიუგო კომპოზიტორმა.

მსგავსი სცენა გამეორდა 1842 წელს რუსეთის მეფის ნიკოლოზ I-ის კარზე მოწყობილ კონცერტზე.

როდესაც მეფემ ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო, ლისტმა დაკვრა შეწყვიტა.

— რატომ შეწყვიტეთ დაკვრა? — ჰკითხა ნიკოლოზმა.

— როდესაც მეფე ლაპარაკობს, დანარჩენები უნდა დუმდნენ, — უპასუხა ლისტმა.

## მთავარია სიზუსტე

ვარშავაში ლისტის ერთ-ერთი კონცერტის წინ იმპრესარიომ გამოაცხადა, დარბაზში ხუთასი სანთელი ენთებაო.

ქანდარაზე მჯდომი პროვინციელი მაესტროს დიდხანს გულდასმით შესცქეროდა, მაგრამ უფრო მეტხანს თვალს ირგვლივ აცეცებდა.

ბოლოს, თავი ველარ შეიკავა, წამოდგა და აღშფოთებით წამოიძახა:

— როგორ არა გრცხვენიათ, რომ გვატყუებთ! დარბაზში მხოლოდ ოთხას ოთხმოცდათვრამეტი სანთელი ანთია და არა ხუთასი.

ლისტმა არ იცოდა, რა ხდებოდა და კონცერტი შეწყვიტა. სცენაზე ადმინისტრატორი გამოვიდა და ქანდარაზე მჯდომს ასძახა:

— ფორტეპიანოზე არ დაგითვლიათ სანთლები?

— არა, მიუგო შეცბუნებულმა პროვინციელმა და დასძინა: — მაშ, კარგი, განაგრძეთ დაკვრა, ბატონო ლისტ.

## მდგომარეობიდან გამოსვლა

გენიალურ რუს პიანისტსა და გამოჩენილ კომპოზიტორს ანტონ რუბინშტეინს ვენაში გასტროლების დროს წარმოუდგენლად ძუნწ ანტრეპრენიორთან მოუხდა საქმის დაჭერა. კონცერტების ანაზღაურებაზე მოლაპარაკება ძალიან გაჭიანურდა. ჰოდა, რუბინშტეინმა განაცხადა:

— კარგი, მე იმ თანხაზე ორჯერ ნაკლებს დავჯერდები, რასაც ჩვეულებრივ ვიღებ, ოღონდ, ორჯერ უფრო ჩუმად დავუკრავ.

# ანეკდოტები

***

მწვრთნელი სანუგეშო სიტყვებს ეუბნება თავის გალახულ მოკრივეს:

— აი, მესამე რაუნდში კი მაგრად დააფრთხე შენი მეტოქე!

— ვითომ?

— კი, მას ეგონა, რომ სიცოცხლეს გამოგასალმა.

***



— რა გატირებს, პატარავ?

— დედიკომ მამას უთხრა, — სპილო ხარო. მამამ უპასუხა, — შენ ბატი ხარო.

— მერე რა გატირებს?

— ველარ გავიგე, მე ვინა ვარ!

***

— აქ ერთი შეცდომაც არ ჩანს — თქვა მასწავლებელმა, როცა მოსწავლის საშინაო დავალება შეამოწმა. — მითხარი გივიკო, ოღონდ პატიოსნად, მამაშენს ვინმე ეხმარებოდა?

***

ქმარი სამსახურიდან დაბრუნდა და ცოლი გახარებული შეეგება:

— ოჰ, ძვირფასო, იცი, ჩვენს ბიჭუნას პირველი კბილი ამოუვიდა!

— შესანიშნავია!

— და პირველი ნაბიჯიც გადადგა!

— დიდებულია!

— ოღონდ, პირველი ნაბიჯი რომ გადადგა, პირველი კბილი მოიტეხა.

— ოჰ!

— მაგრამ პირველი კბილი რომ დაკარგა, ბიჭმა პირველი სიტყვა წარმოთქვა...

— მართლა?!

— ეჰ, რომ იცოდე, რა სიტყვა...



***

— ღმერთო ჩემო, სახე რას გიგავს?

— მფრინავი თეფში დამეჯახა.

— მფრინავი თეფში აქ საიდან გაჩნდა?

— ღმერთმანი არ ვიცი, ჩემი ცოლი სად ყიდულობს.



***

ორი ჩინოვნიკი საუბრობს:

— მდაა, ძნელია, დღეს პატიოსანი ადამიანი იყო და ისე იცხოვრო.

— მერე, შენ რა განაღვლებს?

***

სასტუმროდან გამოდის მამაკაცი, რომელსაც სიგარა გაურჭვია პირში. ქუჩაში გამოსულს ერთი ინტრიგანი გამოელაპარაკა:

— უკაცრავად, მითხარით ერთი, რა ღირს თქვენი სიგარა?

— ხუთი დოლარი.

— ერთ დღეში რამდენ სიგარას ეწევით?

— ალბათ ათს.

— აი, ხომ ხედავთ, გამოიანგარიშეთ, რამდენს ხარჯავთ წელიწადში მხოლოდ სიგარისთვის? ამ დამღუპველ ჩვევას თავი რომ დაანებოთ, რამდენიმე წელიწადში თქვენ იმდენ ფულს დააგროვებთ, რომ ამ სასტუმროს მეპატრონე გახდებით.

— თქვენ თუ ეწევით ბატონო?

— არასოდეს მომიწევია.

— მაშინ შეიძინეთ ეს სასტუმრო, რომელიც სხვათა შორის მე მეკუთვნის.

***

— ერთი ყური მეორეზე დიდი რატომ გაქვს?

— სამშობიაროში ზამბარებიანი სასწორით მწონიდნენ.

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (29 მარტი - 4 აპრილი)

### ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: სამსახურში მიმდინარე მოვლენებისა და ცვლილებების მთავარი გმირი იქნებით, მაგრამ ამის გამო ოჯახს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. კარგად გააანალიზეთ და შეისწავლეთ ოჯახის წევრებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების მიზეზები.

მამაკაცი: სხვისი პრობლემების მოგვარება უმადურ საქმედ გექცევათ. ამიტომ ამ კვირაში უმჯობესია, თუ არავის საქმეში არ ჩაერევით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეგობრებთან მწვავე შეხლა-შემოხლა გარდაუვალია.

### კურო – 21/IV-21/V

ქალი: ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და ეს, რა თქმა უნდა, როგორც თქვენს კარიერაზე, ასევე პირად ცხოვრებაზეც აისახება. ვნებებს მაინცდამაინც ნუ აჰყვებით. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

მამაკაცი: მთელი თქვენი ძალისხმევა და ენერგია მიმართულია სამსახურში სასურველი შედეგის მისაღწევად. უფროსობა სათანადოდ დააფასებს თქვენს შემართებას და შესაძლებელია საინტერესო წინადადებითაც მოგმართოთ.

### მარჩბივი – 22/V-21/VI

ქალი: ფინანსური პრობლემებითა და მასთან დაკავშირებული მოსაბეზრებელი საქმეებით იქნებით დაკავებული. პირად ცხოვრებაში კი, მცირედი უსიამოვნებები გელით. თუმცა, ეს მდგომარეობა მალე სასიკეთოდ შეიცვლება.

მამაკაცი: ამ კვირაში ზედმეტად აღელვებული, ვნებიანი და სულსწრაფი იქნებით. გართობა და სასიამოვნო რომანტიკული შეხვედრები გარანტირებული გაქვთ. უქმეები ოჯახურ ატმოსფეროში გაატარეთ.

### კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: მცირეოდენი პრობლემები შეგექმნებათ სამსახურში. შეეცადეთ, საკუთარი ძალების მობილიზება მოახდინოთ და უსიამოვნებებს მომზადებული შეხვდეთ.

მამაკაცი: ეს კვირა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოიყენეთ. ინტუიცია გიკარნახებთ, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართოთ თქვენი მომავალი. მოკლე ხანში, ამომწურავ პასუხებს მიიღებთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

### ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ოჯახური საქმეების წარმართვა დამოუკიდებლად მოგიწევთ. თავი გაიმხნევეთ იმით, რომ ამას თქვენზე უკეთ ვერავინ შეძლებს. მატერიალურის გარდა, ახლობლების სულიერ მდგომარეობაზეც იფიქრეთ.

მამაკაცი: თუ საქმიან პარტნიორებთან, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ბოლო დროს აწეწილ ურთიერთობას მოაგვარებთ, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ. ამიტომ, მთელი ძალისხმევა მდგომარეობის გამოსწორებისკენ მიმართეთ.

### ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ ახალი ნაცნობების შეძენას. პირად ცხოვრებაში სიმშვიდე და სტაბილურობა დაისადგურებს. შაბათ-კვირას ეცადეთ, დრო შინაარსიანად გაატაროთ.

მამაკაცი: მოერიდეთ ახალ სასიყვარულო ურთიერთობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხიფათს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს კვირა ოჯახურ გარემოცვაში გაატაროთ.

### სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: სიკეთესა და სიყვარულს ასხივებთ. ეს ამ კვირაში ნათლად აისახება კოლეგებთან თქვენს ურთიერთობაზე – ისინი უბრალოდ, აღფრთოვანებულები იქნებიან თქვენით.

მამაკაცი: როგორც ჩანს, სერიოზულად დაინტერესდებით ახალი პროექტით, რომელსაც საქმიანი გარემოცვა შემოგთავაზებთ. ხელიდან ნუ გაუშვებთ შანსს. საქმისადმი თქვენი მიდგომა ახალ, საინტერესო პერსპექტივას გპირდებათ.

### ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ამ კვირაში უსაზღვროდ თავდაჯერებული და ენერგიული იქნებით და ამ თვისებებს გარშემომყოფთაც გადასდებთ. მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტურ სიტუაციებს – ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

მამაკაცი: ძალზე დინამიკური და დაძაბული ორშაბათისა და სამშაბათის შემდეგ აუცილებელია განტვირთვა. შესაძლოა რაიმე წვეულებაზე მოხვდეთ და სასიყვარულო ინტრიგაშიც გაებათ.

### მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: თუ საკუთარ ინტუიციას ენდობით, არ წააგებთ. თქვენი მჭევრმეტყველების, მიმზიდველობისა და არტისტიზმის წყალობით, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევით და წინ ბრწყინვალე პერსპექტივა გადაგეშლებათ.

მამაკაცი: შაბათი და კვირა საუკეთესო დღეებია იმ საუბრისათვის, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე უფრთხოდით. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტთ პრობლემას და შვებით ამოისუნთქავთ.

### თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: მოსალოდნელია მხიარული შეხვედრები და მსუბუქი ფლირტი. კვირის ბოლოს, წარმატება გელით. საქმიანი საუბრის დროს წინდახედულება გამოიჩინეთ და მთელ ქვეყანას ნუ გააგებინებთ იმას, თუ ვინ რას გპირდებათ.

მამაკაცი: უმიზეზო მოწყენილობა, რომელიც კვირის დასაწყისში დაგეუფლებათ, უმჯობესია, ოჯახურ გარემოში გაიქარვოთ. სწორედ თქვენს ახლობლებთან კონტაქტის წყალობით შეძლებთ სიმშვიდის მოპოვებას და ენერგიის მოკრებას.

### მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ამ კვირაში, ნამდვილი ლიდერის თვისებებს გამოავლენთ. თავდაჯერებულობის გამო შეცდომას ნუ დაუშვებთ. გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები. კვირის ბოლოს უტყუარ ალღოს გამოავლენთ და საუცხოო შედეგსაც მიაღწევთ.

მამაკაცი: მთელი კვირის განმავლობაში, რომანტიკული გრძნობები არ მოგასვენებთ. გაფრთხილდით – საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან თვალების ჟუჟუნი ძვირად არ დაგიჯდეთ. უარი თქვით გათხოვილ ქალთან ფლირტზე.

### თევზები – 20/II-20/III

ქალი: ნუ იქნებით სხვების მიმართ ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი. თავდაუზოგავად იშრომეთ, რადგან გარჯა დაგიფასდებათ და დიდ წარმატებასაც მოგიტანთ – განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში.

მამაკაცი: საერთოდ, ორგანიზებული და მოწესრიგებული ადამიანი ხართ, მაგრამ ამ კვირაში თქვენი ენთუზიაზმი სადღაც გაქრება. გირჩევთ, ნუ გაზარმაცდებით და ნურც ფუჭი ოცნებები გაგიტაცებთ. დროა, საქმეს მიხედოთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.



ტ – „მე, ბებია, ილიკო და ილა-რიონში“

„9 1/2 კვირა“ (მსახი-ობი)

შეიარ-აღებული მხედარი კორიდაში

მაღალი სპორ-ტი რომელ-საც ეძღ-ნება ჭერი

ყაჩაღი გურიაში

ევროპული აბრეშუმის წარმოების ცენტრი

დამუხ-ტული ნაწილაკი

აგენტი 007

დოდო აბაშიძის პერსონაჟი კ/ფ-ში „ჭრიჭინა“

საკაზმი მცენარე

ნოტი

ამერიკელი მსახიობი კრისტინა ...

თოფაძეს იგი ცივი უყვარს

ქართუ-ლი ყურძნის ჯიში

გაერთიანებუ-ლი ერების ორგანიზაცია (აბრევიატურა)

სტენდა-ლის რომანი „... და შავი“

ტექსტის ერთიდან მეორე ენაზე გადაყვანა

ხორცის ნახარში

სახ. ევროპაში

ფილ-ოსოფიური მიმარ-თულება

ცხოველთა სამყაროს შემსწავ-ლელი მეცნიერი

„როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (ავტორი)

ქართველი პოეტი და კომპოზიტო-რის ვაჟი

სოკოს ქსელი პროდუ-ქტზე

სუსტი ქარი

რაიმე მოძღვ-რების დამცველი

დედამი-წის ქე-რქის წი-ალის შრე

საქმის ალს პურმარილი

ქარგვით გაკეთებული

პატიების თხოვნა

რუსი ილუზი-ონისტი

საერთო ევროპუ-ლი ვალუტა

ადამი-ანის ნაშიერი

ბერძნუ-ლი ასო

ამერი-კელი მსახიობი კევინ ...

მსუბუქი ნამცხ-ვარი

ფრანგი ფიზი-კოსი

თანხმობა ესპან-ურად

შიიზმის მიმდე-ვარი

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



7-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ა.
1-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-გ.

# „რუსთაველის" საბავშვო პროექტი

კინოთეატრ „რუსთაველში" ახალი საბავშვო კომედიური ფილმის „ძიძა მამების" საპრემიერო ჩვენება დაიწყო. ფილმი ქართულ ენაზეა დუბლირებული და მას ტელეკომპანია „202"-ის წარმომადგენლები ზვიად ბლიაძე (ზვიო), ზურა გაჩეჩილაძე (შონზო), ალეკო მალხაზიშვილი და ეკა კახიანი ახმოვანებენ. „ძიძა მამებში" მთავარ როლს ჰოლივუდის პოპულარული მსახიობი ედი მერფი ასრულებს. კინოთეატრმა „რუსთაველმა" ასეთივე პროექტი გასულ წელსაც წარმატებით განახორციელა. კინოთეატრის წარმომადგენლები წელიწადში ოთხჯერ, სასკოლო არდადეგების დროს, საბავშვო ფილმებსა და მულტფილმებს ქართულად ახმოვანებენ და ბავშვებს სიურპრიზის სახით სთავაზობენ. თუ რა სიახლეს უმზადებენ ისინი ბავშვებს საზაფხულო არდადეგებზე, ამას მოგვიანებით შევიტყობთ. ■



# „ეცეკვე ძებნილს"

ჯგუფი „ძებნილები და ჯერონიმო" ახალ კლიპს იღებენ სიმღერაზე „ეცეკვე ძებნილს". როგორც ყოველთვის, ახლაც მუსიკის და ტექსტის ავტორები თავად ჯგუფის წევრები და მათი პროდიუსერი პაატა სილაგაძე არიან, კლიპის რეჟისურაც მათ ეკუთვნით. გადაღებები ღამის კლუბ „პარიზის ვარსკვლავში" მიმდინარეობს. კლიპი კომედიური ჟანრის იქნება. „ძებნილებს" კლუბში საცეკვაოდ შესვლა უნდათ, მაგრამ მათი უცნაური ჩაცმულობისა და გარეგნობის გამო, დაცვა შესვლის უფლებას არ აძლევს. „ძებნილები" კლუბში მოსახვედრად ათას ხერხს მიმართავენ; ქუჩაშიც სთხოვენ გოგონებს „ეცეკვე ძებნილსო", მაგრამ ისინი მათ ამრეზით უყურებენ. დიდი წვალების შემდეგ, ღამის კლუბში მაინც შეაღწევენ და გოგონებთან ერთად (სამოდელო სააგენტო „შარმის" სტუდიის მოდელები) ცეკვავენ. თუ რა კომიკურ სიტუაციაში ჩავარდება ჯერონიმო, ამას კლიპის ხილვის შემდეგ შეიტყობთ. კლიპი კი, სავარაუდოდ, ორ კვირაში გამოვა ეკრანებზე. ■



# აჩიკო მეფარიძის მსახიობური კარიერა



„არტ-იმედის" მომღერალი აჩიკო მეფარიძე, რომელიც რატომღაც ამ ბოლო დროს „არტ-იმედის" მიერ გამართულ არც ერთ კონცერტში აღარ მონაწილეობს, მიუხედავად ოჯახური პრობლემებისა, შემოქმედებით საქმიანობას მაინც არ წყვეტს. მან სულ ახლახან დაასრულა მუშაობა ახალ ალბომზე, რომელშიც ისეთი ცნობილი სიმღერებიც შევიდა, როგორებიცაა: „უცხო ქალაქში" და „მშვიდობით". რამდენიმე დღის წინ კი მომღერალი ბაქოში გაემგზავრა, სადაც მთავარ როლს შეასრულებს ერთ-ერთ მუსიკალურ ფილმში. აჩიკო მეფარიძეს პარტნიორობას აზერბაიჯანელი და რუსი მომღერლები გაუწევენ. ფილმი სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში აჩიკო ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მოგვევლინება, მეორე ნაწილში ფრაკით წარდგება მაყურებლის წინაშე, ხოლო ფილმის ბოლოს, მომღერალი თანამედროვე კოსტიუმით შეიმოსება. ფილმის გადაღებები რამდენიმე დღეში დასრულდება. ■

მოამზადა ნათია ქივიძემ

# რამდენად მომხიბლავი ადამიანი ბრძანდებით?



**ხართ თუ არა მომხიბლავი? გაქვთ თუ არა ადამიანებზე ზეგავლენის უნარი? თუკი ამ კითხვებზე პასუხი გაინტერესებთ, უპასუხეთ მოცემული ტესტის შეკითხვებს. ყოველ დადებით პასუხზე დაიწერეთ 1 ქულა, უარყოფითზე — 0.**

1) გაქვთ თუ არა იმის უნარი, რომ სატელეფონო საუბრისას თქვენი იდეებით დააინტერესოთ ადამიანი?

2) სრულიად მოულოდნელად თქვენ წარმატება მოიპოვეთ ისეთი ადამიანის თვალში, რომელიც დიდად არ გესიმპათიურებათ. შეიცვლით თუ არა მისდამი დამოკიდებულებას ანუ ამ მომენტიდან მისდამი უფრო კეთილგანწყობილი ხომ არ გახდებით?

3) ტრაფარეტის გარეშე წერისას, თქვენ მიერ დაწერილი სტრიქონი ზევითკენ ხომ არ ,,მიილტვის‘‘?

4) შეგიძლიათ თუ არა თქვენთვის არასასურველ შეკითხვებს ღიმილით აარიდოთ თავი? გაქვთ თუ არა ჩვევად არ იდავოთ და მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ პოზიციაზე დარჩეთ?

5) შეგიძლიათ თუ არა კამათისას მშვიდად მოისმინოთ მოწინააღმდეგის აზრი, რომელსაც კატეგორიულად არ ეთანხმებით?

6) ბავშვობაში უფროსების საყოველთაო სიყვარულით იყავით თუ არა გარემოცული? უფროსები აღტაცებულნი იყვნენ თუ არა თქვენით?

7) ხშირად იმსახურებთ თუ არა კომპლიმენტებს ირგვლივმყოფთაგან?

8) დიდხანს აკვირდებით თუ არა საკუთარ თავს სარკეში?

## დააჯამეთ ქულები

**8-7 ქულა:** შინაგანი ხიბლით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით. თუმცა, ზედმეტად თავდაჯერებულიც ხართ. ვერც წარმოგიდგენიათ, რომ ვინმეს არ მოსწონხართ.

**6-5 ქულა:** უდავოდ მომხიბლავი ადამიანი ბრძანდებით. საურთიერთოდაც სასიამოვნო ადამიანი ხართ: ღირსების გრძნობაც გაქვთ. არ გაქვთ იმის აუცილებლობა, რომ გარშემომყოფებს მოაწონოთ თავი.

**4-3 ქულა:** მეგობრების სულსა და გულს ვერავინ გიწოდებთ. ეს თქვენი ხასიათის ბრალია. საკუთარ სიმართლეში სხვების დარწმუნება მაშინაც კი გიჭირთ, როცა ცამდე მართალი ხართ.

**2-0 ქულა:** ვერავინ იტყვის, რომ მომხიბლავი ადამიანი ბრძანდებით, ღირსების გრძნობაც არ გაგაჩნიათ. საკუთარი თავიც კი არ გიყვართ. როცა სარკეში იყურებით, ეს პროცესი სიამოვნებას არ განიჭებთ. შეეცადეთ, რომ ჯერ თავად შეიცვალოთ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება, ამის შემდეგ სხვებზეც შეძლებთ ზეგავლენის მოხდენას.

# რამდენად კმაყოფილი ხართ საკუთარი თავით?

***უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ ტესტის შეკითხვებს და გაარკვიეთ, რამდენად გაწუხებთ საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობის კომპლექსი.***

**1) თუ გიოცნებიათ ხელახლა დაბადებაზე და ცხოვრების თავიდან დაწყებაზე?**
(დიახ – 4; არა – 16).

2) გაქვთ თუ არა ჰობი?
(დიახ – 18; არა – 5).

**3) როცა რაიმე საქმის გაკეთება გიჭირთ, გითქვამთ თუ არა ფრაზა: „მსგავსი რამ მხოლოდ მე შეიძლება დამემართოს?“**
(დიახ – 6; არა – 12).

**4) გეუფლებათ თუ არა სიხარულის განცდა, როცა შეიტყობთ, რომ ვიღაცას თქვენი შურს?**
(დიახ – 16; არა – 2).

**5) თავმოყვარეობა შეგელახებათ თუ არა იმ შემთხვევაში, თუ შეიტყობთ, რომ ვიღაცამ მოსაწყენ და არასიმპათიურ ადამიანთა კატეგორიას მიგაკუთვნათ?**
(დიახ – 3; არა – 12).

**6) დაგამშვიდებთ თუ არა იმის გაგება, რომ თქვენს ნაცნობს ისეთივე უსიამოვნება შეემთხვა, როგორიც თქვენ?**
(დიახ – 18; არა – 5).

**7) განიცდით თუ არა, თუკი დარწმუნდებით, რომ თქვენი მონაწილეობის გარეშე ესა თუ ის საქმე ბევრად უფრო წარმატებით მიმდინარეობს?**
(დიახ – 2; არა – 16).

**8) ლატარიაში დიდი თანხის მოგების სურვილი ხშირად გეუფლებათ თუ არა?**
(დიახ – 4; არა – 20).

**9) აგიჩქარდებათ თუ არა პულსი, თუკი შეიტყობთ, რომ თქვენმა ნათესავმა ან მეგობარმა რაღაც ძვირად ღირებული ნივთი შეიძინა?**
(დიახ – 1; არა – 12).

**10) გიყვართ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმა მსმენელთა ფართო აუდიტორიის წინაშე?**
(დიახ – 16; არა – 3).

## დააჯამეთ ქულები

**120 ქულაზე მეტი:** საკუთარი თავით ზედმიწევნით კმაყოფილი ბრძანდებით. თუმცა სავარაუდოა, რომ ჯანსაღი, თვითკრიტიკული დამოკიდებულების დეფიციტს განიცდით და თვითშეფასების რეალურ უნარსაც მოკლებული ხართ. გირჩევთ, მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით შეაფასოთ შექმნილი სიტუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ სცადოთ პრობლემის გადაჭრა.

**60-120 ქულა:** თავდაჯერებული ადამიანი ბრძანდებით და საკუთარ ძალებში ეჭვი არ გეპარებათ. უნდა გითხრათ, რომ სიტუაციას რეალურად აფასებთ. ამასთან, არც მეტისმეტად თვითკმაყოფილი ხართ და არც საკუთარ თავზე ზედმეტად შეყვარებული.

**60 ქულაზე ნაკლები:** საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ? გამოიჩინეთ ნებისყოფა და თავის ხელში აყვანა სცადეთ. მიმოიხედეთ ირგვლივ და დაფიქრდით — არ არის გამორიცხული, რომ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებდეთ.

## კარის გაღება გასაღების გარეშეც შეიძლება

ავსტრიაში, ქალაქ ლინცში სამეცნიერო კომპანიის თანამშრომლებმა კარის ჩამკეტი ახალი სისტემა გამოიგონეს: შინ შესასვლელად მომხმარებელს მხოლოდ საკუთარი თითის ანაბეჭდის გამოყენება დასჭირდება — კარი, პატრონის თითის მიკარებისთანავე, თავისით გაიღება. სპეციალისტების აზრით, სისტემა **Finger-scan**-ს ერთ წამზე ნაკლები დრო სჭირდება „სასურველი თითის" ამოსაცნობად. ამავე დროს, მას 99 ადამიანის თითის ანაბეჭდის დამახსოვრება შეუძლია. გამომგონებელთა აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო საკეტია აქამდე არსებულთა შორის.

ახალი სისტემის საკეტი, პირველ რიგში, მეტისმეტად მოსახერხებელია მათთვის, ვინც ხშირად კარგავს გასაღებს, ასევე იმ ოჯახებისთვის, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ. **Finger-scan**-ის მფლობელებს არც ახალი გასაღების დამზადება დასჭირდებათ და აღარც საკეტის შეცვლა.

„ჩვენი სისტემით ავტომფლობელებიც დაინტერესდნენ", — აღნიშნავს კომპანიის წარმომადგენელი. ზოგიერთი პრესტიჟული მარკის ავტომობილისთვის უკვე იყენებენ მსგავს საკეტს, ოღონდ ამ შემთხვევაში, თითის ანაბეჭდის ნაცვლად, პატარა ბრელოკი გამოიყენება, რომელიც საკმარისია, პატრონმა სპეციალურად დამონტაჟებულ ხელსაწყოს მიუახლოოს და მანქანის კარიც გაიღება. ■



## ავსტრალიელ ქალს თავს კენგურუ დაესხა



ავსტრალიაში უცნაური ამბავი მოხდა: 48 წლის სილვია ელდრენს, რომელიც საკუთარ ბაღჩაში საქმიანობდა, თავს კენგურუ დაესხა და უკანა თათები ზურგში რამდენჯერმე ძლიერად ჩაარტყა. ქალი წამოდგომას და გაქცევას ამაოდ ლამობდა.

„მეგონა, ვერ გადავრჩებოდი" — ამბობს დაზარალებული. მან რამდენიმე საათი საავადმყოფოში გაატარა, რადგან მრავალჯერადი მსუბუქი ჭრილობა და სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა.

„ბაღში ყვავილებს ვრგავდი, როცა მოულოდნელად ზურგზე კენგურუ დამახტა. მან კალათი ხელიდან გამომგლიჯა, შემდეგ კი უკანა თათებით ცემა დამიწყო, — ჰყვება სილვია. — როცა უკანა თათებზე იდგა, ჩემზე მაღალი იყო. არავის თვალებში დამინახავს მსგავსი სიძულვილი..."

როცა თვითმხილველნი სილვიას საშველად მისცვივდნენ, აგრესიული კენგურუ გაიქცა და მიიმალა.

შტატ კვინსლენდის ბუნების დაცვის საზოგადოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი გაოცებულნი არიან მომხდარით და აუცილებლად დაადგენენ ცხოველის უცნაური ქცევის მიზეზს. „ამგვარი აგრესია უჩვეულოა ისეთი უწყინარი ცხოველისთვის, როგორიც კენგურუა. მსგავსი რამ არასოდეს გამიგია", — აღნიშნა მან.

თვით მისის ელდრენი კი აპირებს, სასამართლოს მიმართოს. „მაგრამ ვის ვუჩივლო, კენგურუს?" — ფიქრობს საგონებელში ჩავარდნილი ქალი. ■

## ახალი გვინეის პოლიცია ნაცრისფერ, 3-მეტრიან დინოზავრს ეძებს

ახალ გვინეაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დინოზავრის მსგავსი უცნაური, 3-მეტრიანი ნაცრისფერი ცხოველი შენიშნეს, რომელსაც ძაღლის თავი და ნიანგის კუდი აქვს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ზუსტად არავინ იცის. ერთ-ერთი მცხოვრები ამტკიცებს, რომ ეს უცნაური არსება კუნძულ ახალი ბრიტანეთის ადმინისტრაციული ცენტრის — ქალაქ კოკოპოს მახლობლად, ჭაობში დაინახა. „მე მის შესახებ გაგონილი მქონდა. ამიტომ დავინტერესდი და გადავწყვიტე, საკუთარი თვალით მენახა იგი. ის გიგანტური და მართლაც ამაზრზენი არსება ყოფილა", — განაცხადა ქალმა.



ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, „დინოზავრმა" უკვე სამი ძაღლი გადასანსლა. ამჟამად პოლიცია და მოსახლეობა ყურადღებით ათვალიერებენ ჭაობს, სადაც სავარაუდოდ ურჩხული იმყოფება, მაგრამ ხელმოსაჭიდი ჯერჯერობით ვერაფერი აღმოაჩინეს. ■

## თუთიყუში დედოფლის ვიზიტს შეეწირა

ენაჭარტალა თუთიყუშს, რომელიც სამხედრო-საზღვაო გემზე იმყოფებოდა, ბილწსიტყვაობის გამო, დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის ვიზიტის დროს ადგილსამყოფლის დატოვება მოუხდა. საქმე ის გახლავთ, რომ თუთიყუში ქალებს უწმაწური სიტყვებით ამკობს და ხშირად მიმართავს მათ თავისი საყვარელი ფრაზით: „აბა, მკერდი გვიჩვენე!" მეზღვაურებმა აღიარეს, თუთიყუში ხანდახან ისე უხამსად ხუმრობს, რომ ქალებს (და არა მხოლოდ მათ) საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებსო.

დედოფალიც ანალოგიურ სიტუაციაში რომ არ აღმოჩენილიყო, ეკიპაჟის წევრებმა თუთიყუში გემიდან ნაპირზე გადასვეს. ■

# ფოტოკურიოზები













კარუსელი
F 1224
2004
ყველაზე
გასართობი
ჟურნალების
ოჯახი
საბავშვო
გასართობი ჟურნალი
კარუსელი
6
22 მარტი, 2004 წელი, გამოდის ორშაბათობით, ორ კვირაში ერთხელ, ფასი 50 თეთრი
ჭკვიანი მეგობარი